არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

**შ. აფრიდონიძე, თ. ვაშაკიძე, ვ. მაღრაძე,
თ. ტეტელოშვილი, თ. ღვინაძე, ნ. ჯორბენაძე**

ქართული ენის პ ა რ ო ნ ი მ თ ა ლექსიკონი

თბილისი
2011

UDC (უაკ) 81’374 · 22 = 353.1
ქ-279

მ თ ა ვ ა რ ი რ ე დ ა ქ ტ ო რ ი – თ. ვაშაკიძე

რ ე დ ა ქ ტ ო რ ე ბ ი: ავთ. არაბული
თ. ღვინაძე

პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ე ლ ი მ დ ი ვ ა ნ ი –
ნ. ჯორბენაძე

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი: გ. გოგოლაშვილი
ვ. შენგელია

ტ ე ქ. რ ე დ ა ქ ტ ო რ ი – ლ. ვაშაკიძე

მ ხ ა ტ ვ ა რ ი – ს. ალავიძე
ო პ ე რ ა ტ ო რ ი – რ. რატიანი

© არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN 978-9941-0-3036-9

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 5
პირობითი ნიშნები 14
შემოკლებანი..... 15
საილუსტრაციო წყაროების ავტორები..... 17
ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი 21
წყაროები 307

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი პარონიმების პირველი ლექსიკონია ქართულ სინამდვილეში. მისი მომზადება, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული მიზანდასახულობით არის შეპირობებული. **პარონიმებს უწოდებენ ისეთ სიტყვებს**, **რომლებიც ბგერობრივად** (ხან საერთო წარმომავლობის ან მსგავსი წარმოების გამო, ხან შემთხვევით, ზოგჯერ სემანტიკური ელფერითაც) **ჰგვანან ერთმანეთს**, რაც მიზეზი ხდება მათი აღრევისა (ისინი გაუმართლებლად მონაცვლეობენ როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში).

პარონიმია მჭიდროდ უკავშირდება პრაქტიკული სტილისტიკის საერთო პრობლემატიკას: სიტყვის არაადეკვატური გამოყენება, ბუნებრივია, სტილის უხეშ დარღვევად უნდა ჩაითვალოს. სწორედ ამ ტიპის შეცდომათა აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონის მომზადება.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში პირველი ინფორმაცია პარონიმების შესახებ დაიბეჭდა **გ. შალამბერიძის** წიგნში – „მეტყველების კულტურის საკითხები“ (1964). ნაშრომში

დასახელებულია როგორც ნასესხები, ისე ქართული პარონიმული წყვილები (**ცნება** – **მცნება**, **უახლესი** – **უახლოესი**, **ეწვია** – **ეწია**, **განზოგადება** – **განსაზოგადოება**...).

აღნიშნული საკითხი სპეციალურად იყო განხილული **თინათინ ღვინაძის** წერილებში: პარონიმია (ქელს, № 2, 1978), პარონიმია თანამედროვე ქართულ სიტყვახმარებაში (ქსკს, IV, 1981). მკვლევარი წლების განმავლობაში მუშაობდა პარონიმული წყვილების გამოვლენასა და მათი აღრევის შემთხვევათა ანალიზზე.

ლექსიკონზე მომუშავე ჯგუფი აკვირდებოდა სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა (ჟურნალისტების, იურისტების, მასწავლებლების...) მეტყველებას, აგრეთვე შეისწავლიდა მოსწავლე-აბიტურიენტების წერით ნამუშევრებს, აღნუსხავდა ბგერობრივად მსგავსი სიტყვების გაუმართლებლად ურთიერთშენაცვლების შემთხვევებს.

ძალზე ხშირი და ტიპობრივია უცხოური წარმოშობის პარონიმები. მიზეზი გასაგებია: ნასესხები ლექსიკის მნიშვნელობა უცნობი აგებულების გამო ბუნდოვანია, ზოგჯერ – სრულიად გაუგებარიც.

უცხოურ პარონიმთა ერთ-ერთი აქტიური წყაროა გავრცელებული დაავადებების სახელწოდებათა ხალხური გამოყენება. განსაკუთრებით ირევა ერთნაირი ბგერათკომპლექსებით დაწყებული ტერმინები, მაგ., **აპენდიქსი** (ბრმა

ნაწლავის დანამატი, ჭიაყელა ნაწლავი), როგორც წესი, იხმარება **აპენდიციტის** (აპენდიქსის ანთების) ნაცვლად, ასევე ერევათ **ართრიტი** (სახსრების ანთებითი დაავადება) **ართროზში** (ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული სახსრების ქრონიკული დაავადება), **პროსტატა** (წინამდებარე ჯირკვალი) – **პროსტატიტში** (პროსტატის ანთება) და სხვ.

ბგერობრივად მსგავს სიტყვათა აღრევის შემთხვევები სხვა დარგების ტერმინოლოგიაშიც დასტურდება; მაგ., **კომიკოსი**, **კომედიანტი** (1. კომიკური როლების შემსრულებელი მსახიობი; 2. გ ა დ ა ტ. ადამიანი, რომელიც ქცევითა და ლაპარაკით სიცილს იწვევს; ოხუნჯი;) და **კომედიოგრაფი** (კომედიების მწერალი); **ექსპონატი** (მუზეუმში გამოსაფენი საგანი) და **ექსპონენტი** (ექსპონატის მფლობელი, გამომფენი); **პანაშვიდი** (ლოცვა მიცვალებულთათვის; შ დ რ.: **სამოქალაქო პანაშვიდი** – ხალხის მისვლა და გამოთხოვება მიცვალებულთან) და **პარაკლისი** (საეკლესიო მღვდელმსახურება: უფლისადმი თხოვნა, ვედრება ცოცხალთათვის: ჯანმრთელობის **პარაკლისი**) და ა. შ.

პარონიმები ძირითადად ნაწარმოები ფორმებია. მათი ამოსავალი არსებითი სახელები კი ამგვარ წყვილებს ხშირად არ წარმოქმნიან, მაგ., **დიალექტი** და **დიალექტიკა** ერთმანეთში არ ირევა, მაგრამ მათგან ნაწარმოები ზედსართავები – **დიალექტური** და **დიალექტიკური** – არაერთხელ დადასტურებულა პრესის ენაში ერთმანეთის ნაცვლად.

ზოგჯერ უცხო სიტყვების (ზედსართავებისა თუ მიმღეობების) ქართული აფიქსებით გაფორმებისას ერთმანეთში ირევა ამა თუ იმ თვისების აღმნიშვნელი ზედსართავები და ვნებითი გვარის მიმღეობათა -**ულ** სუფიქსიანი ფორმები, მაგ., **რეგულარული** და **რეგულირებული** (შდრ.: **რეგულარული** ჯარი; **რეგულირებული** წნევა).

ცალკე გამოიყოფა -**აცია** და -**ირება** ფორმანტებით დაბოლოებული ლექსიკური ერთეულები. ამ ტიპის სახელები სინონიმებად მიიჩნევა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა, მაგ., **რეკლამაცია** (1. საჩივარი, პროტესტი; 2. კრედიტორის მოთხოვნა ნაყიდი საქონლის ნაკლოვანებათა გამოსწორების შესახებ) და **რეკლამირება** (რეკლამის გაკეთება; გადაჭარბებით შექება).

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ბგერობრივად მსგავსი სამი სიტყვა (ზოგჯერ ოთხიც) ირევა ერთმანეთში, მაგ., **ემიგრანტი** (სამშობლოდან სხვა ქვეყანაში იძულებით ან ნებაყოფლობით გადასახლებული პირი; ემიგრაციაში მყოფი), **იმიგრანტი** (ამა თუ იმ ქვეყანაში დასახლებული უცხოელი) და **მიგრანტი** (ადამიანი, რომელიც იცვლის საცხოვრებელ ადგილს, ქვეყანას); **ოკულარი** (ს პ ე ც. ოპტიკური ხელსაწყოს ის ნაწილი, რომელიც დამკვირვებლის თვალისკენაა მიმართული); **ოკულისტი** (თვალის დაავადებათა ექიმი); **ოკულანტი** (კვირტით ნამყნობი მცენარე) და სხვ.

უცხოურ სალექსიკონო ერთეულთა გარკვეული ნაწილი, ერთი შეხედვით, თითქოს ვერც აღიქმება პარონიმებად, მაგრამ განსაკუთრებუ-

ლი მსგავსების გამო ისინი მაინც შეტანილია ლექსიკონში განმარტებებითა და პირობითი მინიშნებით შ დ რ. ასეთებია: **აკუზატივი** – **კაუზატივი**, **კონსონანსი** – **კონსონანტი**...

* * *

ბგერობრივად მსგავს სიტყვათა ურთიერთშენაცვლების შემთხვევები მრავლად დასტურდება საკუთრივ ქართულ ლექსიკაშიც.

ა. პარონიმები არსებით სახელებსა თუ მათგან ნაწარმოებ ფორმებში:

ღერი (ასანთისა / თმისა...) და **ღერო** (სიმინდისა...), **მესაზღვრე** (= საზღვრის მცველი) და **მოსაზღვრე** (სახელმწიფოები / მეცნიერებები), **მოსარჩელე** (= ვინც სარჩელს აღძრავს სასამართლოში) და **მოსარჩლე** (= ვინც ესარჩლება ვინმეს, ქომაგი), **სამწერლო** (ასპარეზი) და **სამწერლობო** (ენა), **სასწავლი** (გაკვეთილი...) და **სასწავლო** (ნივთები / პროგრამა), **საწარმო** (= წარმოებითი ან სავაჭრო-სამეურნეო ერთეული) და **საწარმოო** (= წარმოებისთვის განკუთვნილი), **სარძევე** (ჭურჭელი / ჯირკვლები / კბილები) და **სარძეო** (მეურნეობა)...;

ბ. პარონიმული წყვილის კომპონენტები ზოგჯერ შეიძლება იყოს სხვადასხვა მეტყველების ნაწილი: არსებითი და ზედსართავი, არსებითი და მასდარი და ა. შ.:

მრუდე (= ის, რაც გამრუდებულია; არასწორი) და **მრუდი** (ტ ე რ მ. ტემპერატურის **მრუდი**),

ნიში (= თახჩა კედელში) და **ნიშა** (ხარი), **თარგმანი** („ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური **თარგმანი**) და **თარგმნა** („ვეფხისტყაოსნის“ უცხო ენაზე **თარგმნა**) და სხვ.;

გ. ხშირად პარონიმებს ქმნის მსგავსი სტრუქტურის (წარმოების) ზმნები:

აცვამს (ჯვარს) და **აცმევს** (კაბას), **ასვამს** (დაღს) და **ასმევს** (წყალს)...;

დ. არცთუ იშვიათად პარონიმული წყვილის შექმნის მიზეზია მესამე ირიბი ობიექტური პირის ნიშნის გამოტოვება ან ჩართვა. ზოგჯერ ასეთ შემთხვევებში სრულიად განსხვავებული ლექსიკური ერთეულები მიიღება:

ჩადის (კიბეზე) და **სჩადის** (დანაშაულს); შდრ. აგრეთვე: **დადებს** (წიგნს) და **დასდებს** (პატივს), **გადადის** (ქუჩაზე) და **გადასდის** (თავზე), **მოდგამს** (ფეხს) და **მოსდგამს** (მამა-პაპისგან), **ჭირს** (ცხოვრება) და **სჭირს** (სურდო) და ა. შ.;

ე. გამიჯნულია აგრეთვე პირთა რაოდენობით განსხვავებული ერთი ტიპის ზმნათა მესამე სერიის ფორმები:

უთამაშია (თამაშობს; ითამაშებს; ითამაშა) და **უთამაშებია** (ათამაშებს; ათამაშა), **უტირია** (ტირის; იტირებს; იტირა) და **უტირებია** (ატირებს; ატირა)...;

ვ. ბგერობრივად მსგავსი სიტყვების ურთიერთშენაცვლების შემთხვევები შეინიშნება ნაცვალსახელებშიც:

მაგოდენა (ბურთი) და **მაგდენი** (ხალხი)...;

ზ. სპეციფიკურია დამხმარე სიტყვების, განსაკუთრებით კავშირებისა და თანდებულების, შენაცვლების შემთხვევებიც. ხშირად ერთმანეთში ირევა მიზეზისა და მიზნის კავშირები:

რადგან (მიზეზი) და **რათა** (მიზანი), **იმის**(**ა**)-**თვის** (მიზანი) და **იმიტომ** / **იმის გამო** (მიზეზი) და ა. შ.;

თ. პარონიმებად ქცეულა სიტყვათა ფონეტიკური ვარიანტებიც:

აციებს (ავადმყოფს) და **აცივებს** (ღვინოს), **აპატიებს** (დანაშაულს) და **აპატივებს** (მიწას)...;

ი. ზოგჯერ ბგერობრივად მსგავსი სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია, ხოლო მათი ერთ-ერთი (მეორე ან მესამე) მნიშვნელობის გათვალისწინებით ისინი პარონიმებად იქცევიან:

მოსწავლე, **მოწაფე** (ვინც სწავლობს), მაგრამ: **მოწაფე** (ვინმეს მოძღვრებისა თუ პრაქტიკული საქმიანობის მიმდევარი)... ზოგჯერ კი სინონიმური ფორმები მაშინ განიხილება პარონიმებად, როცა ერთ-ერთი გამოიყენება ტერმინის ფუნქციით: **საჩეჩელი** / **საჩეჩი**: რითაც ჩეჩავენ (**საჩეჩელი** / **საჩეჩი** ათხოვა), მაგრამ: **საჩეჩი**: რაც უნდა ჩეჩონ; სადაც უნდა ჩეჩონ (**საჩეჩი** მატყლი / ბამბა; მანქანა / საამქრო).

პარონიმულ წყვილში აღრევა უპირატესად ცალმხრივია. ერთი მათგანი იხმარება მეორის ადგილას და არა – პირუკუ (მაგ., **პლაგიატი პლაგიატორის** ნაცვლად). უფრო იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა წყვილის ორივე წევრი გამოიყენება შეცდომით (ერთმანეთის ნაცვლად), მაგ., **პირი** და **პიროვნება**, **მცნება** და **ცნება** და სხვ.

სხვადასხვა სიგრძის პარონიმული წყვილის ცალებში, ჩვეულებისამებრ, ჯერ მოკლე ფორმაა წარმოდგენილი, ხოლო შემდეგ – აფიქსებით გართულებული, მაგ., **გამოძახილი – გამოძახებული**, **ჰუმანური – ჰუმანისტური – ჰუმანიტარული**...

მხოლოდ ბოლოკიდური ხმოვნით განსხვავებულ პარონიმულ წყვილში (მაგ., **ათენა – ათენი**...) პირველ ადგილზე წარმოდგენილია ხმოვანფუძიანი სახელი (სახელობითი ბრუნვის ნიშნის დეფისით გამოყოფა საჭიროდ არ მივიჩნიეთ), ხოლო, თუ -**ა** სუფიქსი მაწარმოებელია, მაშინ წყვილის მეორე კომპონენტად წარმოქმნილი ფორმაა მოცემული (მაგ., ნაღველი – ნაღველ**ა**).

ლექსიკონში შეტანილია აგრეთვე მოძველებული ფორმები, რომლებიც კლასიკოსთა შემოქმედებაში დასტურდება.

სალიტერატურო ქართული ენის განვითარებისა და სხვა ენებთან ურთიერთობის პროცესში ბგერობრივად მსგავსი და გაუმართლებლად ურთიერთმონაცვლე ფორმები, ბუნებრივია, კვლავაც დაჩნდება და მათი ასახვაც მომავლის საქმეა.

* * *

ლექსიკონზე მომუშავე ჯგუფი დიდ მადლობას უხდის ლექსიკოლოგიის განყოფილების მთავარ მეცნიერ თანამშრომელს – **ლ. ბინიაშვილს** – ზოგი პარონიმის მოწოდებისა და კვალიფიციური კონსულტაციისათვის.

განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ოპერატორს – **რ. რატიანს** – დაუღალავი, თავდადებული მუშაობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის.

ყველა საქმიან შენიშვნასა და სურვილს მადლიერებით მივიღებთ.

თამარ ვაშაკიძე

პირობითი ნიშნები

– : ტირეთი გამიჯნულია პარონიმები, მაგ.: **მცნება – ცნება**; **ცივილიზებული – ცივილური**...

[და არა...]: სწორი ფორმის მომდევნო უმართებულო ვარიანტი, მაგ: **გადაუხდის** [და არა მოუხდის] (მადლობას), მაგრამ: **მოუხდის** (ზოდიშს).

/ : წილადის ხაზით გამიჯნულია სიტყვათშეხამებათა ცვლადი წევრები, მაგ.: **ორგანიზატორული** (ნიჭი / უნარი) **– ორგანიზაციული** (მუშაობა / საკითხები).

(// ...): დასაშვები ფორმები, მაგ., **მუმია – მუმიო** (// **მუმიე**).

[// ...]: გაქრობის გზაზე მდგომი ფორმები, მაგ., **სიმპტომური** [// **სიმპტომატური**] **– სიმპტომატიკური**.

< : ეს ნიშანი მიუთითებს ფორმის წარმომავლობას (მაგ., **მეთქი** < **მე ვთქვი**).

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

ანატ. – ანატომია, ანატომიური
არქიტ. – არქიტექტურა, არქიტექტურული
ბიოლ. – ბიოლოგია, ბიოლოგიური
ბოტან. – ბოტანიკა, ბოტანიკური
გადატ. – გადატანითი მნიშვნელობით (ხატოვნად)
გეოლ. – გეოლოგია, გეოლოგიური
გეომ. – გეომეტრია, გეომეტრიული
გერმ. – გერმანული
გრამატ. – გრამატიკა, გრამატიკული
და ა. შ. – და ასე შემდეგ
და მისთ. – და მისთანანი
და სხვ. – და სხვა
დიპლ. – დიპლომატია, დიპლომატიური
ეკლ. – ეკლესია, საეკლესიო
ეკონ. – ეკონომიკა, ეკონომიკური
ე. წ. – ეგრეთ წოდებული
ზოოლ. – ზოოლოგია, ზოოლოგიური
თარგმ. – თარგმანი
თეატრ. – თეატრისა, თეატრალური
ირონ. – ირონიული
ისტ. – ისტორია, ისტორიული
იხ. – იხილე
კუთხ. – კუთხური
ლინგვ. – ლინგვისტიკა, ლინგვისტიკური
ლიტ. – ლიტერატურა, ლიტერატურული
მაგ. – მაგალითად
მათემ. – მათემატიკა, მათემატიკური
მედიც. – მედიცინა, სამედიცინო
მითოლ. – მითოლოგია, მითოლოგიური

მინერ. – მინერალოგია, მინერალოგიური
მნიშვ. – მნიშვნელობა
მოძვ. – მოძველებული
მრ. – მრავლობითი რიცხვი
მუს. – მუსიკა, მუსიკალური
ნუმიზმ. – ნუმიზმატიკა
ოფიც. – ოფიციალური
პოლიტ. – პოლიტიკა, პოლიტიკური
რუს. – რუსული
სამართ. – სამართალი, სამართალმცოდნეობა
სამხ. – სამხედრო
საპირისპ. – საპირისპირო
საუბ. – საუბრული, სასაუბრო
სპეც. – სპეციალური
სპორტ. – სპორტი, სპორტული
სტილისტ. – სტილისტიკა, სტილისტიკური
ტექ. – ტექნიკური
ფარმაკ. – ფარმაკოლოგია, ფარმაკოლოგიური
ფიზ. – ფიზიკა, ფიზიკური
ფიზიოლ. – ფიზიოლოგია, ფიზიოლოგიური
ფილოლ. – ფილოლოგია, ფილოლოგიური
ფილოს. – ფილოსოფია, ფილოსოფიური
ფინანს. – ფინანსები, საფინანსო
ფსიქ. – ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიური
ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
ქიმ. – ქიმია, ქიმიური
შდრ. – შეადარე
ძვ. – ძველი
წიგნ. – წიგნისა, წიგნური
ხალხ. – ხალხური
ხელოვნ. – ხელოვნება

ავტორები

ა. აბაშ. – ალექსანდრე აბაშელი
ი. აბაშ. – ირაკლი აბაშიძე
ი. აგლ. – ილია აგლაძე
აკაკი – აკაკი წერეთელი
ჭ. ამირეჯ. – ჭაბუა ამირეჯიბი
შ. არაგვ. – შიო არაგვისპირელი
ლ. არდაზ. – ლავრენტი არდაზიანი
ნ. ბარათ. – ნიკოლოზ ბარათაშვილი
ვ. ბარნ. – ვასილ ბარნოვი
ბაჩ. – ბაჩანა
ა. ბელ. – აკაკი ბელიაშვილი
ხ. ბერულ. – ხუტა ბერულავა
ეკ. გაბ. – ეკატერინე გაბაშვილი
კ. გამს. – კონსტანტინე გამსახურდია
ი. გედევ. – იოსებ გედევანიშვილი
რ. გვეტ. – რაჟდენ გვეტაძე
ი. გოგებ. – იაკობ გოგებაშვილი
ი. გრიშ. – იოსებ გრიშაშვილი
ს. გუგუნ. – სიმონ გუგუნავა
დ. გურამ. – დავით გურამიშვილი
შ. დად. – შალვა დადიანი
ი. დავით. – იოსებ დავითაშვილი
დ. დონდ. – დავით დონდუა
ი. ელეფთ. – ილია ელეფთერიძე
ა. ერ.-ხოშტ. – ანასტასია ერისთავი-ხოშტარია
რ. ერისთ. – რაფიელ ერისთავი
ვაჟა – ვაჟა-ფშაველა
ილია – ილია ჭავჭავაძე
კ. კეკელ. – კორნელი კეკელიძე

დ. კლდ. – დავით კლდიაშვილი
ს. კლდ. – სერგო კლდიაშვილი
გ. ლეონ. – გიორგი ლეონიძე
ნ. ლომ. – ნიკო ლომოური
ჭ. ლომთ. – ჭოლა ლომთათიძე
კ. ლორთქ. – კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნ. ლორთქ. – ნიკო ლორთქიფანიძე
ი. მანსვეტ. – იაკობ მანსვეტაშვილი
ი. მაჩაბ. – ივანე მაჩაბელი
ს. მგალობ. – სოფრომ მგალობლიშვილი
მელან. – მელანია
რ. მიმინ. – რომან მიმინოშვილი
მიხ. მრევლ. – მიხეილ მრევლიშვილი
ე. ნინოშ. – ეგნატე ნინოშვილი
შ. ნიშნ. – შოთა ნიშნიანიძე
თ. რაზიკ. – თედო რაზიკაშვილი
რუსთაველი – შოთა რუსთაველი
საბა – სულხან-საბა ორბელიანი
საიათ. – საიათნოვა
გ. ტაბ. – გალაკტიონ. ტაბიძე
დ. უზნ. – დიმიტრი უზნაძე
უიარ. – უიარაღო
გ. ფანჯ. – გურამ ფანჯიკიძე
ლ. ქიაჩ. – ლეო ქიაჩელი
გ. ქიქ. – გერონტი ქიქოძე
ა. ქუთათ – ალექსანდრე ქუთათელი
ა. ყაზბ. – ალექსანდრე ყაზბეგი
გ. ყიფშ. – გრიგოლ ყიფშიძე
ს. შანშ. – სანდრო შანშიაშვილი
გ. შატბ. – გიორგი შატბერაშვილი
არნ. ჩიქ. – არნოლდ ჩიქობავა
ბ. ჩხ. – ბორის ჩხეიძე
ა. ცაგარ. – ავქსენტი ცაგარელი
გ. წერეთ. – გიორგი წერეთელი
ო. ჭილ. – ოთარ ჭილაძე
ი. ჯავახ. – ივანე ჯავახიშვილი

ქართული ანბანი

ა	ან	ს	სან
ბ	ბან	ტ	ტარ
გ	გან	უ	უნ
დ	დონ	ფ	ფარ
ე	ენ	ქ	ქან
ვ	ვინ	ღ	ღან
ზ	ზენ	ყ	ყარ
თ	თან	შ	შინ
ი	ინ	ჩ	ჩინ
კ	კან	ც	ცან
ლ	ლას	ძ	ძილ
მ	მან	წ	წილ
ნ	ნარ	ჭ	ჭარ
ო	ონ	ხ	ხან
პ	პარ	ჯ	ჯან
ჟ	ჟან	ჰ	ჰაე
რ	რაე		

ა

აბლატივი – აბლაუტი

აბლატივი: გ რ ა მ ა ტ. ბრუნვა ზოგიერთ ენაში (აღნიშნავს დაშორებას); ქართულში მას შეესატყვისება **-გან** თანდებულიანი მოქმედებითი; **აბლაუტი**: გ რ ა მ ა ტ. ხმოვანთმონაცვლეობა სიტყვის ფუძეში (გრ**ე**ხს – გრ**ი**ხა, დრ**ე**კს – დრ**ი**კა...).

აბონემენტი – აბონენტი

აბონემენტი: საბუთი, რომლითაც მის მფლობელს ბიბლიოთეკით სარგებლობის ან თეატრში დასწრების და ა. შ. უფლება ეძლევა; **აბონენტი**: აბონემენტის მქონე პირი, მფლობელი (შდრ., ტელეფონის ქსელის **აბონენტი**).

აბრევიატურა – აბრევიაცია

აბრევიატურა: სხვადასხვა წესით პირობითად შემოკლებული სიტყვა (**გაერო**, **ცესკო**...); **აბრევიაცია**: სხვადასხვა წესით სიტყვის პირობითად შემოკლება (ამ სიტყვის **აბრევიაცია** ვერ მოხერხდა).

აბსოლუტი – აბსოლუტივი

აბსოლუტი: ფ ი ლ ო ს. სამყაროს უსასრულო

პირველმიზეზი, საწყისი; სული; ღმერთი; **აბსოლუტივი**: ს პ ე ც. დამოუკიდებელი, თვითკმარი.

აბსორბენტი – ადსორბენტი

აბსორბენტი: ს პ ე ც. შთამნთქმელი; ნივთიერება, რომელსაც აბსორბციის უნარი აქვს (**აბსორბცია** – შთანთქმა, შეწოვა, შესრუტვა ერთი ნივთიერების (მაგ., სითხის) მიერ მეორე ნივთიერებისა (მაგ., გაზისა); გამოიყენება წარმოებაში); **ადსორბენტი**: ს პ ე ც. სხეული, რომლის ზედაპირზედაც ხდება ადსორბცია (**ადსორბცია** – გაზის ან სითხის შთანთქმა მაგარი (ფოროვანი) ნივთიერებების ზედაპირის მიერ).

აბსორბერი – ადსორბერი

აბსორბერი: ს პ ე ც. აპარატი, რომლის საშუალებითაც ხდება გაზების აბსორბცია; **ადსორბერი**: ს პ ე ც. აპარატი, რომლის საშუალებითაც ხდება ორთქლისა და გაზის (ან გახსნილი ნივთიერებისა და სითხის) ერთმანეთისაგან გამოცალკევება, გამოცლა.

აგეგმვა – დაგეგმვა

აგეგმვა: ადგილმდებარეობის განსაზღვრა რუკის შესადგენად; **დაგეგმვა**: 1. გეგმის შედგენა; 2. წინასწარ შემუშავებულ ღონისძიებათა პროექტის შედგენა (მუშაობის **დაგეგმვა**).

ადაპტაცია – ადოპტაცია

ადაპტაცია: გარემოსთან შეგუება; **ადოპტაცია**: შვილად აყვანა.

ადენომა – ადენოიდი – ადენიტი

ადენომა: მ ე დ ი ც. ჯირკვლოვანი ორგანოების კეთილთვისებიანი სიმსივნე; **ადენოიდი**: მ ე დ ი ც. ლიმფური ჯირკვლების სიმსივნისებური გადიდება ცხვირ-ხახაში; **ადენიტი**: მ ე - დ ი ც. ლიმფური ჯირკვლების ანთება.

ადრესანტი – ადრესატი

ადრესანტი: წერილის გამგზავნი; **ადრესატი**: წერილის მიმღები.

ადრეული – ადრინდელი

ადრეული (ხილი); **ადრინდელი** (ამბავი).

ადსორბენტი – აბსორბენტი (იხ.)

ადსორბერი – აბსორბერი (იხ.)

აეროდრომი – აეროპორტი

აეროდრომი: საგანგებოდ მოწყობილი მოედანი თვითმფრინავების სადგომად და ასაფრენ-დასაფრენად; **აეროპორტი**: საჰაერო პორტი მგზავრების (აგრეთვე ტვირთისა თუ ფოსტის) მისაღებად და გასაგზავნად.

ავალდებულებს – ავალებს – ავალიანებს

ავალდებულებს და **ავალებს** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ვალად ადებს: „პასუხისმგებლობის შეგრძნება მოთმენასა და გაძლებას **გავალდებულებს**“ (ო. ჭილ.); მშობლების ამაგი შვილს ბევრ რამეს **ავალებს**, მ ა გ რ ა მ **ავალდებულებს**: იმას სთხოვს, რაც მას არ ევალება; მორალურ წნეხს ადებს; **ავალებს**: აკისრებს ვინმეს რაიმე (კონკრეტული) საქმის შესრულებას (მასწავლებელი მოსწავლეებს მოთხრობის მოკლე შინაარსის დაწერას **ავალებს**); **ავალიანებს**: ვალში აგდებს (გაზრდილი გადასახადები მოსახლეობას **ავალიანებს**).

ავანტიურული – ავანტიურისტული

ავანტიურული: შემთხვევითი სარისკო (ხიფათიანი) საქმიანობა (ხშირად უპერსპექტივო); **ავანტიურისტული**: ავანტიურისტის შესაფერისი, მისთვის დამახასიათებელი (**ავანტიურისტული** ქმედება).

ავტომატიკა – ავტომატიზმი – ავტომატიზაცია

ავტომატიკა: 1. ტექნიკის დარგი, რომელიც გამოიმუშავებს წარმოების ავტომატიზაციის მეთოდებს; 2. ავტომატურად მოქმედი მექანიზმების, მოწყობილობათა ერთობლიობა; **ავტომატიზმი**: მექანიკური, შეუგნებელი, არაცნობიერი მოქმედება; **ავტომატიზაცია**: 1. ავტომატებით აღჭურვა (წარმოებისა, საწარმოო პროცესისა); 2. ადამიანის

შეგნებული მოქმედების შეცვლა მექანიკური მოქმედებით (მოძრაობათა **ავტომატიზაცია**).

ავტორიტეტიანი – ავტორიტეტული

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: კომპეტენტური (**ავტორიტეტიანი** / **ავტორიტეტული** მეცნიერი), მაგრამ **ავტორიტეტული**: სარწმუნო (**ავტორიტეტული** დასკვნა / სიტყვა).

ათენა – ათენი

ათენა: ბერძნულ მითოლოგიაში – მეცნიერებისა და ხელოვნების ქალღმერთი; **ათენი**: საბერძნეთის დედაქალაქი.

აიდგამს – ამოიდგამს

აიდგამს (ფეხს / ენას), მაგრამ: **ამოიდგამს** (ენას).

აკითხებს – აკითხვინებს

აკითხებს: წააკითხებს; სთხოვს ან ავალებს ვინმეს, წაიკითხოს (ლექსს **აკითხებს**); **აკითხვინებს**: დაავალებს ჰკითხოს (ამბავს **აკითხვინებს**).

აკომპლექსებს – აკომპლექტებს

აკომპლექსებს: რაიმე ფსიქოლოგიურ კომპლექსს უჩენს (მაგ., არასრულფასოვნებისას); **აკომპლექტებს**: რაიმეს კომპლექტს ქმნის (შტატებს **აკომპლექტებენ**).

აკრებინებს – აკრეფინებს

აკრებინებს (ხალხს / რიცხვებს); **აკრეფინებს** (მარცვლებს / ხილს...).

აკუზატივი – კაუზატივი

აკუზატივი: გრამატ. ბრალდებითი ბრუნვა; პირდაპირი დამატების ბრუნვა ზოგ ენაში (მაგ., ინდოევროპულ ენებში: გერმ., რუს.). ქართულს ეს ბრუნვა არა აქვს; შდრ.: **კაუზატივი**: გრამატ. ზმნა, რომლითაც გამოხატულია არა უშუალოდ სუბიექტის, არამედ სხვა პირის (ძირითადად ირიბი ობიექტის) მიერ შესრულებული მოქმედება (მაგ., **აწერინებს** დედა **შვილს** წერილს).

ალეგრო – ალეგრეტო

ალეგრო: 1. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ჩქარი ტემპი; 2. ამ ტემპით შესასრულებელი მუსიკალური ნაწარმოები ან მისი ნაწილი; **ალეგრეტო**: 1. მუსიკალური ნაწარმოების ზომიერად ჩქარი (მაგრამ ალეგროზე უფრო ნელი) ტემპი; 2. ამ ტემპით შესასრულებელი მუსიკალური ნაწარმოები ან მისი ნაწილი.

ალპინიადა – ალპინიზმი

ალპინიადა: ალპინისტების მასობრივი ლაშქრობა მაღალმთიან ადგილებში; **ალპინიზმი**: მთამსვლელობა, სამთო ტურიზმი.

ალტერნატივა – ალტერნაცია

ალტერნატივა: ერთმანეთის საპირისპირო რამდენიმე შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევის აუცილებლობა: „გამოსვლის რეგლამენტი უცერემონიოდ მაყენებს **ალტერნატივის** წინაშე“ (გ. ფანჯ.); **ალტერნაცია**: ლ ი ნ გ ვ. ბგერათა კანონზომიერი მონაცვლეობა ერთი და იმავე სიტყვის ფუძეში.

ალუზია – ილუზია

ალუზია: ლ ი ტ. რიტორიკული ხერხი – გადაკვრით ხსენება რაიმე ცნობილი ისტორიული ამბის ან ლიტერატურული ნაწარმოებისა; შ დ რ.: **ილუზია**: 1. გრძნობათა მცდარობის გამო სინამდვილის დამახინჯებულად (არაზუსტად, მცდარად) აღქმა; 2. განუხორციელებელი იმედი, ოცნება.

ამდენი – ამოდენა

ამდენი (რაოდენობა: **ამდენი** ბავშვი / ყვავილი...); **ამოდენა** (ზომა: **ამოდენა** ბიჭი / ბურთი...).

ამთელებს – ამრთელებს

ამთელებს: მთელს ხდის; **ამრთელებს**: კურნავს, არჩენს.

ამიტომ, ამის გამო – ამისათვის

ამიტომ, **ამის გამო** (მიზეზი: ლუკამ გვიან გაიღვიძა, **ამიტომ** / **ამის გამო** სკოლაში დააგვიანდა); **ამისათვის** (მიზანი: გამოცდები რომ უკეთ ჩააბარო, **ამისათვის** მეტი შრომაა საჭირო).

ამოიდგამს – აიდგამს (ი ხ.)

ამოსავალი – ამოსასვლელი

ამოსავალი: საწყისი, დასაწყისი, საყრდენი (**ამოსავალი** დებულება); **ამოსასვლელი** [დ ა ა რ ა ამოსავალი]: სადაც, საიდანაც უნდა ამოვიდნენ ან ამოდიან: „მახარემ დაინახა მდელოსკენ **ამოსასვლელი** ბილიკი“ (შ. არაგვ.).

ამპლუა – ამპულა

ამპლუა: შესაფერისი როლი, საქმიანობა; შ დ რ.: **ამპულა**: წამლის პატარა ჭურჭელი.

ამტყდარი – ატეხილი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ერთბაშად გაჩენილი, აღძრული, წამოჭრილი: „ყოველი ომი მაშინ არის გასამართლებელი, როცა ქვეყნის დასაცავად არის **ამტყდარი**“ (გ. წერეთ.), „რომთან **ატეხილ** ბრძოლაში ტიგრანმა მითრიდატეს წინდაუხედავად დახმარებაზე უარი უთხრა“ (ი. ჯავახ.); მ ა გ რ ა მ **ატეხილს** სხვა მნიშვნელობებიც აქვს: 1. ხშირი, აყრილი (ითქმის მცენარეებზე): „და შეუპოვრად მოუთამაშებს გარემო თვისსა **ატეხილ** ჭალებს“ (ნ. ბარათ.); 2. გ ა დ ა ტ. ვინც ატყდა; ვინც არავის და არაფერს ერიდება: „სამგლე გოჭივით **ატეხილი**, ხარბი და აბეზარი კაცი არავის და არაფერს ყურადღებას

აღარ აქცევდა“ (ნ. ლომ.); 3. რაც ატყდა (ითქმის საქონელზე); 4. რაც აატეხეს (**ატეხილი** ქვა).

ამშვენებს – ამშვენიერებს

ამშვენებს, **ამშვენიერებს**: ალამაზებს, ლაზათს მატებს: „მაშინაც ვინ თქვას, ვინ ვის **ამშვენებს**, მადლი ამ სახეს, თუ სახე – მადლსა?!“ (ილია); გოგონა ყოველდღე ახალ-ახალ ყვავილებს რგავდა და ბაღს **ამშვენიერებდა**, მაგრამ **ამშვენებს**: უხდება (ნინოს ახალი კაბა **ამშვენებს**).

ამჩნევს – აჩნევს – აჩენს

ამჩნევს: ხედავს, შენიშნავს (გზას **ამჩნევს**); **აჩნევს**: დაატყობს კვალს, დაღს, ნაფეხურებს; **აჩენს**: 1. ბადებს (შვილს **აჩენს**); 2. წარმოშობს: „ბოროტნი კაცნი... სამდურავსა და შუღლს **აჩენენ**“ (ილია); 3. ხილულს ხდის რაიმეს: „ქონებას მალავენ, არ **აჩენენ**“ (ილია).

ამცნობს, აცნობებს – აცნობს

ამცნობს, **აცნობებს**: აგებინებს, ატყობინებს: „კაჭკაჭმა შორიდანვე **ამცნო** თავისი მოსვლა ხმაურობით“ (ვაჟა); დადგენილების შესახებ თავმჯდომარე **აცნობებს** გიორგის; **აცნობს**: 1. უცნობ ვინმეს ნაცნობად ხდის (გიორგი თავის მეგობარს დედას **აცნობს**); 2. უცნობ ვითარებაში გაარკვევს ვინმეს (სკოლის ახალ დირექტორს კლასის ხელმძღვანელი მოსწავლეთა წარმატებას **აცნობს**).

ამხელს – ამხილებს

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – სააშკარაოზე გამოჰყავს (ან გამოაქვს) და კიცხავს ვინმეს რაიმე ურიგობისათვის: „უზნეო მოქმედება საქვეყნოდ **ამხილეს**“ (ილია); „რადგანაც **ამხილებდა** იმ დროების ბოროტსა, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს“ (ილია), მაგრამ **ამხელს** ზმნას სხვა მნიშვნელობებიც აქვს: 1. ავლენს, ამჟღავნებს: „თქვენივე სახე **ამხელს** თქვენს საიდუმლოს“ (ი. მაჩაბ. თარგმ.); 2. გააცხადებს, ამბობს: „არც გვარს **ამხელენ**, არც სახელს“ (აკაკი); „არავისთან არ **ამხელდა** და არც განმარტავდა ამ ამბავს“ (ვაჟა).

ანაბარა – ანაბარი

ანაბარა: ამარა; ვინმეს ან რაიმეს შემყურედ, მოიმედედ ყოფნა: „სანდროს ოჯახი პატარა ძმის **ანაბარა** დარჩა“ (ი. გედევ.); შდრ.: **ღვთის** / **ბედის** / **ცის ანაბარა**; **ანაბარი**: 1. მიბარებული რამ („**ანაბარი** მგელმაც იცისო“); 2. ბანკში შეტანილი ფული.

ანალიზური – ანალიტიკური

ანალიზური (მეთოდი); **ანალიტიკური** (გეომეტრია).

ანალოგი – ანალოგია

ანალოგი: ის, რაც იძლევა ანალოგიის, მსგავსების საფუძველს; **ანალოგია**: მსგავსება არაიგივეობრივ საგნებს, მოვლენებსა და ცნებებს შორის.

ანგარიშგება — ანგარიშსწორება

ანგარიშგება: 1. სპეც. წარმოება-დაწესებულების მუშაობის შესახებ ანგარიშის წარმოება დადგენილი ფორმის მიხედვით; 2. ვინმესთვის ანგარიშის ჩაბარება; **ანგარიშსწორება**: 1. ურთიერთშორის ანგარიშის განაღდება, მოწესრიგება (შდრ.: **უნაღდო ანგარიშსწორება**: ანგარიშსწორება ნაღდი ფულის გარეშე, გადარიცხვით); 2. ანგარიშის გასწორება, შურისძიება, სამაგიეროს გადახდა (პირადი **ანგარიშსწორება**).

ანგიოგრაფია — ანგიოლოგია

ანგიოგრაფია: მედიც. სხვადასხვა ორგანოს სისხლძარღვთა გამოკვლევის რენტგენოლოგიური მეთოდი; **ანგიოლოგია**: ანატომიის ნაწილი, რომელიც სწავლობს სისხლძარღვებსა და ლიმფურ სისტემებს.

ანგლოფილი — ანგლოფობი

ანგლოფილი: ინგლისისა და ყოველივე ინგლისურის მოყვარული; **ანგლოფობი**: ინგლისისა და ყოველივე ინგლისურის მოძულე.

ანდანტე — ანდანტინო

ანდანტე: მუს. 1. ნელა, დინჯად, ზომიერად (მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ტემპი); 2. ასეთი ტემპით შესრულებული მუსიკალური პიესა ან მისი ნაწილი; **ანდანტინო**: მუს. 1. ანდანტეზე ცოტა უფრო ჩქარა; 2. ასეთი ტემპით შესრულებული მუსიკალური პიესა ან მისი ნაწილი.

ანდროფილია — ანდროფობია

ანდროფილია: მამაკაცების სიყვარული; **ანდროფობია**: მამაკაცების სიძულვილი.

ანემოგრაფი — ანემომეტრი

ანემოგრაფი: ხელსაწყო, რომელიც ავტომატურად იწერს ქარის სისწრაფესა და მიმართულებას; **ანემომეტრი**: მეტეოროლოგიური ხელსაწყო, რომლითაც ზომავენ ქარის სისწრაფეს.

ანთრაკნოზი — ანთრაკოზი

ანთრაკნოზი: მცენარეთა ერთგვარი ავადმყოფობა (ვაზის, პარკოსანთა, გოგრისებრთა...); **ანთრაკოზი**: ადამიანის ავადმყოფობა, რომელსაც იწვევს ნახშირის მტვრის დაგროვება ფილტვებში.

ანთრაცენი — ანთრაციტი

ანთრაცენი: ორგანული ნაერთი, ნახშირწყალბადი; **ანთრაციტი**: საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი, შავი ფერისა (დონბასის **ანთრაციტი**).

ანიმალიზმი — ანიმაცია — ანიმიზმი

ანიმალიზმი: სახვითი ხელოვნების დარგი, რომელიც უმთავრესად ცხოველებს ასახავს; **ანიმაცია**: კინოხელოვნება, რომელიც დამყარებულია ნახატებისა თუ თოჯინების გაცოცხლებაამოძრავებაზე (**ანიმაციური** ფილმები); **ანიმიზ-**

მი: პირველყოფილი აზროვნების საფეხური, როდესაც ადამიანს სწამდა, რომ ყოველ საგანს თავისი სული ჰქონდა და მას შეეძლო გავლენა მოეხდინა ადამიანის ცხოვრებაზე.

ანონსი — ანონსირება

ანონსი: წინასწარი განცხადება; **ანონსირება**: ანონსის გამოქვეყნება.

ანოტაცია — ანოტირება

ანოტაცია: წიგნის, სტატიის და მისთ. შინაარსის მოკლედ გადმოცემა (ზოგჯერ შეფასების დართვით); **ანოტირება**: ანოტაციის შედგენა.

ანტარქტიდა — ანტარქტიკა

ანტარქტიდა: დედამიწის სამხრეთ პოლუსის ირგვლივ მდებარე კონტინენტი; **ანტარქტიკა**: სამხრეთ-პოლარული მხარე, რომელიც ანტარქტიდასთან ერთად მოიცავს ატლანტის, ინდოეთისა და წყნარ ოკეანეთა სამხრეთ ნაწილს ზოგიერთი ზღვითა და კუნძულით.

ანტითეზა — ანტითეზისი

ანტითეზა: ლიტერატურული ხერხი, რომელიც მდგომარეობს საწინააღმდეგო ცნებათა ან დებულებათა შეპირისპირებაში; **ანტითეზისი**: ამოსავალი თეზისის (დებულების) საწინააღმდეგო დებულება.

ანტიკვარი — ანტიკვარიატი

ანტიკვარი: ძველებური იშვიათი ნივთებით მოვაჭრე ან ამგვარი ნივთების შემგროვებელი; **ანტიკვარიატი**: 1. ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობა; 2. ასეთი ნივთების ერთობლიობა.

ანჰიდრიდი — ანჰიდრიტი

ანჰიდრიდი: ჟანგბადიანი ნაერთი, რომელიც წყალთან შეერთებით იძლევა მჟავას; **ანჰიდრიტი**: თეთრი ფერის მინერალი (კალციუმის სულფატი); წყალთან მისი შეერთებით მიიღება თაბაშირი.

აპარატი — აპარატურა

აპარატი: 1. ხელსაწყო; 2. მმართველობითი დაწესებულებების ერთობლიობა; 3. გარკვეული ფიზიოლოგიური ფუნქციის მქონე ორგანოთა ერთობლიობა; 4. მეცნიერულ გამოცემაში ტექსტის განსამარტავი შენიშვნები, საძიებლები, ცხრილები და მისთ.; **აპარატურა**: ხელსაწყოთა ერთობლიობა.

აპატიებს — აპატივებს

აპატიებს: ჩადენილი დანაშაულისათვის (ცოდვისათვის) არ დასჯის; მიუტევებს, შეუნდობს; **აპატივებს**: პატივს, სასუქს აყრის, ანოყივრებს, აპოხიერებს მიწას.

აპენდიქსი – აპენდიციტი

აპენდიქსი: ბრმა ნაწლავის დანამატი, ჭიაყელა ნაწლავი; **აპენდიციტი**: აპენდიქსის ანთება.

აპლიკატურა – აპლიკაცია

აპლიკატურა: თითების განლაგება მუსიკალურ საკრავზე მელოდიის შესრულებისას; მისი აღნიშვნა ნოტებზე; **აპლიკაცია**: ნახატის, ორნამენტის შექმნა სხვადასხვა ფერის ქაღალდის ან ქსოვილის ნაჭრების დაწებებით (დაკერებით).

აპოლოგი – აპოლოგეტი

აპოლოგი: მცირე ზომის ნაწარმოები იგავ-არაკის ტიპისა; **აპოლოგეტი**: ადამიანი, რომელიც ვინმეს ან რაიმეს აპოლოგიით გამოდის; დამცველი, მომხრე (ქრისტიანობის **აპოლოგეტი**).

აპოსტროფა – აპოსტროფი

აპოსტროფა: ორატორული ხერხი – მიმართვა უსულო საგნისადმი ისე, როგორც სულიერის მიმართ, ანდა არმყოფისადმი – როგორც დამსწრის მიმართ; **აპოსტროფი**: მძიმის მსგავსი სტრიქონზედა ნიშანი, რომელიც ისმება, ჩვეულებრივ, გამოტოვებული ასოს ადგილას.

არაკანონიერი – არაკანონზომიერი

არაკანონიერი: კანონის საწინააღმდეგო; უკანონო; **არაკანონზომიერი**: რაც კანონზომიერი არ არის (ი ხ. **კანონზომიერი**).

არალეგალური – არალეგირებული

არალეგალური: კანონით ნებადაურთველი, არაკანონიერი, ფარული, იატაკქვეშა (**არალეგალური** მუშაობა / ლიტერატურა); **არალეგირებული**: შეუდუღებელი (**ლეგირება** – შედუღება).

არარეალური – არარეალისტური

არარეალური: რაც რეალური არ არის; სინამდვილესთან შეუფერებელი; **არარეალისტური**: რაც რეალისტური არ არის (იხ. **რეალისტური**).

არასისტემური – არასისტემატური

არასისტემური (კვლევა / ანალიზი); **არასისტემატური** (ვარჯიში...).

არბიტრი – არბიტრაჟი

არბიტრი: 1. შუაკაცი მოდავე მხარეთა შორის; მედიატორე; 2. სპორტ. მთავარი მსაჯი; **არბიტრაჟი**: სადავო საკითხების გადაწყვეტა არბიტრების საშუალებით; სამედიატორო სასამართლო.

არე – არეალი

არე: 1. მხარე, მიდამო, არემარე; გარკვეული ადგილი, განსაზღვრული სივრცე, რომელზედაც ვრცელდება რაიმეს მოქმედება (თვალთახედვის **არე**); 2. კიდე (ფურცლის **არე**); **არეალი**: დედამიწის ზედაპირის ის ტერიტორია, სადაც გავრ-

ცელებულია (მოიპოვება) ამა თუ იმ მცენარის, ცხოველის ან ფრინველის გარკვეული სახეობა (ვაზის... გავრცელების **არეალი**).

ართრიტი – ართროზი

ართრიტი: მ ე დ ი ც. სახსრების ანთებითი დაავადება; **ართროზი**: მ ე დ ი ც. სახსრების ქრონიკული დაავადება, გამოწვეული ნივთიერებათა ცვლის დარღვევით.

არისტოკრატიული – არისტოკრატული

არისტოკრატიული (მმართველობა); **არისტოკრატული** (მანერები / იერი...).

არღანი – ორგანი

არღანი: მექანიკური სამუსიკო საკრავი; წარმოადგენს დიდ ყუთს, რომელსაც მხარზე ღვედით იკიდებენ; უკრავენ ტარის ტრიალით; შ დ რ.: **ორგანი** (ძ ვ. **ორღანი**): კლავიშებიანი სასულე მუსიკალური საკრავი (ჩვეულებრივ, გამოიყენება კათოლიკურ ეკლესიაში).

ასაკოვანი – ასაკობრივი

ასაკოვანი (ადამიანი); **ასაკობრივი** (დაავადებები / ცენზი).

ასვამს – ასმევს

ასვამს (დაღს); **ასმევს** (წყალს).

ასიგნაცია – ასიგნება

ასიგნაცია: მ ო ძ ვ. ქაღალდის ფული; **ასიგნება**: ს პ ე ც. გარკვეული თანხის გამოყოფა რაიმე მიზნისათვის; მიზნობრივი დაფინანსება.

ასორტი – ასორტიმენტი

ასორტი: რაიმეს საგანგებოდ შერჩეული ნაკრები (შოკოლადის / ხილის... **ასორტი**); **ასორტიმენტი**: სხვადასხვა სახეობისა და ხარისხის საქონელი.

ასოციაცია – ასოციირება

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ფ ს ი ქ. ისეთი კავშირი წარმოდგენათა შორის, როდესაც ერთს მეორის გამოწვევა შეუძლია; მიმსგავსება, დაკავშირება, მ ა გ რ ა მ **ასოციაციას** სხვა მნიშვნელობაც აქვს: ორგანიზაციების ან ადამიანების ნებაყოფლობითი კავშირი, გაერთიანება, ამხანაგობა (ადვოკატთა... **ასოციაცია**).

ასპარეზი – ასპარეზობა

ასპარეზი: 1. ძ ვ. სპორტული შეჯიბრების არენა; 2. გ ა დ ა ტ. მოქმედების, მოღვაწეობის არე, სარბიელი (ლიტერატურული / საზოგადოებრივი... **ასპარეზი**); **ასპარეზობა**: სპორტული ან სამხედრო შეჯიბრება, ვარჯიში.

ასტროლოგი – ასტრონომი

ასტროლოგი: ასტროლოგიის მიმდევარი,

ვარსკვლავთმისანი; **ასტრონომი**: ასტრონომიის სპეციალისტი.

ასტროლოგია – ასტრონომია

ასტროლოგია: ვარსკვლავთმისნობა; **ასტრონომია**: მეცნიერება მნათობთა (ციურ სხეულთა) აგებულების, ფიზიკური ბუნებისა და მოძრაობის კანონების შესახებ.

ატარაქსია – ატაქსია

ატარაქსია: სულიერი სიმშვიდე; **ატაქსია**: მედიც. ნებისმიერ მოძრაობათა შეთანხმებულობის დარღვევა ნერვული სისტემის ზოგი დაავადების დროს.

ატეხილი – ამტყდარი (ი ხ.)

ატრიბუტი – ატრიბუტივი – ატრიბუტიკა

ატრიბუტი: 1. ფ ი ლ ო ს. თვისება, რომელშიც საგნის ან მოვლენის არსი ვლინდება (სუბსტანცია და **ატრიბუტი**); 2. რაიმეს დამახასიათებელი ნიშანი: „ბევრი ლექსის აუცილებელ **ატრიბუტად** იქცა: „მარტოობა“, „ტანჯვა“... (რ. მიმინ.); **ატრიბუტივი**: ს პ ე ც. თვისების აღმნიშვნელი, განმსაზღვრელი სიტყვა (ზედსართავი სახელი); **ატრიბუტიკა**: 1. დამახასიათებელ ნიშანთა ერთობლიობა; 2. რაიმე აუცილებელი თანმხლები იარაღი, მოწყობილობა, ჩაცმულობა: „რესპუბლიკების გუნდებს უფლება ეძლევათ საკუთარი **ატ-**

რიბუტიკითაც გამოვიდნენ ბარსელონაში“ (ქეგლ).

აუცილებელი – უცილობელი

აუცილებელი: საჭირო (**აუცილებელი** საგნები); **უცილობელი**: გარდაუვალი (**უცილობელი** გამარჯვება).

აფექტი – ეფექტი

აფექტი: ფ ს ი ქ. ხანმოკლე და ძლიერი ემოცია, რომელიც სავსებით იპყრობს ადამიანს და შეიძლება ჩაადენინოს მისთვის უჩვეულო საქციელი; **ეფექტი**: 1. ძლიერი შთაბეჭდილება, ზემოქმედება: „მოტანილმა ცოცხალმა მურწამ ისეთი **ეფექტი** მოახდინა მასპინძელზე, რომ კინაღამ ღვინოში ჩაგვახრჩო“ (ეკ. გაბ.); 2. რაიმეს გავლენა; შედეგი ამ გავლენისა (ამ ტიპის მკურნალობა **ეფექტს** იძლევა); 3. რაც ქმნის, ახდენს შთაბეჭდილებას: „ვისაც წინანდელი დროის წარმოდგენები უნახავს, უორკესტროდ, მარტივი განათების **ეფექტებით**, დამეთანხმება, რომ დღეს ქართულ თეატრს უფლება არა აქვს თავის ბედს შესჩიოდეს“ (გ. ქიქ.).

აქაფებული – აქაფქაფებული

აქაფებული: ქაფმოდებული, ქაფიანი (**აქაფებული** რძე / ტალღები); შ დ რ.: **აქაფქაფებული**: ქაფქაფით მდუღარე, ქაფქაფა: „მალე სოლომაც ამოარბენინა **აქაფქაფებული** სამოვარი“ (ა. ერ.-ხოშტ.).

აქტიური – აქტუალური

აქტიური: ენერგიული; მუდმივად რაიმე საქმიანობაში ჩართული (**აქტიური** მასწავლებელი / მოსწავლე); **აქტუალური**: არსებითი მნიშვნელობის მქონე (დროის გარკვეულ მონაკვეთში), საამდროულო (**აქტუალური** ამოცანები / თემა).

აღმატებითი – აღმატებული

აღმატებითი: გ რ ა მ ა ტ. **აღმატებითი სარისხი** – ზედსართავის ფორმა, რომელიც აღნიშნავს რაიმე თვისების ყველაზე მაღალ დონეს; **აღმატებული**: 1. ამაღლებული (ზნეობით **აღმატებული**); 2. გ ა დ ა ტ. წარჩინებული, აღზევებული (**აღმატებული** პირი; სხვებზე **აღმატებული**).

აღთქმა – აღქმა

აღთქმა: დაპირება, პირობის დადება; **აღქმა**: გაგების, გაცნობიერების უნარი.

აღთქმული – აღქმული

აღთქმული: რაც აღუთქვეს; დაპირებული, დანაპირები (**აღთქმული** ქვეყანა); **აღქმული**: რაც აღიქვეს (**აღქმული** სინამდვილე).

აშენება – გაშენება

აშენება (სახლისა...); **გაშენება** (ბაღისა...).

აჩენს – აჩნევს – ამჩნევს (იხ.)

აცდევინებს – აცდენინებს

აცდევინებს: ალოდინებს; **აცდენინებს**: აიძულებს გააცდინოს (მაგ., გაკვეთილი).

აცვამს – აცმევს

აცვამს (ჯვარს); **აცმევს** (კაბას).

აციებს – აცივებს

აციებს: ციებ-ცხელება სჭირს, ციების შეტევა აქვს (ავადმყოფს **აციებს**); **აცივებს**: აგრილებს (**აცივებს** ღვინოს / წყალს).

აცნობს – აცნობებს, ამცნობს (იხ.)

აწვდენს – აწვდის, აწოდებს

აწვდენს (ხმას / სიტყვას / თვალს; შ დ რ.: **აწვდენს** ხელს თარომდე); **აწვდის**, **აწოდებს** (ბურთს / ინფორმაციას...).

აწყენს – აწყენინებს

აწყენს: ავნებს, ზიანს მიაყენებს (ვინმეს ჯანმრთელობას): „მეშინია, თევზმა არ **მაწყინოს**“ (აკაკი); შ დ რ.: **თავს აწყენს** (= თავს აბეზრებს); **აწყენინებს**: არასასიამოვნო რაიმეს შეახვედრებს ან ეტყვის (ვინმეს): „ვინც შენ **გაწყენინებს**, მე **მაწყენინებს**!“ (ა. ყაზბ.).

აჭდევს – აჭდობს

აჭდევს: ჭდეს უკეთებს, ამოკვეთს, აჩნევს (რაიმეზე); **აჭდობს**: 1. ორ საგანს ერთმანეთში მჭიდროდ სვამს, ამაგრებს (ფიცრებს ფიცრებზე **აჭდობს**); 2. ხელებს, თითებს... მჭიდროდ გადაადებს ერთმანეთზე (მკლავებს ერთმანეთზე **აჭდობენ**).

ახალწვეული – წვევამდელი

ახალწვეული: ვინც ახლად გაიწვიეს ჯარში; **წვევამდელი**: ვისაც ჯარში გაწვევის დრო მოუვიდა.

ახლობელი – მახლობელი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ნათესაური ან მეგობრული ურთიერთობით დაკავშირებული; მოკეთე, მოყვარე: „მაშინ აღარ დაზოგავდა, გინდ შორეული ყოფილიყო და გინდ – **ახლობელი**“ (აკაკი); „სახლში მხოლოდ **მახლობლები** დარჩნენ“ (ეკ. გაბ.), მ ა გ რ ა მ **მახლობელს** სხვა მნიშვნელობაც აქვს: ტერიტორიულად ახლოს მყოფი: „პალიასტომის ტბის **მახლობელ** ტყეებში გაისმოდა ცულების ხათქახუთქი“ (ე. ნინოშ.).

ახურებს – ახურვებს

ახურებს: 1. ძლიერ აცხელებს (**ახურებს** თონეს / ღუმელს...); 2. გ ა დ ა ტ. აღაგზნებს: „გულს სიწმინდით **ახურებდეს**“ (აკაკი); შ დ რ.: **ცხენს ახურებს**: ცხენს სარბენად ამზადებს, ავარჯიშებს; **ახურვებს**: ხურვება (ციებ-ცხელება) სჭირს.

ბ

ბადე – ბადურა – ბადია

ბადე და **ბადურა** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: პროდუქტების, წვრილმანი ნივთების სატარებელი ჩანთა, მ ა გ რ ა მ მათ განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვთ – **ბადე**: 1. ძაფის (თოკის, მავთულის...) გამოყენებით ფარჩხატად ნაქსოვი სხვადასხვა დანიშნულებისათვის (ფანჯრის **ბადე**; ბურთი **ბადეში** გაეხვია); 2. თევზის საჭერი მოწყობილობა (ბადედ ნაქსოვი); 3. სპეციალური უჯრედებიანი ნახაზი დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის ასოებისა და ციფრების გამოსაყვანად; **ბადურა**: ბადისებურად ნაქსოვი რამ (**ბადურა** პერანგი / წამოსასხამი); **ბადია**: 1. ქუსლიანი დიდი ჯამი, უპირატესად ლითონისა; შ დ რ.: **ერთი ბადია** (= რაც ბადიაში ჩაეტევა); 2. ს პ ე ც. ამწეზე დაკიდებული ლითონის დიდი ჭურჭელი მშენებლობაზე ბეტონის, აგურისა და მისთ. გადასატან-გადმოსატანად.

ბაზა – ბაზისი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – საფუძველი, რაიმეს საყრდენი: თანამედროვე ტექნიკის **ბაზა**; მატერიალურ-ტექნიკური... **ბაზა**; სვეტის **ბაზისი** (შ დ რ.: **საარტიკულა-**

ციო ბაზისი – ლ ი ნ გ ვ. მეტყველების ორგანოთა წყობა ბგერის წარმოქმნისას), მ ა გ რ ა მ **ბაზას** განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვს: 1. თავმოსაყრელი ან დასაყრდენი პუნქტი რაიმე მოქმედებისათვის (სამხედრო / მონაცემთა / ტურისტულ-საექსკურსიო **ბაზა**); 2. მთავარი საწყობი.

ბალახიანი – ბალახოვანი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ბალახით დაფარული: „საქონელი **ბალახიანს** და ტყიანს ადგილს მივუმარჯვეთ“ (ვაჟა); „აურჩევია ნავთსაყუდარად ტყე უღრანი და **ბალახოვანი**“ (გ. ლეონ.), მ ა გ რ ა მ **ბალახოვანი**: ს პ ე ც. ბალახის გვარისა, ბალახის თვისების მქონე (**ბალახოვანი** მცენარეები).

ბანკნოტი – ბანკროტი

ბანკნოტი: საბანკო ბილეთი (ნიშანი), რომელიც ცენტრალური (საემისიო) ბანკების მიერაა მიმოქცევაში გამოშვებული და გატარებული; **ბანკროტი**: გაკოტრებული პირი; ვალის გადახდის უნარმოკლებული.

ბარჯგი – ბარჯი

ბარჯგი: ბუჩქის ან ხის განზე გაშლილი ხშირი ტოტები; **ბარჯი**: 1. ორკაპიანი ჯოხი, ბოძკინტი; 2. რკინის კავიანი ჯოხი (იხმარება თევზის საჭერად); 3. სატყორცნი იარაღი, რომლითაც ვეშაპებსა და დიდ თევზებზე ნადირობენ.

ბაქტერიოზი – ბაქტერიოლიზი

ბაქტერიოზი: ს პ ე ც. მცენარეთა დაავადება, რომელსაც ბაქტერიები იწვევენ; **ბაქტერიოლიზი**: მ ე დ ი ც. ბაქტერიების გახსნა, დაშლა იმუნურ ორგანიზმში.

ბაღდადი – ბაღდათი

ბაღდადი: ერაყის დედაქალაქი; **ბაღდათი**: ქალაქი და რაიონული ცენტრი დასავლეთ საქართველოში.

ბალნარი – მალნარი

ბალნარი: ადგილი, სადაც ბევრი ბაღია; აყვავებული ადგილი; **მალნარი**: ხშირი და შამბიანი ტყე მთაში; შ დ რ.: კ უ თ ხ. დასასვენებლად დატოვებული ნაყანევი ადგილი მაღლობზე.

ბებიაობა (ბებიაობს) – ბებიობა (ბებიობს)

ბებიაობა: ბებიაქალის საქმიანობა, მეანობა; **ბებიობა**: 1. ბებიად ყოფნა, ბებიის მოვალეობა; 2. ბებიის (შინაურულად: **ბებიას**) მზრუნველობა; გ ა დ ა ტ. მოსაბეზრებელი მზრუნველობა.

ბზა – ბზე

ბზა: დაბალი ან საშუალო სიმაღლის მარადმწვანე წვრილფოთლებიანი ხე ან ბუჩქი: „ეკლესიას ერთი მხრით ტყე აკრავს, ეზო დაჩრდილულია ნაძვისა, ურთხლისა და **ბზის** ხეებით“ (ე. ნინოშ.); **ბზე**: პურეულის ნამჯის ნალეწი: „ძველი

ბზე ვერცხლიაო და თივა ცეცხლიაო“ (ანდაზა); შ დ რ.: **ბზესავით არის** / **აქვს** – თავზე საყრელად არის / აქვს (ძალიან ბევრი არის / აქვს); **ბზის ფასად**: ჩალის ფასად (ძალიან იაფად); **თავში ბზე უყრია**: ს ა უ ბ. უჭკუოა.

ბიბლიოგრაფია – ბიბლიოლოგია

ბიბლიოგრაფია: 1. მეცნიერული წესით სისტემატიზებული აღნუსხვა და აღწერა წიგნებისა (მათი შინაარსისა და გარეგანი გაფორმების ჩვენებით); 2. ამა თუ იმ საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის საძიებელი; სია; 3. ახლად გამოსული წიგნების შესახებ შედგენილი ანოტაცია, რომელიც იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში; **ბიბლიოლოგია**: 1. მეცნიერება, რომელიც სწავლობს წიგნის ისტორიას, თეორიას და სხვ.; წიგნთმცოდნეობა; 2. ფილოლოგიური დისციპლინა, რომელიც სწავლობს ბიბლიას (შ დ რ.: **ბიბლეისტიკა** – ბიბლიის შემსწავლელი მეცნიერება).

ბილინგვი – ბილინგვა

ბილინგვი: ადამიანი, რომელიც თავისუფლად ფლობს და თანაბრად იყენებს ორ ენას; **ბილინგვა**: ორ ენაზე შედგენილი ტექსტი; ორენოვანი წარწერა (არმაზის **ბილინგვა**).

ბიოტიპი – ბიოტოპი

ბიოტიპი: ინდივიდისთვის დამახასიათებელი, თანდაყოლილი და უცვლელი ბიოლოგიური თავისებურებების ერთობლიობა; **ბიოტოპი**: ცხოველთა და მცენარეთა სამყოფელი გარემოს ის უბანი, სადაც მეტ-ნაკლებად ერთგვარი პირობებია (შ დ რ.: **ბიოცენოზი** – იმ მცენარეთა და ცხოველთა ერთობლიობა, რომლებიც ერთგვარ პირობებში არსებობენ).

ბიუროკრატიული – ბიუროკრატული

ბიუროკრატიული: ბიუროკრატიის შესაფერი, ბიუროკრატიისათვის დამახასიათებელი (**ბიუროკრატია** – მმართველობის სისტემა (გარკვეული სახისა), რომელიც ბიუროკრატიულ ფორმალობაზეა დაფუძნებული; შ დ რ.: **ბიუროკრატიზმი** – საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულება): **ბიუროკრატიული** აპარატი; **ბიუროკრატული**: ბიუროკრატის შესაფერი, ბიუროკრატისთვის დამახასიათებელი; ფორმალური (**ბიუროკრატული** მიდგომა / ჩვევები); შ დ რ.: **ბიუროკრატები** – გ ა დ ა ტ. ბობოლა მოხელეები.

ბლოკადა – ბლოკირება

ბლოკადა: 1. გარემოცვა მტრის ჯარების მიერ; 2. საკომუნიკაციო ან ეკონომიკური იზოლაცია; 3. მ ე დ ი ც. რომელიმე ორგანოს ფუნქციის ხელოვნური გამოთიშვა; **ბლოკირება**: 1. ბლოკადის მოწყობა, დაბლოკვა; 2. ს პ ო რ ტ. მოწინააღმდეგის შეტევის შემაფერხებელი მოქმედება (ხერხი ზოგიერთ გუნდურ თამაშში).

ბოცმანი – ლოცმანი

ბოცმანი: საზღვაო ფლოტში – უმცროსი მეთაური (ზემდეგი); გემბანის რაზმის უშუალო უფროსი; **ლოცმანი**: გარკვეულ უბანზე გემების გატარების სპეციალისტი, რომელმაც კარგად იცის ნაოსნობის ადგილობრივი პირობები.

ბრუნება[1] – ბრუნვა[1]

ბრუნება[1]: 1. ტრიალი (ცომის **ბრუნება**); 2. გონს მოყვანა, მოსულიერება; **ბრუნვა**[1]: რაიმეს ირგვლივ ან თავის ღერძის გარშემო მოძრაობა (დედამიწის **ბრუნვა**); შ დ რ.: **დროის ბრუნვა** – ჟამთა ცვლა.

ბრუნება[2] – ბრუნვა[2]

ბრუნება[2]: გ რ ა მ ა ტ. სახელის ფორმაცვალეგა ბრუნვათა მიხედვით: „ქართულში **ბრუნება** მარტივია, უღვლილება – რთული“ (არნ. ჩიქ.); **ბრუნვა**[2]: გ რ ა მ ა ტ. გრამატიკული კატეგორია, რომლითაც გამოიხატება სახელის ურთიერთობა სახელთან ან ზმნასთან: „მოთხრობითი **ბრუნვის** ქონა ქართველური ენებისათვის ისევე დამახასიათებელია, როგორც ბრალდებითი **ბრუნვის** (აკუზატივის) უქონლობა“ (არნ. ჩიქ.).

ბრძანება – ბრძანებულება

ბრძანება: 1. ხელისუფლების ან უფლებამოსილი პირის განკარგულება (სარდლის **ბრძანება**; **ბრძანება** გასცა); 2. თქმა; ნათქვამი (თავაზიანი

მიმართვისას): „ეს ჭეშმარიტი **ბრძანებაა**!“ (უიარ.); შ დ რ.: **რა ბრძანებაა**! – რას ბრძანებთ, რა სათქმელია; **ბრძანებულება**: ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დადგენილება, რომელსაც კანონის ძალა აქვს (**ბრძანებულება** უნდა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე).

ბუტაფორი – ბუტაფორია

ბუტაფორი: 1. თეატრის თანამშრომელი, რომელსაც აბარია ბუტაფორია; 2. ბუტაფორიული საგნების მკეთებელი: „დაოსტატებულ **ბუტაფორს** ხელოვნური რტოები გააკეთებინეს“ (ს. კლდ.); **ბუტაფორია**: 1. თეატრალური წარმოდგენისათვის საჭირო საგნები (ნამდვილთან მიმსგავსებული); 2. მაღაზიის ვიტრინებში გამოსაფენი ყალბი საგნები ნამდვილი (გასაყიდი) საქონლის ნაცვლად; 3. გ ა დ ა ტ. ილუზიის შემქმნელი რამ; არანამდვილი, ყალბი: „უგულოდ დაწერილი, თუნდაც აზრიანი, ლექსი მისთვის **ბუტაფორია**, ქაღალდის ყვავილია“ (შ. ნიშნ.).

ბუფი – ბუფონი

ბუფი: კომიკური, სახუმარო, სასაცილო (**ოპერა-ბუფი**; შ დ რ.: **ბუფონადა** – მეტისმეტად კომიკური, სახუმარო წარმოდგენა); **ბუფონი**: მსახიობი, რომელიც კომიკურ როლებს ასრულებს ოპერეტებსა და ვოდევილებში; ხუმარა, ტაკიმასხარა.

ბუქსი – ბუქსირი

ბუქსი: ლოკომოტივის ან ვაგონის დეტალი (კოლოფი, რომელშიც მოთავსებულია ღერძის ბოლო საკისარითურთ); **ბუქსირი**: 1. გემი, რომელსაც მიჰყავს მასზე გამობმული სხვა გემი ან ტივი; 2. გამოსაბმელი ბაგირი, რომლითაც რაიმეს მიათრევენ (**ბუქსირით** წამოიყვანეს მანქანა); შდრ.: **ბუქსირზე აიყვანს** – საუბ. ჩამორჩენილს დაეხმარება თავისი გამოცდილებით და მუშაობას გააუმჯობესებინებს.

გ

გააგრძელებს – განაგრძობს

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – დაუბრუნდება შეწყვეტილ საქმეს; განაახლებს (მგზავრმა შეისვენა და ისევ **გააგრძელა** / **განაგრძო** გზა), მაგრამ **გააგრძელებს** ზმნას სხვა მნიშვნელობებიც აქვს: 1. სიგრძეს მოუმატებს (ხაზი **გააგრძელა**); 2. დაწყებულ მოქმედებას შეწყვეტის გარეშე გაახანგრძლივებს: „რაღა ბევრი გავაგრძელო? – საბუთების ჩამოთვლა მეტად **გააგრძელებდა** ისეც გაგრძელებულ საუბარს“ (ილია); პატარა ლუკამ, ვითომ ვერც გაიგონა დედის დაძახება, ისე **გააგრძელა** თამაში.

გაბოლება – გაბოლვა

გაბოლება (სიგარეტისა / ჩიბუხისა); **გაბოლვა** (ოთახისა...).

გაგება – გაგონება

გაგება: რაიმეს მიხვედრა, შეგნება (აზრის **გაგება** გაუჭირდა); **გაგონება**: რაიმე ხმის მოსმენა: „მამის სიტყვების **გაგონებაზე** ჟრუანტელმა თავში დაჰკრა და ფეხებში გაურბინა“ (ვაჟა).

გადადებს – გადასდებს

გადადებს (საქმეს); **გადასდებს** (გრიპს).

გადადის – გადასდის

გადადის (ღობეზე); **გადასდის** (სახეზე ნათელი / თავზე ქონება).

გადათქმა – გარდათქმა

გადათქმა (გადათქვამს): ნათქვამზე უარის თქმა; შეცვლა, უარყოფა: „საიდან მოუვიდა ფიქრად ავტორს ასეთი **გადათქმა** სიტყვისა, ეგრე გადაკეთება?“ (ილია); **გარდათქმა**: ლექსად ქცევა: „ვპოვე და ლექსად **გარდავთქვი**...“ (რუსთაველი).

გადამტეხი – გარდამტეხი

გადამტეხი: ვინც ან რაც გადატეხს (რაიმეს); **გარდამტეხი**: რაიმეს არსებითად შემცვლელი; გარდატეხის მომხდენი (**გარდამტეხი** პერიოდი / მომენტი).

გადანარჩევი – გადანარჩენი

გადანარჩევი: რაც გადაარჩიეს; გადარჩეული (**გადანარჩევი** სიმინდი / ლობიო...); **გადანარჩენი**: მონარჩენი, მოტოვებული, შემონახული (**გადანარჩენი** ჩურჩხელა / ჩირი...).

გადაუხდის – მოუხდის

გადაუხდის [და არა მოუხდის] (მადლობას), მაგრამ: **მოუხდის** (ბოდიშს).

გადაფარული – გადაფარებული

გადაფარული: რაც რაიმეთი გადაფარეს ან გადაიფარა (თოვლით **გადაფარული** მინდორი); **გადაფარებული**: რაც გადააფარეს; ზევიდან გაშლით დაფარებული; გადახურული: „ტანზე ზეწარი ჰქონდა **გადაფარებული**“(ლ. ქიაჩ.).

გადაცდენა – გადაცდომა

გადაცდენა: გადაცილება (ვადის / დროის **გადაცდენა**); შდრ.: **გზიდან გადაცდენა** – სწორი გზიდან აცდენა; **გადაცდომა**: სამართ. სამართლის ნორმის ისეთი დარღვევა, რომელიც იწვევს მცირე სასჯელს; მცირედი დანაშაული.

გადაძვრენა – გადაძრომა

გადაძვრენა: ძვრენით გადაყვანა (ხშირ შემთხვევაში ფარულად): მეზობლის ბაღში ბავშვის **გადაძვრენა** დააპირა; **გადაძრომა**: ძრომით

გადასვლა; გადაცოცება (ხშირ შემთხვევაში ფარულად): ღობეზე **გადაძრომა** მოუწია.

გადაწერს – გადასწერს

გადაწერს (წერილს); **გადასწერს** (ჯვარს).

გაიგებს – გაიგონებს

გაიგებს: 1. გონებით ჩასწვდება რაიმეს; გაიაზრებს, შეიცნობს, შეიგნებს, მიხვდება (ნათქვამის აზრს კარგად **გაიგებს**); 2. შეიტყობს: „ჩემს საქციელს, სამარცხვინოს, ვინ **გაიგებს**, ვინ დამძრახავს“ (აკაკი); **გაიგონებს**: 1. სმენით, ყურით აღიქვამს, მოისმენს: „ენაც მას ამბობს, რაც სმენას სხვისაგან **გაუგონია**“ (აკაკი); 2. დაიჯერებს: „ნეტავი **გამეგონა** შენი სიტყვა“ (თ. რაზიკ.); შდრ.: **ვის გაუგონია**?! – ვის უნახავს?! როგორ შეიძლება?! დაუჯერებელია!

გაკვალვა – გაკვლევა

გაკვალვა: გაწმენდა (თოვლისგან გზის **გაკვალვა**); **გაკვლევა**: გაგნება, პოვნა (ტყეში გზის **გაკვლევა**).

გაკითხვა – განკითხვა – გაკიცხვა, განკიცხვა

გაკითხვა: 1. მოწყალების გაცემა; 2. გაგება, მოკითხვა (ამბისა); **განკითხვა**: 1. გარჩევა, განხილვა; განსჯა, გასამართლება: „ეს საგანი ღირსია განსჯისა და **განკითხვისა**“ (ილია); 2. ეკლ. ვინმეს განსჯა ცოდვების გამო; **გაკიცხვა**, **განკიცხვა**: გაკილვა.

გაკითხული – განკითხული – გაკიცხული, განკიცხული

გაკითხული: 1. მოკითხული: ვინც მოწყალეგა მიიღო; 2. გაგებული (**გაკითხული** ამბავი); **განკითხული**: 1. გასამართლებული; 2. ეკლ. განსჯილი; **გაკიცხული**, **განკიცხული**: გაკილული.

გალვანომეტრი – გალვანოსკოპი

გალვანომეტრი: სუსტი ელექტრული დენის საზომი ხელსაწყო; **გალვანოსკოპი**: უმარტივესი ხელსაწყო წრედში მუდმივი დენის გამოსამჟღავნებლად და მისი მიმართულების გასარკვევად.

გამამთელებელი – გამამრთელებელი

გამამთელებელი: ვინც ან რაც გაამთელებს (რაიმეს), მთელს გახდის; **გამამრთელებელი**: ვინც ან რაც გაამრთელებს (ვინმეს ან რაიმეს); გამაჯანსაღებელი, მომრჩენი.

გამგე – გამგებელი – გამგები

გამგე (კათედრისა / საბავშვო ბაღისა...); **გამგებელი** (ისან-სამგორის რაიონის **გამგებელი**); **გამგები** (ამბისა...).

გამგეობა – გამგებლობა

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია

და ნიშნავს – გამგის მოვალეობა; მმართველობა, მართვა, ხელმძღვანელობა, მაგრამ **გამგეობას** სხვა მნიშვნელობაც აქვს: დაწესებულების ან ორგანიზაციის მმართველი ორგანო.

გამოდევნა – გამოდევნება

გამოდევნა: გამოგდება; გამოყრა; გამოძევება; **გამოდევნება**: 1. გამოკიდება, დადევნება; 2. გადატ. რაიმეთი მეტისმეტად გატაცება, დაინტერესება.

გამოდევნილი – გამოდევნებული

გამოდევნილი: ვინც ან რაც გამოდევნეს; გამოგდებული: „ფული იმიტომ ვასესხე, რომ სამშობლოდან **გამოდევნილი**, გამოძევებული იყო“ (შ. დად.); **გამოდევნებული**: ვინც ან რაც გამოედევნა, გამოეკიდა (კატას **გამოდევნებული** ძაღლი).

გამოიწივნენ – გამოიწიეს

გამოიწივნენ (ბავშვები გვერდით) [და არა გამოიწიეს] (ბავშვებმა გვერდით); **გამოიწიეს** (ბავშვებმა მაგიდა თავისკენ).

გამონაჟონი – გამონაჟური

გამონაჟონი: რამაც გამოჟონა საიდანმე; წვეთ-წვეთად გამოსული (კლდიდან **გამონაჟონი** წყალი); **გამონაჟური**: გამონადენი, გამონაწური: „მტევნების **გამონაჟურსა** მარანში უცდის ქვევრები“ (ვაჟა).

გამოტანა – გამოტანება

გამოტანა (გამოიტანს): 1. შიგნიდან გარეთ (იქიდან აქეთ) მოტანა; წამოღება; 2. გამობმა, გამოსხმა (კვირტის **გამოტანა**); 3. მიღება და გამოცხადება (დადგენილებისა, გადაწყვეტილებისა, განაჩენისა): მსჯავრის **გამოტანა**; შ დ რ.: **ღლის სინათლეზე გამოტანა** – საქვეყნოდ გამოცხადება; გამომჟღავნება; **გამოტანება** (გამოატანს): ვინმეს ხელით გამოგზავნა, გამოყოლება (საჩუქრის **გამოტანება**).

გამოყოლა – გამოყოლება

გამოყოლა (გამოჰყვება; გამოჰყვა): ვინმესთან (რაიმესთან) ერთად გამოსვლა, წამოსვლა; გამოდევნება; გამოცილება (სახლში... **გამოყოლა**); **გამოყოლება** (გამოაყოლებს; გამოაყოლა): თან წამოღება; თანხლება (მეგობრის / საჩუქრის... **გამოყოლება**).

გამოძახილი – გამოძახებული

გამოძახილი: უკუფენილი ხმა, ექო; გამოხმაურება: „ამაო იყო მისი ძახილი: გაღმა ფერდობებიდან მხოლოდ კლდეები გამოხმობით, **გამოძახილით** უპასუხებდნენ“ (ვაჟა); **გამოძახებული**: ვინც გამოიძახეს: „სანდრო ამჟამად ქუთაისშია, სამხედრო კომისართან **გამოძახებული**“ (ა. ქუთათ.).

გამორწყვა – გამოწყვა

გამორწყვა: ჩირქის გამოდენა მუწუკიდან; **გამოწყვა**: რაიმეს ტევადობის აწყვით შემოწმება.

გამტარი – გამტარებელი

გამტარი: ს პ ე ც. ნივთიერება, რომელიც გაუშვებს, გაატარებს, გადასცემს სითბოს, ელექტრობას, ბგერას; **გამტარებელი**: ვინც ან რაც გაატარებს (ვინმეს ან რაიმეს); განმხორციელებელი (რეგისტრაციაში **გამტარებელი**; კანონის **გამტარებელი**); შ დ რ.: **დროის გამტარებელი** (= მომლხენი).

გამყივანი – გამყინავი

გამყივანი (ხმა); **გამყინავი** (ქარი).

გან-გან – განდაგან

გან-გან: განზე: „ფითრი მსხლის ქერქზე... იზრდებოდა, იბერებოდა, სულ **გან-გან** იწევდა“ (თ. რაზიკ.). **განდაგან**: გარდიგარდმო; განის მიმართულებით (ძელი **განდაგან** გახერხეს); შ დ რ.: ცეკვა **განდაგანა**.

განაცხადი – განცხადება

განაცხადი: ოფიციალური ხასიათის წინასწარი განცხადება; თხოვნა, მოთხოვნა (**განაცხადი** საშენი მასალის / ცემენტის... შესახებ); **განცხადება**: 1. რაიმე წინადადების ან თხოვნის შემცველი ოფიციალური ქაღალდი (**განცხადება** დაწერა შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით); 2. წერილობითი ან ზეპირი უწყება ვინმეს ან რაიმეს შესახებ (მთავრობის... **განცხადება**).

განდგომილება – განდეგილობა

განდგომილება: განცალკევება, ჩამოშორება, ჩამოცილება: „იგი მამასთანაც კი იყო წაკიდებული მისი შეუწყნარებელი **განდგომილების** ნიადაგზე“ (ლ. ქიაჩ.); **განდეგილობა**: ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფა – მწირობა, ასკეტობა: „განვიზრახე **განდეგილობა** და მოვედ შენთან ლოცვა-კურთხევის მისაღებად“ (შ. არაგვ.).

განდგომილი, განმდგარი – განდეგილი

განდგომილი, **განმდგარი**: ვინც განდგა; განზე განმდგარი; განცალკევებული; რაიმე სისტემას ნებაყოფლობით გამოყოფილი: „რას მიშველის ან კი ტირილი **განდგომილს**“ (ვაჟა); მეგობრებისგან / ახლობლებისგან **განმდგარი**; **განდეგილი**: ამქვეყნიურ ცხოვრებას განშორებული – მწირი, ასკეტი: „გასაოცარი რაღაც შვენება **განდეგილს** თვალწინ წარმოუდგინა“ (ილია).

განზოგადება – განსაზოგადოება

განზოგადება: ზოგადი სახის (ხასიათის) მიცემა (რაიმესთვის); ფაქტების მიხედვით ზოგადი დასკვნის გამოტანა (მოვლენათა **განზოგადება**); **განსაზოგადოება**: საზოგადო კუთვნილებად ქცევა.

განრიგება – გარიგება

განრიგება: მოწესრიგება; განაწილება (ძალების **განრიგება**); **გარიგება**: 1. რაიმეზე შეთანხმება ორმხრივი სარგებლის ნახვით; 2. ორ პირს შორის ქორწინების საქმის მოგვარება.

განრისხული – განრისხებული

განრისხული: დაწყევლილი და გაძევებული; შერისხული: „რაღა ამირთამირი ვარ, უკვე **განრისხული** და დევნილი“ (ვ. ბარნ.); **განრისხებული**: ძალიან გაბრაზებული: „წამოხტა კაკო, **განრისხებული**...“ (ილია).

განსაზღვრა – განსაზღვრება

განსაზღვრა: 1. რაიმეს საზღვრების, ფარგლების დადგენა (მოცულობის **განსაზღვრა**); 2. რაიმე ცნების მეცნიერული დახასიათება, განმარტება (ტერმინის **განსაზღვრა**); **განსაზღვრება**: გ რ ა მ ა ტ. წინადადების წევრი, რომელიც ახასიათებს სხვა წევრს (ქვემდებარეს, დამატებას).

განსახლება – გასახლება

განსახლება: დასახლება; **გასახლება**: იძულებით სახლიდან გაყვანა, გაძევება (ვინმესი).

განურჩევლად – გაურჩევლად

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ერთნაირად, თანაბრად: „ხალხი ითხოვდა პირდაპირ შებმას – **განურჩევლად**, ვინც არ უნდა ყოფილიყო მოწინააღმდეგე“ (ა. ყაზბ.); „ყველას **გაურჩევლად** ეხუმრებოდა“ (მელან.), მ ა გ რ ა მ **გაურჩევლად**: 1. გარჩევის გარეშე

(ლობიო **გაურჩევლად** დატოვეს); 2. განხილვის გარეშე (**გაურჩევლად** დარჩენილი საკითხი); 3. გაურკვევლად (**გაურჩევლად** ნაწერი).

განწმენდა – გაწმენდა

განწმენდა: ცოდვებისაგან განთავისუფლება: „მუდამ მლოცავი, სულიერ **განწმენდაში** მყოფი, დაუზარებლად სამწყსოში მხოლოდ მაშინ გამოვიდოდა, როდესაც ვინმე ავადმყოფი სამსახურს მოითხოვდა“ (ა. ყაზბ.); **გაწმენდა**: გასუფთავება (**გაწმენდა** ფეხსაცმლისა / გზისა...).

განწმენდილი – გაწმენდილი

განწმენდილი (ადამიანი / სული...); **გაწმენდილი** (ფეხსაცმელი / იატაკი / გზა...).

განწყობა – განწყობილება

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – გუნება, ხასიათი: მხიარული **განწყობა** / **განწყობილება**, მაგრამ **განწყობას** განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვს: 1. ფსიქ. ამა თუ იმ განცდისა და ქცევისათვის მზადყოფნა; სპეციფიკური მდგომარეობა, რომელიც სუბიექტში მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტური სიტუაციის ზეგავლენის შედეგად ჩნდება (**განწყობის თეორია**); 2. ვინმესთან დამოკიდებულება; ურთიერთობა (მეზობლის მიმართ კარგი **განწყობა** ჰქონდა).

გაპარვა – გაპარება

გაპარვა: მალულად, ჩუმად წასვლა: „ავაზაკები არიან, **გაპარვა** უნდათ“ (ვაჟა); **გაპარება**: პარვით, ფარულად წაყვანა, წაღება, გაშვება: „დედამ გამოააშკარავა, რომ ლევანი შეჰპირდა მის შვილს **გაპარებას**“ (დ. კლდ.).

გაპარული – გაპარებული

გაპარული: მალულად, ჩუმად წასული; **გაპარებული**: ჩუმად წაყვანილი, გაშვებული.

გარანტი – გარანტია

გარანტი: სამართ. თავდები; გარანტიის მიმცემი; **გარანტია**: პირობა, რომელიც უზრუნველყოფს რაიმეს წარმატებას; საწინდარი.

გარემოება – გარემოცვა

გარემოება: 1. მდგომარეობა, ვითარება, პირობები: „ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი, ხან არც ისა ვარ, არც ისა! **გარემოების** საყვირი, არც მიწისა ვარ, არც ცისა“ (აკაკი); 2. გრამატ. წინადადების წევრი, რომელიც გამოხატავს შემასმენლით გადმოცემული მოქმედების ადგილს, დროს, ვითარებას, მიზეზს, მიზანს; **გარემოცვა**: 1. ირგვლივ შემორტყმა, ალყა; 2. ირგვლივ მყოფნი (ამხანაგ-მეგობრების წრე).

გასაზიარებელი – ზიარი, საზიარო

გასაზიარებელი: 1. რაც სხვას უნდა გაუზიარონ (უთხრან): მეგობრისთვის **გასაზიარებელი** სიხარული; 2. მისაღები, გასათვალისწინებელი (**გასაზიარებელი** აზრი); **ზიარი**, **საზიარო**: რაც რამდენიმე პირს ეკუთვნის, საერთო (**ზიარი** / **საზიარო** ეზო); შ დ რ.: ფ ი ზ. **ზიარჭურჭელი**.

გასამართლებელი – გასასამართლებელი

გასამართლებელი: 1. ვინც უნდა გაამართლონ, ვისი გამართლებაც შეიძლება; 2. რითაც უნდა გაამართლონ ან გამართლდეს (**გასამართლებელი** საბუთი); **გასასამართლებელი**: ვინც უნდა გასასამართლონ, სამართალში მისცენ.

გასაქანი – გასაქანებელი

გასაქანი: განძრევის შესაძლებლობა; სამოქმედო ასპარეზი; შ დ რ.: **გასაქანს არ აძლევს**; **გასაქანებელი**: რაც უნდა გააქანონ ან გაქანდეს (ბავშვი ჰამაკს **გასაქანებლად** მისწვდა).

გატანა – გატანება

გატანა (გაიტანს): 1. შიგნიდან გარეთ წაღება, ზიდვა (მაგიდის **გატანა** ეზოში); 2. გასაყიდად წაღება; ექსპორტი (ღვინის **გატანა** საზღვარგარეთ); 3. გ ა დ ა ტ. გახმაურება, გამჟღავნება (ამბის **გატანა**); 4. გ ა დ ა ტ. მხარში ამოდგომა, გაჭირვებასა და საქმეში მიშველება, მიხმარება: „ერთმანეთის შველა და **გატანა** უქმი სიტყვა არ არის ქართველობისათვის“ (ილია); 5. რაიმეს (მაგ. ავტომანქანის) ქვეშ მოქცევა; გასრესა; შ დ რ.: **საქმის** (**ბოლომდე**) **გატანა** – საქმის დამთავრება; **ბურთის გატანა** – ბურთის შეგდება ბადეში; **თავის გატანა** – არსებობის საშუალების მოპოვება, თავის რჩენა; **გატანება** (გაატანს): თან გაყოლება; ვინმესთან ერთად ან ვინმეს ხელით გაგზავნა.

გატანილი – გატანებული

გატანილი: 1. შიგნიდან გარეთ წაღებული (ეზოში **გატანილი** მაგიდა); 2. გასაყიდად, საექსპორტოდ წაღებული (საზღვარგარეთ **გატანილი** ღვინო) 3. გ ა დ ა ტ. გახმაურებული (საქვეყნოდ **გატანილი** ამბავი); 4. ავტომანქანის ქვეშ მოქცეული; **გატანებული**: ვინც ან რაც გაატანეს (ვინმეს, რაიმეს): „ძალად **გატანებული** ძაღლი ცხვარს არ გამოადგებაო“ (ანდაზა).

გაუგებარი – გაუგებელი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: ვინც ვერ გაიგებს, შეუგნებელი, შეუსმენელი; ვისაც გაგების უნარი არა აქვს, მ ა გ რ ა მ მათ განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვთ – **გაუგებარი**: რაც ვერ გაიგეს, რისი გაგებაც შეუძლებელია; გაურკვეველი (**გაუგებარი** ამოცანა); **გაუგებელი**: შეუტყობელი (**გაუგებელი** ამბავი).

გაუტანია – გაუტანებია

გაუტანია (მაგიდა... გარეთ); **გაუტანებია** (წიგნი... მეგობრისთვის).

გაულვიძია – გაულვიძებია

გაულვიძია (გაიღვიძებს; გაიღვიძა): **გაულვიძია** (თვითონ); **გაულვიძებია** (გააღვიძებს; გააღვიძა): **გაულვიძებია** (ბავშვი).

გაულიმია – გაულიმებია

გაულიმია (გაიღიმებს; გაიღიმა): **გაულიმია** (თვითონ); **გაულიმებია** (გააღიმებს; გააღიმა): **გაულიმებია** (სხვა).

გაუცინია – გაუცინებია

გაუცინია (გაიცინებს; გაიცინა): **გაუცინია** (თვითონ); **გაუცინებია** (გააცინებს; გააცინა): **გაუცინებია** (სხვა).

გაუხარია – გაუხარებია

გაუხარია (გაიხარებს; გაიხარა): **გაუხარია** (თვითონ); **გაუხარებია** (გაახარებს; გაახარა): **გაუხარებია** (სხვა).

გაღვივება – გაღივება

გაღვივება: გაჩაღება (**გაღვივება** ცეცხლისა); გაფუება, ამოყვანა (**გაღვივება** ცომისა); გ ა დ ა ტ. გაძლიერება, გამწვავება, გაღრმავება; აღგზნება; **გაღივება**: ღივის გამოტანა (თესლის **გაღივება**).

გაყოლა – გაყოლება

გაყოლა (გაჰყვება, გაჰყვა): ვინმესთან ერთად წასვლა; კვალდაკვალ ადევნება: „ცხენიო! – დაიძახა, მოაჯდა უნაგირს და ისეთი სისწრაფით გაუდგა გზას, რომ მხლებელმა ძლივს მოასწრო **გაყოლა**“ (აკაკი); შ დ რ.: **ცოლად გაყოლა**; **გაყოლება** (გააყოლებს, გააყოლა): 1. რაიმეს თან გატანება (წიგნების თან **გაყოლება**); 2. რაიმეს გასწვრივ (ღობის **გაყოლებაზე**).

გაშენება – აშენება (იხ.)

გაწირვა – განწირვა – განწირულება

გაწირვა და **განწირვა** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – თავდადება, მ ა გ რ ა მ **გაწირვას** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: ბედის ანაბარად დატოვება; გამეტება: „ძმის **გაწირვა**, მტრის მიდგომა არ გეთვლება სამსახურად“ (აკაკი); **განწირულება**: უიმედობა: „რამ მიიყვანა საქმე აქამდე, ამ **განწირულებამდე**, ამ სასოწარკვეთამდე?“ (ილია).

გაწმენდა – განწმენდა (იხ.)

გაწმენდილი – განწმენდილი (იხ.)

გემო – გემოვნება

გემო: 1. ფ ს ი ქ. ერთ-ერთი შეგრძნება, რომლის ძირითადი ორგანოა ენა; 2. საჭმლის ან სხვა

ნივთიერების თვისება, რომელიც იგრძნობა გემოს ორგანოს გაღიზიანებით; შ დ რ.: **პირის გემო**: გემრიელ საჭმელებში გარკვევის უნარი; **გემოვნება**: 1. ესთეტიკური განცდის უნარი; სილამაზის, მშვენიერების გრძნობა: „ამოდენა სიმდიდრე ისე იყო მიყრილ-მოყრილი, რომ მათ პატრონებს **გემოვნებისა** არა ეტყობოდა რა“ (ილია); 2. სტილი, ყაიდა: „კარებს უკან დგას ზეინაბი, დიდებულად ჩაცმული სპარსულ **გემოვნებაზე**“ (გ. ყიფშ. თარგმ.).

გენეტიკური – გენიტიური

გენეტიკური: გენეტიკასთან დაკავშირებული; რაიმეს წარმოშობისა და განვითარების შემსწავლელი (**გენეტიკური** ფსიქოლოგია...); **გენიტიური**: გ რ ა მ ა ტ. ნათესაობითი (ბრუნვა).

გვარიანი – გვაროვანი – გვაროვნული

გვარიანი და **გვაროვანი** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – წარჩინებული გვარისა: „ერთ ქალაქში მოვიდა და ერთ **გვარიან** კაცთან სამ თუმნად დადგა“ (ზღაპ.); „ჩემო აღმატებულო, ბედნიერო, **გვაროვანო** სიძეო“ (ილია), მ ა გ რ ა მ **გვარიანს** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: გ ა დ ა ტ. საკმაოდ კარგი: „მათ **გვარიანი** სახლ-კარი და მამულები დარჩათ“ (ილია); **გვაროვნული**: გვარის ხასიათისა; გვარში მიღებული; შ დ რ.: **გვაროვნული წესწყობილება** – პირველყოფილი თემური წყობილება.

გნომა – გნომი

გნომა: მოკლე ზნეობრივ-დამრიგებლობითი გამონათქვამი; აფორიზმი; **გნომი**: დასავლეთევროპულ მითოლოგიაში – მახინჯი ქონდრისკაცი, რომელიც ძირითადად მიწისქვეშა სიმდიდრეს იცავს.

გონებრივი – გონივრული

გონებრივი (შესაძლებლობა / აღზრდა / შრომა); **გონივრული** (გადაწყვეტილება...).

გრაფიკა – გრაფიკი

გრაფიკა: 1. ხატვა უსაღებავოდ – ხაზებითა და შტრიხებით (შავ-თეთრი მხატვრობა); 2. ასოთა და ციფრთა მოხაზულობა; 3. ლ ი ნ გ ვ. მოძღვრება ბგერათა და ასოთა ურთიერთმიმართების შესახებ; **გრაფიკი**: დიაგრამა; ნახაზი, რომელზედაც გამოსახულია სხვადასხვა პროცესის რაოდენობრივი დამოკიდებულება (ტემპერატურის **გრაფიკი**; მატარებლების მოძრაობის **გრაფიკი**).

გრძნება – გრძნობა

გრძნება: ჯადოქრობა, მისნობა; გრძნეულება: „ყმაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით, სავსე შვენების ჯადოთი, **გრძნებით**...“ (ილია); **გრძნობა**: რაიმე ემოციის (ან ფიზიკური გაღიზიანების ზემოქმედების) განცდა: სიხარულის / შიშის; გემოს / სუნის **გრძნობა**.

გუვერნანტი – გუვერნიორი

გუვერნანტი: ბავშვების აღმზრდელი ქალი; **გუვერნიორი**: ბავშვების აღმზრდელი მამაკაცი.

გულიანი – გულოვანი

გულიანი: 1. გულის მქონე: „თაგვი ერთ **გულიან** თხილს კბილით აკნაწუნებდა“ (ვაჟა); შ დ რ.: **გულიანი ადამიანი**; 2. ღრმა, ძლიერი (**გულიანი** ძილი / სიცილი); **გულოვანი**: გულადი, მამაცი, მხნე, გამბედავი: „**გულოვან** კაცის წესია ფეხისა მაგრად დგომანი“ (ანდაზა).

დ

დააბერტყავს – დააბერტყებს

დააბერტყავს: ბერტყვით ზედ დააყრის; შ დ რ.: **კალთას დააბერტყავს** (= ყოველგვარ სიკეთეს უხვად, ბლომად მისცემს, მიანიჭებს); **დააბერტყებს**: საუბ. მოიქნევს და დააგდებს, დაახეთქებს: „ჩოხა გულმოსულმა **დააბერტყა** იატაკზე“ (დ. კლდ.).

დაავალდებულებს – დაავალებს – დაავალიანებს

დაავალდებულებს (დაავალდებულა; დაუვალდებულებია): ვალდებულს გახდის; ვალდებულებას დააკისრებს; **დაავალებს** (დაავალა; დაუვალებია): რაიმეს შესრულებას დააკისრებს: „მაგრამ ერთს კი **დაგავალებ**, ამისრულე უეჭველად“ (აკაკი); შ დ რ.: **დამავალებთ** – ვალად დამდებთ; **დაავალიანებს** (დაავალიანა; დაუვალიანებია): ვალს დაადებს, ვალში ჩააგდებს.

დააცხებს – დააცხობს

დააცხებს (დააცხო; დაუცხია): ზედ წაუსვამს; ზედ წასცხებს; **დააცხობს** (დააცხო; დაუცხვია): გამოაცხობს ბევრს: „დედამ მჭადები **დააცხო**“ (ნ. ლორთქ.).

დაბალი – მდაბალი

დაბალი (კაცი / შენობა...); **მდაბალი**: 1. მოკრძალებული, მორჩილი (**მდაბალი** სალამი); 2. ზნედაცემული (**მდაბალი** სულის მქონე).

დაბრაწული – დაბროწილი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: 1. სიმწიფისაგან შეწითლებული; წითლად დამწიფებული: „წითლად **დაბრაწულ** მტევნებს სულ ღაჟღაჟი გაჰქონდა“ (ვაჟა); **დაბროწილი** თხილი / წაბლი...; 2. აწითლებული: „მე შენ გითხრა, სილამაზე არავინ დაუწუნოს თამროს: თურაშაული ვაშლივითა აქვს **დაბრაწული** ლოყები“ (ს. მგალობ.); „ველარც კი ამჩნევდა თვალაბმული თებერა **დაბროწილ**, ჩამკვრივებულ გოგოებს“ (ვ. ბარნ.), მ ა გ რ ა მ **დაბრაწულს** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: შეწვით შეწითლებული, კარგად შემწვარი (**დაბრაწული**

ვარია); გამოცხობით კანშეწითლებული, კარგად გამომცხვარი: „კიდობანში ჯერ კიდევ თბილად აწყვია ამ საღამოზე გამომცხვარი, **დაბრაწული** კეცის მჭადები“ (ნ. ლომ.).

დაგეგმვა – აგეგმვა (იხ.)

დაგეგმვა – დაგეგმარება

დაგეგმვა (დაგეგმავს): 1. გეგმის შედგენა; 2. წინასწარ შემუშავებულ ღონისძიებათა პროექტის შედგენა (სამუშაოს / შეხვედრის **დაგეგმვა**); **დაგეგმარება** (დააგეგმარებს): დაპროექტება (ქალაქის / გზის **დაგეგმარება**).

დადგენა – დადგენილება

დადგენა (სიმართლისა / ნორმებისა...); **დადგენილება** (ყრილობისა / კრებისა...).

დადგმა – დადგომა

დადგმა (დადგამს): სახლის / შენობის / ძეგლის... **დადგმა**; შ დ რ.: პიესის **დადგმა** (სცენაზე); **უღლის დადგმა**; **ფეხის დადგმა** (სადმე): ს ა უ ბ. ვინმესთან (სადმე) მისვლა; **დადგომა** (დადგება): მთაზე / მინდორში **დადგომა**; გაზაფხულის / ზაფხულის... **დადგომა**; შ დ რ.: **ფეხზე** / **გზაზე** / **უარზე დადგომა**.

დადებს – დასდებს

დადებს (წიგნს); **დასდებს** (პატივს).

დავალდებულება – დავალება – დავალიანება

დავალდებულება: ვალდებულების დაკისრება; **დავალება**: შესასრულებლად დაკისრებული საქმე, სამუშაო; ამოცანა (საშინაო **დავალება**); **დავალიანება**: ვალში ჩავარდნა (მოსახლეობას გადასახადებთან დაკავშირებული **დავალიანება** ჰქონდა).

დავალებული – დავალიანებული

დავალებული: 1. ის, რაც ვინმეს დაავალეს: „ჩვენ **დავალებული** საქმე უნდა ავასრულოთ“ (ვაჟა); 2. ვინც პატივისცემა (ყურადღება, დახმარება) მიიღო ვინმესგან და თავს მოვალედ თვლის, სიკეთით გადაუხადოს სამაგიერო (გიორგი **დავალებული** იყო მეზობლისგან, რომელმაც დიდი პატივი სცა); **დავალიანებული**: ვალში ჩავარდნილი (გადასახადებით **დავალიანებული** მოსახლეობა).

დაზარალებული – დაზიანებული

დაზარალებული: ვინც მატერიალური ზარალი განიცადა (გრიგალისგან **დაზარალებული** ოჯახი); **დაზიანებული**: 1. ვინც (რაც) დააზიანეს ან დაზიანდა; რამაც ზიანი განიცადა (გრიგალისგან **დაზიანებული** სახლი); 2. დაავადებული, დაშავებული (იგულისხმება სხეულის რომელიმე ნაწილი): „დაჭრილი **დაზიანებულ** მკლავს იხვევდა“ (ა. ყაზბ.).

დამრიგებლური – სადამრიგებლო

დამრიგებლური: დამრიგებლისთვის დამახასიათებელი (**დამრიგებლური** ტონი); **სადამრიგებლო**: დამრიგებლის კუთვნილი (**სადამრიგებლო** კლასი).

დამფარავი – დამფარებელი

დამფარავი: 1. ვინც ან რაც დაფარავს (სიმართლის / დამნაშავის **დამფარავი**); 2. გადამხდელი (ვალის **დამფარავი**); 3. მფარველი, დამცავი; **დამფარებელი**: ვინც რაიმეს დაიფარებს ან დაიფარებს (თავზე...); შ დ რ.: **ხელის დამფარებელი**.

დამღა – დაღი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: 1. გახურებული რკინის იარაღით (შანთით) დასმული ნიშანი (ცხენის, კამეჩის...) სხეულზე: „ვისია ეგ ცხორი? – ...**დამღაც** იმათ მეტს არავისა აქვს“ (ა. ყაზბ.); „ყარამანი სულ დაწვრილებით ჩამოუწერდა: ვისი ცხენი რამდენი წლისა იყო; ჩამოუწერდა **დაღის** მოხაზულობას“ (ა. ბელ.); 2. გ ა დ ა ტ. რაიმეს კვალი, ნიშანი: „ცოდვას, სიკვდილს და თვით ჯოჯოხეთს თავიანთი **დამღა** დაუჭდევიათ“ (ი. მაჩაბ. თარგმ.); „ძველი ჭრილობის **დაღი** შუბლზე თითქოს გამქრალა“ (ნ. ლორთქ.), მ ა გ რ ა მ **დამღას** განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვს: 1. ბეჭედი ან ნიშანი, რომელიც მიუთითებს პროდუქციის სადაურობასა თუ ხარისხზე; 2. ნ უ მ ი ზ მ. მონეტაზე დასმული მცირე ზომის ნიშანი.

დამცავი – დამცველი

დამცავი: რაც დაიცავს; რაიმესგან დასაცავად დანიშნული (**დამცავი** სათვალე / ნაგებობა...); შ დ რ.: **დამცავი ფერი**; **დამცველი**: 1. ვინც დაიცავს; მფარველი; მხარის დამჭერი (მეგობრის **დამცველი**); 2. ს ა მ ა რ თ. პირი, რომელიც იცავს ვინმეს სასამართლო პროცესზე; ადვოკატი; 3. ტ ე ქ. რასაც იზოლაციის დანიშნულება აქვს; იზოლატორი; დამცველი მოწყობილობა (**დამცველები** ამოვარდა).

დამწერლობა – მწერლობა

დამწერლობა: ამა თუ იმ ენის გრაფიკული ნიშნების, ასოების სისტემა; წერის ხელოვნება; **მწერლობა**: 1. მწიგნობრობა; 2. მწერლის საქმიანობა, სამწერლო მოღვაწეობა; 3. ამა თუ იმ ხალხის ლიტერატურულ ნაწარმოებთა ერთობლიობა; ლიტერატურა.

დასადგამი, დასადგმელი – დასადგომი

დასადგამი, **დასადგმელი**: 1. რაც უნდა დადგან (**დასადგამი** / **დასადგმელი** ავეჯი); 2. სცენაზე წარმოსადგენი პიესა; 3. რაზედაც უნდა დადგან ან დაიდგას (ქოთნის, ქვაბის **დასადგამი** / **დასადგმელი**); **დასადგომი**: 1. სადაც უნდა დადგნენ: „თეატრი ისე გაიჭედებოდა ხოლმე, რომ არამცთუ დასაჯდომი, **დასადგომი** ადგილიც კი არ იყო“ (ა. ცაგარ.); 2. დასარჩენი, გასაჩერებელი (სადმე): „მე აქ **დასადგომი** პირი აღარა მაქვს“ (აკაკი).

დასაწვენი – დასაწოლი

დასაწვენი: ვინც უნდა დააწვინონ (დასაძინებლად **დასაწვენი** ბავშვი); **დასაწოლი**: 1. ვინც უნდა დაწვეს (ამაღამ ადრე ვარ **დასაწოლი**); 2. სადაც უნდა დაწვნენ (სტუმრის **დასაწოლი** ადგილი არ იყო).

დასახვედრი – დასახვედრებელი

დასახვედრი: 1. ვისაც ან რასაც უნდა დაუხვდნენ; შესახვედრი; 2. სადაც უნდა დაუხვდნენ, შეხვდნენ; **დასახვედრებელი**: რაც უნდა დაახვედრონ (**დასახვედრებელი** სადილი...).

დაუდგომელი – დაუდგრომელი

დაუდგომელი: განუწყვეტელი: „აქ აღარ ისმის ქალაქის **დაუდგომელი** ხმა“ (ვ. ბარნ.); **დაუდგრომელი**: დაუდეგარი, მოუსვენარი (**დაუდგრომელი** ბავშვი).

დაუკლავს – დაუკლია

დაუკლავს (ქათამი); **დაუკლია** (წონაში).

დაუფარავი – დაუფარებელი

დაუფარავი: 1. ვისაც ან რასაც არაფერი აფარია ზევიდან, დაუბურავი; 2. დაუცველი; 3. დაუმალავი; ცნობილი, ცხადი, ღია; 4. გადაუხდელი (**დაუფარავი** ვალი); **დაუფარებელი**: რაც არ დაუფარებიათ; რაზეც არ დაუფარებიათ.

დაუფასებელი – შეუფასებელი – ფასდაუდებელი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ძალიან დიდი ფასის მქონე: „დიახ! **დაუფასებელი** რამ არის იმედი“ (ი. გოგებ.); მწერლის ნაღვაწი **შეუფასებელია**; ილიას ღვაწლი **ფასდაუდებელია** ქართველი ერის წინაშე, მაგრამ **დაუფასებელი**: ვინც ან რაც არ დაუფასებიათ (**დაუფასებელი** მხატვარი / მეცნიერი / ამაგი...); **შეუფასებელი**: რაც არ შეუფასებიათ, შეფასების გარეშე დარჩენილი (**შეუფასებელი** ქონება).

დაუჩოქია – დაუჩოქებია

დაუჩოქია (დაიჩოქებს; დაიჩოქა): **დაუჩოქია** (თვითონ); **დაუჩოქებია** (დააჩოქებს; დააჩოქა): **დაუჩოქებია** (სხვა).

დაუძინია – დაუძინებია

დაუძინია (დაიძინებს; დაიძინა): **დაუძინია** (თვითონ); **დაუძინებია** (დააძინებს; დააძინა): **დაუძინებია** (ბავშვი).

დაუწყია – დაუწყვია

დაუწყია (მუშაობა); **დაუწყვია** (წიგნები).

დაფარული – დაფარებული

დაფარული: 1. რაც დაფარეს ან დაიფარა; დამალული; დაფენილი: „იალბუზის მთა მუდამ

სქლად არის **დაფარული** თეთრი თოვლით“ (ი. გოგებ.); 2. საიდუმლოდ შენახული, დამალული: „ჭირი ნახული სჯობს **დაფარულსა**“ (ილია); 3. გადახდილი, გასტუმრებული (**დაფარული** ვალი); 4. ანაზღაურებული ზარალი (დანაკლისი არ ყოფილა **დაფარული**); 5. ვინც ან რაც დაიფარეს, დაცული (ყინვისგან **დაფარული**); გ ა დ ა ტ. მოფენილი (ყვავილებით **დაფარული** მინდორი); **დაფარებული**: 1. რაც დააფარეს ან აფარია; გადაფარებული (**დაფარებული** ხელი / საბანი); შ დ რ.: „შენ ყველა დედის კალთა ხარ, ჩვილ ყრმაზე **დაფარებული**“ (ი. აბაშ.); 2. სახურავად დადებული (პურის ვარცლს ზემოდან ხონჩა ჰქონდა **დაფარებული**).

დაფასება – შეფასება

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: რაიმეს ღირებულების განსაზღვრა; ფასის დადება (საქონლის **დაფასება** / **შეფასება**); შ დ რ.: წერითი დავალების **შეფასება**, მ ა გ რ ა მ **დაფასება**: ვინმეს დამსახურების, ნაღვაწის აღნიშვნა, აღიარება: „ქართველობამ იცის თავისი მოამაგის **დაფასება**“ (დ. კლდ.).

დალი – დამლა (ი ხ.)

დაყოლება – დაყოლიება

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: დათანხმება: „სუტ-კნეინამ რომ ნახა ესე ადვილად ლუარსაბის **დაყოლება**, იფიქრა,

სულელი ყოფილაო“ (ილია); „ეჭვი შეუვიდოდა გულში დედის **დაყოლიებაზე**“ (ს. მგალობ.), მ ა გ რ ა მ **დაყოლებას** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: დატანება, დართვა, დამატება (სიტყვის **დაყოლება**); შ დ რ.: წყლის / ღვინის / ლუდის... **დაყოლება**.

დაშაქრული – დაშაქრებული

დაშაქრული: რაც დაშაქრეს, შაქრით დაატკბეს (**დაშაქრული** ჩაი / ყავა / მარწყვი...); შ დ რ.: **დაშაქრული ენა**; **დაშაქრებული**: რაც დაშაქრდა, რამაც შაქარი გამოყო (**დაშაქრებული** მურაბა / ჩურჩხელები).

დაცხრობა – დაცხრომა

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია: **დაცხრობა**, **დაცხრომა** (მღელვარებისა / ტკივილისა), მ ა გ რ ა მ: **დაცხრომა** (სიმსივნისა / შეშუპებისა).

დაძვრენა – დაძვრომა

დაძვრენა (თავისა): თავის არიდება, თავის დაღწევა; **დაძვრომა** (ხელიდან): ხელიდან გასხლტომა.

დაწერენ – დაწერეს

დაწერენ (ბავშვები წერილს); **დაწერეს** [დ ა ა რ ა დაწერენ] (ბავშვებმა წერილი).

დაწვრილებით – დაწვრილმანებით

დაწვრილებით: ყველა წვრილმანის გათვალისწინებით; ზედმიწევნით; დეტალურად: „დიასახლისმა **დაწვრილებით** უამბო... უცნობი სტუმრის წვევა“ (ი. გოგებ); **დაწვრილმანებით**: 1. დაქუცმაცებით; 2. წვრილმანებს გამოდევნებით; დაკნინებით (ასეთი **დაწვრილმანებით** ღირსება ელახება ადამიანს).

დაჭდევა – დაჭდობა

დაჭდევა: ჭდის გაკეთება, ამოჭრა; **დაჭდობა**: ნაჭდევით ორი ძელის ერთმანეთში მჭიდროდ ჩასმა, ჩამაგრება.

დახვედრა – დახვედრება

დახვედრა: 1. შეხვედრა, დახვდომა: „ჭიქა მიაწოდეს – ეს შენი მოსვლისა და ჩვენი აქ **დახვედრისაა**“ (ს. შანშ.); 2. მზადყოფნა მტრისთვის პასუხის გასაცემად: „ჩვენც ვიცით მტრის **დახვედრა**“ (ე. ნინოშ.); **დახვედრება**: დაცდევინება ვინმესი (ვიღაცასთან შესახვედრად): გიორგის ძალიან უნდოდა მშობლებისთვის შეყვარებულის **დახვედრება**; შენახვა რამისა ვინმესთვის (მეგობრისათვის სადილის **დახვედრება**).

დახვედრილი – დახვედრებული

დახვედრილი: ვინც ან რაც დახვდა: „გამარჯობა! – უთხრეს მოსულებმა არეული ხმით **დახვედრილებს**“ (ე. ნინოშ.); **დახვედრებული**: ვინც

ან რაც დაახვედრეს (**დახვედრებული** სტუმარი / სადილი).

დევნა – დევნება

დევნა: 1. უკან დადევნება, გაკიდება, ადევნება, აყოლა; კვალში მიყოლა; 2. ძებნა (შესაპყრობად, მოსაკლავად); **დევნება** (თვალისა): თვალთვალი.

დეკლამაცია – დეკლარაცია

დეკლამაცია: ლიტერატურული ნაწარმოების გამომეტყველებითი კითხვა, მხატვრული კითხვა; შ დ რ.: **დეკლარაცია**: ოფიციალური ან საზეიმო განცხადება.

დეკორატიული – დეკორაციული

დეკორატიული: ადგილის დამამშვენებელი, ლამაზი, ეფექტური (**დეკორატიული** მცენარეები / ვაზა); **დეკორაციული**: დეკორაციასთან დაკავშირებული (**დეკორაცია**: 1. თ ე ა ტ რ. სცენაზე მოქმედების ადგილის მხატვრული გაფორმება; 2. გ ა დ ა ტ. მოჩვენებითი რამ ნაკლის დასაფარავად (გარეგნულად ლამაზი და მიმზიდველი): **დეკორაციული** კოსმეტიკა.

დელეგატი – დეპუტატი

დელეგატი: ყრილობისთვის, კონფერენციისთვის არჩეული ან დანიშნული წარმომადგენელი რომელიმე ორგანიზაციისა, დაწესებულები-

სა, სახელმწიფოსი; **დეპუტატი**: არჩეული წარმომადგენელი – საკანონმდებლო ან საწარმომადგენლო ორგანოს წევრი.

დელეგაცია – დეპუტაცია

დელეგაცია: დელეგატთა კრებული, ერთობლიობა; **დეპუტაცია**: დეპუტატთა კრებული, ერთობლიობა.

დემონსტრანტი – დემონსტრატორი

დემონსტრანტი: დემონსტრაციის მონაწილე; **დემონსტრატორი**: პირი, რომელიც რაიმეს საჯარო ჩვენებას აწყობს.

დემონსტრაციული – დემონსტრირებული – სადემონსტრაციო

დემონსტრაციული: 1. დემონსტრაციის მიზნით ჩადენილი; გამომწვევი (**დემონსტრაციული** ქცევა / ქმედება); 2. დემონსტრაციაზე (ჩვენებაზე) დამყარებული; თვალსაჩინო (**დემონსტრაციული** მეთოდი); **დემონსტრირებული**: ნაჩვენები (**დემონსტრირებული** ფილმი...); **სადემონსტრაციო**: დემონსტრაციისათვის განკუთვნილი (**სადემონსტრაციო** დაფა / მზადება).

დეპორტი – დეპორტაცია

დეპორტი: სპეციალური გარიგება ბირჟაზე საკურსო განსხვავების მისაღებად; **დეპორტაცია**: იძულებითი გასახლება ქვეყნიდან.

დერმატიტი – დერმატოზი

დერმატიტი: მ ე დ ი ც. კანის ანთება; **დერმატოზი**: კანისა და მისი დანამატების (თმის, ფრჩხილების) სხვადასხვა ავადმყოფობის საერთო სახელწოდება.

დეფექტიანი – დეფექტური

დეფექტიანი (ადამიანი); **დეფექტური** (მეტყველება / იარაღები); შ დ რ.: **დეფექტური ზმნები**.

დიალექტური – დიალექტიკური

დიალექტური: დიალექტისათვის, ენის ამა თუ იმ კილოსათვის დამახასიათებელი (**დიალექტური** ლექსიკა); **დიალექტიკური**: დიალექტიკაზე დაფუძნებული (**დიალექტიკური** მატერიალიზმი / მეთოდი).

დიდი – დიადი

დიდი: ჩვეულებრივზე მეტი სიდიდით, ზომით, მოცულობით, ტევადობით, რაოდენობით, სივრცით: „**დიდ** აღმართს **დიდი** დაღმართიც მოსდევსო“ (ანდაზა); **დიდი** ჯარი იდგა საზღვარზე; **დიადი**: თავისი მნიშვნელობით დიდი; დიდებული, ძლევამოსილი: „საქმე კეთდება **დიადი**“ (ბაჩ.).

დიპლომანტი – დიპლომატი

დიპლომანტი: სტუდენტი, რომელიც სადიპლომო შრომას ამზადებს; **დიპლომატი**: 1. პირი,

რომელიც დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწევა; 2. გ ა დ ა ტ. მოხერხებული ადამიანი.

დიპლომატია – დიპლომატიკა

დიპლომატია: 1. მთავრობის საქმიანობა სახელმწიფოს საგარეო (საერთაშორისო) პოლიტიკის განსახორციელებლად; 2. მოხერხებული საქციელი (მოქმედება) სხვებთან ურთიერთობაში; **დიპლომატიკა**: ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც სწავლობს ისტორიულ დოკუმენტებს (მათ წარმომავლობას, თარიღს...); სიგელთმცოდნეობა.

დიპლომატური – დიპლომატიური – დიპლომატიკური

დიპლომატური (მანერები); **დიპლომატიური** (კორპუსი); **დიპლომატიკური** (საბუთები).

დისკრედიტაცია – დისკრიმინაცია

დისკრედიტაცია: ღირსების, ავტორიტეტის, პრესტიჟის შელახვა; სახელის გატეხა; ნდობის დაკარგვა; **დისკრიმინაცია**: უფლების შეზღუდვა; თანასწორუფლებიანობის მოსპობა.

დისკრეტული – დისკრეციული

დისკრეტული: ნაწყვეტ-ნაწყვეტი, წყვეტილი; ცალკეული ნაწილებისაგან შემდგარი (**დისკრეტული** სიდიდეები); **დისკრეციული**: პირადი შეხედულების მიხედვით, თავისი შეხედულებისამებრ მოქმედი.

დიფერენციული – დიფერენციალური

დიფერენციული: განსხვავებული (სიდიდის, პირობების... მიხედვით); **დიფერენციალური** (აღრიცხვა): უმაღლესი მათემატიკის დარგი.

დიქტატორული – დიქტატურული

დიქტატორული: დიქტატორისთვის დამახასიათებელი (**დიქტატორი** – შეუზღუდველი ძალაუფლებით აღჭურვილი ერთპიროვნული მმართველი; გ ა დ ა ტ. ადამიანი, რომელიც ძალაუფლებით ბოროტად სარგებლობს): **დიქტატორული** სული / ქმედება; **დიქტატურული**: დიქტატურის შესაბამისი (**დიქტატურა** – გაბატონებული კლასის ძალაუფლება, რომელიც კანონით არ არის განსაზღვრული და უშუალოდ ძალას ემყარება): **დიქტატურული** რეჟიმი.

დოგმატური – დოგმატიკური

დოგმატური: დოგმებზე დამყარებული; უკრიტიკოდ გაზიარებული (**დოგმატური** დებულებები); **დოგმატიკური** (მწერლობა): საეკლესიო მწერლობის დარგი, რომელშიც გამოხატულია ქრისტიანობის იდეური მხარე, მისი ფილოსოფია (კ. კეკელ.).

დოკუმენტური – დოკუმენტირებული

დოკუმენტური: 1. დოკუმენტებზე დამყარებული; დოკუმენტებით, ფაქტებით დამოწმებული (**დოკუმენტური** მასალა); 2. დოკუმენტისთვის

დამახასიათებელი (**დოკუმენტური** სიზუსტე); შ დ რ.: **დოკუმენტური ფილმი**; **დოკუმენტირებული**: ილუსტრაციებით დამოწმებული (**დოკუმენტირებული** ლექსიკონი...).

დრამატული – დრამატიზებული

დრამატული: 1. დრამის თვისებისა (**დრამატული** თეატრი / წრე); 2. დრამატიზმით აღსავსე (**დრამატული** ეპიზოდი...); 3. მ უ ს. ძლიერი ხმა (ს ა პ ი რ ი ს პ. **ლირიკული**): **დრამატული** ტენორი; **დრამატიზებული**: 1. დრამად გადაკეთებული (თხრობითი ნაწარმოები); 2. რისი დრამატიზაციაც მოხდა (**დრამატიზაცია** – დაძაბულობის გაძლიერება).

დუბლეტი – დუბლიკატი

დუბლეტი: 1. მეორე ცალი რაიმე საგნისა (მუზეუმში, ბიბლიოთეკაში...); 2. ორმაგი რეგისტრი ორგანში; **დუბლიკატი**: რაიმე წერილობითი დოკუმენტის მეორე ცალი, რომელსაც იურიდიულად დედნის ძალა აქვს.

დუპლეტი – დუპლექსი

დუპლეტი: ბილიარდის თამაშში – ერთი ბურთის მირტყმა მეორეზე ისე, რომ ეს უკანასკნელი მოხვდეს ბორტს და (იქიდან ასხლეტილი) ჩავარდეს ლუზაში; **დუპლექსი**: ორსართულიანი ბინა შიდა კიბით.

ე

ეგზოტერიკული – ეზოტერიკული

ეგზოტერიკული: რაც საიდუმლოებას არ წარმოადგენს და განკუთვნილია ყველასათვის; **ეზოტერიკული**: რაც განკუთვნილია მხოლოდ იმათთვის, ვისაც გაენდვნენ.

ედგმება – ედგომება

ედგმება (გვირგვინი...); **ედგომება** (იქ აღარ **ედგომება**).

ევროპეიზაცია – ევროპეიზმი

ევროპეიზაცია: ევროპული კულტურის შეთვისება; გავრცელება; **ევროპეიზმი**: ევროპის კულტურის თავისებურებანი სხვა (მაგ., აღმოსავლეთის ქვეყნების) კულტურასთან შეპირისპირებით.

ევფემიზმი – ევფუიზმი

ევფემიზმი: სიტყვა ან გამოთქმა, რომლითაც შეცვლილია სხვა, რაიმე თვალსაზრისით მიუღებელი, უხერხული სიტყვა თუ გამოთქმა; კეთილსიტყვაობა; **ევფუიზმი**: მაღალფარდოვანი სტილი.

ეთიკური – ესთეტიკური

ეთიკური: ეთიკასთან დაკავშირებული: **ეთიკური** ნორმები (**ეთიკა** – მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ); **ესთეტიკური**: ესთეტიკასთან დაკავშირებული: **ესთეტიკური** სიამოვნება (**ესთეტიკა** – მოძღვრება ხელოვნებისა და, საერთოდ, მშვენიერების შესახებ).

ეკლესიური – საეკლესიო

ეკლესიური (ყოფა; შ დ რ.: **ეკლესიური** ადამიანი); **საეკლესიო** (სკოლა / მიწები; შ დ რ.: **საეკლესიო** მწერლობა / ლიტერატურა).

ეკონომიური – ეკონომიკური

ეკონომიური: ეკონომიის მომცემი, მომჭირნეობითი (**ეკონომიური** ხარჯვა); **ეკონომიკური**: ეკონომიკაზე დამყარებული; ეკონომიკასთან დაკავშირებული: **ეკონომიკური** დონე / პოლიტიკა / ტერმინოლოგია; **ეკონომიკურ** მეცნიერებათა დოქტორი (**ეკონომიკა**: 1. ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც შეესაბამება საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს; 2. სახალხო მეურნეობისა და მისი ცალკეული დარგების მდგომარეობა; 3. მეცნიერება, რომელიც სწავლობს სამეურნეო ცხოვრების რომელიმე დონეს).

ეკრანიზაცია, ეკრანიზება – ეკრანირება

ეკრანიზაცია, **ეკრანიზება**: ლიტერატურული ნაწარმოების ან დრამატული სპექტაკლის (ოპერის, ბალეტის) განსახიერება კინოხელოვნების საშუალებით; **ეკრანირება**: ტ ე ქ. ადამიანებისა და ხელსაწყოების დაცვა გარეშე ზემოქმედებისა თუ რაიმეს (მაგ. მაგნიტური ველის, სხივების...) მავნე გავლენისაგან.

ელემენტური – ელემენტარული

ელემენტური (ანალიზი): ელემენტების მიხედვით განხილვა; **ელემენტარული**: 1. დაწყებითი; 2. მარტივი, უბრალო; ყველასათვის ცნობილი; მინიმალურად აუცილებელი.

ელექტროლიზი – ელექტროლიტი

ელექტროლიზი: ნივთიერების შემადგენელ ნაწილებად დაშლისა და ამ ნაწილების ელექტროდებზე გამოყოფის პროცესი (ელექტროლიტში დენის გავლისას); **ელექტროლიტი**: ქიმიური ნივთიერება, რომელიც იშლება შემადგენელ ნაწილებად მასში ელექტრული დენის გავლის შედეგად.

ელექტრული – ელექტრონული

ელექტრული: ელექტრობასთან დაკავშირებული (**ელექტრული** დენი / ველი / მუხტი...); **ელექტრონული**: ელექტრონთან დაკავშირებული (**ელექტრონული** მიკროსკოპი...).

ელინური – ელინისტური

ელინური: ელინებთან დაკავშირებული; ძველბერძნული (**ელინური** მითები); **ელინისტური**: ელინიზმთან დაკავშირებული (**ელინისტური** პერიოდი).

ელიფსი – ელიფსისი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ლ ი ნ გ ვ. მეტყველების პროცესში ან წერილობით ტექსტში დაკლება სიტყვის ან სიტყვებისა, რომლებიც ადვილად საგულისხმებელია კონტექსტით, მ ა გ რ ა მ **ელიფსს** სხვა მნიშვნელობაც აქვს: მ ა თ ე მ. შეკრული მრუდი (ოვალური), მიიღება კონუსის სიბრტყესთან გადაკვეთით.

ემიგრანტი – იმიგრანტი – მიგრანტი

ემიგრანტი: სამშობლოდან სხვა ქვეყანაში იძულებით ან ნებაყოფლობით გადასახლებული პირი (უმთავრესად პოლიტიკური მიზეზით); ემიგრაციაში მყოფი; **იმიგრანტი**: ამა თუ იმ ქვეყანაში დასახლებული უცხოელი; **მიგრანტი**: ვინც, რაც (ცხოველები, ფრინველები, თევზები) იცვლის საცხოვრებელ ადგილს, გადაადგილდება ცხოვრების პირობების შეცვლის გამო.

ემიგრაცია – იმიგრაცია – მიგრაცია

ემიგრაცია: 1. სამშობლოდან სხვა ქვეყანაში იძულებით ან ნებაყოფლობით გადასახლება (უმთავრესად პოლიტიკური მიზეზით): **ემიგრაცია** დასავლეთში; 2. კრებითი სახელი ემიგრანტებისა (რუსული **ემიგრაციის** „პირველი ტალღა“); **იმიგრაცია**: 1. უცხოელთა შესვლა და დასახლება რომელიმე ქვეყანაში; 2. იმიგრანტების ერთობლიობა; **მიგრაცია**: 1. ადამიანთა გადასახლება (გადაადგილება) როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ (**მიგრაციის** ნაკადი); 2. საცხოვრებელი ადგილის პერიოდული ცვლა საზრდოს მოპოვებისა და გამრავლების მიზნით (ფრინველებში, თევზებში): სეზონური **მიგრაცია**; 3. კაპიტალის გადაადგილება წარმოების ერთი დარგიდან მეორეში ან ერთი ქვეყნიდან მეორეში უფრო დიდი მოგების მიზნით; 4. გ ე ო ლ. წყლის, ქარის... მოქმედების შედეგად ქიმიური ელემენტების გადანაცვლება მიწის ქერქში ან მის ზედაპირზე.

ემიჯნება – ემიჯნავება

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ესაზღვრება (ჩვენი ეზოები ერთმანეთს **ემიჯნავება** / **ემიჯნება**), მ ა გ რ ა მ **ემიჯნება** ზმნას განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: ეთიშება, შორდება: „მღვდელი უკან-უკან იწევდა, თითქოს ეშმაკს **ემიჯნებაო**“ (ბ. ჩხ.).

ენერგია – ენერგეტიკა

ენერგია: მოქმედების უნარი, მხნეობა, ძალა დასახული მიზნის მისაღწევად (მთელი **ენერგიით** იბრძვის); შ დ რ.: მექანიკური / ატომური **ენერგია**; **ენერგეტიკა**: 1. ენერგიის შემსწავლელი მეცნი-

ერება (ფიზიკის დარგი); 2. ტექნიკის დარგი, რომელიც ამუშავებს სხვადასხვა სახის ენერგიის გამოყენების მეთოდებს.

ეპიგრამა – ეპიგრაფი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: ძვ. საბერძნეთში – საფლავის ქვის (ძეგლის) წარწერა, მ ა გ რ ა მ მათ განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვთ – **ეპიგრამა**: 1. მოკლე სატირული ლექსი; 2. წარწერა საჩუქარზე (პროზად ან ლექსად); **ეპიგრაფი**: თხზულების ან მისი ცალკეული თავის წინ წამძღვარებული ციტატა ან ფრაზა, რომელიც ერთგვარად ახასიათებს ნაწარმოების ძირითად იდეას: „კაციაადამიანს“ **ეპიგრაფად** აქვს: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს – პირს უკანაო“.

ეპიდემიური – ეპიდემიოლოგიური

ეპიდემიური (ავადმყოფობა); **ეპიდემიოლოგიური** (სადგური).

ერესი – ეროსი

ერესი: 1. რელიგიური მოძღვრება, რომელიც ეწინააღმდეგება გაბატონებული რელიგიის საეკლესიო დოგმატებს; მწვალებლობა; 2. გ ა დ ა ტ. საყოველთაოდ მიღებული შეხედულების, წესის დარღვევა; განდგომა; **ეროსი**: ბ ე რ ძ ნ. მ ი თ ო ლ. სიყვარულის ღმერთი.

ერეტიზმი – ეროტიზმი

ერეტიზმი: 1. ერესის მიმდევრობა, მწვალებლობა; 2. მ ე დ ი ც. გადაჭარბებული აღგზნებადობა და გაღიზიანებადობა; **ეროტიზმი**: გადაჭარბებული სქესობრივი აღგზნებადობა; მეტისმეტი ვნებიანობა.

ერთაშორისი – საერთაშორისო

ერთაშორისი (მეგობრობა / სიყვარული); **საერთაშორისო** (ხელშეკრულება / კონკურსი / საჭადრაკო ტურნირი).

ერთპიროვანი – ერთპიროვნული

ერთპიროვანი: ერთი პირისა და ერთი აზრის მქონე, ერთმანეთთან შეთანხმებული (ორი **ერთპიროვანი** ლიდერი); **ერთპიროვნული**: 1. ცალკე, დამოუკიდებელი (**ერთპიროვნული** მეურნე / მეურნეობა); 2. ერთი პირის მიერ განხორციელებული, მართული (**ერთპიროვნული** გამგებლობა).

ერთფერი – ერთფეროვანი

ერთფერი: ერთი ფერისა; **ერთფეროვანი**: ერთსახოვანი, არასხვადასხვაგვარი; გ ა დ ა ტ. უფერული, მოსაწყენი, უშინაარსო (**ერთფეროვანი** გარემო / ცხოვრება).

ერთწლიანი – ერთწლოვანი

ერთწლიანი: ერთი წლისა (**ერთწლიანი**

კურსები / ნარგავები...); **ერთწლოვანი**: რაც ვითარდება და კვდება ერთი წლის განმავლობაში (**ერთწლოვანი** მცენარეები).

ერთხელ – ერთჯერ

ერთხელ (თითო აბი დღეში **ერთხელ**); **ერთჯერ** (**ერთჯერ** ორი ორია).

ეროსი – ერესი (იხ.)

ეროტიზმი – ერეტიზმი (იხ.)

ესთეტი – ესთეტიკოსი

ესთეტი: სრულყოფილი ფორმების, მშვენიერების მოტრფიალე; ესთეტიზმის მიმდევარი; ესთეტიზმით გამსჭვალული; **ესთეტიკოსი**: წ ი გ ნ. ესთეტიკის საკითხების მკვლევარი (**ესთეტიკა** – ფილოსოფიური მოძღვრება ხელოვნების, მშვენიერების ფორმათა შესახებ მხატვრულ შემოქმედებასა და ცხოვრებაში).

ესკადრა – ესკადრილია – ესკადრონი

ესკადრა: სამხედრო ხომალდების მსხვილი შენაერთი; **ესკადრილია**: სამხედრო-საავიაციო შენაერთი, რომელიც თვითმფრინავების რამდენიმე რაზმისგან შედგება; **ესკადრონი**: ცხენოსანი ჯარის ერთეული.

ესკალატორი – ექსკავატორი

ესკალატორი: მოძრავი კიბე; შ დ რ.: **ექსკავატორი**: მიწის სათხრელი მანქანა.

ეტაპობრივი – საეტაპო

ეტაპობრივი: ეტაპ-ეტაპ, თანდათან მიმდინარე (სწავლების ახალ სისტემაზე **ეტაპობრივი** გადასვლა); **საეტაპო**: 1. ეტაპის შემქმნელი, მეტად მნიშვნელოვანი (რუსთაველის თეატრმა დადგა **საეტაპო** სპექტაკლი); 2. მ ვ. ეტაპისა (**საეტაპო** საპატიმრო).

ეტიკეტიანი – ეტიკეტური

ეტიკეტიანი: რასაც ეტიკეტი (საფაბრიკო ან სავაჭრო ნიშანი: სახელწოდების, ქარხნის, ფასის...) აქვს დაკრული (**ეტიკეტიანი** ქილა / ბოთლი); **ეტიკეტური**: ეტიკეტის (თავაზიანი მოპყრობის წესების) შესაფერისი.

ეტიმოლოგია – ეტიოლოგია

ეტიმოლოგია: ლ ი ნ გ ვ. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სიტყვის წარმომავლობას სწავლობს; **ეტიოლოგია**: მ ე დ ი ც. 1. მოძღვრება დაავადებათა მიზეზების შესახებ, 2. ამა თუ იმ დაავადების გამომწვევი მიზეზები.

ეფექტი – აფექტი (ი ხ.)

ექნება – ექმნება

ექნება: მისი იქნება რაიმე (კომპიუტერი / მანქანა / ღვინო... **ექნება**); **ექმნება**: იქმნება მისთვის (საჭირო პირობები **ექმნება**).

ექსკავატორი – ესკალატორი (იხ.)

ექსკურსი – ექსკურსია

ექსკურსი: ძირითადი საკითხისაგან გადახვევა გზადაგზა წამოჭრილი საკითხების გასაშუქებლად; წიაღსვლა; **ექსკურსია**: 1. კოლექტიური დათვალიერება რომელიმე მნიშვნელოვანი ადგილისა; 2. თვით ექსკურსანტების კოლექტივი; 3. ლ ი ნ გ ვ. ბგერების წარმოთქმის პირველი მომენტი – შემართვა.

ექსპონატი – ექსპონენტი

ექსპონატი: მუზეუმში გამოსაფენი საგანი; **ექსპონენტი**: ექსპონატის მფლობელი; გამომფენი.

ექსტრემალური – ექსტრემისტული

ექსტრემალური: უკიდურესად მწვავე (**ექსტრემალური** მდგომარეობა); შ დ რ.: **ექსტრემალური სპორტი**; **ექსტრემისტული**: ექსტრემისტისთვის დამახასიათებელი (**ექსტრემისტი** – უკიდურესი შეხედულებების მქონე; უკიდურესი ზომების მომხრე).

ეძებს – იძიებს

ეძებს: 1. ცდილობს იპოვოს, მონახოს; 2. ცდილობს მიაღწიოს; **იძიებს**: გამოძიებას აწარმოებს; იკვლევს; შ დ რ.: **შურს იძიებს**: სამაგიეროს გადაუხდის.

ეწვია – ეწია

ეწვია (სტუმარი); **ეწია** (ბედს).

ეჭდევა – ეჭდობა

ეჭდევა: 1. ჭდით ნიშანი დაედება, აღებეჭდება; 2. დაჭდეული ექნება; **ეჭდობა**: 1. მჭიდროდ ეკვრის; 2. ერჭობა, ესობა.

ეჭვობს – ეჭვიანობს

ეჭვობს: საეჭვოდ მიაჩნია (**ვეჭვობ**, ამ წამალმა გაამართლოს); **ეჭვიანობს**: ეჭვიანის თვისებებს ამჟღავნებს (უსაფუძვლოდ **ეჭვიანობს** მეგობარზე).

ეჭიდება – ეჭიდავება

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ჭიდაობს, საჭიდაოდ გადის ვინმესთან: „ღონემოჭარბებული ბოჩი ხშირად **ეჭიდებოდა** ბუღას“ (რ. გვეტ.); პატარა მეგობრები ერთმანეთს **ეჭიდავებოდნენ**, მ ა გ რ ა მ **ეჭიდება** ზმნას განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვს: 1. ებღაუჭება – „წყალწაღებული ხავსს **ეჭიდებოდაო**“ (ანდაზა); 2. გ ა დ ა ტ. ებრძვის, ერჩის: „საბრალო მა-

შინ არის კაცი, როდესაც მის გულში უიმედობა და იმედი ერთმანეთს **ეჭიდებიან**“ (აკაკი); 3. გ ა დ ა ტ. შეუდგება, იწყებს (საქმეს): დიდ საქმეს **ეჭიდება**; შ დ რ.: **კალთაზე არავინ ეჭიდება**.

ვ

ვალდებულება – მოვალეობა

ვალდებულება (სამხედრო **ვალდებულება**); **მოვალეობა** (საპატიო **მოვალეობა**; დირექტორის **მოვალეობის** შემსრულებელი).

ვარსკვლავედი – ვარსკვლავეთი

ვარსკვლავედი: ძ ვ. „სამოსელი ოქრომკედით ნაკერი“ (საბა); შ დ რ.: **თანავარსკვლავედი** – ა ს ტ რ. ვარსკვლავთა ჯგუფი (ერთი სახელწოდებით გაერთიანებული); **ვარსკვლავეთი**: ვარსკვლავთსამყარო; გ ა დ ა ტ. პ ო ე ტ. ზეცა: „ვდგავართ მაღლობზე და ქედს გადაღმა აყვავებული ჩანს **ვარსკვლავეთი**“ (ა. აბაშ.).

ვარსკვლავიერი – ვარსკვლავური

ვარსკვლავიერი (დრო): ვარსკვლავების მოძრაობის მიხედვით გამოანგარიშებული; **ვარსკვლავური** (ომები).

ვეგეტატიური – ვეგეტაციური

ვეგეტატიური (ნევროზი); **ვეგეტაციური** (გამრავლება).

ვეტერანი – ვეტერინარი

ვეტერანი: ძველი ჯარისკაცი; ომგადახდილი; დიდი გამოცდილების მქონე (სპორტის / შრომის... **ვეტერანი**); შ დ რ.: **ვეტერინარი**: ვეტერინარიის სპეციალისტი.

ვირტუალური – ვირტუოზული

ვირტუალური: 1. შესაძლებელი (ისეთი რამ, რაც განსაზღვრულ პირობებში შეიძლება გამომჟღავნდეს); 2. არარეალური (არაფიზიკური); ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული (**ვირტუალური** თამაშები); **ვირტუოზული**: დიდი ოსტატობით შესრულებული (მუსიკალური ნაწარმოების **ვირტუოზული** შესრულება).

ვოკალიზმი – ვოკალიზაცია

ვოკალიზმი: ლ ი ნ გ ვ. ამა თუ იმ ენის ხმოვან ბგერათა სისტემა (შ დ რ. **კონსონანტიზმი**); **ვოკალიზაცია**: 1. მ უ ს. სავარჯიშო მღერა მხოლოდ ხმოვანი ბგერებით; 2. სტენოგრაფიაში: ხმოვნების გამოსახვა თანხმოვანთა გამოსახულების თავისებურად შეცვლით.

ვოლტა – ვოლტი

ვოლტა: მ უ ს. მითითება იმის შესახებ, თუ

რომელი ტაქტი დაიკრას პირველად და რომელი – მეორედ (გამეორებისას); **ვოლტი**: ელექტროდენის ძაბვის საზომი ერთეული.

ვულკანიზაცია, ვულკანიზება – ვულკანიზმი

ვულკანიზაცია, **ვულკანიზება**: 1. კაუჩუკის დამუშავება გოგირდით ან სხვა ნივთიერებით მისგან რეზინის მისაღებად; 2. დაბერვა, ჰაერით შევსება (საბურავის **ვულკანიზაცია**); **ვულკანიზმი**: გეოლ. მოვლენათა ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია დედამიწის წიაღში მაგმის მოძრაობასა და მის ამონთხევასთან (ვულკანების გზით).

ზ

ზარალი – ზიანი

ზარალი: ქონებრივი დანაკარგი; დანაკლისი: „მოგება და **ზარალი** ამხანაგები არიანო“ (ანდაზა); „ოჯახს **ზარალი ზარალზე** მოსდიოდა“ (ბ. ჩხ.); **ზიანი**: ფიზიკურად დაშავება, დაზიანება (ფილოქსერამ ვაზს **ზიანი** მიაყენა).

ზევით – ზემოთ

ზევით / **ზემოთ** ადის, მაგრამ: როგორც **ზემოთ** [და არა ზევით] აღვნიშნეთ / ითქვა...

ზეთიანი – ზეთოვანი

ზეთიანი (ჭურჭელი / საჭმელი / თითები); **ზეთოვანი** (კულტურები).

ზემდგომი – ზემდეგი

ზემდგომი: 1. ფეხზე მდგომი; 2. უფლებრივად უფრო მაღლა მდგომი, ხელმძღვანელი (**ზემდგომი** ორგანო); **ზემდეგი**: 1. თავს მდგომი, ზედამხედველი; 2. სამხედრო წოდება.

ზემოთ – ზევით (ი ხ.)

ზეციერი – ზეციური

ზეციერი (მამა); **ზეციური** (ძალა / სიტკბოება / სათნოება / თვისება).

ზიანი – ზარალი (ი ხ.)

ზიარი, საზიარო – გასაზიარებელი (ი ხ.)

ზიდვა – ზიდება

ზიდვა: რაიმეს წაღება, აწევა; მიტანა, მოტანა, გატანა (ხშირად); **ზიდება**: გულის რევა; პირის ღებინება.

თ

თავდაცობილი – თავდაცული

თავდაცობილი (ზოთლი); **თავდაცული** (კაცი).

თავისი – მისი

თავისი: საკუთარი („მელამ **თავისი** კუდი მოწმედ მოიყვანა“; „ყვავსაც **თავისი** ბახალა მოსწონს“); **მისი**: სხვისი (და არა თავისი): გიორგიმ **მისი** შვილი მოიყვანა (რაც ნიშნავს – მოიყვანა სხვისი შვილი).

თამაში – თამაშობა

თამაში (ფეხბურთისა / ჭადრაკისა / ნარდისა...); **თამაშობა** (ხალხური **თამაშობანი**).

თანამდები – თანამდევი

თანამდები: ძვ. მოვალე; **თანამდევი**: ვინც ან რაც თან სდევს; ვინმესთან ან რამესთან მყოფი: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა! მე ვარო შენი **თანამდევი**, უკვდავი სული“ (ილია).

თარგმნა – თარგმანი

თარგმნა: ერთი ენიდან მეორეზე გადაღება

(„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად **თარგმნა** იოლი არ არის); **თარგმანი**: ერთი ენიდან მეორეზე გადაღებული ტექსტი ან სიტყვა („ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური **თარგმანი**).

თარჯიმანი – მთარგმნელი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – საუბრის დროს ერთი ენიდან მეორე ენაზე ზეპირად მთარგმნელი (უცხოელს **თარჯიმნის** / **მთარგმნელის** დახმარებით ესაუბრებოდნენ), მაგრამ **მთარგმნელს** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: ვინც ერთ ენაზე დაწერილს მეორე ენაზე გადმოსცემს (რომანის / ლექსის... **მთარგმნელი**).

თეზა – თეზისი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – მსჯელობაში წამოყენებული დებულება, რომლის ჭეშმარიტება ავტორმა უნდა დაამტკიცოს, დაიცვას, მაგრამ **თეზისს** განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვს: 1. ჰეგელის იდეალისტურ ფილოსოფიაში – განვითარების პროცესის (სტადიის) პირველი საფეხური: თეზისი, ანტითეზისი, სინთეზი; 2. მრ. **თეზისები**: მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებები (მოხსენების / ლექციის **თეზისები**).

თეისტი – თეოლოგი

თეისტი: თეიზმის მიმდევარი, მორწმუნე; **თეოლოგი**: თეოლოგიის მცოდნე, ღვთისმეტყველი.

თემა – თემატიკა

თემა: საკითხი, რომელსაც ეხება თხზულება (რომანის... **თემა**); შ დ რ.: **საუბრის თემა**; **თემატიკა**: თემათა ერთობლიობა, თემათა სისტემა.

თვალსაზრისი – მოსაზრება

თვალსაზრისი: ჩამოყალიბებული შეხედულება, პოზიცია რაიმეს შესახებ (მისაღები **თვალსაზრისი**); **მოსაზრება**: ვარაუდი, აზრი ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით (ეს **მოსაზრება** თავში ამწუთას მოუვიდა).

თვით – თვითონ

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – სწორედ ის (ეს, ეგ...): „სამდურავიან კეთილსა **თვით** ბოროტება სჯობია“ (ვაჟა); „**თვით** უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ“ (გ. ტაბ.); **თვითონ** (= სწორედ) გიორგი წავიდა ამბის გასაგებად, მ ა გ რ ა მ **თვითონ** სიტყვას პირის ნაცვალსახელის ფუნქციაც აქვს და აღნიშნავს, რომ ადამიანი ან საგანი დამოუკიდებლად მოქმედებს: „ავი ძაღლი არც **თვითონ** ჭამს, არც სხვას აჭმევს“ (ანდაზა).

თითქმის – თითქოს

თითქმის: კინაღამ, ლამის: „მე იმ ერთმა დღემ **თითქმის** დამაბერა“ (ილია); **თითქოს**: აღნიშნავს იმას, რაც სინამდვილეში არ არის; რაც ჰგავს, მოგვაგონებს რაიმეს: „ორაგულებს ოქროსფერი მიეცათ, **თითქოს** სამშობლოში მოსვლას დღესასწაულობენო“ (ი. გოგებ.).

თრომბოზი – თრომბოფლებიტი

თრომბოზი: სისხლძარღვებში თრომბის გაჩენის პროცესი (**თრომბი** – სისხლის შენადედი, რომელიც ჩნდება სისხლძარღვებში); **თრომბოფლებიტი**: ვენების ანთება, რასაც თან სდევს თრომბის გაჩენა.

თქვენოდენი – თქვენოდენა (იხ. ***ამდენი – ამოდენა***)

-თქო – -მეთქი

-თქო: სხვათა სიტყვის გამომხატველი ნაწილაკი; აღნიშნავს პირველი პირის მიერ დანაბარებ სიტყვას, რომელიც მეორე პირმა მესამეს უნდა გადასცეს (წადი და უთხარი, გიორგი გიცდის-**თქო**); **-მეთქი** (< **მე ვთქვი**): პირველი პირის სხვათა სიტყვის ნაწილაკი: „ნეტა, მეც შენისთანა მონადირე ვიყო-**მეთქი**, – ვუთხარი ბიძაჩემს“ (ვაჟა).

თხოვა – თხოვნა – თხოვება

თხოვა (ითხოვს): ცოლის **თხოვა**; **თხოვნა** (სთხოვს): სათხოვარი (მეგობართან ერთი **თხოვნა** ჰქონდა); **თხოვება** (ათხოვებს): მანქანის / წიგნის... **თხოვება**.

თხოვნა – მოთხოვნა

თხოვნა: სათხოვარი; **მოთხოვნა**: ერთი მხარის მიერ მეორისათვის რაიმეს კატეგორიულად, დაჟინებით თხოვნა.

ი

იამბი – იამბიკო

იამბი: 1. ანტიკურ ლექსთწყობაში: ორმარცვლიანი მუხლი, რომლის პირველი მარცვალი მოკლეა, მეორე – გრძელი; 2. მოგვიანო ხანის (კერძოდ, რუსულ) ლექსთწყობაში: ორმარცვლიანი მუხლი, რომლის მეორე მარცვალი მახვილიანია; **იამბიკო**: 1. ძველ ბერძნულ პოეზიაში: ლექსი, რომელიც იამბებისაგან შედგება და სახუმარო, დაცინვითი შინაარსისაა; 2. ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში: ხუთმუხლიანი და თორმეტმარცვლიანი ურითმო ლექსი, რომლის ყოველი სტრიქონი მახვილით ან ცეზურით (ი ხ. ცეზურა) ორ ნაწილად იყოფა.

იდეა – იდეალი

იდეა: მთავარი აზრი, დედააზრი (პროგრესული **იდეა**); **იდეალი**: საოცნებო, მისაბაძი ვინმე ან რაიმე (ზნეობრივი **იდეალი**).

იდეალი – იდილია

იდეალი: საოცნებო, მისაბაძი (ზნეობრივი **იდეალი**), **იდილია**: 1. ლ ი ტ. ძ ვ. პოეტური ნაწარმოები, რომელშიც ასახულია ე. წ. „ბუნების შვილების“ (მწყემსების, მეთევზეების...) ცხოვრება; 2. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება (საქმიანობა): ოჯახური **იდილია**.

იდეალური – იდილიური

იდეალური (მეგობრობა / სიყვარული); **იდილიური** (ცხოვრება).

იდეური – იდეალური – იდეალისტური

იდეური (აღზრდა); **იდეალური** (მეგობარი); **იდეალისტური** (ფილოსოფია).

იეჭვებს – იეჭვიანებს

იეჭვებს (იეჭვა; უეჭვია): ეჭვი დაებადება, ეჭვი აღეძვრის; ეჭვით მიხვდება (გიორგიმ მაშინვე **იეჭვა**, რომ ატყუებდნენ); **იეჭვიანებს** (იეჭვიანა; უეჭვიანია): ეჭვიანობას დაიწყებს (**იეჭვიანებს** მეგობარზე).

იზომავს – იზომებს

იზომავს: ზომავს თავისას (სიცხეს / წნევას **იზომავს**); **იზომებს** (კაბას **იზომებს**).

იკრებს – იკრეფს

იკრებს (მეგობრებს / ძალ-ღონეს); **იკრეფს** (ხილს / ყვავილებს).

იკრიბება – იკრიფება

იკრიბება (ხალხი); **იკრიფება** (ხილი).

ილოცება – ლოცულობს

ილოცება: 1. დასალოც სიტყვებს წარმოთქვამს ვინმეს (მაგ., მოწყალების გამღების) მიმართ; 2. სადღეგრძელოს ამბობს; **ლოცულობს**: ლოცვას წარმოთქვამს.

ილუზია – ალუზია (ი ხ.)

იმდენი – იმოდენა (ი ხ. ***ამდენი – ამოდენა***)

იმიგრანტი – ემიგრანტი (იხ.)

იმიგრაცია – ემიგრაცია (ი ხ.)

იმის(ა)თვის – იმიტომ, იმის გამო

იმის(ა)თვის (მიზანი: **იმის(ა)თვის**, რომ სკოლაში არ დაიგვიანო, ადრე უნდა ადგე); **იმის გამო**, **იმიტომ** (მიზეზი: ლუკას გაკვეთილზე დააგვიანდა **იმიტომ** / **იმის გამო**, რომ სკოლის ეზოში ამხანაგს ელაპარაკებოდა; „ყური **იმიტომ** არ იზრდება, რომ ბევრის გამგონეაო“).

ინანებს – ინანიებს

ინანებს (ინანა; უნანია): სანანებელი გაუხდება; თავისი საქციელით უკმაყოფილო იქნება, ნაწყენი დარჩება; **ინანიებს** (მოინანია; მოუნანიებია): სინანულს გრძნობს და გამოსწორებას ცდილობს (**ინანიებს** ცოდვებს).

ინაცვალებს – ინაცვლებს

ინაცვალებს (ინაცვალა; უნაცვალებია): შეიწირავს, იმსხვერპლებს; **ინაცვლებს** (მოინაცვლა; მოუნაცვლებია): ადგილს იცვლის, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის; შ დ რ .: **გვერდს ინაცვლებს**; **ხელს ინაცვლებს**.

ინდიელები (ინდიელი) – ინდოელები (ინდოელი)

ინდიელები (**ინდიელი**): ამერიკის მკვიდრი ტომები; **ინდოელები** (**ინდოელი**): ინდოეთის ძირითადი მოსახლეობა.

ინერტული – ინერციული

ინერტული: უმოძრაო, უმოქმედო; უინიციატივო; მოდუნებული, მოშვებული (**ინერტული** ადამიანი); შ დ რ.: **ინერტული გაზი**; **ინერციული**: ს პ ე ც. ინერციის ძალით გამოწვეული (**ინერციული** მოძრაობა).

ინკასანტი – ინკასატორი

ინკასანტი: პირი, რომელიც ურიცხავს ბანკს თანხას ინკასოს წესით გასაცემად; **ინკასატო-**

რი: მოლარე, რომელიც დაწესებულების გარეთ იღებს ან გასცემს ფულს.

ინსპექტორი – ინსტრუქტორი

ინსპექტორი: თანამდებობის პირი, რომელიც რაიმე დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის საქმიანობის სისწორეს ამოწმებს; **ინსტრუქტორი**: თანამდებობის პირი, რომელსაც ევალება ინსტრუქციის გაცნობა ვინმესთვის ან რაიმესთვის (**ინსტრუქცია**: 1. სახელმძღვანელო მითითება, დარიგება; 2. რაიმეს შესასრულებლად საჭირო წესების კრებული).

ინსპირაციული – ინსპირირებული

ინსპირაციული: წამქეზებლური (**ინსპირაციული** საქმიანობა); **ინსპირირებული**: წაქეზებული, ჩაგონებული (**ინსპირირებული** ომი).

ინსტინქტი – ინტუიცია

ინსტინქტი: ბ ი ო ლ. თანდაყოლილი მიდრეკილება (მოთხოვნილება) გარკვეული, მიზანშეწონილი, მაგრამ არაცნობიერი მოქმედების შესრულებისადმი (რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის, ცხოველისათვის); შეუგნებელი მისწრაფება (თავდაცვის / გამრავლების **ინსტინქტი**); შ დ რ.: **ინტუიცია**: 1. ალღო; გარემო ვითარებაში გარკვევის უნარი: „რა სწორი **ინტუიციით** გრძნობდა ალექსანდრე ყაზბეგი არა მარტო საქართველოს პეიზაჟს, არამედ მის ისტორიულ წარსულსაც“ (გ. ქიქ.); 2. ფ ი ლ ო ს. ცდის გარეშე სინამდვილის უშუალო წვდომა.

ინტერპელაცია – ინტერპოლაცია

ინტერპელაცია: პ ო ლ ი ტ. შეკითხვა პარლამენტის წევრისა (წევრთა ჯგუფისა) მთავრობის მიმართ რაიმე მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით (**ინტერპელაცია** შეიტანა); **ინტერპოლაცია**: 1. ფ ი ლ ო ლ. შემდეგი დროის ჩანამატი, მინაწერი ლიტერატურული ძეგლის ტექსტში (გადამწერის ან მკითხველის მიერ); 2. მ ა თ ე მ. შუალედურ წევრთა ჩართვა საძიებელ სიდიდეთა ნამდვილი მნიშვნელობის გამოსარკვევად.

ინფორმანტი – ინფორმატორი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ო ფ ი ც. ვინც ინფორმაციას იძლევა რაიმეს შესახებ; ვინც რაიმე ცნობებს აწვდის ვინმეს, მ ა გ რ ა მ **ინფორმანტს** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: ლ ი ნ გ ვ. ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე, რომლისგანაც შეიძლება (ამ ენასთან დაკავშირებული) ინფორმაციის მიღება.

ინფორმატიკა – ინფორმაცია

ინფორმატიკა: დისციპლინა, რომელიც შეისწავლის სამეცნიერო ინფორმაციის სტრუქტურასა და თვისებებს, მის გადაცემასა და გამოყენებას საქმიანობის სხვადასხვა სფეროში (**ინფორმატიკის** დანერგვა); **ინფორმაცია**: ამბავი, შეტყობინება რაიმეს შესახებ (**ინფორმაციის** მოპოვება).

ინფორმაციული – ინფორმირებული

ინფორმაციული: ინფორმაციის შემცველი (**ინფორმაციული** მოხსენება...); **ინფორმირებული**: ინფორმაციის მქონე (**ინფორმირებული** პირები / წრეები...).

იოგა – იოგი

იოგა: 1. იოგების მოძღვრება; 2. მ რ. **იოგები**: იოგის მიმდევრები; **იოგი**: ქსოვილი, რომელიც ამაგრებს სახსარს; შ დ რ.: **ხმის იოგები**.

იოტა – იოტი

იოტა: ბერძნული ანბანის ერთ-ერთი ასოს სახელწოდება; **იოტი**: 1. ლათინურისა და ძველი ქართული ანბანის ერთ-ერთი ასოს სახელწოდება; 2. გ ა დ ა ტ. ძალიან მცირე, პატარა ნაწილი რაიმესი.

იპოსტასი, ჰიპოსტასი – ჰიპოსტაზი

იპოსტასი, **ჰიპოსტასი**: სამების თითოეული წევრი; **ჰიპოსტაზი**: მ ე დ ი ც. სისხლის შეგუბება სხეულის ქვედა ნაწილებსა და ორგანოებში (ემართებათ ავადმყოფებს, რომელთაც გულის მოქმედება აქვთ მოდუნებული).

ისმება – ისმევა

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: სმა შეიძლება (ეს ღვინო, წვენი... **ისმება** / **ისმევა**), მ ა გ რ ა მ: **ისმება** [დ ა ა რ ა ისმევა] (საკითხი / წერტილი...).

ირონია – იუმორი

ირონია: შეფარული დაცინვა; შ დ რ.: **ბედის ირონია**; **იუმორი**: უწყინარი (გონებამახვილური) დაცინვა (სასაცილოდ აგდება რაიმე ნაკლოვანი მხარისა).

ისტერია – ისტერიკა

ისტერია: დაავადება; **ისტერიკა**: დაავადების შეტევა.

ისტერიული – ისტერიკული

ისტერიული (ავადმყოფი); **ისტერიკული** (შეტევა / მდგომარეობა / სიცილი).

ისუნთქავს – ისუნთქებს

ისუნთქავს: შეისუნთქავს (**ისუნთქავს** ჰაერს / წამალს; **ისუნთქებს**: სუნთქვას მოჰყვება.

იუმორი – ირონია (ი ხ.)

იფარავს – იფარებს

იფარავს: 1. ზევიდან რაიმეს იხურავს, იმალავს (სახეს **იფარავს**); 2. შველის, იცავს: „ძალიან ცხელი დღე დადგა, ტყეც აღარ **გვიფარავდა** სიცხისგან“ (ვ. ბარნ.); **იფარებს**: 1. წინიდან იდებს რაიმეს, რომ დაიფაროს: „თინათინი პირზე ხელებს **იფარებს**, სხვამ არ დამინახოს, რომ კბილები მაკლიაო“ (ე. ნინოშ.); 2. თავშესაფარს აძლევს; მალავს, მფარველობს (გაქცეულებს მეგობრები **იფარებდნენ**).

იქნება – იქმნება

იქნება (ხვალ კარგი ამინდი **იქნება**); **იქმნება** (ახალი ორგანიზაციები / პარტიები).

იქუხა – იხუვლა

იქუხა (ტაშმა); **იხუვლა** (ხალხმა).

იღუმენი – იღუმენია

იღუმენი: მამათა მონასტრის წინამძღვარი; არქიმანდრიტის ქვემდგომი; **იღუმენია**: დედათა მონასტრის წინამძღვარი.

იცხებს – იცხობს

იცხებს (შუბლზე ზეთს); **იცხობს** (თავისთვის ნამცხვარს).

იძიებს – ეძებს (იხ.)

იწამლავს – იწამლებს

იწამლავს: საწამლავით იკლავს თავს; **იწამლებს**: წამლებს მიიღებს, იმკურნალებს.

იწყებს – იწყობს

იწყებს (მუშაობას); **იწყობს** (წიგნებს თავისთვის).

იჭდევს – იჭდობს

იჭდევს: ამოიტვიფრავს; გ ა დ ა ტ. საფუძვლიანად იმახსოვრებს: „ისტორია თავის გულის ფიცარზე **იჭდევს** მოძრაობას ერისას“ (ილია);

იჭდობს: აჭდობს თავისაზე, თავისაში; იკრეფს, იწყობს (გულზე ხელებს **იჭდობს**).

იხსენებს – იხსენიებს

იხსენებს (წარსულს); **იხსენიებს** (მეგობარს / წინაპრის სახელს).

იხუვლა – იქუხა (იხ.)

კ

კაზმავს – კმაზავს

კაზმავს: 1. ამკობს, რთავს; 2. ამზადებს სამგზავროდ ცხენს; შ დ რ.: **კმაზავს**: სანელებლებს უკეთებს საჭმელს.

კამპანია – კომპანია

კამპანია: ერთობლივ, კოლექტიურ ღონისძიებათა მიმდინარეობა (საარჩევნო **კამპანია**) ან ერთ საბრძოლო ასპარეზზე გაჩაღებული ომი, ლაშქრობა, რომელიც სათანადო გეოგრაფიულ სახელს უკავშირდება (ყირიმის **კამპანია**); **კომპანია**: სავაჭრო, სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა სახის გაერთიანება, ამხანაგობა (მაგ., **ავიაკომპანია**); გ ა დ ა ტ. წრე, ჯგუფი (მეგობართა **კომპანია**).

კანდიდატი – კანდიდატურა

კანდიდატი (ფილოლოგიის / მათემატიკის... მეცნიერებათა **კანდიდატი**); **კანდიდატურა** (მხარს ვუჭერთ მის **კანდიდატურას**; მისი **კანდიდატურა** მისაღებია; ეს ჩემი **კანდიდატურაა**).

კანონიერი – კანონზომიერი

კანონიერი: კანონის შესაბამისი; გამართლებული; სამართლიანი, ბუნებრივი (**კანონიერი** მოთხოვნა / ქორწინება...); **კანონზომიერი**: საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული მუდმივი და უცილობელი კავშირის შესაბამისი (**კანონზომიერი** განვითარება / პროცესი; ყველაფერი **კანონზომიერად** მოხდა).

კანონიერი – კანონიკური

კანონიერი: კანონის შესაბამისი; გამართლებული; სამართლიანი, ბუნებრივი (**კანონიერი** მოთხოვნა / ქორწინება...); შ დ რ.: **კანონიკური**: საეკლესიო კანონებსა და წესებზე დამყარებული.

კანფეტი – კონფეტი

კანფეტი: საკონდიტრო ნაწარმი, ტკბილეული; **კონფეტი**: ქაღალდის ფერად-ფერადი (პაწაწინა), მრგვალი ნაჭრები, რომლებსაც საზეიმო შეხვედრებზე თავზე აყრიან ერთმანეთს.

კაპრიზი – კაპრისი

კაპრიზი: ახირებული სურვილი, უცნაური აჩემება, ჭირვეულობა; **კაპრისი**: მ უ ს. თავისუფალი ფორმის ინსტრუმენტული პიესა, რომელსაც ახასიათებს მოულოდნელი და ორიგინალური ეფექტი.

კარამბოლი – კარამბოლინა

კარამბოლი: 1. ბილიარდში: დარტყმა ისე, რომ ბურთი მოხვდეს მეორე ბურთს და შემდეგ – უკან წამოსული – მესამეს; 2. თამაში ასეთი დარტყმის გამოყენებით სპეციალურ (ულუზო) ბილიარდზე; 3. ბილიარდის წითელი ბურთი; **კარამბოლინა**: 1. ბილიარდში – ხუთი ბურთით თამაში; 2. ბილიარდის ყვითელი ბურთი.

კარბონატი – კარბონიტი

კარბონატი: 1. ნახშირმჟავა მარილი; 2. საერთო სახელწოდება მინერალებისა, რომლებიც შეიცავენ ნახშირმჟავას; 3. მ ი ნ ე რ. შავი ალმასი; **კარბონიტი**: ფეთქებადი ნივთიერება; სუსტი დინამიტი.

კატალიზი – კატალიზატორი

კატალიზი: ქიმიური რეაქციის გამოწვევა ან მისი სიჩქარის შეცვლა კატალიზატორის მეშვეობით; **კატალიზატორი**: ნივთიერება, რომელიც აჩქარებს ან ანელებს ქიმიურ რეაქციას, მაგრამ თვითონ არ იცვლება.

კატარაქტა – კატარაქტი

კატარაქტა: თვალის ავადმყოფობა; **კატარაქტი**: ორთქლის მანქანებში – სარქველთა ავტომატურად ასახდელი მოწყობილობა.

კაუზატივი – აკუზატივი (ი ხ.)

კედი – კეტი

კედი: სპორტული ფეხსაცმელი; **კეტი**: დიდი ჯოხი.

კვალიტატიური – კვანტიტატიური

კვალიტატიური: თვისებრივი, რაგვარობითი; **კვანტიტატიური**: რაოდენობრივი.

კვალიფიციური – კვალიფიცირებული

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – დაოსტატებული, დახელოვნებული: **კვალიფიციური**, **კვალიფიცირებული** ექიმი / ჟურნალისტი..., მ ა გ რ ა მ **კვალიფიცირებულს** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: განსაზღვრული (მათი საქციელი დანაშაულად იქნა **კვალიფიცირებული**).

კვარცი – კვარციტი

კვარცი: უფერული მინერალი (ყველაზე გავრცელებული დედამიწის ქერქში); სილიციუმის ორჟანგი; **კვარციტი**: ქანი, რომელიც შედგება კვარცისაგან და აქვს სხვა მინერალების მინარევებიც.

კვეთა – კვეთი

კვეთა: ჭრა; **კვეთი**: 1. რაიმეს გადაკვეთის ადგილი, განაკვეთი; 2. დვრიტა.

კვეთს – ჰკვეთს

კვეთს (გზას); **ჰკვეთს** (თავს).

კვორუმი – ფორუმი

კვორუმი: რაიმე ორგანიზაციის კრების მონაწილეთა ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია ამ კრების დადგენილების კანონიერებისათვის; **ფორუმი**: 1. ძ ვ. რომში – მოედანი, სადაც იმართებოდა სახალხო კრებები (თავყრილობები); 2. ადგილი, სადაც იმართება შეკრება; 3. ფართო წარმომადგენლობითი კრება; 4. სპეციალური საიტი ან საიტის ნაწილი ინტერნეტში, რომლის საშუალებითაც მომხმარებლები სხვადასხვა თემაზე საუბრობენ და მსჯელობენ.

კინეტიკა – კინემატიკა

კინეტიკა: თეორიული მექანიკის დარგი, რომელიც მოიცავს დინამიკასა და სტატიკას; **კინემატიკა**: თეორიული მექანიკის დარგი, რომელიც სწავლობს მოძრაობას გეომეტრიული თვალსაზრისით.

კლავირი – კლავიში – კლავიატურა

კლავირი: 1. მ უ ს. ფორტეპიანოზე შესასრულებლად გადაკეთებული საორკესტრო ნაწარმოები (მაგ., ოპერა); 2. კლავიშებიან საკრავთა საერ-

თო სახელწოდება; **კლავიში**: 1. როიალის, პიანინოსა და მსგავსი საკრავების პატარა, მოგრძო ფირფიტა; 2. ერთგვარი პატარა ბერკეტის ბოლო სხვადასხვა სახის მექანიზმში (მასზე თითის დაკვრას მოქმედებაში მოჰყავს მექანიზმი); **კლავიატურა**: კლავიშთა ერთობლიობა (ფორტეპიანოს, კომპიუტერისა და სხვ.).

კლერტი – კლერტა

კლერტი: 1. ყურძნის მტევნის ღერო; 2. ფოთლებგაცლილი წვრილი შტო; **კლერტა**: მრავალწლოვანი სარეველა ბალახი.

კლიენტი – პაციენტი

კლიენტი: მუშტარი, დამკვეთი (საპარიკმახეროს / ადვოკატის / სავაჭრო ორგანიზაციის... **კლიენტი**); შ დ რ.: **პაციენტი**: ავადმყოფი მკურნალი ექიმისათვის.

კმაზავს – კაზმავს (ი ხ.)

კოაგულანტი – კოაგულატი

კოაგულანტი: სახელწოდება ქიმიური ნაერთებისა, რომლებსაც იყენებენ წყლის გასაწმენდად; **კოაგულატი**: ნალექი, რომელიც ჩნდება კოლოიდური ხსნარის კოაგულაციის შედეგად.

კობრა – კობრი

კობრა: მეტისმეტად შხამიანი გველი; **კობრი**: მდინარისა და ზღვის ერთგვარი თევზი.

კოდირება – კოდიფიკაცია, კოდიფიცირება

კოდირება: დაშიფვრა კოდის საშუალებით; **კოდიფიკაცია**, **კოდიფიცირება**: სამართლის ცალკეული დარგების კანონთა სისტემაში მოყვანა, ერთ კრებულში (კოდექსში) გაერთიანება.

კოლაფსი – კომა

კოლაფსი: მ ე დ ი ც. სისხლის წნევისა და გულის მოქმედების დაქვეითება ერთბაშად (ხშირად თან სდევს გონების დაკარგვა); **კომა**: მ ე დ ი ც. უგონო მდგომარეობა (ჰგავს ღრმა ძილს); ხშირად გამოწვეულია ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით.

კოლონა – კოლონადა

კოლონა: 1. ა რ ქ ი ტ. ნაგები სვეტი (შენობისა), რომელსაც ემყარება ჭერი, თაღი; 2. დემონსტრაციის მონაწილენი (ჯარი, სამოქალაქო პირები) ერთიმეორის მიყოლებით; შ დ რ.: ავტომობილების **კოლონა**; **კოლონადა**: გადახურვით დაკავშირებული კოლონების (მნიშვ. 1) მწკრივი.

კოლონისტი – კოლონიზატორი

კოლონისტი: კოლონიის წევრი, კოლონიაში მცხოვრები, სხვა ქვეყნიდან გადმოსახლებული ადამიანი; **კოლონიზატორი**: კოლონიზაციის გამტარებელი.

კომა – კოლაფსი (ი ხ.)

კომანდირი – კომანდორი

კომანდირი: ძვ. მეთაური; **კომანდორი**: 1. ს პ ო რ ტ. საავტომობილო, სამოტოციკლო... გადარბენის უფროსი; 2. ი ს ტ. რაინდთა ორდენებში ერთ-ერთი უმაღლესი წოდებულება; 3. იახტკლუბის თავმჯდომარის წოდებულება (**იახტკლუბი** – სპორტული ორგანიზაცია, რომლის წევრებიც მისდევენ იალქნიანი, ნიჩბიანი ან მოტორიანი ნავებით ცურვის სახეობას).

კომბინატორული – კომბინაციური

კომბინატორული: 1. ლ ი ნ გ ვ. ურთიერთშეპირობებული (**კომბინატორული** ბგერათცვლილება); 2. ს ა უ ბ. კომბინატორისათვის დამახასიათებელი (**კომბინატორი** – ვინც კომბინაციებს აწყობს, ჩვეულებრივ, დაუშვებელს, საჩოთიროს, აკრძალულს); **კომბინაციური**: კომბინაციის ხასიათისა, კომბინაციაზე დამყარებული (**კომბინაციური** განლაგება ჯარისა / ფეხბურთელთა გუნდისა...).

კომიკოსი, კომედიანტი – კომედიოგრაფი

კომიკოსი, **კომედიანტი**: 1. კომიკური როლების შემსრულებელი მსახიობი; 2. გ ა დ ა ტ. ადამიანი, რომელიც ქცევითა და ლაპარაკით სიცილს იწვევს; ოხუნჯი; **კომედიოგრაფი**: კომედიების მწერალი.

კომპანია – კამპანია (ი ხ.)

კომპლექსი – კომპლექტი

კომპლექსი: 1. ერთგვაროვან საგანთა ან მოვლენათა ერთობლიობა (რომელიც ერთ მთლიანს წარმოადგენს): სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხთა **კომპლექსი**; 2. ა რ ქ ი ტ. ნაგებობათა წყება (საერთო დანიშნულების მქონე საცხოვრებელ შენობათა **კომპლექსი**); 3. ლ ი ნ გ ვ. რამდენიმე ბგერისაგან შედგენილი ჯგუფი (თანხმოვანთა ბუნებრივი **კომპლექსი**); 4. ქვეცნობიერად ფორმირებული წარმოდგენების ემოციურად შეფერილი ერთობლიობა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს პიროვნების ფსიქიკისა თუ ქცევის განვითარებასა და ფუნქციონირებაზე. ყოველდღიურ მეტყველებაში **კომპლექსს** ნეგატიური გაგებაც აქვს და გაიგივებულია **არასრულფასოვნების კომპლექსთან**; **კომპლექტი**: სრული შედგენილობა, სრული რიცხვი საგანთა (რომლებიც გარკვეული დანიშნულებით გამოიყენება): სახელმძღვანელოების სრული **კომპლექტი**.

კომპლექსური – კომპლექტური

კომპლექსური: ერთმანეთთან დაკავშირებული, შეთანხმებული, მთლიანი (**კომპლექსური** ღონისძიებები); შ დ რ.: **კომპლექსური მეთოდი**: მეთოდი (სწავლებისა), რომლის მიხედვითაც სხვადასხვა საგნის სწავლება სისტემურად, ერთმანეთთან მიმართებით ხდება; **კომპლექტური**: სხვადასხვა საგნისაგან შედგენილი (**კომპლექტური** პროდუქტი).

კომუნიკაბელური – კომუნიკაციური

კომუნიკაბელური: ვინც ადვილად ამყარებს ურთიერთობას სხვა ადამიანებთან (ადვილად ეკონტაქტება სხვებს); ვისთანაც ადვილია ურთიერთობის დამყარება; **კომუნიკაციური**: რაც კომუნიკაციას ეხება; საკომუნიკაციო (**კომუნიკაცია**: 1. ურთიერთობა (**კომუნიკაციის** ფუნქცია); 2. ურთიერთობის, კავშირის საშუალებანი (მიწისქვეშა / საჰაერო... **კომუნიკაციები**); შდრ.: **სამხედრო კომუნიკაციები**: გზები, რომლებითაც ფრონტზე მყოფი ჯარი უკავშირდება თავის ბაზას).

კონდენსატი – კონდენსატორი

კონდენსატი: კონდენსაციის (შესქელების) შედეგად მიღებული პროდუქტი; შდრ.: **კონდენსატორი**: 1. ელექტრობის დასაგროვებელი ხელსაწყო; 2. აპარატი, რომელშიც ნამუშევარი ორთქლი ცივდება და წყლად იქცევა.

კონდიცირება – კონდიციურობა

კონდიცირება: საქონლისათვის ისეთი სახის მიცემა, რომ შეეფერებოდეს დადგენილ ნორმას, სტანდარტს; **კონდიციურობა**: საჭირო თვისების მქონებლობა; შეთანხმების, ხელშეკრულების პირობის (კონდიციის) შესაბამისობა.

კონვეიერი – კონტეინერი

კონვეიერი: განუწყვეტლივ მოქმედი მოწყობილობა, რომელსაც გადააქვს მასალა, ნაწილები

ან ტვირთი საწარმოს ფარგლებში; **კონტეინერი**: სტანდარტული სათავსი (ჩვეულებრივ, დიდი ყუთი) შეუფუთავი ტვირთის გადასაზიდად.

კონვენცია – კონვექცია

კონვენცია: შეთანხმება, ხელშეკრულება (სახელმწიფოთა შორის რაიმე სპეციალურ საკითხზე დადებული ხელშეკრულება); **კონვექცია**: მიტანა, მიზიდვა; სითბოს ან ელექტრომუხტების გადატანა ჰაერის, წყლის მიერ.

კონიექტურა – კონიუნქტურა

კონიექტურა: ტექსტის დამახინჯებული ადგილის აღდგენა შინაარსის მიხედვით; **კონიუნქტურა**: 1. შექმნილი ვითარება, მდგომარეობა; 2. სასაქონლო მეურნეობის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა.

კონკორდანსი – კონკორდატი

კონკორდანსი: ანბანურ რიგზე დალაგებული სია ამა თუ იმ წიგნში ხმარებული ყველა სიტყვისა (და სიტყვათა ყველა ფორმისა) მათი ხმარების ადგილის ჩვენებით; სიმფონია; **კონკორდატი**: რომის პაპსა და ამა თუ იმ სახელმწიფოს მთავრობას შორის დადებული შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს მათს ურთიერთობას.

კონსონანსი – კონსონანტი

კონსონანსი: რამდენიმე ბგერის ჰარმონი-

ული შეხამება, კეთილხმოვნება (ს ა პ ი რ ი ს პ. **დისონანსი**); შ დ რ.: **კონსონანტი**: თანხმოვანი ბგერა.

კონსტრუქტორული – კონსტრუქციული

კონსტრუქტორული: კონსტრუქტორისთვის დამახასიათებელი (**კონსტრუქტორი** – ახალი კონსტრუქციების შემქმნელი, მაგ., თვითმფრინავების): **კონსტრუქტორული** ნიჭი / ალღო; **კონსტრუქციული**: კონსტრუქციიდან გამომდინარე, კონსტრუქციის ხასიათისა (**კონსტრუქცია**: 1. აგებულება, აღნაგობა, მაგ., მანქანის, მექანიზმის; 2. ნაგებობა, მანქანა, მათი ნაწილები).

კონტრაბანდული – კონტრაბანდისტული

კონტრაბანდული: კონტრაბანდად შემოტანილი ან გატანილი (**კონტრაბანდა** – საქონლის ფარულად გატანა-შემოტანა სახელმწიფო საზღვარზე); **კონტრაბანდისტული**: კონტრაბანდისტისთვის დამახასიათებელი (**კონტრაბანდისტი** – ფარულად, არაკანონიერად მოვაჭრე).

კონფერანსი – კონფერანსიე

კონფერანსი: თ ე ა ტ რ. მოკლე საოხუნჯო მოთხრობა, რომელსაც კონფერანსიე ჰყვება (საზოგადოების გასართობად); **კონფერანსიე**: თ ე ა ტ რ. წარმოდგენის (საესტრადო, საცირკო...) მონაწილე პირი, რომელიც აცნობს მაყურებელს შესასრულებელი პროგრამის ნომერს და ამავდროულად ართობს მას (საკუთარი სახუმარო მონათხრობებით).

კონფეტი – კანფეტი (იხ.)

კოოპერაცია – კოოპერირება

კოოპერაცია: 1. შრომის ორგანიზაციის თავისებური ფორმა – როცა ბევრი ადამიანი მონაწილეობს ერთსა და იმავე (ან სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებულ) შრომის პროცესში; 2. მასობრივი სავაჭრო და მისთ. გაერთიანება, რომელიც იქმნება მისი წევრების სახსრებით; შ დ რ.: **კოოპერატივი**: კოოპერაციული მაღაზია; **კოოპერირება**: კოოპერაციის საწყისებზე გაერთიანება.

კორექტივი – კორექტურა

კორექტივი: შესწორება (დადგენილების ტექსტში **კორექტივი** შეიტანეს); **კორექტურა**: 1. სტამბაში აწყობილი ტექსტის გასწორება (**კორექტურაზე** მუშაობა); 2. ანაწყობის ანაბეჭდი, რომელიც უნდა გასწორდეს.

კორექტული – კორექტურული

კორექტული: სწორი, მოსაწონი, ტაქტიანი (**კორექტული** საქციელი); **კორექტურული**: კორექტურასთან დაკავშირებული (**კორექტურული** შეცდომა).

კოჭა – კოჭი

კოჭა: ს პ ე ც. ტროპიკული ეთერზეთოვანი მცენარე; ამ მცენარის ფესვი (ხმარობენ სანელებ-

ლად); **კოჭი**: 1. სპეც. ჩონჩხის ერთი ძვალი; 2. ბავშვების სათამაშო; 3. გათლილი ძელი სახლის მშენებლობისათვის.

კრავს – ჰკრავს

კრავს (ბარგს); **ჰკრავს** (ხელს).

კრებადი – კრებითი – კრებსითი

კრებადი: სპეც. ერთად თავმოყრილი, შეჯგუფებული (**კრებადი** სხივები); **კრებითი**: გრამატ. კრებითი სახელი – ერთგვაროვან საგანთა ერთობლიობის გამომხატველი სიტყვა (მაგ., ხალხი, გუნდი...); **კრებსითი**: სპეც. შეერთებული; ნაკრები (**კრებსითი** კატალოგი).

კრებს – კრეფს

კრებს (ხალხს); **კრეფს** (ხილს).

კრიზი – კრიზისი

კრიზი: მედიც. სისხლძარღვების დროებითი სპაზმური შეკუმშვა, რომელიც წარმოიქმნება უეცრად; ახასიათებს ძლიერი ტკივილი (ჰიპერტონიული **კრიზი**); **კრიზისი**: 1. მძაფრი გარდატეხა, ცვლილება; მწვავე მდგომარეობა, რომელიც გარდატეხას წინ უსწრებს; 2. მედიც. გადამწყვეტი გარდატეხის მომენტი მწვავე დაავადების მიმდინარეობისას; შდრ.: მთავრობის **კრიზისი**; ეკონომიკური **კრიზისი**.

კრიმინალი – კრიმინალისტი

კრიმინალი: სისხლის სამართლის დანაშაული (ეს სიტყვა ხშირად შეცდომით გამოიყენება **დამნაშავის** მნიშვნელობით); **კრიმინალისტი**: კრიმინალისტიკის სპეციალისტი.

კრიმინალური – კრიმინალისტური – კრიმინალისტიკური

კრიმინალური: სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებული (**კრიმინალური** ვითარება); **კრიმინალისტური**: კრიმინალისტისათვის (კრიმინალისტიკის სპეციალისტისათვის) დამახასიათებელი (**კრიმინალისტური** საქმიანობა); **კრიმინალისტიკური**: კრიმინალისტიკისათვის დამახასიათებელი (**კრიმინალისტიკა** – სამართ. მოძღვრება სისხლის სამართლის შესახებ): **კრიმინალისტიკური** ლიტერატურა.

კრიტიკანი – კრიტიკოსი

კრიტიკანი: ყველაფერში ნაკლის მძებნელი, წვრილმანებს გამოკიდებული, არაობიექტური; **კრიტიკოსი**: 1. მხატვრული ნაწარმოების გამრჩევ-შემფასებელი: „**კრიტიკოსი** არის გამრჩევი თხზულებისა“ (ილია); 2. ვინც კრიტიკას ეწევა; გამკილავი; სუსტი მხარეების მძებნელი.

კრუპი – კრუპიე

კრუპი: მედიც. ხორხის ლორწოვანი გარსის ანთება, რომელსაც თან სდევს სულის ხუთვა;

კრუპიე: სამორინეს (კაზინოს) თანამფლობელი ან მოსამსახურე, რომელიც ხელმძღვანელობს ან თვალყურს ადევნებს თამაშს.

ლ

ლაბიალური – ლაბილური

ლაბიალური: ლ ი ნ გ ვ. ბაგისმიერი ბგერა; შ დ რ.: **ლაბილური**: არამტკიცე, არამდგრადი, მერყევი (**ლაბილური** სისტემა).

ლაგუნა – ლაკუნა

ლაგუნა: წყალმცირე ყურე ან ტბა, რომელიც მოწყვეტილია ზღვისგან; **ლაკუნა**: 1. ა ნ ა ტ. ქსოვილებს ან ორგანოებს შორის არსებული ფოსო, ღრმული, სიცარიელე; 2. ფ ი ლ ო ლ. ნაკლული ადგილი, ხარვეზი რაიმე ტექსტში.

ლაკები (ლაკი) – ლეკები (ლეკი)

ლაკები (**ლაკი**): დაღესტნის ერთ-ერთი მკვიდრი ხალხის სახელი; **ლეკები** (**ლეკი**): დაღესტნის მკვიდრ ხალხთა (დაღესტნელების) ტრადიციული ქართული სახელი.

ლამპა – ლამფა

ლამპა: 1. გასანათებელი მოწყობილობა (**ლამპის** შუშა; **ლამპა** აანთეს); 2. სხვადასხვა სახის გასახურებელი და გასანათებელი ხელსაწყო (**სარჩილავი** ლამპა); **ლამფა**: ჭერის თხელი ფიცარი (კოჭებზე ქვევიდან მიჭედებული); ასეთი ფიცრის ჭერი.

ლანცეტი – პინცეტი

ლანცეტი: ექიმის (ქირურგის) ორპირიანი დანა; შ დ რ.: **პინცეტი**: ბოლოებწაწვრილებული ლითონის პატარა მაშა; იხმარება მედიცინაში ოპერაციების, შეხვევის... დროს, აგრეთვე – ტექნიკასა თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ლეგალური – ლეგირებული

ლეგალური: კანონით აღიარებული, ნებადართული, ღია, აშკარა (**ლეგალური** პარტია / გაზეთი...); **ლეგირებული**: ტ ე ქ. რაიმე ლითონში სხვა ლითონის შერევით მიღებული ახალი შენადნობი.

ლეგირება – ლეგიტიმაცია – ლეგიტიმიზმი

ლეგირება: რაიმე ლითონში სხვა ლითონის შეყვანა გარკვეული ქიმიური შედგენილობისა და თვისებების მქონე შენადნობის მისაღებად; **ლეგიტიმაცია**: რაიმე უფლების ან რწმუნების კანონიერების აღიარება ან დამტკიცება; **ლეგიტიმიზმი**: პოლიტიკური მიმართულება, რომელსაც სახელმწიფო წესწყობილების მთავარ პრინციპად მიაჩნია ხელისუფლებაზე რომელიმე დინასტიის მემკვიდრეობის უფლება.

ლევკემია, ლეიკემია – ლევკომა, ლეიკომა

ლევკემია, **ლეიკემია**: მ ე დ ი ც. ქრონიკული დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია სისხლში ლეიკოციტების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა; თეთრსისხლიანობა; **ლევკომა**, **ლეიკომა**: მ ე დ ი ც. თვალის რქოვანას შემღვრევა (თეთრად); ლიბრი.

ლიბერალიზმი – ლიბერალიზაცია

ლიბერალიზმი: თავისუფალი აზროვნება; იდეოლოგიური მიმართულება; უარყოფით მოვლენებთან შემრიგებლობა; ზედმეტი შემწყნარებლობა; **ლიბერალიზაცია**: რაიმე საქმიანობაზე შეზღუდვათა შემცირება ან მოხსნა; შ დ რ.: **ფასების ლიბერალიზაცია** – ფასების გადასვლა სახელმწიფო სისტემიდან საბაზროზე.

ლითოგრაფია – ლითოლოგია

ლითოგრაფია: 1. ნაწერის ან ნახატის ქაღალდზე გადაბეჭდვა სპეციალური ბრტყელი ქვის ზედაპირიდან (და არა ანაწყობის, შრიფტის, კლიშეს საშუალებით); 2. ასეთი ბეჭდვის საამქრო ან წარმოება; **ლითოლოგია**: გეოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს დანალექ ქანებს.

ლიკვიდური – ლიკვიდირებული

ლიკვიდური: 1. ფ ი ნ ა ნ ს. რისი განაღდებაც (ფულად ქცევა) ადვილად შეიძლება; 2. ლ ი ნ გ ვ. იგივეა, რაც ნარნარა ბგერები; **ლიკვიდირებული**: ვისი (რისი) ლიკვიდაციაც მოხდა (**ლიკვიდაცია**: 1. რაიმე წარმოების, საქმიანობის შეწყვეტა, დახურვა, გაუქმება; 2. ვინმეს ან რაიმეს მოსპობა; ბოლოს მოღება).

ლინგვისტური – ლინგვისტიკური

ლინგვისტური (ალღო); **ლინგვისტიკური** (მეთოდი).

ლირიზმი – ლირიკა

ლირიზმი: ლირიკური განწყობილება, ხასიათი; **ლირიკა**: ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი სახეობა (გამოხატავს ადამიანის გრძნობებს, განცდებს; ასეთი სახის ნაწარმოებთა ერთობლიობა, მაგ., ნ. ბარათაშვილის **ლირიკა**).

ლიტერატურული – სალიტერატურო

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – მხატვრული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი (**ლიტერატურული** / **სალიტერატურო** ენა, ფორმა...); შ დ რ.: **ლიტერატურული** მემკვიდრეობა / ფაქტი / ტრადიციები / მოღვაწეობა, მ ა გ რ ა მ **სალიტერატურო ენა**: ლიტერატურაში, მწერლობაში გამოყენებული ენა, რომელიც გარკვეული ნორმებით არის განსაზღვრული (**სალიტერატურო** ენის ისტორია, **სალიტერატურო** ენის კურსი; **სალიტერატურო** ენის ნორმები).

ლიტრი – ლიტრა

ლიტრი: სითხის საზომი ერთეული; **ლიტ-**

რა: თიხის პატარა ვიწროყელიანი ჭურჭელი (ზოგ დიალექტში გამოიყენება **ლიტრის** სინონიმად).

ლიტურგია – ლიტურგიკა

ლიტურგია: მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება; **ლიტურგიკა**: მოძღვრება მღვდელმსახურების შესახებ.

ლიტურგიული – ლიტურგიკული

ლიტურგიული: ლიტურგიასთან დაკავშირებული (**ლიტურგიული** მსახურება); **ლიტურგიკული**: ლიტურგიკასთან დაკავშირებული (**ლიტურგიკული** ძეგლები).

ლოგისტიკა – ლოგიციზმი

ლოგისტიკა: 1. გამოანგარიშების, მსჯელობის ხელოვნება; 2. სპეც. მათემატიკური ლოგიკის განვითარების ერთ-ერთი ეტაპი; **ლოგიციზმი**: სპეც. მეცნიერული მიმდინარეობა, რომელიც რაიმე დარგის ცნებებსა და კატეგორიებს განიხილავს, როგორც ლოგიკის ცნებათა და კატეგორიათა გამოსახულებას.

ლოგისტიკა – ლოჯისტიკა

ლოგისტიკა: 1. გამოანგარიშების, მსჯელობის ხელოვნება; 2. სპეც. მათემატიკური ლოგიკის განვითარების ერთ-ერთი ეტაპი; **ლოჯისტიკა**: მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა.

ლოგოპათი – ლოგოპედი

ლოგოპათი: ვისაც ლოგოპათია სჭირს, ენამოშლილი; **ლოგოპედი**: ლოგოპედიის სპეციალისტი.

ლოგოპათია – ლოგოპედია

ლოგოპათია: დეფექტური მეტყველება, ენამოშლილობა; **ლოგოპედია**: მეცნიერება დეფექტური მეტყველების მკურნალობის შესახებ.

ლორწოვანი – ლორწოიანი

ლორწოვანი: ლორწოს შემცველი (**ლორწოვანი** ქსოვილის გარსი); **ლორწოიანი**: ლორწოთი დაფარული (**ლორწოიანი** კანი / ლოკოკინა).

ლოცმანი – ბოცმანი (იხ.)

ლოცულობს – ილოცება (იხ.)

მ

მაგდენი – მაგოდენა (იხ. ***ამდენი – ამოდენა***)

მაგისტრი – მაგისტრანტი – მაგისტრატი

მაგისტრი: 1. სამეცნიერო ხარისხი ან ამ ხარისხის მქონე პირი; 2. ისტ. შუა საუკუნეებში

ბერმონაზვნური ან რაინდული ორდენის მეთაურის ტიტული; ამ ტიტულის მქონე პირი; **მაგისტრანტი**: პირი, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის მაგისტრატურაში სწავლობს; **მაგისტრატი**: დასავლეთ ევროპაში – ქალაქის მმართველობა; ძველ რომში – სახელმწიფო თანამდებობა; ამ თანამდებობაზე მყოფი პირი.

მაგნეტონი – მაგნეტრონი

მაგნეტონი: მაგნიტური მომენტის გასაზომი ერთეული, რომელიც მიღებულია ბირთვულ ფიზიკაში; **მაგნეტრონი**: ელექტრომილაკი, რომელშიც ელექტრონულ ნაკადზე ერთდროულად მოქმედებს მუდმივი ელექტრული და მაგნიტური ველები.

მაგნიუმი – მანგანუმი

მაგნიუმი: რბილი ლითონი, წვის დროს გამოყოფს კაშკაშა ალს; **მანგანუმი**: ძნელდნობადი მაგარი ლითონი.

მადლიანი – მადლიერი

მადლიანი: 1. მადლის მქონე: „მაზიარე, შენი ჭირიმე, შენი **მადლიანი** ხელით“ (ილია); 2. კეთილი, სანდო: „მოდი, ერთი **მადლიანი** საქმე ჰქენ და წიგნი მასწავლე!“ (ილია); 3. სანდომიანი, მიმზიდველი: „იმას ერთი **მადლიანი**, ჯეირანივით ლამაზი გოგო ჰყავდა“ (ილია); **მადლიერი**: მადლობის გრძნობის მქონე; კმაყოფილი, მადლობელი: „იცი, ძმობილო, რა **მადლიერი** ვარ შენი!?“ (ვაჟა).

მათ – მათმა

მათ (როგორც სუბიექტი: **მათ** თქვეს / მოგვიკითხეს / დაგვირეკეს...); **მათმა** (როგორც მსაზღვრელი: **მათმა** მეგობარმა / შვილმა...).

მანდატარი – მანდატური

მანდატარი: პირი ან სახელმწიფო, რომელმაც რწმუნებულების დამადასტურებელი დოკუმენტი (მანდატი) მიიღო; **მანდატური**: ი ს ტ. ბოქაული, იასაული: „საქართველოში **მანდატურებს** მცველების მოვალეობა ჰქონდათ“ (ი. ჯავახ.); შ დ რ.: სასამართლოს, საჯარო სკოლის **მანდატურები**.

მანერა – მანია

მანერა: 1. მოქმედების, ქცევის თავისებურება; ჩვევა; შ დ რ.: მ რ. **მანერები**: ყოფაქცევის ნორმები; 2. მწერლის, მხატვრის... შემოქმედების თავისებური სტილი; **მანია**: 1. ადამიანის ავადმყოფური ფსიქიკური მდგომარეობა, როდესაც მთელი მისი გრძნობა და გონება რაიმე ერთი იდეისაკენ არის მიმართული (განდიდების... **მანია**); 2. ძლიერი მიდრეკილება რაიმესადმი.

მანიფესტი – მანიფესტაცია

მანიფესტი: 1. უმაღლესი ხელისუფლების სა-

ზეიმო მიმართვა მოსახლეობისადმი ახალი კანონის გამოცემის ან სხვა მნიშვნელოვანი შემთხვევის გამო; 2. საპროგრამო ხასიათის მოწოდება (რომელიმე პოლიტიკური პარტიის, მიმდინარეობის...); **მანიფესტაცია**: საჯარო, მასობრივი გამოსვლა რაიმე პოლიტიკური ხასიათის მოვლენის მიმართ თანაგრძნობის, სოლიდარობის ან პროტესტის ნიშნად; დემონსტრაცია.

მანკიანი – მანკიერი

მანკიანი: მანკის მქონე; ნაკლიანი, ზადიანი: „**მანკიანი** და უმანკო – ყველა აქ მოეშურებოდა“ (ი. მანსვეტ.); **მანკიერი**: უარყოფითი, ცუდი (სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებში გაკიცხულია ადამიანთა **მანკიერი** თვისებები).

მანქანური – სამანქანო

მანქანური (დამუშავება ტექსტისა); **სამანქანო** (გზა).

მარბენალი – მარბიელი

მარბენალი: ვინც ან რაც დარბის („დედის წინ **მარბენალი** კვიცი“); შ დ რ.: **მარბიელი**: ვინც არბევს, დამრბევი (**მარბიელი** ჯარი).

მარკიზა – მარკიზი

მარკიზა: მარკიზის ცოლი ან ქალიშვილი; **მარკიზი**: თავად-აზნაურთა ტიტული (გრაფზე

მაღალი და ჰერცოგზე დაბალი); ამ ტიტულის მქონე პირი.

მარხვა – მარხულობა

მარხვა: განსაზღვრული დროით ყოველგვარი ან ცალკეული სახის საკვების აკრძალვის რელიგიური წესი; დრო, რომლის განმავლობაშიც სრულდება ეს რელიგიური წესი; **მარხულობა**: მარხვის შენახვა, მარხვის წესების დაცვა.

მასესხებელი – მსესხებელი

მასესხებელი: ვინც ასესხებს; **მსესხებელი**: ვინც სესხულობს.

მასიური – მასობრივი – მასური

მასიური: დიდი მოცულობის მქონე, მძიმე (**მასიური** ავეჯი / ქანდაკება); **მასობრივი**: მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობით განხორციელებული რამ (**მასობრივი** არეულობა / გამოსვლა); **მასური**: ფ ი ზ. მასის მიხედვით (**მასური** წონა).

მასტიტი – მასტოპათია

მასტიტი: სარძევე ჯირკვლის ანთება (ლაქტაციის პერიოდში რძის დაგროვების ფონზე განვითარებული პროცესი); **მასტოპათია**: ძუძუს ყოველგვარი დაავადება (ჰორმონალური დისბალანსის ფონზე განვითარებული პროცესი).

მატერიალური – მატერიალისტური

მატერიალური: ნივთიერი, ფიზიკური, რეალური, ხორცშესხმული (**მატერიალური** სამყარო / კულტურა / მდგომარეობა / ბაზა...); **მატერიალისტური**: მატერიალიზმთან დაკავშირებული (სამყაროს **მატერიალისტური** გაგება; **მატერიალისტური** თეორია).

მატრიკული – მეტრიკული

მატრიკული: უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტის ჩათვლის წიგნაკი; **მეტრიკული**: ამონაწერი, მოწმობა დაბადების თარიღის შესახებ.

მაქსიმალური – მაქსიმალისტური

მაქსიმალური: უდიდესი, ყველაზე მეტი (ს ა პ ი რ ი ს პ. **მინიმალური**): **მაქსიმალური** რაოდენობა; **მაქსიმალისტური**: მაქსიმალიზმის ან მაქსიმალისტისათვის დამახასიათებელი (**მაქსიმალიზმი** – რაიმე უკიდურესი მოთხოვნის წამოყენება; გადაჭარბებულობა): **მაქსიმალისტური** მიდგომა.

მალნარი – ბალნარი (იხ.)

მაშველი – მეშველი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – მშველელი, შემწე; ვინც ან რაც შველის: „**მაშველ** ჯარს თხოულობსო ყველისციხის პატრონი“ (კ. გამს.); „დაბრიყვებულს **მეშველად** პირველი ჩალხო აღუჩნდებოდა“ (ვაჟა), მ ა გ რ ა მ: ლ ი ნ გ ვ. **მეშველი** [და არა მაშველი] **ზმნა**; შ დ რ.: **მაშველები** (ზღვის სანაპიროზე); **მაშველი** (ფეხსაცმლისათვის).

მაცხოვრებელი – მცხოვრები

მაცხოვრებელი: ვინც ვინმეს აცხოვრებს; შ დ რ.: ს ა უ ბ. **კარგი** (= შეძლებული) **მაცხოვრებელი**; **მცხოვრები**: ის, ვინც ცხოვრობს (რამდენი **მცხოვრებია** ქალაქში?).

მაძებარი, მაძიებელი, მძებნელი – მეძებარი

მაძებარი, **მაძიებელი**, **მძებნელი** (სიმართლის **მაძებარი** / **მაძიებელი** / **მძებნელი**); შდრ.: **ხარისხის მაძიებელი**; **მეძებარი**: ძაღლის ჯიში.

მაწოვარი, მაწოვებელი, მწოვებელი – მწოვარი – მწოველი, მწოვი

მაწოვარი, **მაწოვებელი**, **მწოვებელი**: ვინც აწოვებს (**მაწოვარი** / **მაწოვებელი** / **მწოვებელი** დედა); **მწოვარი**: ვინც ან რაც ძუძუს წოვს (**მწოვარი** ბავშვი / ბოკვერი / ლეკვი...); შ დ რ.: **ძუძუმწოვარი**; **მწოველი**, **მწოვი**: სისხლისმწოველი.

მახარებელი – მახარობელი

მახარებელი: სახარების (ოთხთავის) ერთ-ერთი მთხრობელი (მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე); **მახარობელი**: კარგი ამბის მაუწყებელი.

მახლობელი – ახლობელი (იხ.)

მგზავრი – მოგზაური

მგზავრი: გზაში მყოფი; ვინც მგზავრობს; **მოგზაური**: სამოგზაუროდ, მხარეთა დასათვალიერებლად, მოსახილველად მავალი.

მგზავრობა – მოგზაურობა

მგზავრობა: შორ გზაზე სვლა (მანქანით, მატარებლით...); **მოგზაურობა**: რაიმე მიზნით სხვადასხვა მხარეში სიარული.

მგზავრობს – მოგზაურობს

მგზავრობს: გზაშია (მეტროთი **მგზავრობს**); **მოგზაურობს**: მოგზაურობაშია (**მოგზაურობს** სხვადასხვა ქალაქსა თუ ქვეყანაში).

მდაბალი – დაბალი (იხ.)

მედიატორე – მედიატორი

მედიატორე: შუამავალი, მომრიგებელი; **მედიატორი**: თხელი ფირფიტა ზოგი სიმებიანი საკრავის ასაჟღერებლად.

მევალე – მოვალე

მევალე: ვალის გამცემი, გამსესხებელი; **მოვალე**: 1. ვალის ამღები, ვისაც ვალი მართებს; 2. ვისაც რაიმე ევალება; ვალდებული.

მევალეობა – მოვალეობა

მევალეობა: მევალედ ყოფნა; **მოვალეობა**: 1. რაც ევალება, ეკისრება ვინმეს; ვალდებულება (მოქალაქეობრივი / საპატიო **მოვალეობა**); 2. თანამდებობა (დირექტორის **მოვალეობის** შემსრულებელი).

მეზვერე – მეზვრე

მეზვერე: ძვ. მებაჟე, ზვერის ამღები; **მეზვრე**: ზვრის (ვენახის) მომვლელი და მცველი.

მეთანი – მეთილი – მეთილენი

მეთანი: ქიმ. უფერო გაზი, ნახშირბადისა და წყალბადის ნაერთი; **მეთილი**: ქიმ. ერთი ატომი ნახშირბადისა და სამი ატომი წყალბადისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც შედის სხვადასხვა ორგანული ნაერთის შედგენილობაში; **მეთილენი**: ქიმ. ერთი ატომი ნახშირბადისა და ორი ატომი წყალბადისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც შედის სხვადასხვა ორგანული ნაერთის შედგენილობაში.

მეთაური – მოთავე

მეთაური: წინამძღოლი, ხელმძღვანელი, უფროსი; სამხედრო ან საზღვაო დანაყოფის უფროსი (ოცეულის / რაზმის... **მეთაური**); **მოთავე**: ამა თუ იმ ღონისძიების წამომწყები, ინიციატორი (ექსკურსიის / შეკრების... **მოთავე**).

მეთოდი – მეთოდიკა

მეთოდი: მოვლენის კვლევის ხერხი, მიდგომა (ორიგინალური **მეთოდი**); **მეთოდიკა**: 1. ამგვარ ხერხთა სისტემა; 2. პედაგოგიკის დარგი.

მეთოდური – მეთოდიკური

მეთოდური: რაიმე მეთოდთან დაკავშირებული (**მეთოდური** რჩევა-დარიგება); **მეთოდიკური**: სწავლების, პრაქტიკულად შესრულების ხერხთა ერთობლიობასთან, მეთოდიკასთან დაკავშირებული (**მეთოდიკური** ლიტერატურა).

-მეთქი – -თქო (ი ხ.)

მეკავშირე – მოკავშირე

მეკავშირე: სპეც. კავშირის დამამყარებელი სამხედრო ქვედანაყოფებს შორის ბრძოლის დროს (**მეკავშირე** დილით დაბრუნდა); **მოკავშირე**: ვისაც (რასაც) კავშირი აქვს შეკრული ვინმესთან (რამესთან): **სტრატეგიული მოკავშირეები**.

მელოდია – მელოდიკა

მელოდია: ბგერათა გარკვეული თანამიმდევრობა (რაც ქმნის მუსიკალურ მთლიანობას); ჰანგი, მოტივი; **მელოდიკა**: მოძღვრება მელოდიის შესახებ.

მესაზღვრე – მოსაზღვრე

მესაზღვრე: საზღვრის მცველი ჯარისკაცი (**მესაზღვრეთა** რაზმი); **მოსაზღვრე**: 1. რაც ესაზღვრება რაიმეს; მომიჯნავე (**მოსაზღვრე** სახელმწიფოები / კუთხეები / ეზოები...); 2. გ ა დ ა ტ. მონათესავე (**მოსაზღვრე** დისციპლინები...).

მესია – მისია

მესია: 1. იუდეველთა რწმენით – ებრაელთა მხსნელი; 2. ქრისტეს ეპითეტი; **მისია**: 1. საგანგებო დავალება, დანიშნულება, როლი; 2. დიპლომატიური წარმომადგენლობა; 3. მისიონერთა ორგანიზაცია.

მესისხლე – მოსისხლე

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – სისხლის აღებით შურისმაძიებელი: „**მესისხლენი** გრგვინავდნენ ამოღებულ დანითა“ (ი. გრიშ.); „ხალხნო და ჯამაათნო! ორი **მოსისხლე** გვარი უნდა გაასამართლოთ“ (ა. ყაზბ.), მ ა გ რ ა მ **მოსისხლეს** განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვს: 1. დაუძინებელი, შეურიგებელი მტერი: „იმ დღიდან წინანდელი **მოსისხლე** მტრები შეიქნენ გულითადი მეგობრები“ (ი. გოგებ.); 2. სისხლისმსმელი: „სვავებს, ორბებს, ყვავებს და სხვა **მოსისხლე** ფრინველთაც უკვე სუნი აეღოთ“ (ვაჟა).

მეტაფრაზი – მეტაფრასი

მეტაფრაზი: ლიტერატურული ტექსტის ში-

ნაარსის სხვა სიტყვებით გადმოცემა (ჩვეულებრივ, ლექსისა პროზად); **მეტაფრასი**: შესწორებული და გავრცობილ-შევსებული საეკლესიო ლიტერატურული ნაწარმოები, უპირატესად ჰაგიოგრაფიული ჟანრისა.

მეტეორი – მეტეორიტი

მეტეორი: კოსმოსური წარმოშობის გავარვარებული სხეული, რომელიც სწრაფად მოძრაობს დედამიწის ატმოსფეროში; **მეტეორიტი**: კოსმოსური წარმოშობის რკინის ან ქვის სხეული, რომელიც დედამიწაზე ჩამოვარდა.

მეტრი – მეტრო

მეტრი: 1. სიგრძის საზომი ერთეული; 2. ლექსთწყობის ზომა ან მუსიკალური ტაქტის ძლიერი და სუსტი ნაწილების სიმეტრიული განაწილება; 3. საფრანგეთში – მოძღვარი, მასწავლებელი, ადვოკატი; **მეტრო**: მეტროპოლიტენი.

მეტროპოლია – მეტროპოლიტენი

მეტროპოლია: კოლონიების მფლობელი სახელმწიფო; **მეტროპოლიტენი**: მიწისქვეშა ან მიწისზედა ელექტრორკინიგზა დიდ ქალაქებში.

მეურვე – მეურნე

მეურვე: მზრუნველი, ზედამხედველი; **მეურნე**: ვინც მეურნეობას ეწევა.

მექანიკოსი – მექანისტი

მექანიკოსი: მექანიკის სპეციალისტი: ინჟინერი, ტექნიკოსი, მუშა; **მექანისტი**: ფ ი ლ ო ს. მექანისტური მატერიალიზმის მიმდევარი.

მეშველი – მაშველი (იხ.)

მეძებარი – მაძებარი (იხ.)

მეწინავე – მოწინავე

მეწინავე: წინ მავალი (**მეწინავე** ჯარი); **მოწინავე**: განვითარების დონის მიხედვით წინ მდგომი; წარმატებული (**მოწინავე** სახელმწიფო / სტუდენტი / მუშაკი...).

მთარგმნელი – თარჯიმანი (იხ.)

მთიელი – მთიული

მთიელი: მთის მკვიდრი, მთაში მცხოვრები; **მთიული**: საქართველოს ერთ-ერთი კუთხის, მთიულეთის მკვიდრი ქართველი.

მთლად – მთლიანად

მთლად (გაგიჟდა); **მთლიანად** (შეჭამა).

მიგრანტი – ემიგრანტი (იხ.)

მიგრაცია – ემიგრაცია (იხ.)

მიზომება – მიზომვა

მიზომება (ტანსაცმლისა); **მიზომვა** (ადგილისა).

მიმართ – მიმართულებით

მიმართ (საყვედური ითქვა ოპონენტის **მიმართ** [და არა მიმართულებით]); **მიმართულებით** (ქალაქის / სოფლის **მიმართულებით**).

მიმართვა – მიმართება – მიმართულება

მიმართვა: 1. შეკითხვა; თქმა (ვინმესთვის): „დედის ამისთანა **მიმართვაზე** ტურიკო შეკრთომით თავს ზანტად მაღლა ასწევდა ხოლმე“ (ი. ელეფთ.); 2. მოწოდება; 3. იქით მიქცევა, მიშვერა; 4. გ ა დ ა ტ. წარმართვა: „მტერი მოიწადინებს ძალების **მიმართვას** ჩვენი მოკავშირეების წინააღმდეგ“ (ი. აგლ. თარგმ.); **მიმართება**: შეფარდება, დამოკიდებულება: გამოითქვა აზრი ამ საკითხთან **მიმართებით**; **მიმართულება**: 1. გეზი; კურსი (ქარის / ტალღების **მიმართულება**); 2. გ ა დ ა ტ. მსვლელობა, ხასიათი: „რაც შეიძლება ვცდილობდი, საუბარი გამება და მათი განწყობილებისათვის სხვა **მიმართულება** მიმეცა“ (ა. ბელ.); 3. დაჯგუფება; 4. გ ა დ ა ტ. შეხედულება; თვალსაზრისი, მრწამსი: „ეგ ძველთაძველი ძილისპირები შენთვის შეინახე, მე კი ახალი **მიმართულების** კაცი ვარ და თავზე ლაფს ვერ დავისხამ“ (ილია).

მიმკვდარი – მიმკვდარებული

მიმკვდარი: გ ა დ ა ტ. რაიმეზე თავგადადებული (საქმეს **მიმკვდარი** მუშა); **მიმკვდარებული**: ვინც ან რაც მიმკვდარდა ან მიამკვდარეს; გულწასული; გ ა დ ა ტ. ძალაგამოლეული; დაღლილ-დაქანცული (**მიმკვდარებული** ჩიტი / ადამიანი...).

მისაგები – მისაგებელი – მისაგებებელი

მისაგები: 1. რაც უნდა მიუგონ, საპასუხო (**მისაგები** სიტყვა); 2. ძ ვ. სამაგიერო (სასჯელი); **მისაგებელი**: რაც უნდა მიაგონ; რისი ღირსიცაა; რაც ეკუთვნის; სამაგიერო (თავისი **მისაგებელი** მიიღო); შ დ რ.: **მიცვალებულის მისაგებელი**; **მისაგებებელი**: ვისაც ან რასაც უნდა მიეგებონ; შესახვედრი (**მისაგებებელი** სტუმარი).

მისადგმელი – მისადგომი

მისადგმელი: რაც უნდა მიადგან, მისაყუდებელი (**მისადგმელი** კიბე); **მისადგომი**: 1. რასთანაც მისვლა შეიძლება (**მისადგომი** კლდე / ადგილი); 2. მ რ. **მისადგომები**: საიდანაც მიადგებიან ქალაქს; ქალაქის მიმდებარე ტერიტორიები (თბილისის **მისადგომები**); 3. ნაპირი, რომელსაც გემები მიადგებიან.

მისი – თავისი (იხ.)

მისია – მესია (ი ხ.)

მისტერია – მისტიკა – მისტიციზმი – მისტიფიკაცია

მისტერია: 1. საიდუმლო რელიგიური წესების შესრულება; 2. ლ ი ტ. დრამა ბიბლიური ხასიათის სიუჟეტზე; **მისტიკა**: მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ბუნებაში ბატონობენ იდუმალი და ზებუნებრივი ძალები; **მისტიციზმი**: 1. საიდუმლო რელიგიური წესები ძველ საბერძნეთში; 2. რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელსაც შესაძლებლად მიაჩნია ზებუნებრივ ძალებთან ურთიერთობა; **მისტიფიკაცია**: სიმართლის დამალვა; საკითხის, ამბის სხვაგვარად წარმოჩენა; ვინმეს განზრახ შეცდენა, მოტყუება.

მისტიკოსი – მისტიფიკატორი

მისტიკოსი: მისტიციზმის მიმდევარი; **მისტიფიკატორი**: ვინც მისტიფიკაციას ეწევა.

მიტანა – მიტანება

მიტანა: რაიმეს წაღება გარკვეულ ადგილამდე (ბარგის შინ **მიტანა**); შ დ რ.: **იერიშის** / **ენის** / **ეჭვის**... **მიტანა**; **მიტანება**: 1. მიღწევა, მისვლა (ეზომდე / შემოდგომამდე **მიტანება**); 2. ხელის წავლება; წაწვდომა; 3. მიყოლება (ნამცხვრის / ტორტის **მიტანება** ჩაისთან, ყავასთან).

მიყოლა – მიყოლება

მიყოლა: 1. ვინმესთან (რამესთან) ერთად

სვლა; გაყოლა: „ის რომ ცხენს გააჭენებს, გვერდით **მიყოლას** ვერავინ შეძლებს“ (შ. არაგვ.); 2. გ ა დ ა ტ. მიბაძვა; აყოლა: „სხვების **მიყოლით**, მიბაძვით არ გადაადგა ბიჯი“ (აკაკი); შ დ რ.: **საქმის ბოლომდე მიყოლა**; **მიყოლება** (მიაყოლებს): ბიჭუნას პურზე ყველის **მიყოლება** უყვარს; ბავშვები ერთმანეთის **მიყოლებით** გამოვიდნენ საკლასო ოთახიდან.

მკითხავი – მკითხველი

მკითხავი: ვინმეს მომავლის, ბედის წინასწარ შემტყობი, მარჩიელი, მისანი; **მკითხველი**: 1. ვინც კითხულობს; კითხვის მოყვარული; 2. კითხვის მიმცემი, შემკითხველი.

მნიშვნელი – მნიშვნელობა

მნიშვნელი: 1. დამნიშვნელი; 2. მ ა თ ე მ. გამყოფი განაყოფის წილადად გამოხატვისას; **მნიშვნელობა**: 1. აზრი, შინაარსი (სიტყვის **მნიშვნელობა**); 2. ღირებულება, ფასი, დანიშნულება, როლი (ნაშრომის **მნიშვნელობა**); შ დ რ.: დღეს წაიკითხავ თუ ხვალ, არა აქვს **მნიშვნელობა** [დ ა ა რ ა მნიშვნელი].

მოგზაური – მგზავრი (ი ხ.)

მოგზაურობა – მგზავრობა (ი ხ.)

მოგზაურობს – მგზავრობს (ი ხ.)

მოგონილი – მოგონებული

მოგონილი: გამოგონილი (**მოგონილი** ჭორი...); **მოგონებული**: გახსენებული (**მოგონებული** ბავშვობა...).

მოდგა – მოსდგა

მოდგა (აქეთ **მოდგა**); **მოსდგა** (ცოლი **მოსდგა** მთვრალ ქმარს).

მოდგამს – მოსდგამს

მოდგამს (ფეხს); **მოსდგამს** (მამა-პაპისგან).

მოდელი – მოდული

მოდელი: 1. ნიმუში, რომლის მიხედვითაც აკეთებენ რაიმე საგანს; 2. რაიმე საგნის დაპატარავებული ნიმუში; 3. გეომეტრიული ნახაზი, სქემა (ატომის აგებულების **მოდელი**); 4. ტანსაცმლის ნიმუში (კაბის / შარვლის... **მოდელი**); 5. განსაკუთრებული გარეგნული მონაცემების მქონე ქალი ან კაცი (ტანსაცმლის, კოსმეტიკის... დემონსტრირებისათვის); შ დ რ.: **მოდული**: 1. ზუსტ მეცნიერებაში – ზოგი კოეფიციენტის სახელწოდება (დრეკადობის **მოდული**); 2. რიცხვი, რომელზედაც უნდა გამრავლდეს ერთი სისტემის ლოგარითმი მეორე სისტემის ლოგარითმის მისაღებად; 3. ა რ ქ ი ტ. სვეტის რადიუსი ან დიამეტრი.

მოდელირება – მოდულირება

მოდელირება: 1. მოდელის (მოდელების) დამზადება; 2. ქანდაკებასა და ფერწერაში – ზედაპირის დამუშავება, ფაქტურის შექმნა; 3. დახვეწა, დამუშავება; შ დ რ.: **მოდულირება**: 1. გადასვლა, გარდაქმნა, მოდულაცია; 2. მ უ ს. ერთი ტონალობიდან მეორეზე გადასვლა; 3. ფ ი ზ. მაღალი სიხშირის ელექტრორხევათა ამპლიტუდის ცვლა; 4. ფ ი ზ. ბგერის მიერ გამოწვეულ ელექტრორხევათა გარდაქმნა სინათლის კონად.

მოდერნიზებული – მოდერნისტული

მოდერნიზებული: რამაც მოდერნიზაცია განიცადა, რასაც მოდერნიზაცია შეეხო (**მოდერნიზებული** მანქანა); **მოდერნისტული**: მოდერნიზმისა თუ მოდერნისტისთვის დამახასიათებელი (**მოდერნისტული** ძიება / ხედვა...).

მოდერნიზმი – მოდერნიზაცია

მოდერნიზმი: ლ ი ტ., ხ ე ლ ო ვ ნ. მიმდინარეობა; იმპრესიონიზმის, ექსპრესიონიზმის... საერთო სახელწოდება; **მოდერნიზაცია**: გათანამედროვება, განახლება (მანქანის / დეტალის **მოდერნიზაცია**).

მოდული – მოდუსი

მოდული: 1. ზუსტ მეცნიერებაში – ზოგი კოეფიციენტის სახელწოდება (დრეკადობის **მოდული**); 2. რიცხვი, რომელზედაც უნდა გამრავლდეს ერთი სისტემის ლოგარითმი მეორე სისტემის ლოგარითმის მისაღებად; 3. ა რ ქ ი ტ. სვეტის რადიუსი ან დიამეტრი; შ დ რ.: **მოდუსი**: ფ ი ლ ო ს. ტერმინი, აღმნიშვნელი ისეთი თვისე-

ბისა, რომელიც საგანს ახასიათებს მხოლოდ მის ზოგიერთ მდგომარეობაში.

მოვალე – მევალე (იხ.)

მოვალეობა – ვალდებულება (იხ.)

მოვალეობა – მევალეობა (იხ.)

მოვლენა – მოვლინება

მოვლენა: თანამედროვე ქართულში **მოვლენა** ძირითადად იხმარება **ამბის**, **შემთხვევის**, **ფაქტის** მნიშვნელობით (ბუნების **მოვლენები**; ეს **მოვლენა** მეცნიერებმა შეისწავლეს...); **მოვლინება** (ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა რეგიონიდან ენათმეცნიერთა **მოვლინება** ჩვეულებრივი ფაქტია); შ დ რ.: **მივლინება**.

მოთავე – მეთაური (იხ.)

მოთმენა – მოთმინება

მოთმენა: გაძლება, ატანა (ამის **მოთმენა** უკვე აღარ შეიძლება); **მოთმინება**: მოთმენის უნარი: „**მოთმინებაც** კარგი საქონელია“ (ანდაზა); შ დ რ.: **მოთმინებიდან გამოიყვანს**; **მოთმინებას დაკარგავს**; **მოთმინების ფიალა**.

მოთხოვნა – თხოვნა (იხ.)

მოთხოვნა – მოთხოვნილება

მოთხოვნა: ერთი მხარის მიერ მეორისათვის რაიმეს კატეგორიულად, დაჟინებით თხოვნა; **მოთხოვნილება**: ბუნებრივი, შინაგანი, ფიზიოლოგიური საჭიროება (სულიერი / სასიცოცხლო / ფიზიოლოგიური... **მოთხოვნილება**).

მოკავშირე – მეკავშირე (იხ.)

მოკვდავი – მომაკვდავი

მოკვდავი: ვინც კვდება საერთოდ; **მომაკვდავი**: ვინც ან რაც კვდება ამჟამად.

მოკვდომა – მოკვდინება

მოკვდომა: სიკვდილი; **მოკვდინება**: მოკვლა.

მომადლება – მომადლიერება

მომადლება: ბოძება (**მომადლება** ნიჭისა / ღირსებისა); **მომადლიერება**: გულის მოგება (**მომადლიერება** მეგობრისა / მეზობლისა).

მომადლებული – მომადლიერებული

მომადლებული: მონიჭებული, ბოძებული (**მომადლებული** ნიჭი / ღირსება); **მომადლიერებული** (ადამიანი).

მომაკვდინებელი – სასიკვდილო

მომაკვდინებელი (ცოდვა / სიტყვა / საქციელი); **სასიკვდილო** (ჭრილობა / განაჩენი).

მომკითხავი – მომკითხველი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ვინც მოიკითხავს (ვინმეს ან რაიმეს); ამბის მკითხველი, მაგრამ **მომკითხავს** სხვა მნიშვნელობაც აქვს: პასუხის მომთხოვნი.

მომსახურე – მოსამსახურე

მომსახურე (პერსონალი); **მოსამსახურე** (**მოსამსახურის** ოჯახი); შდრ.: **მოსამსახურე** (= მოახლე) გოგონა.

მომსწრე – მომსწრები

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ვინც მოესწრო (რაიმეს); მნახველი, მხილველი: „ვაი, იმ დღის **მომსწრეს**“ (აკაკი); „ღამე ვიდოდა ცხენითა, უკან იახლის ლამპრები, ამგვარი ყოფა-ქცევისა არავინ იყო **მომსწრები**“ (რ. ერისთ.), მაგრამ **მომსწრებს** სხვა მნიშვნელობაც აქვს: ვინც მოასწრებს; რაიმეს დროზე გამკეთებელი, დროზე შემსრულებელი.

მომხმარე – მომხმარებელი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: გამომყენებელი; ვინც მოიხმარს, მაგრამ მათ განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვთ – **მომხმარე**: დამხმარე; **მომხმარებელი**: მყიდველი.

მონაგარი – მონაგები

მონაგარი: 1. გარჯით ნაშოვნი (ოფლით **მონაგარი**); 2. შვილები, შთამომავლობა; **მონაგები**: 1. მოგებული; შენაძენი; 2. პირუტყვის მიერ შობილი (საქონლის **მონაგები**).

მონოპოლიური – მონოპოლისტური

მონოპოლიური: ერთპიროვნული; უპირატესი უფლების მქონე; **მონოპოლისტური**: მონოპოლიზმის პრინციპებზე დამყარებული (**მონოპოლისტური** კაპიტალიზმი).

მონუმენტური – მონუმენტალისტური

მონუმენტური [და არა მონუმენტალური] (ნაგებობა / გამოკვლევა); **მონუმენტალისტური** (ხედვა / ალღო).

მორალური – მორალისტური

მორალური: ზნეობრივი (**მორალური** პრინციპები); **მორალისტური**: მორალისტისთვის დამახასიათებელი: **მორალისტური** ხედვა (**მორალისტი** – ზნეობის მასწავლებელი).

მოსაგონარი – მოსაგონებელი

მოსაგონარი: ვინმეს გასახსენებლად განკუთვნილი (წინაპრის **მოსაგონარი** შეისვა); **მოსაგონებელი**: რაც უნდა მოიგონონ ან გაიხსენონ (**მოსაგონებელი** ამბავი).

მოსავალი – მოსასვლელი

მოსავალი: აღებული პროდუქციის მთელი რაოდენობა (პურის / ყურძნის **მოსავალი**); **მოსასვლელი**: 1. რითაც უნდა მოვიდნენ: **მოსასვლელი** [და არა მოსავალი] გზა; 2. ვინც, რაც უნდა მოვიდეს.

მოსაზრება – თვალსაზრისი (იხ.)

მოსაზღვრე – მესაზღვრე (იხ.)

მოსაკრები – მოსაკრეფი

მოსაკრები (ხალხი); **მოსაკრეფი** (ხილი).

მოსალოცი – მოსალოცავი

მოსალოცი(ბარათი);**მოსალოცავი** (ადგილები).

მოსარჩელე – მოსარჩლე

მოსარჩელე: ვინც სარჩელს აღძრავს სასამართლოში (საპირისპ. **მოპასუხე**); **მოსარჩლე**: ვინც ესარჩლება ვინმეს; ქომაგი, მფარველი.

მოსაშუშავი, მოსაშუში – მოსაშუშებელი

მოსაშუშავი, **მოსაშუში** (ხახვი); **მოსაშუშებელი** (ჭრილობა).

მოსახმარი – მოსახმარებელი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – რაც უნდა მოიხმარონ, გამოსაყენებელი; მაგრამ **მოსახმარებელს** სხვა მნიშვნელობაც აქვს: ვისაც უნდა მოეხმარონ; დასახმარებელი.

მოსდგა – მოდგა (იხ.)

მოსდგამს – მოდგამს (იხ.)

მოსწავლე – მოწაფე

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ვინც სწავლობს, მაგრამ **მოწაფეს** სხვა მნიშვნელობაც აქვს: ვინმეს მოძღვრებისა თუ პრაქტიკული საქმიანობის მიმდევარი, გამგრძელებელი (ქრისტეს **მოწაფეები**).

მოსწყვეტს – მოწყვეტს (იხ.)

მოტანა – მოტანება

მოტანა: რაიმეს წამოღება იქიდან; მოზიდვა; შდრ.: **ამბის** / **სარგებლობის მოტანა**; **მოტანება**: 1. მოღწევა, მოსვლა; მოახლოება: „სიბნელის **მოტანებამდე** გზა დახშული იყო“ (ე. ნინოშ.); 2. რამეში მოქცევა, მოყოლება: თითის კარში **მოტანება**.

მოუთმენლად – სულმოუთქმელად

მოუთმენლად: ისე, რომ ვერ ითმენს: „მოხუცი **მოუთმენლად** მივარდა აბგას“ (ნ. ლორთქ.); **სულმოუთქმელად**: ისე, რომ სული არ მოუთქვამს; შეუსვენებლად, ძლიერ სწრაფად: „ბიჭმა

ერთი ჩაფი ღვინო **სულმოუთქმელად** დაცალა“ (ნ. ლორთქ.).

მოუცილებელი – მოუცლელი

მოუცილებელი (ჭირი); **მოუცლელი** (კაცი).

მოუხდის – გადაუხდის (ი ხ.)

მოყვარული – მოყვრული

მოყვარული (სამშობლოს **მოყვარული**); **მოყვრული** (დამოკიდებულება).

მოშუშული – მოშუშებული

მოშუშული (ხახვი / ხორცი...); **მოშუშებული** (ჭრილობა / წყლული).

მოცურავე – მცურავი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ვინც ან რაც ცურავს (**მოცურავე**, **მცურავი** ბავშვი / ბატები...), მ ა გ რ ა მ მათ განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვთ – **მოცურავე**: ცურვის მცოდნე, ოსტატი (**მოცურავეებმა** წარმატებას მიაღწიეს); **მცურავი**: წყლის ზედაპირზე მოტივტივე (**მცურავი** ნაფოტი); შ დ რ.: **მცურავი**: გველი.

მოწამე – მოწმე

მოწამე: ვინც ეწამება, მარტვილობს; **მოწმე**: ვინც დაესწრო ან შეესწრო შემთხვევას; მნახველი.

მოწაფე – მოსწავლე (იხ.)

მოწინავე – მეწინავე (იხ.)

მოწყვეტს – მოსწყვეტს

მოწყვეტს (ყვავილს); **მოსწყვეტს** (მზერას ქალს).

მოხვედრა – მოხვედრება

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია (**მოხვედრა**, **მოხვედრება** მიზანში / ნიშანში...), მ ა გ რ ა მ **მოხვედრას** სხვა მნიშვნელობაც აქვს (უნივერსიტეტში **მოხვედრა**; ჯარში / კომპანიაში... **მოხვედრა**).

მოხსენება – მოხსენიება

მოხსენება: 1. საჯარო გამოსვლა; 2. უფროსისათვის რაიმეს შეტყობინება სიტყვიერად ან წერილობით (**მოხსენება** საკითხისა...); **მოხსენიება**: ვინმეს მოგონება, ხსენება (კეთილად ან ცუდად).

მჟავა – მჟავე

მჟავა (აზოტისა / გოგირდისა...); **მჟავე** (გემო); შ დ რ.: **კიტრის** / **კომბოსტოს**... **მჟავე**.

მრავალმნიშვნელობიანი – მრავალმნიშვნელოვანი

მრავალმნიშვნელობიანი (სიტყვა); **მრავალმნიშვნელოვანი** (ღიმილი).

მრავალნაყოფიანი – მრავალნაყოფიერი

მრავალნაყოფიანი: რაც ერთდროულად მრავალ ნაყოფს იძლევა; **მრავალნაყოფიერი**: დიდად ნაყოფიერი (**მრავალნაყოფიერი** შრომა).

მრავალწერტილი – მრავალი წერტილი

მრავალწერტილი: პუნქტ. **მრავალწერტილი** (...) გამოიყენება გაწყვეტილი სიტყვის ან დაუმთავრებელი ფრაზისა თუ წინადადების ბოლოს, მათ შორის ციტატის არასრულად მოყვანისას; **მრავალი წერტილი** (ნინომ თეთრ წინსაფარზე მელნის **მრავალი წერტილი** შეამჩნია).

მრუდე – მრუდი

მრუდე: ის, რაც გამრუდებულია, არასწორი (**მრუდე** ხაზი); **მრუდი** (ტემპერატურის **მრუდი**).

მსაჯი – მსაჯული

მსაჯი: სპორტ. პირი, რომელიც სჯის რაიმე სპორტულ თამაშს, შეჯიბრებას; **მსაჯული**: ვინც სჯის, ასამართლებს; მოსამართლე (სახალხო / ნაფიცი **მსაჯული**).

მუმია – მუმიო (// მუმიე)

მუმია: 1. ხრწნისაგან დაცული ადამიანის გვამი ან ცხოველის ლეში; 2. გადატ. მეტისმეტად გამხდარი ადამიანი; 3. გადატ. უსიცოცხლო, მოდუნებული ადამიანი: „მირიანი იჯდა

მუმიასავით“ (რ. გვეტ.); **მუმიო** *(// **მუმიე**)*: ბიოლოგიური წარმოშობის პროდუქტი (გამოიყენება სამკურნალოდ).

მუშტი – მუშტა

მუშტი: მოკუმშული ხელის მტევანი; მჯიღი: „კაი იმას, ვისაც ჩალხოს მოქნეული **მუშტი** მოხვდებოდა“ (ვაჟა); **მუშტა**: 1. ხარაზების იარაღი ლანჩის დასატკეპნად: „სარტყელში გამაგრებული ჰქონდათ ხარაზებს **მუშტა**“ (ი. გრიშ.); 2. სპეც. სხვადასხვა შვერილი (მუშტის მსგავსი), რომელიც ბიძგებით ამოძრავებს მანქანის მექანიზმს.

მფარავი – მფარველი

მფარავი: 1. ვინც ან რაც ფარავს, მალავს; მმალავი (სიმართლის **მფარავი**); 2. ვინც ან რაც იფარავს, იცავს; მცველი (**მფარავი** სათვალე...); **მფარველი**: გადატ. მზრუნველი; დამცველი (**მფარველი** ანგელოზი).

მფრთხალი – ფრთხილი

მფრთხალი: ვინც ან რაც ფრთხის, მხდალი (**მფრთხალი** მტრედები); **ფრთხილი**: ვინც წინასწარ ითვალისწინებს მოსალოდნელ საფრთხეს (**ფრთხილი** კაცი / ნადირი...); შდრ.: **ფრთხილი საქციელი** / **ნაბიჯი** / **ძილი**.

მყოფი – მყოფელი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია

და ნიშნავს – ვინც იმყოფება, ვინც არის სადმე (ან რაიმეში); არსებული: „რომ ბედში **მყოფი** შენ ძმად მიგაჩნდეს, ეგ ვერაფერი სიყვარულია“ (ილია); „სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა **მყოფელი**“ (დ. გურამ.), მ ა გ რ ა მ **მყოფელს** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს – მქნელი: „ბრუნავს და ბრუნავს ქვეყანა, სიკვდილ-სიცოცხლის **მყოფელი**“ (ბაჩ.).

მცდელობა – ცდა

მცდელობა: მოსინჯვა; ცდა რაიმე მოქმედების შესასრულებლად (ხშირად – წარუმატებელი); **ცდა**: 1. მოქმედება რაიმეს შესასრულებლად (რისი განხორციელებაც საეჭვოა): „**ცდა** ბედის მონახევრეა“; 2. მოვლენის გამოკვლევა ხელოვნურ პირობებში; ექსპერიმენტი (**ცდის** დაყენება / ჩატარება); 3. ლოდინი (**ცდა** არ ღირს, წავიდეთ).

მცნება – ცნება

მცნება: დიდაქტიკური აზრის (ზნეობრივი ხასიათის გამონათქვამების) შემცველი წინადადება: მაგ., **ათი მცნება**; „მოჰყევ დავითის **მცნებასა**“ (დ. გურამ.); **ცნება**: ერთი სიტყვის მნიშვნელობა (მაგ., სამშობლოს **ცნება**).

მცხოვრები – მაცხოვრებელი (იხ.)

მწერალი – მწერელი

მწერალი (გამოჩენილი **მწერალი**); **მწერელი** (ბედის **მწერელი**).

მწერლობა – დამწერლობა (იხ.)

მჭამელი – მჭამელა

მჭამელი: 1. ვინც ან რაც ჭამს; 2. ვინც კარგი, მადიანი ჭამა იცის, ჭამის მოყვარული; **მჭამელა**: კანის, ტყავის, ძვლის დამაზიანებელი ავადმყოფობა.

მხატვრული – სამხატვრო

მხატვრული (ნაწარმოები / თვალსაზრისი / ხედვა / გემოვნება / გაფორმება); შ დ რ.: **მხატვრული ტანვარჯიში**; **სამხატვრო** (გალერეა / აკადემია); შ დ რ.: **სამხატვრო ხელმძღვანელი**.

ნ

ნააბანოები – ნააბანოევი

ნააბანოები: ვინც იბანავა; აბანოში ნამყოფი (**ნააბანოები** ბავშვი...); **ნააბანოევი**: ადგილი, სადაც ადრე აბანო იყო.

ნაასპარეზები – ნაასპარეზევი

ნაასპარეზები: ვინც იასპარეზა; **ნაასპარეზევი**: სადაც ასპარეზი იყო.

ნაბარი – ნაბარები – ნაბარევი

ნაბარი: რაც დაბარეს, დაბარული; **ნაბარები**: მინაბარები; დანაბარები; **ნაბარევი**: 1. ბარში (დაბლობში) ნამყოფი; 2. ცხვრის ავადმყოფობა.

ნავარჯიშები – ნავარჯიშევს

ნავარჯიშები: ვინც ან რაც ავარჯიშეს; ვინც ივარჯიშა; **ნავარჯიშევს** [და არა ნავარჯიშებს]: ვარჯიშის შემდეგ.

ნავახშმი, ნავახშმები – ნავახშმევს

ნავახშმი, **ნავახშმები**: ვინც ივახშმა; **ნავახშმევს** [და არა ნავახშმებს]: ვახშმის შემდეგ.

ნაზამთრი, ნაზამთრალი, ნაზამთრები – ნაზამთრევს

ნაზამთრი, **ნაზამთრალი**, **ნაზამთრები**: ვინც ან რამაც ზამთარი გამოიარა, ზამთარგამოვლილი; **ნაზამთრევს** [და არა ნაზამთრებს]: ზამთრის შემდეგ.

ნათათბირები – ნათათბირევს

ნათათბირები: ის, რაც მოითათბირეს, ნაბჭობი, მოთათბირებული; **ნათათბირევს** [და არა ნათათბირებს]: თათბირის შემდეგ.

ნათდება – ნათლდება

ნათდება: სინათლე, შუქი ეფინება (ოთახი **ნათდება**); **ნათლდება**: განათლებას იღებს (ბავშვი **ნათლდება**).

ნათხოვი – ნათხოვნი – ნათხოვარი

ნათხოვი: ვინც ცოლად ითხოვეს; **ნათხოვნი**: რაც მოითხოვეს (**ნათხოვნი** პენსია...); **ნათხოვარი**: რაც სხვას გამოართვეს დროებით სახმარებლად, დროებით გამოსაყენებლად (**ნათხოვარი** მანქანა / წიგნი).

ნაკლოვანი, ნაკლულევანი, ნაკლულოვანი – ნაკლული

ნაკლოვანი, **ნაკლულევანი**, **ნაკლულოვანი**: ნაკლის მქონე, ნაკლის შემცველი, ნაკლიანი; **ნაკლული**: რასაც რაიმე აკლია; რაც სრული (სავსე) არ არის (**ნაკლული** ბოთლი).

ნაკრები – ნაკრეფი

ნაკრები: 1. შეკრებილი (ხალხი / მასალა); 2. სპორტ. საუკეთესო სპორტსმენებისაგან შედგენილი გუნდი (საქართველოს **ნაკრები**); **ნაკრეფი**: რაც მოკრიფეს, მოკრეფილი.

ნამარხულები, ნამარხულევი – ნამარხულევს

ნამარხულები, **ნამარხულევი**: ვინც იმარხულა; **ნამარხულევს** [და არა ნამარხულებს]: მარხვის შემდეგ.

ნამყოფი – ყოფილი

ნამყოფი (სოფელში / მთაში...); **ყოფილი** (პრეზიდენტი / დირექტორი / ქმარი...).

ნაოპერაციები – ნაოპერაციევი

ნაოპერაციები: ვისაც ოპერაცია გაუკეთეს; **ნაოპერაციევი**: ადგილი, რომელზედაც ოპერაცია გაკეთდა.

ნაპატიები – ნაპატივები

ნაპატიები (დანაშაული); **ნაპატივები**: კარგად მოვლილი (**ნაპატივები** საქონელი...).

ნაპატრონალი, ნაპატრონევი – ნაპატრონები

ნაპატრონალი, **ნაპატრონევი**: პატრონად ნამყოფი (**ნაპატრონალი** / **ნაპატრონევი** კაცი); **ნაპატრონები**: ვისაც (რასაც) უპატრონეს, მოუარეს (კარგად **ნაპატრონები** ბავშვი / ვენახი...).

ნასადილები – ნასადილევს

ნასადილები: ვინც ისადილა; **ნასადილევს** [და არა ნასადილებს]: სადილის შემდეგ.

ნასამხრი, ნასამხრები – ნასამხრევს

ნასამხრი, **ნასამხრები**: ვინც ისამხრა; **ნასამხრევს** [და არა ნასამხრებს]: სამხრის შემდეგ.

ნასაუზმები – ნასაუზმევს

ნასაუზმები: ვინც ისაუზმა; **ნასაუზმევს** [და არა ნასაუზმებს]: საუზმის შემდეგ.

ნასწავლი – ნასწავლები

ნასწავლი (კაცი / გაკვეთილი...), მაგრამ **ნასწავლები**: რაც ასწავლეს, რაც ვინმესგან შეისწავლეს (დედის **ნასწავლები**).

ნატურალური – ნატურალისტური

ნატურალური: 1. ბუნებრივი; 2. ის, რასაც პროდუქტით, საქონლით (და არა ფულით) იხდიან (**ნატურალური** გადასახადი); 3. სუფთა, შეურეველი (**ნატურალური** ღვინო / თაფლი...); **ნატურალისტური**: ნატურალიზმისთვის დამახასიათებელი, ნატურალიზმიდან გამომდინარე (**ნატურალიზმი** – ლიტერატურასა და ხელოვნებაში: მიმდინარეობა, რომელიც აიგივებს ბუნებისა და საზოგადოების კანონებს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სინამდვილის გარეგნულ მხარეს).

ნაქმარები – ნაქმრევი

ნაქმარები: ვისაც ქმარი ჰყავდა; **ნაქმრევი**: ვინც ქმარი იყო.

ნაქორწინები – ნაქორწილები – ნაქორწილევს

ნაქორწინები: ვინც იქორწინა; **ნაქორწილები**: ქორწილში ნამყოფი; **ნაქორწილევს** [და არა ნაქორწილებს]: ქორწილის შემდეგ.

ნაღველი – ნაღველა

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – მომწვანო-ყვითელი ფერის მწარე სითხე, რომელსაც გამოიმუშავებს ღვიძლი, მაგრამ **ნაღველს** სხვა მნიშვნელობაც აქვს: გადატ. სევდა, დარდი, მწუხარება: „რა იციან მეგობრებმა, თუ რა **ნაღველს** იტევს გული“ (გ. ტაბ.).

ნაშვილები – ნაშვილევი

ნაშვილები: ვინც იშვილეს; **ნაშვილევი**: შვილნაყოლი.

ნაჩუქურთმები – ნაჩუქურთმევი

ნაჩუქურთმები: ჩუქურთმით შემკული; **ნაჩუქურთმევი**: ადგილი, სადაც ჩუქურთმა იყო.

ნაჩქარები – ნაჩქარევი

ნაჩქარები: ანაჩქარები, აჩქარებული; **ნაჩქარევი**: ნაადრევი; ზედმეტად ჩქარი, სწრაფი (**ნაჩქარევი** პასუხი / დასკვნა / გადაწყვეტილება).

ნაციონალიზმი – ნაციონალიზაცია, ნაციონალიზება

ნაციონალიზმი: 1. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა; მოძრაობა დამონებულ ქვეყნებში უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ; 2. პოლიტიკა, რომლის მიზანია ეროვნული შუღლის გაღვივება; **ნაციონალიზაცია**,

ნაციონალიზება: კერძო საკუთრების (მიწის, წარმოების, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის) უსასყიდლოდ გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში.

ნაციონალური – ნაციონალისტური

ნაციონალური: ეროვნული (**ნაციონალური** ტანსაცმელი / დროშა / უმცირესობა...); **ნაციონალისტური**: პოლიტ. ნაციონალიზმთან დაკავშირებული; ნაციონალისტისათვის დამახასიათებელი (**ნაციონალისტური** ქმედება / ხედვა).

ნაცნობი – ცნობილი

ნაცნობი: ვისაც, რასაც იცნობენ (**ნაცნობი** გოგონა / ქუჩა / მუსიკა / წიგნი...); **ცნობილი**: პოპულარული, აღიარებული (**ცნობილი** მეცნიერი / მსახიობი...).

ნაწარმი – ნაწარმოები

ნაწარმი (რძის / საკონდიტრო... **ნაწარმი**); **ნაწარმოები** (მხატვრული / მუსიკალური... **ნაწარმოები**).

ნაწილი – წილი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – მთელის შემადგენელი ერთეული; ის, რისგანაც მთელი შედგება: „ფულს ხუთ **ნაწილად** ყოფდა“ (ილია), „მზე უშენოდ არ იქნების, რადგან შენ ხარ მისი **წილი**“ (რუსთაველი),

მ ა გ რ ა მ მათ განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვთ – **ნაწილი**: 1 რაიმე ნაწარმოების, თხზულების, პიესის დასრულებული ნაკვეთი, თავი (რომანი შედგება ორი **ნაწილისაგან**); 2. ზოგი ორგანიზაციის (ოფისის) განყოფილება (საფინანსო **ნაწილი**); 3. ს ა მ ხ. ჯარის ერთეული (სატანკო **ნაწილი**); შ დ რ.: **მეტყველების ნაწილები**; **წილი**: რაც არგუნეს (ერგო) ვინმეს (რაიმეს გაყოფისას); ხვედრი, კერძი: „ბუტიას **წილი** გემრიელია“ (ანდაზა); შ დ რ.: **წილს დაიდებს**; **წილის ყრა**; **წილად ხვდება**.

ნება – ნებართვა

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ვინმესგან მოპოვებული უფლება, თანხმობა (**ნება** / **ნებართვა** მისცეს), მ ა გ რ ა მ **ნება**: უფლება ან შესაძლებლობა თავისი შეხედულების, სურვილის მიხედვით მოქმედებისა (გიორგი თავისი **ნებით** დაბრუნდა სოფელში); **ნებართვა**: ოფიციალური თანხმობა (სახლის მშენებლობის **ნებართვა** მოიტანა).

ნევრალგია – ნევრასთენია

ნევრალგია: მ ე დ ი ც. ნერვული ტკივილი; დაავადება სხეულის რომელიმე ადგილისა, ჩვეულებრივ, ხანმოკლე; **ნევრასთენია**: მ ე დ ი ც. ნერვული სისტემის მოშლილობა.

ნეიტრალური – ნეიტრალიზებული

ნეიტრალური: 1. პ ო ლ ი ტ. ნეიტრალიტეტის დამცავი (**ნეიტრალიტეტი** – ნეიტრალური მდგომარეობა; ჩაურევლობა ომში, რომელიც სხვა სახელმწიფოებს შორის წარმოებს): **ნეიტრალური** ქვეყანა; შ დ რ.: **ნეიტრალურად** განწყობილი ადამიანი; 2. ქ ი მ. ისეთი რამ, რაც არ იძლევა არც ტუტის, არც მჟავის დამახასიათებელ რეაქციას (**ნეიტრალური** ხსნარი); **ნეიტრალიზებული**: რამაც ნეიტრალიზაცია განიცადა; განეიტრალებული.

ნერვიული – ნერვული

ნერვიული (ადამიანი); **ნერვული** (დაავადება).

ნესტარი – ნექტარი

ნესტარი: 1. ლანცეტი; 2. დედალი ფუტკრის ორგანო, რომლითაც ჩხვლეტს და კვერცხებს დებს; 3. გველის ენა; **ნექტარი**: 1. ბერძნულ მითოლოგიაში: ღმერთების სასმელი, რომელიც უკვდავებას ანიჭებდა მათ; 2. ყვავილების გამონაყოფი შაქროვანი წვენი; 3. გ ა დ ა ტ. სიამოვნების მომგვრელი; მეტისმეტად კარგი.

ნიშანდებული – ნიშანდობლივი

ნიშანდებული: რასაც ნიშანი აქვს დადებული; მარკირებული; **ნიშანდობლივი**: 1. ზედმიწევნითი, ზუსტი, ნამდვილი (**ნიშანდობლივი** ცნობები); 2. განსაკუთრებული, კონკრეტული (**ნიშანდობლივი** თავისებურება).

ნიშა – ნიში

ნიშა: 1. მოდიდო, თეთრი ნიშანი საქონლის შუბლზე; 2. ასეთი საქონელი (**ნიშა** ხბო / ხარი / კამეჩი); **ნიში**: 1. ამოღრმავებული ადგილი კედელში რაიმეს შესადგმელად; 2. სამლოცველო ნაგებობა (წმ. გიორგის **ნიში**).

ნიჩბიანი – ნიჩბოსანი

ნიჩბიანი: რაც ნიჩბით მოძრაობს (**ნიჩბიანი** ნავი): **ნიჩბოსანი**: ს პ ო რ ტ. წყალჯომარდი.

ნოკაუტი – ნოკდაუნი

ნოკაუტი: კრივში – მდგომარეობა, როცა მოკრივე მოწინააღმდეგის დარტყმისაგან ძირს არის დავარდნილი, ათი წამის განმავლობაში ვერ დგება ბრძოლის გასაგრძელებლად და დამარცხებულად ითვლება; შ დ რ.: **ნოკდაუნი**: მდგომარეობა, როდესაც მოკრივე მოწინააღმდეგის დარტყმისაგან ძირს არის დავარდნილი, მაგრამ ათი წამის განმავლობაში შეუძლია ადგეს ბრძოლის გასაგრძელებლად.

ნორმირებული – ნორმალიზებული

ნორმირებული: ნორმით განსაზღვრული (**ნორმირებული** სამუშაო დღე); **ნორმალიზებული**: ნორმებს დაქვემდებარებული (**ნორმალიზებული** ენა).

ნოტარიატი – ნოტარიუსი

ნოტარიატი: ორგანო, რომლის დანიშნულებაა იურიდიული აქტების დამოწმება; **ნოტარიუსი**: პირი, რომელსაც კანონით აქვს მინიჭებული იურიდიული აქტების დამოწმებისა და გაფორმების უფლება.

ნოტაცია – ნოტიფიკაცია

ნოტაცია: 1. პირობითი ნიშნების სისტემა (წერილობითი), რომელიც მიღებულია ამა თუ იმ დარგში (საჭადრაკო / მუსიკალური... **ნოტაცია**); 2. გ ა დ ა ტ. დარიგება, ჭკუის სწავლება; **ნოტიფიკაცია**: 1. საერთაშორისო სამართალში – ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისათვის რაიმეს შეტყობინება ნოტის საშუალებით; 2. ფ ი ნ ა ნ ს. შეტყობინება ხელწერილის გაპროტესტების შესახებ.

ნოტა – ნოტი

ნოტა: პ ო ლ ი ტ. ერთი ქვეყნის მთავრობის დიპლომატიური მიმართვა (წერილობითი) მეორე ქვეყნის მთავრობისადმი; **ნოტი**: 1. მუსიკალური ბგერის პირობითი გრაფიკული ნიშანი (ამ მხიარულ **ნოტზე** [და არა ნოტაზე] დავამთავროთ ჩვენი გადაცემა); მ რ. **ნოტები**; ასეთი ნიშნებით ჩაწერილი მუსიკალური ნაწარმოების ტექსტი; ამ ტექსტთა შემცველი რვეული, წიგნი; 2. თვით მუსიკალური ბგერა.

ო

ობიექტური – ობიექტივისტური

ობიექტური: 1. ობიექტისთვის დამახასიათებელი; ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული (**ობიექტური** სინამდვილე); 2. მიუკერძოებელი (**ობიექტური** კრიტიკა); 3. გ რ ა მ ა ტ. ობიექტის გამომხატველი (**ობიექტური** პირი); **ობიექტივისტური**: ობიექტივისტისათვის დამახასიათებელი (**ობიექტივისტი** – ობიექტივიზმის მომხრე; **ობიექტივიზმი**: ფ ი ლ ო ს. კვლევის მეთოდი, რომელიც ემყარება ობიექტური სინამდვილის, ობიექტის შესწავლას).

ობიექტური – საობიექტო

ობიექტური: ლ ი ნ გ ვ. **ობიექტური** პირის ნიშნები; **საობიექტო**: ლ ი ნ გ ვ. **საობიექტო** ქცევა.

ობსტრუქციული – ობსტრუქციონისტული

ობსტრუქციული: ობსტრუქციის ხასიათისა (**ობსტრუქცია** – პროტესტის ნიშნად კრების, სხდომის განზრახ ჩაშლა ხმაურით, კამათის გაჭიანურებითა და სხვა საშუალებებით); **ობსტრუქციონისტული**: ობსტრუქციონისტისთვის დამახასიათებელი (**ობსტრუქციონისტი** – ობსტრუქციის მომწყობი, ობსტრუქციის გამოყენების მომხრე).

ოდინდელი – როდინდელი

ოდინდელი: უძველესი დროისა; თავდაპირველი (**ოდინდელი** გამოცემა...); **როდინდელი**: რა დროისა? რა ხნისა? – „ვინ იცის, **როდინდელია** ცაცხვი“ (ს. მგალობ.).

ოკულანტი – ოკულარი – ოკულისტი

ოკულანტი: კვირტით ნამყნობი მცენარე (ტრიფოლიატის **ოკულანტები**); **ოკულარი**: ს პ ე ც. ოპტიკური ხელსაწყოს ის ნაწილი, რომელიც დამკვირვებლის თვალისკენაა მიმართული (მიკროსკოპის **ოკულარი**); **ოკულისტი**: თვალის დაავადებათა ექიმი.

ოლიმპელი – ოლიმპიელი

ოლიმპელი (ღმერთი) (**ოლიმპო** – ბერძნულ მითოლოგიაში: იმ მთის სახელწოდება, რომელიც ღმერთთა სამყოფელს წარმოადგენდა); **ოლიმპიელი**: ოლიმპიური თამაშების მონაწილე (**ოლიმპია** – დაბა, სოფელი საბერძნეთში, სადაც ეწყობოდა ზევსის პატივსაცემი სახალხო დღესასწაული, შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეობაში).

ოლიმპური – ოლიმპიური

ოლიმპური (სიმშვიდე); **ოლიმპიური** (თამაშობანი).

ონომასტიკა – ონომასტიკონი

ონომასტიკა: ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ყველა სახის საკუთარ სახელს. ონომასტიკის ქვედარგებია: ანთროპონიმიკა, ტოპონიმიკა, ზოონიმიკა, ეთნონიმიკა, კოსმონიმიკა და სხვ.; **ონომასტიკონი**: 1. ონიმთა სია ან ლექსიკონი, ჩვეულებრივ, დგება ონიმთა სხვადასხვა კლასისათვის ცალ-ცალკე (კერძოდ, ანთროპონიმიკონი, ტოპონიმიკონი და სხვ.); 2. ამა თუ იმ ეთნოსის, სოციუმის ონიმთა ერთობლიობა გარკვეული ეპოქისათვის (**ონიმი** – საკუთარი სახელი; სიტყვა ან შესიტყვება, რომლის დანიშნულებაა სახელდებული ობიექტის გამოყოფა, გამოცალკევება მსგავსი ობიექტების სიმრავლეთაგან).

ოპერა – ოპერეტა

ოპერა: 1. თეატრში შესასრულებლად განკუთვნილი მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, რომელშიც ინსტრუმენტული მუსიკა შეხამებულია ვოკალურთან; 2. ასეთი ნაწარმოების თეატრალური წარმოდგენა; 3. თეატრი, სადაც ამგვარი წარმოდგენა იმართება; **ოპერეტა**: 1. კომედიის ხასიათის მუსიკალურ-სცენური ნაწარმოები, რომელშიც სიმღერა, ცეკვა და ლაპარაკი ენაცვლება ერთმანეთს; 2. ასეთი ნაწარმოების წარმოდგენა.

ოპერატიული – ოპერაციული

ოპერატიული: 1. სამხედრო ოპერაციასთან დაკავშირებული (იერიშის / დაზვერვის **ოპერა-**

ტიული გეგმა); 2. რაც ამა თუ იმ ამოცანათა, გეგმათა, წამოწყებათა დაუყოვნებლივ შესრულებასთან არის დაკავშირებული (**ოპერატიული** მუშაობა); 3. პრაქტიკული ამოცანების სწრაფად გადაწყვეტის უნარის მქონე; ქმედითი (**ოპერატიული** ხელმძღვანელობა); **ოპერაციული**: ოპერაციის ხასიათისა (**ოპერაციული** ჩარევა).

ოპერაციული – საოპერაციო

ოპერაციული (ჩარევა); **საოპერაციო**: 1. ის, რითაც ოპერაციას აკეთებენ (**საოპერაციო** იარაღები); 2. ადგილი (ოთახი), სადაც ოპერაციას აკეთებენ (ექიმი **საოპერაციოში** შევიდა); 3. ის, ვისაც ოპერაციას უკეთებენ (**საოპერაციო** ავადმყოფი).

ოპოზიციური – ოპოზიციონერული

ოპოზიციური (დაჯგუფება / მოძრაობა...); **ოპოზიციონერული** (ხედვა / ქმედება / აზროვნება...).

ორატორიული – ორატორული

ორატორიული: ორატორიის ხასიათისა (**ორატორია** – მუს. დრამატული სიუჟეტის მქონე მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც დაწერილია გუნდის, სოლისტებისა და სიმფონიური ორკესტრისათვის); **ორატორული**: ორატორისთვის დამახასიათებელი (**ორატორი** – მჭევრმეტყველი): **ორატორული** ნიჭი / სიტყვა.

ორგანი — არლანი (იხ.)

ორგანიზატორული — ორგანიზაციული

ორგანიზატორული (ნიჭი / უნარი); **ორგანიზაციული** (მუშაობა / საკითხები).

ორდენი — ორდერი

ორდენი: 1. საგანგებო ნიშანი, რომლითაც ხელისუფლება აჯილდოებს ამა თუ იმ პირს განსაკუთრებული დამსახურებისათვის; 2. სხვადასხვა საზოგადოება (მასონთა **ორდენი**); **ორდერი**: ოფიციალური წერილობითი ბრძანება, განკარგულება; საბუთი ბინით სარგებლობის, დაპატიმრების, ჩხრეკისა და სხვ. უფლებათა მინიჭების შესახებ.

ორდინალური — ორდინარული

ორდინალური (მ ა თ ე მ. **ორდინალური** რიცხვი); **ორდინარული**: ჩვეულებრივი (**ორდინარული** გარეგნობა).

ორთოდოქსი — ორთოდოქსია

ორთოდოქსი: ორთოდოქსიის მიმდევარი; რომელიმე მოძღვრების განუხრელად, თანმიმდევრულად დამცველი; **ორთოდოქსია**: რომელიმე მოძღვრების განუხრელად, თანმიმდევრულად დაცვა.

ორიენტალური — ორიენტალისტური — ორიენტალისტიკური

ორიენტალური: აღმოსავლური (**ორიენტალური** სტილი); **ორიენტალისტური**: ორიენტალისტისთვის დამახასიათებელი (**ორიენტალისტური** მიდგომა); **ორიენტალისტიკური**: აღმოსავლეთმცოდნეობითი (**ორიენტალისტიკური** დარგები).

ორკვირეული — ორკვირიანი

ორკვირეული: რაც ყოველ ორ კვირაში იმართება, გამოდის (**ორკვირეული** გაზეთი / ჟურნალი); **ორკვირიანი**: ორი კვირის ხანგრძლივობისა; რაც ორი კვირის განმავლობაში ხდება (**ორკვირიანი** სემინარები / დასვენება...).

ორნამენტული — ორნამენტირებული

ორნამენტული: ორნამენტთან დაკავშირებული; ორნამენტისთვის დამახასიათებელი (**ორნამენტი**: 1. მხატვრული, გრაფიკული ან სკულპტურული სამკაული, რომელიც შედგება გეომეტრიული ფიგურების, ცხოველებისა და მცენარეების გამოსახულებათაგან; 2. მ უ ს. მელოდიის შესამკობი): **ორნამენტული** ხელოვნება; **ორნამენტირებული**: ორნამენტებით შემკობილი, ორნამენტიანი, მოჩუქურთმებული (**ორნამენტირებული** ჭაღი...).

ორპირი — ორპირიანი — ორპიროვანი

ორპირი / **ორპირიანი** (ნაჯახი / ხმალი);

შ დ რ.: **ორპირი ადამიანი**; **ორპირი ქარი**, მ ა გ რ ა მ: **ორპირიანი** (ზმნა); **ორპიროვანი** (იანუსი).

ორშემადგენლიანი — ორშედგენილობიანი

ორშემადგენლიანი (წინადადება); **ორშედგენილობიანი** (პრეპარატი).

ორწერტილი — ორი წერტილი

ორწერტილი: პ უ ნ ქ ტ. **ორწერტილი** (:) დაისმის გამაერთიანებელი სიტყვის შემდეგ, თუ ეს უკანასკნელი წინ უსწრებს ჩამოთვლას; **ორი წერტილი** (გიორგიმ თეთრ ხალათზე მელნის **ორი წერტილი** შეამჩნია).

ორწლიანი — ორწლოვანი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია (**ორწლიანი** / **ორწლოვანი** მცენარეები), მ ა გ რ ა მ: **ორწლიანი** (სკოლა / კურსები...).

ოსტიტი — ოსტეოპათია — ოსტეოტომია

ოსტიტი: მ ე დ ი ც. ძვლის ანთება; **ოსტეოპათია**: მ ე დ ი ც. ძვლის სხვადასხვა დაავადების საერთო სახელწოდება; **ოსტეოტომია**: მ ე დ ი ც. ძვლის გაკვეთა.

ოსცილოგრაფი — ოსცილოსკოპი

ოსცილოგრაფი: ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც აკვირდებიან და იწერენ ელექტრონულ პროცესებს; **ოსცილოსკოპი**: ხელსაწყო ელექტრონულ პროცესებზე ვიზუალური დაკვირვებისათვის.

ოფიციალური — ოფიციოზური

ოფიციალური (პირი / დოკუმენტი / ოპონენტი / ვიზიტი / ტონი...); **ოფიციოზური**: ფორმალურად მთავრობისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ სინამდვილეში მისი თვალსაზრისის გამომხატველი (**ოფიციოზური** გაზეთი / მონაცემები).

პ

პა-დე-დე — პა-დე-ტრუა — პა-დე-კატრი

პა-დე-დე: ბალეტში – წყვილთა ცეკვა; მუსიკა ამ ცეკვისათვის; შ დ რ.: **პა-დე-ტრუა**: სამი შემსრულებლის ცეკვა; მუსიკა ამ ცეკვისათვის; **პა-დე-კატრი**: ოთხი შემსრულებლის ცეკვა; მუსიკა ამ ცეკვისათვის.

პაექრობა — შეჯიბრება

პაექრობა (მეცნიერულ / ლიტერატურულ... საკითხებზე); **შეჯიბრება** (ფეხბურთელთა / ხელბურთელთა...).

პათოგენური — პათოლოგიური

პათოგენური: მ ე დ ი ც. ავადმყოფობის წარ-

მომქმნელი (**პათოგენური** მიკრობები); **პათოლოგიური**: 1. მ ე დ ი ც. ავადმყოფური (**პათოლოგიური** ქსოვილები); შ დ რ.: **პათოლოგიური ანატომია**; 2. გ ა დ ა ტ. ნორმისაგან გადახრილი, არანორმალური (**პათოლოგიური** ქცევა / მსჯელობა...).

პანაშვიდი – პარაკლისი

პანაშვიდი: ლოცვა მიცვალებულთათვის; შ დ რ.: **სამოქალაქო პანაშვიდი** – ხალხის მისვლა და გამოთხოვება მიცვალებულთან; **პარაკლისი**: საეკლესიო მღვდელმსახურება: უფლისადმი თხოვნა, ვედრება (ცოცხალთათვის): ჯანმრთელობის **პარაკლისი**.

პანეგირიკი – პანეგირისტი

პანეგირიკი: 1. ი ს ტ. ძველ ბერძნებთან და რომაელებთან – ხოტბის შემსხმელი ორატორული სიტყვა; 2. წ ი გ ნ. ხოტბა; გადაჭარბებული ქება-დიდება; **პანეგირისტი**: 1. პანეგირიკის ავტორი; 2. გადაჭარბებით მაქებარი, მეხოტბე.

პანკრეასი – პანკრეატინი – პანკრეატიტი

პანკრეასი: კუჭქვეშა ჯირკვალი; **პანკრეატინი**: ფ ა რ მ ა კ. ცხოველთა პანკრეასის ჯირკვლისაგან დამზადებული სამკურნალო პრეპარატი; **პანკრეატიტი**: პანკრეასის ანთება.

პანსიონი – პანსიონატი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია

და ნიშნავს – ერთგვარი სასტუმრო (დასასვენებელი სახლი), რომელშიც მომხმარებლები უზრუნველყოფილი არიან კვებით, მოვლით..., მ ა გ რ ა მ **პანსიონს** განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვს: 1. ძ ვ. დახურული საშუალო სასწავლებელი; ინტერნატი; 2. ძ ვ. ფასიანი საერთო საცხოვრებელი ზოგიერთ საშუალო სასწავლებელთან.

პაპიროსი – პაპირუსი

პაპიროსი (**პაპიროსი** გააბოლა); **პაპირუსი**: ტროპიკული ლერწამი და მისი ღეროებისაგან დამზადებული საწერი მასალა.

პარაკლისი – პანაშვიდი (ი ხ.)

პარამეტრი – პერიმეტრი

პარამეტრი: 1. მ ა თ ე მ. სიდიდე, რომლის რიცხობრივი მნიშვნელობები შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვყოთ გარკვეული ელემენტი იმავე რიგის სხვა ელემენტთა სიმრავლისაგან; 2. ფ ი ზ. სიდიდე, რომელიც იძლევა რაიმე მოვლენის, დანადგარის რომელიმე თვისების (ელექტროგამტარობის, თბოგამტარობის) დახასიათებას; გ ა დ ა ტ. ვინმეს ან რაიმეს დახასიათება ზომების მიხედვით; **პერიმეტრი**: 1. გ ე ო მ. ბრტყელი გეომეტრიული ფიგურის გვერდების სიგრძის ჯამი (მრავალკუთხედის... **პერიმეტრი**); 2. გაყოლება; შენობის გარეთა კედლები და კუთხეები (ბაზრის მთელ **პერიმეტრს** დაცვა აკონტროლებდა).

პარანოია – პარანომია – პარონიმია

პარანოია: ფსიქიკური აშლილობა (ახასიათებს ბოდვა); **პარანომია**: კანონებში არსებული წინააღმდეგობა; **პარონიმია**: გარეგნულად მსგავსი (უპირატესად ერთი ძირის მქონე), მაგრამ შინაარსით განსხვავებული სიტყვების გაუმართლებელი მონაცვლეობა (მაგ., **ცივილიზებული – ცივილური**...).

პარკინგი – პარკირება

პარკინგი: ავტომანქანების სადგომი; **პარკირება**: ავტომანქანების დაყენება სპეციალურად გამოყოფილ სადგომზე (პარკინგზე).

პარლამენტარი – პარლამენტიორი

პარლამენტარი: პარლამენტის წევრი; **პარლამენტიორი**: მეომარი მხარისაგან მოწინააღმდეგესთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი პირი (მოციქული).

პარლამენტარული – პარლამენტური – საპარლამენტო

პარლამენტარული: პ ო ლ ი ტ. პარლამენტარიზმის ხასიათისა; პარლამენტარიზმის პრინციპებიდან გამომდინარე (**პარლამენტარული** პარტია); **პარლამენტური**: პ ო ლ ი ტ. პარლამენტის ხასიათისა (**პარლამენტური** რესპუბლიკა); **საპარლამენტო**: პარლამენტისთვის განკუთვნილი (**საპარლამენტო** არჩევნები).

პარონიმია – პარონომაზია

პარონიმია: გარეგნულად მსგავსი (უპირატესად ერთი ძირის მქონე), მაგრამ შინაარსით განსხვავებული სიტყვების გაუმართლებელი ურთიერთმონაცვლეობა (მაგ., **მცნება – ცნება**); **პარონომაზია**: სტილისტიკური ფიგურა, რომელშიც ერთი და იმავე მოქმედების გამომხატველი პირიანი და უპირო ფორმები წარმოდგენილია ერთი მნიშვნელობის გადმოსაცემად (**თქმით** არაფერი **მითქვამს**; ტკბილი **ძილით ეძინა**).

პარტია – პარტიტურა

პარტია: მ უ ს. მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ცალკეული ნაწილი, რომელსაც ერთი მომღერალი ან ინსტრუმენტი ასრულებს (მთავარი **პარტიის** შემსრულებელი); შ დ რ.: **პარტიტურა**: მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოებისათვის დაწერილი ნოტები, რომელშიც წარმოდგენილია თითოეული ხმის ან ინსტრუმენტის პარტია (ოპერის მთელი **პარტიტურა**).

პასტერიზაცია – სტერილიზაცია

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: კვების პროდუქტების (სითხის: რძის, ლუდის, ღვინის...) გაცხელება განსაზღვრულ ტემპერატურამდე მავნე მიკროორგანიზმების მოსპობის მიზნით, მ ა გ რ ა მ **სტერილიზაციას** განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვს: 1. ქიმიური ნივთიერებებითა თუ მაღალი ტემპერატურით მიკრობების მოსპობა ქირურ-

გიულ იარაღებზე; 2. ცხოველის ან ადამიანისათვის განაყოფიერების უნარის ხელოვნურად მოსპობა.

პატრონაჟი – პატრონატი

პატრონაჟი: სამედიცინო მომსახურება შინ, ოჯახის პირობებში (ამ სიტყვას დღეს **მფარველობის** მნიშვნელობითაც იყენებენ); **პატრონატი**: მფარველობა.

პაციენტი – კლიენტი (იხ.)

პედაგოგური – პედაგოგიური – პედაგოგიკური

პედაგოგური (მზრუნველობა); **პედაგოგიური** (ინსტიტუტი); **პედაგოგიკური** (მეცნიერება).

პენალი – პენალტი

პენალი: გრძელი და ვიწრო კოლოფი ფანქრების, საშლელების, სათლელების... შესანახავად; **პენალტი**: ს პ ო რ ტ. ფეხბურთში – საჯარიმო დარტყმა მოწინააღმდეგის კარში თერთმეტი მეტრის მანძილიდან; თერთმეტმეტრიანი დარტყმა.

პერიმეტრი – პარამეტრი (იხ.)

პერსონალი – პერსონალია

პერსონალი: რაიმე დაწესებულების, საწარმოს და მისთ. პირადი შემადგენლობა; ერთი და იმავე პროფესიის ადამიანთა ერთობლიობა

(ტექნიკური **პერსონალი**); **პერსონალია**: მწერლის, პოლიტიკური მოღვაწის... ბიოგრაფიული მონაცემების შემცველი სტატია, მონაკვეთი... ენციკლოპედიაში, ანთოლოგიასა და საიუბილეო კრებულში.

პერფექტი – პრეფექტი

პერფექტი: გ რ ა მ ა ტ. ნამყო სრული დრო ზმნისა; შ დ რ.: **პრეფექტი**: 1. ი ს ტ. ძველ რომში: ზოგი ადმინისტრაციული ან სამხედრო თანამდებობის სახელწოდება; 2. საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში – უმაღლესი სახელმწიფო მოხელე; 3. ქალაქის პოლიციის უფროსის სახელწოდება ზოგ ქვეყანაში.

პიანო – პიანისიმო

პიანო: მუსიკალური ნაწარმოების ხმადაბლა შესრულება (ს ა პ ი რ ი ს პ. **ფორტე**); **პიანისიმო**: მუსიკალური ნაწარმოების პიანოზე უფრო ხმადაბლა შესრულება.

პინცეტი – ლანცეტი (ი ხ.)

პირადი – პირადული – პიროვნული

პირადი: პირთან დაკავშირებული (**პირადი** ნივთები / საკუთრება / კეთილდღეობა); **პირადული**: ადამიანის შინაგან სამყაროსთან დაკავშირებული (**პირადული** პრობლემები); **პიროვნული**: პიროვნებისთვის დამახასიათებელი (**პიროვნული** თვისებები).

პირდაპირ – პირისპირ

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ვინმეს ან რაიმეს წინ, მოპირდაპირე მხარეს (**პირდაპირ** / **პირისპირ** ზის); შ დ რ.: **პირდაპირი ეთერი**; მ ა გ რ ა მ **პირდაპირ**: 1. პირდაპირი მიმართულებით, გადაუხვევლად (მეგობარი **პირდაპირ** ჩემკენ წამოვიდა); 2. აშკარად, დაუფარავად, გარკვევით: „ვიტყვი **პირდაპირ**, დაუფარავად“ (აკაკი); 3. იხმარება გამაძლიერებლი ნაწილაკის ფუნქციით (გიორგი განერვიულდა, სისხლი თავში აუვარდა, **პირდაპირ** გაგიჟდა; ძალიან გამახარეთ, რატომ შეწუხდით, **პირდაპირ** სიტყვებს ვერ ვპოულობ მადლობის სათქმელად); **პირისპირ**: პირადად, უშუალოდ, მარტო (**პირისპირ** უნდოდა მეგობართან საუბარი).

პირი – პიროვნება

პირი: ადამიანის ამა თუ იმ ზოგადი სტატუსის მაჩვენებელი (სამოქალაქო / სასულიერო / სამხედრო **პირი**); **პიროვნება**: ადამიანის ინდივიდუალური თვისებების აღმნიშვნელი (დადებითი / კეთილშობილი / უარყოფითი **პიროვნება**).

პლაგიატი – პლაგიატორი

პლაგიატი: ლიტერატურული ან სამეცნიერო ნაშრომის მითვისება (ქურდობა); **პლაგიატორი**: სხვისი ნაშრომის მიმთვისებელი (ქურდი).

პლევრიტი – პნევმონია

პლევრიტი: მ ე დ ი ც. პლევრის ანთება (**პლევრა** – ა ნ ა ტ. სეროზული გარსი, რომელიც ფარავს გულმკერდის ღრუს კედლებსა და ფილტვებს); **პნევმონია**: მ ე დ ი ც. ფილტვების ანთება.

პლისე – პლისი

პლისე: ნაკეცები ნაჭერზე; **პლისი**: ბამბის ქსოვილი.

პოეტური – პოეტიკური

პოეტური: პოეტისა თუ პოეზიისათვის დამახასიათებელი (**პოეტური** ნაწარმოები / ნიჭი / გარემო); **პოეტიკური**: მხატვრული ლიტერატურის თეორიასთან დაკავშირებული, მისთვის დამახასიათებელი.

პოზირება – პოზიორობა

პოზირება: მხატვრის, მოქანდაკის, ფოტოგრაფის წინაშე გარკვეული პოზით დგომა; **პოზიორობა**: პოზიორის (გარეგნული ეფექტის მოყვარულის) საქციელი.

პოზიტიური – პოზიციური

პოზიტიური: 1. დადებითი (**პოზიტიური** მოვლენა); 2. ფაქტებზე, ცდაზე დამყარებული (**პოზიტიური** ცოდნა); **პოზიციური**: პოზიციასთან დაკავშირებული; პოზიციიდან გამომდინარე (**პოზიციური** ბრძოლა / უპირატესობა).

პოლიტიკოსი – პოლიტიკანი

პოლიტიკოსი: 1. პოლიტიკური მოღვაწე; 2. ს ა უ ბ. პოლიტიკის საკითხებით დაინტერესებული ადამიანი; **პოლიტიკანი**: ვინც პოლიტიკას პირადი სარგებლობის თვალსაზრისით მისდევს; პოლიტიკაში ინტრიგანი.

პოლიტიკური – პოლიტიკანური

პოლიტიკური: პოლიტიკასთან დაკავშირებული (**პოლიტიკური** შეხედულებები / ბრძოლა...); **პოლიტიკანური**: პოლიტიკანისათვის დამახასიათებელი.

პოპულარობა – პოპულარიზაცია

პოპულარობა: საყოველთაო გავრცელება; მოწონება; აღიარება; **პოპულარიზაცია**: 1. რაიმე რთული საკითხის გასაგებად გადმოცემა; 2. რაიმეს ქება და მისაბაძად ქცევა; ფართო მასებში გავრცელება და დანერგვა.

პოტენცია – პოტენციალი

პოტენცია: შესაძლებლობა, ძალა, უნარი რაიმეს შესასრულებლად, მისაღწევად; **პოტენციალი**: 1. ფ ი ზ. სკალარული და ვექტორული სიდიდე, რომლის დახმარებითაც შეიძლება ვიპოვოთ სხვა სიდიდეები; 2. გ ა დ ა ტ. რაიმეს განხორციელებისათვის საჭირო შესაძლებლობათა ერთობლიობა (სამხედრო **პოტენციალი**).

პრაქტიკანტი – პრაქტიკოსი

პრაქტიკანტი: ვინც პრაქტიკას გადის (**პრაქტიკანტი** სტუდენტები); **პრაქტიკოსი**: თავისი საქმის პრაქტიკულად მცოდნე და გამომყენებელი; დიდი გამოცდილების მქონე (**პრაქტიკოსი** ექიმი).

პრემიული – პრემირებული

პრემიული: პრემიის ხასიათისა (ხელფასის **პრემიული** დანამატი); **პრემირებული**: პრემიით დაჯილდოებული.

პრეტენდენტი – პრეცედენტი

პრეტენდენტი: ვინც პრეტენზიას აცხადებს რაიმეზე; რაიმე უფლების მაძიებელი (მსოფლიო ჩემპიონობის **პრეტენდენტი**); შ დ რ.: **პრეცედენტი**: შემთხვევა, რომელიც წარმოადგენს ნიმუშს ან გამართლებას შემდეგდროინდელი მსგავსი შემთხვევებისათვის.

პრეტენზიული – პრეტენციოზული

პრეტენზიული: პრეტენზიის ხასიათისა; უკმაყოფილო (**პრეტენზიული** ადამიანი / ტონი); **პრეტენციოზული**: თავის თავზე გადაჭარბებულ წარმოდგენასთან დაკავშირებული; გაზვიადებულ მოთხოვნათა მქონე.

პრეფექტი – პერფექტი (იხ.)

პრივილეგიური – პრივილეგირებული

პრივილეგიური (მდგომარეობა); **პრივილეგირებული** (ადამიანი).

პრობლემა – პრობლემატიკა

პრობლემა: რთული საკითხი; **პრობლემატიკა**: პრობლემათა ერთობლიობა.

პრობლემური, პრობლემატური – პრობლემატიკური

პრობლემური, **პრობლემატური**: საჭოჭმანო, გადასაწყვეტი, პრობლემის შემცველი (**პრობლემური** / **პრობლემატური** საკითხები); **პრობლემატიკური**: პრობლემათა ერთობლიობისათვის დამახასიათებელი (**პრობლემატიკური** მრავალფეროვნება).

პროგრამული – პროგრამირებული

პროგრამული: პროგრამის შესაფერი, პროგრამის ხასიათისა (მონაცემთა **პროგრამული** ანალიზი); **პროგრამირებული**: დაპროგრამებული, პროგრამად ქცეული (**პროგრამირებული** მონაცემთა ბაზა).

პროგრესი – პროგრესია

პროგრესი: განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა; წინსვლა; აღმავლობა (ტექნიკური... **პროგრესი**); **პროგრესია** (არითმეტიკული / გეომეტრიული... **პროგრესია**).

პროგრესული – პროგრესიული

პროგრესული: მოწინავე (**პროგრესული** ადამიანი / სახელმწიფო); **პროგრესიული**: მზარდი (**პროგრესიული** გადასახადი / დაავადება).

პროდუქტი – პროდუქცია

პროდუქტი: 1. საგანი, ნივთიერება, რომელიც მიღებულია რაიმე პროცესის შედეგად (რძის **პროდუქტები**); 2. გადატ. რაიმეს შედეგი, ნაყოფი; **პროდუქცია**: წარმოების ან სხვა სახის პროდუქტების ერთობლიობა (კარგი / ახალი / სამეცნიერო **პროდუქცია**).

პროექტანტი – პროექტორი

პროექტანტი: ვინც პროექტს ადგენს, დამპროექტებელი; **პროექტორი**: მოწყობილობა (აპარატი) ფილმის ან ნახატების ეკრანზე ან სხვა ზედაპირზე საჩვენებლად.

პროვოკატორული – პროვოკაციული

პროვოკატორული: პროვოკატორისთვის დამახასიათებელი (**პროვოკატორი** – წამქეზებელი; ის, ვინც განზრახ იწვევს ცუდ, მავნე, აკრძალულ ან ამა თუ იმ მომენტისათვის არასასურველ მოქმედებას): **პროვოკატორული** სული; **პროვოკაციული**: პროვოკაციის ხასიათისა (**პროვოკაცია** – ცუდი, არასასურველი, უარყოფითი შედეგების მომტანი მოქმედების გამოწვევის მიზნით განხორციელებული ქმედება; ვინმეს წაქეზება ასეთი ქმედებისაკენ): **პროვოკაციული** ქმედება.

პროვოკაცია – პროვოცირება

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ცუდი ან არასასურველი, უარყოფითი შედეგების მომტანი მოქმედების განზრახ გამოწვევა, მაგრამ **პროვოცირებას** სხვა მნიშვნელობებიც აქვს: მედიც. 1. ფარული ავადმყოფობის ხელოვნურად გამომჟღავნება; 2. რაიმე პროცესის გამოწვევა ავადმყოფობის შედეგად ან ხელოვნურად.

პროკურორი – პროკურატორი

პროკურორი: 1. თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობაა თვალყური ადევნოს კანონთა შესრულებას და პასუხისგებაში მისცეს კანონის დამრღვევნი; 2. სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლო პროცესზე; **პროკურატორი**: ძვ. რომში – მოხელე, რომელიც ძირითადად განაგებდა გადასახადების აკრეფას სახელმწიფო ხაზინისათვის.

პროჟექტორი – პროჟექტიორი – პროჟექტორისტი

პროჟექტორი: გასანათებელი ხელსაწყო; **პროჟექტიორი**: ირონ. ვისაც პროჟექტების შედგენა უყვარს (**პროჟექტი** – გადატ. ფანტასტიკური, განუხორციელებელი გეგმა, პროექტი); **პროჟექტორისტი**: პროჟექტორზე მომუშავე, პროჟექტორის მცოდნე.

პროსტატა – პროსტატიტი

პროსტატა: ანატ. წინამდებარე ჯირკვალი, **პროსტატიტი**: მედიც. პროსტატის ანთება.

პროტეიდი – პროტეინი

პროტეიდი: რთული ცილა, რომელიც წარმოადგენს მარტივი ცილების ნაერთს არაცილოვან ნივთიერებასთან; **პროტეინი**: მარტივი ცილა, ფუძე, რომელზედაც იგება ცხოველის ან მცენარის ორგანიზმის ცალკეული უჯრედი.

პროტეჟე – პროტექტორი

პროტეჟე: პროტექციის ობიექტი; ვისაც მფარველობენ (და არა – ვინც მფარველობს); შდრ.: **პროტექტორი**: 1. მფარველი, დამცველი, შემწე; 2. ავტომობილისა და მისთ. საბურავის გარეთა ზედაპირის უფრო სქელი და მაგარი ნაწილი.

პროტექტორატი – პროტექცია – პროტექციონიზმი

პროტექტორატი: ისტ. დამოკიდებულების ფორმა, რომლის მიხედვითაც სუსტი ქვეყანა ფორმალურად ინარჩუნებს დამოუკიდებლობას, ფაქტობრივად კი ექვემდებარება უფრო ძლიერ სახელმწიფოს; **პროტექცია**: გავლენიან პირთა მფარველობა ვინმეს საქმეების მოგვარებისას (**პროტექცია** გაუწია); **პროტექციონიზმი**: პროტექციული საქმიანობა (**პროტექციონიზმთან** ბრძოლა).

პროფესიული – პროფესიონალური

პროფესიული (გამოცდილება / დაავადება); **პროფესიონალური** (კვლევა).

პროცესი – პროცესია

პროცესი: 1 რაიმე მოვლენათა თანამიმდევრული მონაცვლეობა; განვითარების გზა; 2. სასამართლო საქმის გარჩევა; **პროცესია**: მრავალრიცხოვანი ხალხის ნაკადი, გარკვეული პუნქტისკენ მიმავალი (საზეიმო / სამგლოვიარო **პროცესია**).

პუბლიკაცია – პუბლიცისტიკა

პუბლიკაცია: 1. რაიმეს ბეჭდვის საშუალებით გაცხადება; დაბეჭდვა; 2. დაბეჭდილი ტექსტი; **პუბლიცისტიკა**: საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე.

პურიზმი – პურიტანიზმი

პურიზმი: ლ ი ნ გ ვ. ენაში უცხო სიტყვათა ჭარბად შემოტანის წინააღმდეგ ბრძოლა; **პურიტანიზმი**: 1. ი ს ტ. XVI საუკუნეში წარმოშობილი პროტესტანტული მიმდინარეობა (ინგლისსა და შოტლანდიაში); 2. გ ა დ ა ტ. ზნეობრივი წესების სასტიკი (ხშირად მოჩვენებითი) დაცვა.

პურისტი – პურიტანი

პურისტი: პურიზმის მიმდევარი, პურიზმის მომხრე; **პურიტანი**: პურიტანიზმის მიმდევარი, პურიტანიზმის მომხრე.

პურისტული – პურიტანული

პურისტული: პურისტისათვის (პურიზმისათვის) დამახასიათებელი; **პურიტანული**: პურიტანისათვის (პურიტანიზმისთვის) დამახასიათებელი.

ჟ

ჟამიანი – ჟამიერი

ჟამიანი: ძ ვ. შავი ჭირით დაავადებული: „**ჟამიანის** დედა გამოვარდნილიყო ქუჩაში“ (კ. გამს.); **ჟამიერი**: დროებითი: „**ჟამიერი** უნდა იყოს თქვენი... ეს გატაცება“ (ვ. ბარნ.).

ჟანგვადი – ჟანგვითი

ჟანგვადი (ნივთიერება / ლითონი); **ჟანგვითი** (პროცესი).

ჟანგი – ჟანგა

ჟანგი: 1. ჟანგვის შედეგად წარმოშობილი მოწითალო ფენა რკინის ზედაპირზე (აფუჭებს რკინას): „**ჟანგი** რკინასა ჭამს, დარდი გულსაო“ (ანდაზა); 2. ქ ი მ. რომელიმე ნივთიერების ნაერთი ჟანგბადთან (სპილენძის / ალუმინის **ჟანგი**); **ჟანგა**: 1. ბ ო ტ ა ნ. მცენარეთა დაავადება, რომელსაც იწვევს ერთგვარი სოკო; 2. თვით ეს სოკო.

ჟანრული – ჟანრობრივი

ჟანრული: ამა თუ იმ ჟანრისა; საყოფაცხოვრებო თემების ამსახველი (**ჟანრული** ფერწერა / ტილოები); **ჟანრობრივი**: ზოგადად ჟანრისთვის დამახასიათებელი (**ჟანრობრივი** მრავალფეროვნება).

ჟელე – ჟელატინი

ჟელე: ტკბილი ლაბისებური საჭმელი; ამზადებენ ხილის წვენისა და შაქრისაგან (აგრეთვე რძის, ღვინისა და სხვა პროდუქტებისგან) ჟელატინის დამატებით; **ჟელატინი**: ცხოველური წარმოშობის ცილოვანი ნივთიერება, რომლის ხსნარი გაცივებისას იქცევა ლაბად (სქელ ფაფისებურ მასად); იყენებენ ტექნიკასა და კულინარიაში.

ჟესტი – ჟესტიკულაცია, ჟესტიკულირება

ჟესტი: 1. სხეულის ნაწილების (განსაკუთრებით ხელების) მოძრაობა, რაც თან ახლავს მეტყველებას ან ცვლის მას; 2. გ ა დ ა ტ. რაიმე განზრახვით (რაღაცის ნიშნად) ჩადენილი საქციელი, ქმედება (ლამაზი **ჟესტი**); **ჟესტიკულაცია**, **ჟესტიკულირება**: ჟესტების გამოყენება მეტყველების დროს.

ჟურნალისტური – ჟურნალისტიკური

ჟურნალისტური: ჟურნალისტისთვის დამახასიათებელი (**ჟურნალისტური** გამოცდილება);

ჟურნალისტიკური: ჟურნალისტიკისთვის დამახასიათებელი (**ჟურნალისტიკური** კვლევა).

რ

რადგან – რათა

რადგან (მიზეზი: „წყალი ძელსა არ დაძირავს, **რადგან** მისი გაზრდილია“); **რათა** (მიზანი: აბიტურიენტმა ბეჯითად იმეცადინა, **რათა** გამოცდები კარგად ჩაებარებინა).

რადი(ო)აქტიური – რადიაციული

რადი(ო)აქტიური: ქ ი მ., ფ ი ზ. რასაც რადიაქტივობა ახასიათებს (**რადი(ო)აქტიური** სხივები / გაზები / წყალი...); **რადიაციული**: ფ ი ზ. რადიაციის თვისებისა (**რადიაციული** გამოსხივება).

რაზე – რატომ

რაზე: (ამ შემთხვევაში – რის შესახებ? **რაზე** ლაპარაკობ?); **რატომ** (მიზეზი: **რატომ** [დ ა ა რ ა რაზე] მოხვედი?).

რათა – რადგან (იხ.)

რამდენი – რამოდენა

რამდენი (რაოდენობა: **რამდენი** მეგობარი

გყავს?); **რამოდენა** (ზომა: **რამოდენა** გაზრდილხარ!).

რანტი – რანტიე

რანტი: ფეხსაცმელზე შემოვლებული ტყავის ვიწრო არშია, რომელზედაც მიკერებულია ფეხსაცმლის ძირი; **რანტიე**: გასესხებული კაპიტალის სარგებლით, ფასიანი ქაღალდების (აქციების...) შემოსავლით მცხოვრები პირი.

რაოდენობითი – რაოდენობრივი

რაოდენობითი (გ რ ა მ ა ტ. რიცხვითი სახელები); **რაოდენობრივი** (მაჩვენებლები / ზრდა).

რატომ – რაზე (იხ.)

რაციონალური – რაციონალისტური – რაციონალიზატორული

რაციონალური: გონივრული, მიზანშეწონილი, საფუძვლიანი (სამუშაო დროის **რაციონალური** გამოყენება); შ დ რ.: მ ა თ ე მ. **რაციონალური** რიცხვები / ფუნქციები...; **რაციონალისტური**: 1. ფ ი ლ ო ს. რაციონალიზმის ან რაციონალისტის დამახასიათებელი (**რაციონალიზმი** – იდეალისტური მოძღვრება, რომელიც შემეცნების ერთადერთ წყაროდ და ჭეშმარიტების კრიტერიუმად გონებას მიიჩნევს): **რაციონალისტური** ფილოსოფია; 2. მხოლოდ გონების, ლოგიკის მოთხოვნებზე დამყარებული (**რაციონალისტური** ხედვა);

რაციონალიზატორული: რაციონალიზაციის ხასიათისა, რაციონალიზატორისთვის დამახასიათებელი (**რაციონალიზაცია** – რაიმეს მოწყობა რაციონალურად; რაიმე ორგანიზაციის გაუმჯობესება): **რაციონალიზატორული წინადადებები** / **გამოგონებები**; შ დ რ.: **წარმოების რაციონალიზაცია**.

რეალური – რეალისტური

რეალური: 1. ნამდვილად არსებული, ჭეშმარიტი (**რეალური** მდგომარეობა); 2. რისი განხორციელებაც შესაძლებელია (**რეალური** მოთხოვნა); **რეალისტური**: რეალიზმისათვის (რეალისტური მიმართულებისათვის) დამახასიათებელი (მწერლის **რეალისტური** ხედვა).

რეაქტივი – რეაქტორი

რეაქტივი: ქიმიური ნივთიერება, რომელსაც იყენებენ ლაბორატორიებში სხვადასხვა სახის სამუშაოებისათვის (მაგ., ანალიზებისათვის მედიცინაში); **რეაქტორი**: 1. დანადგარი, რომელშიც ხორციელდება ატომგულების გაყოფის ჯაჭვური რეაქცია (ატომური **რეაქტორი**); 2. ელექტრული აპარატი, რომელიც ცვლადი დენის ჯაჭვში ზღუდავს მოკლე შერთვის დენს.

რეაქტიული – რეაქციული

რეაქტიული (ნივთიერება / ენერგია / იარაღი); **რეაქციული** (პოლიტიკა / რეჟიმი...).

რეაქციული – რეაქციონერული

რეაქციული: 1. პოლიტ. პროგრესის საწინააღმდეგო (**რეაქციული** პოლიტიკა / რეჟიმი / გაზეთი / თეორია); 2. ანატ. ორგანიზმის გარეგან ან შინაგან გაღიზიანებაზე საპასუხო მოქმედებისთვის დამახასიათებელი (ორგანიზმის **რეაქციული** მდგომარეობა); **რეაქციონერული**: პოლიტ. რეაქციონერისათვის დამახასიათებელი (**რეაქციონერი** – პროგრესის მოწინააღმდეგე): **რეაქციონერული** ქმედება.

რეგისტრატურა – რეგისტრაცია, რეგისტრირება

რეგისტრატურა: დაწესებულების განყოფილება, სადაც რეგისტრაცია წარმოებს; **რეგისტრაცია**, **რეგისტრირება**: 1. დავთარში ჩაწერა; 2. რაიმე მოვლენის, ფაქტის ჩაწერა, აღნიშვნა აღრიცხვის ან ფაქტისათვის კანონიერი ძალის მინიჭების მიზნით.

რეგრესი – რეგრესია

რეგრესი: უკუსვლა, დაქვეითება; **რეგრესია**: ზღვის უკან დახევა.

რეგულარული – რეგულირებული

რეგულარული: 1. სისტემატური (**რეგულარული** კავშირი / ვარჯიში / მომსახურება...); 2. მტკიცედ დადგენილი ორგანიზაციის მქონე არმია, რომელშიც სამხედრო სწავლება სისტემატურად წარმოებს (**რეგულარული** ჯარი); **რეგულირებული**: მოწესრიგებული; დარეგულირებული; რისი რეგულირებაც მოხდა (**რეგულირებული** მოძრაობა / წნევა...).

რედაქცია – რედაქტირება

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – რედაქციის გაკეთება, ხელნაწერის გასწორება, ლიტერატურული დამუშავება და მომზადება დასაბეჭდად, მაგრამ **რედაქციას** სხვა მნიშვნელობებიც აქვს: 1. დამუშავებული ტექსტი (ძველი **რედაქცია**; ახალი **რედაქციით** გამოცემული); 2. აზრის ჩამოყალიბება, ფორმულირება; 3. თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც ხელმძღვანელობს რაიმე გამოცემას (ჟურნალს, გაზეთს, წიგნს) ან ადგილი, სადაც ეს თანამშრომლები მუშაობენ (გაზეთის **რედაქცია** სხვა ქუჩაზე გადავიდა).

რედაქციული – სარედაქციო

რედაქციული (ტექსტში **რედაქციული** ცვლილებების შეტანა); **სარედაქციო** (კოლეგია / სტატია...).

რეზერვი – რეზერვაცია – რეზერვუარი

რეზერვი: 1. წყარო, საიდანაც იძენენ ახალ-ახალ ძალებს (შრომითი **რეზერვები**); 2. რაიმეს მარაგი (საწარმოო / სამხედრო **რეზერვები**); **რეზერვაცია**: 1. მარაგის, რეზერვების შექმნა; 2. უფლება იმისა, რომ კვლავ დაუბრუნდნენ რაიმე საკითხის განხილვას; 3. ზოგ ქვეყანაში – ადგილი,

სადაც იძულებითი წესით ასახლებენ ადგილობრივ მკვიდრებს; 4. ნაკრძალი; **რეზერვუარი**: სითხის ან გაზის მარაგის შესანახი ნაგებობა.

რეიდი – რეისი

რეიდი: 1. გემების ღუზით გასაჩერებელი მოხერხებული ადგილი ნავსადგურში ან მის მახლობლად; 2. გადატ. შემოწმება-დათვალიერება (პოლიციის **რეიდი**); **რეისი**: გზა (საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე), რომელსაც გადის გემი, თვითმფრინავი, ავტობუსი...

რეკლამაცია – რეკლამირება

რეკლამაცია: 1. საჩივარი, პროტესტი; 2. სამართ. კრედიტორის (მყიდველის, დამკვეთის) მოთხოვნა ნაყიდი საქონლის, დაკვეთილი პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს ნაკლოვანებათა გამოსწორების... შესახებ; **რეკლამირება**: 1. რეკლამის გაკეთება, მოწყობა; 2. ზედმეტად შექება.

რეკონსტრუირებული – რეკონსტრუქციული

რეკონსტრუირებული (შენობა / სკოლა / საცხოვრებელი სახლი...); **რეკონსტრუქციული** (სამუშაოები / გეგმა).

რესტავრაციული – რესტავრირებული

რესტავრაციული (სამუშაოები); **რესტავრირებული** (ნაგებობა).

რეფლექსი – რეფლექსია

რეფლექსი: ცოცხალი ოგანიზმის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე (უპირობო / პირობითი **რეფლექსები**); **რეფლექსია**: ფილოს. ცნობიერების მიერ თავისი თავის შემეცნება (საკუთარი აზრებისა და განცდების ანალიზი).

რეფორმატორი – რეფორმისტი

რეფორმატორი: რეფორმის მომხდენი, გამტარებელი; **რეფორმისტი**: რეფორმიზმის მომხრე.

რეცეპტარი – რეცეპტორი

რეცეპტარი: აფთიაქის თანამშრომელი, რომელიც წამლის შეკვეთას იღებს ექიმის რეცეპტის მიხედვით; მერეცეპტე; **რეცეპტორი**: ფიზიოლ. გრძნობადი ნერვული ბოჭკოს დაბოლოება, რომელიც იღებს გაღიზიანებას.

რვატომეული – რვატომიანი

რვატომეული (განმარტებითი ლექსიკონისა); **რვატომიანი** (ნაშრომი).

რითმა – რიტმი

რითმა: ბგერათა ერთი და იმავე ან მსგავსი კომპლექსების კანონზომიერი გამეორება გარკვეულ რიტმულ მონაკვეთშ (ძირითადად სტრიქონების ბოლოს: ლექსის **რითმა**); **რიტმი**: თანაბარზომიერი, პერიოდული მონაცვლეობა რაიმე

ელემენტებისა (მოძრაობის, ბგერების...): **რიტმის** გრძნობა.

რითმული – რიტმული

რითმული (ლექსის **რითმული** ხიბლი); **რიტმული** (ცეკვა „მთიულურის“ **რიტმული** თავისებურება).

რიტმი – რიტმიკა

რიტმი: თანაბარზომიერი, პერიოდული მონაცვლეობა რაიმე ელემენტებისა (მოძრაობის, ბგერების...): ლექსის / ცეკვის / მუსიკის... **რიტმი**; **რიტმიკა**: 1. რიტმული სისტემა (ლექსის **რიტმიკა**); 2. მოძღვრება რიტმის შესახებ; 3. ფიზიკური ვარჯიშების სისტემა, რომლის მიზანია რიტმის გრძნობის გამომუშავება.

რიტორული – რიტორიკული

რიტორული: მჭევრმეტყველისათვის დამახასიათებელი (**რიტორული** ნიჭი); **რიტორიკული**: მჭევრმეტყველების თეორიისთვის დამახასიათებელი (**რიტორიკული** კითხვა).

რიცხვი – ციფრი

რიცხვი: 1. ერთზე მეტი ციფრისაგან შედგენილი რაოდენობის გამომხატველი ცნება (წილადი / ლუწი / კენტი **რიცხვი**); 2. რაოდენობა: „მაყურებელთა **რიცხვი** უთვალავი იყო“ (ილია); 3. რაიმეს ერთობლიობა, რიგი, ჯგუფი: „სტუ-

დენტების **რიცხვში** მეც ვიყავი“ (აკაკი); 4. რიგის მიხედვით ესა თუ ის დღე (დღეს რა **რიცხვია**?); 5. გ რ ა მ ა ტ. მორფოლოგიური კატეგორია (მხოლოობითი / მრავლობითი **რიცხვი**); **ციფრი**: 1. რიცხვის გრაფიკული ნიშანი (არაბული / რომაული **ციფრები**); 2. რაოდენობის გამომხატველი ცნება ნულიდან ათამდე.

რიცხვული – რიცხული

რიცხვული (სიდიდე / თანაშეფარდება); **რიცხული** (თანხა).

როგორიც – როგორც

როგორიც (ისეთი, როგორიც): იყიდა სწორედ ისეთი კომპიუტერი, **როგორიც** უნდოდა; **როგორც** (ისე, როგორც): „ყველას ნება აქვს – **როგორც** სურს, ისე შეიქციოს თავი“ (ილია).

როდინდელი – ოდინდელი (იხ.)

რტო – შტო

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ხის ან ბუჩქის გამონაზარდი (შეისხა **რტო**; ბუჩქის **შტო**), მ ა გ რ ა მ **შტოს** სხვა მნიშვნელობაც აქვს: მდინარის, ქედის, რკინიგზის... განაყოფი სხვადასხვა მხარეს; განშტოება (მთის / მდინარის... **შტო**); შ დ რ.: **გვარის შტო**.

რუსოფილი – რუსოფობი

რუსოფილი: რუსეთისა და ყოველივე რუსულის მოყვარული; **რუსოფობი**: რუსეთისა და ყოველივე რუსულის მოძულე.

რქიანი, რქოსანი – რქოვანი

რქიანი, **რქოსანი**: პირუტყვი; **რქოვანი** (წამონაზარდი); შ დ რ.: თვალის **რქოვანი** გარსი.

რძიანი – რძიანა

რძიანი: რძის შემცველი (**რძიანი** ყავა); **რძიანა**: ბალახოვანი მცენარე.

რწმუნება – რწმუნებულება

რწმუნება (არწმუნებს; რწმუნდება): დაჯერება, დარწმუნება; **რწმუნებულება**: რწმუნებულის ოფიციალური უფლება, უფლებამოსილება.

ს

საანგარიშო – საანგარიშებელი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – რაც ანგარიშს საჭიროებს, მ ა გ რ ა მ **საანგარიშოს** სხვა მნიშვნელობებიც აქვს: 1. რისი საშუალებითაც ანგარიშობენ; სპეციალური მოწყობილობა არითმეტიკულ მოქმედებათა საწარმოებლად: ოთხკუთხედ ჩარჩოში ჩასმულ ჩხირებზე ასხმულია ათ-ათი კოჭი (ჩხირები აღნიშნავენ ერთეულებს, ათეულებს, ასეულებს...); 2. ანგარიშთან დაკავშირებული (**ანგარიში** – აქ: მოხსენება შესრულებული სამუშაოს შესახებ): **საანგარიშო** მოხსენება / კრება / პერიოდი...

სააქციო – სააქციზო

სააქციო: აქციებისთვის განკუთვნილი, აქციებთან დაკავშირებული, აქციებზე დამყარებული (**სააქციო** საზოგადოება); **სააქციზო**: აქციზისათვის განკუთვნილი, აქციზით განსაზღვრული (**სააქციზო** პატენტი / უწყება...).

საბალახე – საბალახო

საბალახე (გადასახადი); **საბალახო** (ადგილი).

საბრალდებო – საბრალდებულო

საბრალდებო: ს ა მ ა რ თ. ბრალდების შემცველი, განმსაზღვრელი (**საბრალდებო** დასკვნა); შ დ რ.: **საბრალდებულო**: ბრალდებულისათვის განკუთვნილი (**საბრალდებულო** საკანი).

საბრძოლი, საბრძოლველი – საბრძოლო

საბრძოლი, **საბრძოლველი** (წინ კიდევ ბევრი იყო **საბრძოლი** / **საბრძოლველი**); **საბრძოლო** (დავალება / მზადება / ოპერაცია / განწყობა / ამოცანა / მდგომარეობა).

საგადამხდელო – საგადასახადო

საგადამხდელო: გადამხდელისთვის განკუთვნილი (**საგადამხდელო** ბალანსი); **საგადასახადო**: გადასახადთან დაკავშირებული (**საგადასახადო** სამსახური).

საგირაო – საგირავნო

საგირაო: გირაოდ მისაცემი, დასაგირავებელი რამ; **საგირავნო**: სპეც. გირაოს მიცემის დამადასტურებელი ცნობა (**საგირავნო** ბარათი / ქვითარი).

საგულისხმო – საგულისხმებელი

საგულისხმო: მნიშვნელოვანი, საყურადღებო: „ეს წერილი ეხება მრავალ **საგულისხმო** და თან სავალალო საგანს ჩვენი ცხოვრებისას“ (ილია); **საგულისხმებელი**: რასაც გულისხმობენ, მხედველობაში მისაღები, სავარაუდო (**საგულისხმებელი** დიაგნოზი).

სადამრიგებლო – დამრიგებლური (ი ხ.)

სადემონსტრაციო – დემონსტრაციული (ი ხ.)

საეკლესიო – ეკლესიური (ი ხ.)

საერთაშორისო – ერთაშორისი (ი ხ.)

საეტაპო – ეტაპობრივი (ი ხ.)

საექსპერტო – საექსპორტო

საექსპერტო: ექსპერტთან დაკავშირებული (**საექსპერტო** კომისია / დასკვნა); შ დ რ.: **საექსპორტო**: ექსპორტისათვის განკუთვნილი (**საექსპორტო** საქონელი).

სავსებით – სრულიად

სავსებით (გასაგები / დამაჯერებელი...); **სრულიად** (გაუგებარი / დაუჯერებელი...).

საზიარო, ზიარი – გასაზიარებელი (ი ხ.)

საზიარო – საზიარებელი

საზიარო: რაც რამდენიმე პირს ეკუთვნის, საერთო; ზიარი (**საზიარო** ეზო); **საზიარებელი**: ვინც უნდა აზიარონ, ვინც უნდა ეზიაროს (**საზიარებელი** მრევლი).

საზოგადო – საზოგადოებრივი

საზოგადო: რაც ყველას ეკუთვნის ან ახასიათებს; საერთო, საყოველთაო (**საზოგადო** საკუთრება); შ დ რ.: **საზოგადო მოღვაწე**: ვინც საზოგადოების ინტერესებისათვის იღვწის, საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა; **საზოგადოებრივი**: საზოგადოებისთვის დამახასიათებელი, საზოგადოებაში ადამიანთა საქმიანობასთან დაკავშირებული (**საზოგადოებრივი** ცხოვრება / აზრი / ინტერესები / მაუწყებლობა...).

სათბური – სათბურა

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – სათბილობელი: სხეულის ამა თუ იმ ნაწილის გასათბობი მოწყობილობა (ავადმყოფს **სათბური** / **სათბურა** დაადეს), მაგრამ **სათბური**: ორანჟერეა.

სათევზაო – სათევზე

სათევზაო (ნავი / ადგილი...); **სათევზე** (გოდორი...).

სათითე, სათითური – სათითურა

სათითე, სათითური: თითზე ჩამოსაცმელი კერვის დროს; გადატ. რამდენიც ერთ სათითეში ჩადის (ერთი **სათითე** თესლი); **სათითურა**: ბოტან. მრავალწლოვანი ბალახი მარცვლოვანთა ოჯახისა.

საინვენტარო – საინვენტარიზაციო

საინვენტარო: ინვენტარისათვის განკუთვნილი (**ინვენტარი** – დაწესებულების, ორგანიზაციის ქონება): **საინვენტარო** დავთარი / ნომერი; **საინვენტარიზაციო**: ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული (**ინვენტარიზაცია** – რაიმე დაწესებულების, ორგანიზაციის ქონების ზუსტი აღნუსხვა): **საინვენტარიზაციო** კომისია / აღწერილობა.

საინსპექციო – საინსპექტორო

საინსპექციო: ინსპექციისათვის განკუთვნილი (**ინსპექცია** – ორგანიზაციის, დაწესებულების მიერ კანონის შესრულებაზე ზედამხედველობის სისტემა): **საინსპექციო** დათვალიერება; **საინსპექტორო**: ინსპექტორისათვის განკუთვნილი (**ინსპექტორი** – ვინც ინსპექციას ატარებს, კონტროლს უწევს ამა თუ იმ ორგანიზაციის საქმიანობას): **საინსპექტორო** ჩანაწერი.

საკაცე – საკაცო

საკაცე (ავადმყოფი **საკაცეზე** დააწვინეს); **საკაცო** (**საკაცო** საქმე).

საკბილე – საკბილო

საკბილე: კბილებისთვის განკუთვნილი (**საკბილე** მორჩი...); **საკბილო**: 1. შესაჭმელი (მგელმა **საკბილო** დაინახა); 2. გადატ. რაიმე ქმედების (ძირითადად უარყოფითი) სავარაუდო ობიექტი (**საკბილო** ვერაფერი იპოვა).

საკითხი – საკითხავი

საკითხი: რაც გარკვევას, გადაწყვეტას, განხილვას საჭიროებს; რაზეც მსჯელობენ; რასაც იკვლევენ (საკვლევი / საჭირბოროტო **საკითხი**); შდრ.: დროის / ზრდილობის **საკითხი**; **საკითხავი**: 1. რაც უნდა ჰკითხონ ან იკითხონ, შესაკითხი; 2. ვინც ან რაც უნდა მოიკითხონ; ვისი ან რისი ამბავიც უნდა იკითხონ (**საკითხავი** კაცი / ამბავი...); 3. რაც უნდა წაიკითხონ, კითხვისათვის განკუთვნილი, წასაკითხი (**საკითხავი** წიგნი...).

საკომისიო – საკომისიონერო

საკომისიო (მაღაზია); **საკომისიონერო** (საქმიანობა).

საკორექტორო – საკორექტურო

საკორექტორო: კორექტორებისათვის განკუთვნილი (**საკორექტორო** ოთახი); **საკორექტურო**: კორექტურისთვის განკუთვნილი; რაც კორექტურას საჭიროებს (**საკორექტურო** ანაბეჭდი).

საკრედიტო – საკრედიტორო

საკრედიტო: კრედიტთან დაკავშირებული (**კრედიტი** – სესხად მიცემული თანხა; სესხი): **საკრედიტო** ბარათი; **საკრედიტორო**: კრედიტორთან დაკავშირებული (**კრედიტორი** – სესხის მიმცემი): **საკრედიტორო** კურსები.

საკურთხი – საკურთხებელი – საკურთხეველი

საკურთხი და **საკურთხებელი** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ვინც ან რაც უნდა აკურთხონ: „**საკურთხი** პირები პირდაპირ ანტიოქიაში იქმნენ ვახტანგ მეფესთან წარვლენილნი“ (ი. ჯავახ.); „მღვდელი სულ იმის ზრუნვაში იყო, თუ ხვალ რამდენი ტაბლა მექნებაო **საკურთხი**“ (გ. წერეთ.); „მთელი ეს გზა სავსე იყო მიმავალი ხალხითა, ესენიც თავიანთ მიცვალებულთა საფლავების **საკურთხებლად** მიდიოდნენ“ (ნ. ლომ.), მ ა გ რ ა მ **საკურთხს** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: ჭირისუფლის მიერ ეკლესიაში მიტანილი საჭმელ-სასმელი (მიცვალებულის სახელზე), რომელსაც მღვდელი აკურთხებს; **საკურთხეველი**: კანკელით გამოყოფილი ნაწილი ეკლესიისა: „შობა დღეს იდგა **საკურთხევლის** წინ მელქისედეკი, უქადაგებდა მრევლს“ (კ. გამს.).

სალიტერატურო – ლიტერატურული (იხ.)

სალტე – სალტო

სალტე: ლითონის რკალი (რაიმეს გასამაგრებლად); შ დ რ.: **სალტო**: 1. აკრობატული ნახტომი, რომლის დროსაც სხეული ჰაერში ამოტრიალდება; 2. გ ა დ ა ტ. სახიფათო ნაბიჯი.

სამათხოვროდ – სანათხოვროდ

სამათხოვროდ: მათხოვრობის მიზნით: „რამდენიმე კაცი სოფლიდან წასულიყო **სამათხოვროდ** ქალებით და ბავშვებით“ (დ. კლდ.); **სანათხოვროდ**: დროებით სათხოვებლად: „იქნება **სანათხოვროდ** მაინც ვიშოვოთ სადმე ცალი ჩექმა“ (ა. ბელ.).

სამამულე – სამამულო

სამამულე (რქა); **სამამულო** (ომი / ნაწარმი).

სამანქანო – მანქანური (იხ.)

სამეურვეო – სამეურნეო

სამეურვეო: მეურვეობისთვის განკუთვნილი (**მეურვეობა** – მეურვის მოვალეობა; მზრუნველობა, ზედამხედველობა; დახმარება, შემწეობა): **სამეურვეო** კანონმდებლობა; **სამეურნეო**: მეურნეობისთვის განკუთვნილი (**მეურნეობა**: 1. ამა თუ იმ საზოგადოებრივი წყობის საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა; 2. წარმოება; ეკონომიკა; შ დ რ., **სოფლის მეურნეობა**): **სამეურნეო** გეგმა / ანგარიში.

სამკერდე – სამკერდული

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ცხენის აკაზმულობის ნაწილი, მკერდზე ამოსაკრავი თასმა, მ ა გ რ ა მ **სამკერდეს** სხვა მნიშვნელობაც აქვს: მკერდისთვის განკუთვნილი, მკერდზე გასაკეთებელი (**სამკერდე** ნიშანი).

სამწერლო – სამწერლობო

სამწერლო (ასპარეზი); **სამწერლობო** (ენა).

სამწყე[მ]სავი – სამწყესური

სამწყე[მ]სავი: რაც უნდა მწყემსონ (**სამწყესავი** ნახირი); **სამწყესური**: ადგილი, სადაც საქონელს მწყემსავენ.

სამხატვრო – მხატვრული (იხ.)

სანათხოვროდ – სამათხოვროდ (იხ.)

სანაშენე – სანაშენო

სანაშენე (მეურნეობა); **სანაშენო** (საქონელი).

სანგვინი – სანგვინიკი

სანგვინი: მუქი წითელი რბილი ფანქარი (იყენებენ ფერწერაში); ასეთი ფანქრით ნახატი; **სანგვინიკი**: მეტისმეტად ხალისიანი ადამიანი (რომელიც გარეგნულად მკვეთრად გამოხატავს თავის ემოციებს).

სანიშნე – სანიშნო

სანიშნე და **სანიშნო** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: რასაც უმიზნებენ, ნიშანში ამოსაღები (**სანიშნე** / **სანიშნო** ფიცარი...), მ ა გ რ ა მ **სანიშნოს** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: რითაც უნდა ანიშნონ, ნიშნის მისაცემი; სასიგნალო (**სანიშნო** ალამი / ზარი...).

სანიშნი, სანიშნებელი – სანიშნე

სანიშნი, **სანიშნებელი**: რითაც უნდა ანიშნონ, ნიშნის მისაცემი; სასიგნალო (ხმა, ალამი, ზარი...); შ დ რ.: **სანიშნი** წიგნისთვის / ბლოკნოტისთვის; **სანიშნე**: რასაც უმიზნებენ, ნიშანში ამოსაღები (**სანიშნე** ფიცარი...).

სანიშნი, სანიშნებელი – სანიშნო

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია

და ნიშნავს: რითაც უნდა ანიშნონ, ნიშნის მისაცემი; სასიგნალო (ხმა, ალამი, ზარი...), მ ა გ რ ა მ **სანიშნოს** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: რასაც უმიზნებენ, ნიშანში ამოსაღები (**სანიშნო** ფიცარი...).

საობიექტო – ობიექტური (იხ.)

საოპერაციო – ოპერაციული (იხ.)

საპარლამენტო – პარლამენტური – პარლამენტარული (იხ.)

საპილოტე – საპილოტო

საპილოტე: პილოტისთვის განკუთვნილი (**საპილოტე** ფორმა); **საპილოტო**: რისი პილოტირებაც უნდა მოხდეს; რაც უნდა გამოიცადოს, შემოწმდეს (სახელმძღვანელოს **საპილოტო** ვერსია; **საპილოტო** პროგრამა / პროექტი).

სარდელი – სარდინი

სარდელი: მსხვილი და მოკლე სოსისი; **სარდინი**: ზღვის თევზი ქაშაყისებრთა ოჯახისა.

სარედაქციო – რედაქციული (იხ.)

სარეწაო – სარეწი

სარეწაო: რეწვასთან დაკავშირებული (**სარეწაო** გადასახადი / კოოპერაცია / ფლოტი); **სარეწი**: მოპოვებითი ხასიათის საწარმო ან საწარმოთა ქსელი: მარილის / ნავთის / თევზის / ოქროს... **სარეწი**.

სარძევე – სარძეო

სარძევე (ჭურჭელი / ჯირკვლები / კბილები); **სარძეო** (მეურნეობა).

სარწყავი – სარწყული – სარწყულებელი

სარწყავი და **სარწყული** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: 1. ღვინის, მარცვლეულის... საწყაო; 2. ჭურჭელი, რომელსაც აქვს ტუჩი ძაბრისმაგვარი დაჩვრეტილი ბოლოთი (ხმარობენ ბაღის, ბოსტნის... მოსარწყავად), მ ა გ რ ა მ **სარწყავს** სხვა მნიშვნელობებიც აქვს: 1. რაც ირწყვება (**სარწყავი** მინდორი); 2. რითაც რწყავენ (**სარწყავი** სისტემა); **სარწყულებელი**: 1. რასაც წყალი უნდა დაალევინონ (**სარწყულებელი** საქონელი); 2. ადგილი, სადაც პირუტყვს წყალს ასმევენ.

სასიკვდილო – მომაკვდინებელი (იხ.)

სასმელი – სასმისი

სასმელი: რაც უნდა სვან (**სასმელი** წყალი; ალკოჰოლიანი **სასმელი**); **სასმისი**: ჭურჭელი, რითაც ღვინოს ან სხვა მაგარ სასმელს სვამენ (კათხა, ყანწი, ფიალა...).

სასროლი – სასროლო

სასროლი: 1. რაც უნდა ისროლონ (**სასროლი** ქვა / ჯოხი / ბადე...); 2. რასაც უნდა ესროლონ (**სასროლი** მიზანი / ნიშანი); 3. რითაც უნდა ისროლონ (**სასროლი** იარაღი); შ დ რ.: **სასროლო** (მოედანი / სპორტი...).

სასუბიექტო – სუბიექტური

სასუბიექტო: ლ ი ნ გ ვ. **სასუბიექტო** ქცევა; **სუბიექტური**: ლ ი ნ გ ვ. **სუბიექტური** პირის ნიშნები.

სასწავლი – სასწავლო – სასწავლებელი

სასწავლი (გაკვეთილი / ლექსი...); **სასწავ-ლო** (ნივთები / პროგრამა / წელი; შ დ რ.: **სასწავ-ლო** ნაწილის გამგე); **სასწავლებელი**: სასწავლო ტიპის დაწესებულება.

სატირი – სატირა

სატირი: ბერძნულ მითოლოგიაში – ღვინისა და მხიარულების ღმერთის, დიონისეს მხლებელი, ავხორცი არსება, რომელსაც თხის ფეხები, წვერი და რქები აქვს; **სატირა**: ლიტერატურასა და ხელოვნებაში – სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი ხერხი; სინამდვილის უარყოფითი მხარეების მკაცრი გაკიცხვა, დაუზოგავი დაცინვა, მასხრად აგდება: „ამ **სატირაში** სასაცილოდ აგდებულია ძველი სქოლასტიკური წესი სწავლებისა“ (ილია).

საუკუნო – საუკუნე – საუკუნეობრივი

საუკუნო: სამუდამო, სამარადისო, მუდმივი: „სიყვარული ისა სჯობს, რაც ძველია, **საუკუნო** მეგობრობის მცველია“ (აკაკი); **საუკუნე**: დროის მონაკვეთი (ასი წელი); **საუკუნეობრივი**: დიდი ხნის, ხანგრძლივი (**საუკუნეობრივი** ოცნება).

საუწყებო – საუწყებელი

საუწყებო: უწყებისთვის განკუთვნილი; უწყებაში შემავალი: **საუწყებო** ორგანიზაცია; **საუწყებელი**: რაც უნდა აუწყონ; საცნობებელი; შესატყობინებელი: „თორიანი ბერი უარს ამბობდა... ზვიადის გარეშე სხვა ვინმესათვის ემცნო სათქმელი და **საუწყებელი**“ (კ. გამს.).

საფილტრავი – საფილტრაციო

საფილტრავი: რითაც უნდა გაფილტრონ (ღვინის **საფილტრავი** მანქანა); **საფილტრაციო**: ფილტრაციისათვის დამახასიათებელი (გრუნტის **საფილტრაციო** თვისებები).

საფინანსო – ფინანსური (იხ.)

საქარინი – საქაროზა

საქარინი: შაქრის სუროგატი; **საქაროზა**: მცენარეული წარმოშობის (ჭარხლის ან ლერწმის) შაქარი.

საქმიანი – საქმოსანი

საქმიანი: 1. საქმის მქონე, მცოდნე, მოყვა-

რული (**საქმიანი** ადამიანი); 2. საქმესთან დაკავშირებული (**საქმიანი** ქაღალდები); 3. ლაკონიური, დაწურული, არსებითი; მხოლოდ საკითხთან დაკავშირებული (**საქმიანი** ლაპარაკი); **საქმოსანი**: ვინც თავის საქმიანობაში მხოლოდ პირადი (პრაქტიკული, ჩვეულებრივ, კომერციული) ინტერესებით ხელმძღვანელობს.

საქორწილო – საქორწინო

საქორწილო (მზადება); **საქორწინო** (ბეჭედი).

საშიში – საშინელი

საშიში: შიშის მომგვრელი, სახიფათო (**საშიში** ავადმყოფობა / ცხოველი); **საშინელი**: 1. საზარელი (**საშინელი** ურჩხული / ხმა...); 2. აუტანელი, გაუსაძლისი, შემაწუხებელი, მოუთმენელი (**საშინელი** ამინდი / პირობები / სიძვირე / ტკივილი...).

საშუალი – საშუალო

საშუალი (**საშუალი** გვარის ზმნა; **საშუალი** ქართული); **საშუალო** (არითმეტიკული / ხელფასი / განათლება / მოსავლიანობა).

საშური – შესაშური

საშური: საჩქარო, სასწრაფო, დასაშურებელი: „კნიაზო, წამო! რაღას იცდი, გვიგვიანდება, დრო **საშურია**“ (ილია); **შესაშური**: შურის აღმძვრელი, სახარბიელო, შესაშურებელი: „ფრინველთ, მცენარეთ ცხოვრება გამიხდა **შესაშურია**“ (ვაჟა).

საჩეჩი – საჩეჩელი

საჩეჩი: რაც უნდა ჩეჩონ; სადაც უნდა ჩეჩონ (**საჩეჩი** მატყლი / ბამბა; **საჩეჩი** დანადგარი / საამქრო); **საჩეჩელი**: რითაც ჩეჩავენ.

საჩირე – საჩირავი

საჩირე: ჩირად გამოსადეგი, ჩირისათვის განკუთვნილი (**საჩირე** ხილი); **საჩირავი**: რასაც ჩირავენ, რითაც ჩირავენ (**საჩირავი** ქლიავი..., **საჩირავი** დანა).

საცვალი – საცვლელი

საცვალი: გამოსაცვლელი (თეთრეული); მ რ. **საცვლები**; **საცვლელი**: რაც უნდა ცვალონ, გასაცვლელი (**საცვლელი** საქონელი).

საციგაო – საციგურაო

საციგაო: ციგაობისთვის განკუთვნილი (**საციგაო** ადგილი); **საციგურაო:** ციგურებით სრიალისათვის განკუთვნილი (**საციგურაო** სპორტი / სეზონი / შეჯიბრება / მოედანი).

საცოლე – საცოლო

საცოლე: ვინც ცოლად უნდა ითხოვონ; **საცოლო**: ვისაც ცოლის შერთვა შეჰფერის.

საძაგელი – საძაგებელი

საძაგელი: ვინც ან რაც სძაგთ; ძალიან ცუდი, საზიზღარი, საძულველი (**საძაგელი** პიროვნება; **საძაგელ** გუნებაზე იყო); შ დ რ.: **საძაგელო ბავშვო!** (გ ა დ ა ტ. გამოიყენება დატუქსვის დროს); **საძაგებელი**: ვინც, რაც უნდა აძაგონ; ძაგების ღირსი, გასაკიცხი, სალანძღავი: „არავინ ისე **საძაგებელი** არაა, როგორც ძმების მოღალატე“ (კ. გამს.).

საძილე – საძინებელი

საძილე (არტერია / ტომარა / წამალი...); **საძინებელი** (ოთახი).

საწარმო – საწარმოო

საწარმო: წარმოებითი ან სავაჭრო-სამეურნეო ერთეული (სახელმწიფო / სამრეწველო / დამხმარე **საწარმო**); **საწარმოო**: წარმოებისთვის განკუთვნილი (**საწარმოო** იარაღები / თათბირი / პრაქტიკა).

საწველი – საწველელი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ჭურჭელი, რომელშიც წველიან (**საწველი** / **საწველელი** ქოთანი), მ ა გ რ ა მ **საწველს** სხვა მნიშვნელობებიც აქვს: 1. რაც უნდა წველონ (**საწველი** ფური); 2. რითაც უნდა წველონ (**საწველი** აპარატი).

საწვიმარი – საწვიმური

საწვიმარი: 1. წყალგაუმტარი ქსოვილის სამოსელი; 2. ქოლგა; 3. წვიმის მომყვანი (**საწვიმარი** ღრუბელი); 4. წვიმის წყლისთვის განკუთვნილი; წვიმის წყლის სადენი (**საწვიმარი** მილი); **საწვიმური**: შენობის სახურავზე გაკეთებული თუნუქის ძაბრი, რომლითაც სახურავზე დაგროვებული წვიმის წყალი ჩადის საწვიმარ მილში.

საწნეხი – საწნახელი

საწნეხი: 1. სადაც წნეხენ, წნეხისთვის განკუთვნილი ადგილი (ჩაის **საწნეხი** ფაბრიკა; თივის **საწნეხი**); 2. რითაც წნეხენ (ყურძნის **საწნეხი**); **საწნახელი**: ყურძნის საჭყლეტი ჭურჭელი (**საწნახელში** ჩაყრილი ყურძენი).

სახალხო – ხალხური

სახალხო (გმირი / მოძრაობა / კრება; საკუთრება / შემოსავალი / მეურნეობა; დემონსტრაცია / ლექციები); შ დ რ.: **სახალხო მხატვარი**; **სახალხო არტისტი**; **ხალხური** (შემოქმედება / პოეზია / ცეკვები...).

სახელი – სახელწოდება

სახელი (ადამიანისა / ცხოველისა / ფრინველისა / მცენარისა); **სახელწოდება** (ქვეყნისა / ქალაქისა / ქუჩისა / ჟურნალისა / ფილმისა / რომანისა).

სახელმწიფო – სახელმწიფოებრივი

სახელმწიფო (ზედსართავის მნიშვნელობით): ბიუჯეტიდან დაფინანსებული დაწესებულება (**სახელმწიფო** თეატრი / გადასახადი / უნივერსიტეტი...); **სახელმწიფოებრივი**: სახელმწიფოს კუთვნილი, სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი, სახელმწიფოსთან დაკავშირებული (**სახელმწიფოებრივი** ინტერესები / საქმიანობა / მიდგომა...).

სახელო – სახელური

სახელო (კაბისა / პიჯაკისა...); **სახელური** (კარისა...).

საჯარო – საჯარისო

საჯარო (ბიბლიოთეკა / განხილვა / ვაჭრობა / ლექცია / სკოლა...); **საჯარისო** (ნაწილები / შენაერთი / ფორმირება; წესდება...).

საჰაერე – საჰაერო

საჰაერე: ს პ ე ც. ჰაერის მიწოდების მარეგულირებელი სარკმელი ღუმელში; **საჰაერო**: ჰაერში (ცაში) მოქმედი, არსებული (**საჰაერო** სივრცე / ბრძოლა / გზა / ტრანსპორტი / განგაში...).

სეისმოგრაფი – სეისმომეტრი

სეისმოგრაფი: დედამიწის ქერქის რყევათა ავტომატურად ჩასაწერი ხელსაწყო; **სეისმომეტრი**: ხელსაწყო, რომლითაც აკვირდებიან დედამიწის ზედაპირის რყევას მიწისძვრის დროს.

სეისმოგრაფია – სეისმოლოგია

სეისმოგრაფია: დედამიწის ქერქის რყევათა ავტომატურად ჩაწერა; **სეისმოლოგია**: გეოფიზიკის დარგი, რომელიც სწავლობს მიწისძვრებს (და ამის მიხედვით აკეთებს დასკვნებს).

სეკუნდი – სეკუნდა

სეკუნდი: 1. კუთხისა და რკალის საზომი ერთეული, უდრის გრადუსის $^{1}/_{3600}$ ნაწილს; აღინიშნება ასე: 90''; 2. მ ო ძ ვ. წამი; **სეკუნდა**: მ უ ს. დიატონიკური გამის მეორე საფეხური; ინტერვალი ორ მეზობელ საფეხურს შორის (დიდი / მცირე **სეკუნდა**).

სემინარიული – სემინარული

სემინარიული (ცხოვრება / რეჟიმი); **სემინარული** (მეცადინეობა).

სენიორი – სინიორი

სენიორი: 1. ესპანეთში – ბატონი; 2. მსხვილი მემამულე შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში; **სინიორი**: იტალიაში – ბატონი.

სეპარატული – სეპარატისტული

სეპარატული: ომის დროს კოალიციაში მყოფი სახელმწიფოს მიერ მოწინააღმდეგესთან დადებული ზავი მოკავშირეების თანხმობის გარეშე (**სეპარატული** ზავი); **სეპარატისტული**: პოლიტ. სეპარატისტისთვის დამახასიათებელი; სეპარატიზმთან დაკავშირებული (**სეპარატიზმი** – გამოყოფისკენ სწრაფვა; სახელმწიფოს ერთი ნაწილის გამოყოფისა თუ ავტონომიის სტატუსის მინიჭებისათვის გამიზნული მოძრაობა): **სეპარატისტული** დამოკიდებულება / მთავრობა.

სერვიზი – სერვისი

სერვიზი: სადილის, ჩაის, ყავის... ჭურჭლის მთელი კომპლექტი; **სერვისი**: მომსახურება.

სექტორი – სექცია

სექტორი: 1. მათემ. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 2. რაიმე მოედნის, ფართობის ნაწილი, რაიონი; 3. დაწესებულების, ორგანიზაციის, სასწავლებლის ან სახალხო მეურნეობის ფუნქციონირების ერთ-ერთი სფერო, სახე (ქართული **სექტორი**; კერძო **სექტორი**); **სექცია**: 1. სავაჭრო დაწესებულების ერთ-ერთი (ერთგვარი საგნებით მოვაჭრე) ნაწილი (პარფიუმერიის **სექცია**); 2. რომელიმე დაწესებულების, ორგანიზაციის, განყოფილების წრე, ჯგუფი (სპორტული / ლიტერატურული **სექცია**); 3. კონფერენციის ქვეგანყოფილება; 4. მედიც. გვამის გაკვეთა.

სიგარა – სიგარეტი

სიგარა: მილის სახით მჭიდროდ დახვეული თამბაქოს ფოთლები (მოსაწევად); **სიგარეტი**: უმუნდშტუკო პაპიროსი (მოსაწევად), თხელ ქაღალდში გახვეული; თამბაქოთი დატენილი მილაკი.

სიდაბლე – სიმდაბლე

სიდაბლე: დაბლის თვისება, დაბალი ტანის ქონა; **სიმდაბლე**: 1. მოკრძალება, მოწიწება; მორჩილება; 2. ზნედაცემულობა, უპატიოსნება, სულმდაბლობა.

სიდიდე – სიდიადე

სიდიდე: 1. დიდის თვისება, დიდად ყოფნა, დიდობა: „წინდა სიპატარავემ გაცვითა და პაიჭი – **სიდიდემაო**“ (ანდაზა); 2. რაიმეს ზომა, მოცულობა, ტევადობა: „ძირს იყო გათხრილი სხვადასხვა **სიდიდის** ორმოები“ (ა. ყაზბ.); 3. მათემ. მუდმივი / ცვლადი **სიდიდეები**; **სიდიადე**: დიადის თვისება; დიადობა, დიდებულება: „მახსოვს, ყრმა ვიყავ, ძლივს მოსული გონს და ცნობასა, როს **სიდიადე** თქვენი მგვრიდა კანკალს, ჟრჟოლასა“ (ილია).

სიმბოლური – სიმბოლისტური

სიმბოლური: სიმბოლოს ხასიათისა, პიროზითი (**სიმბოლური** ნიშანი / თანხა); **სიმბოლისტური**: სიმბოლიზმისთვის (ან სიმბოლისტის-

თვის) დამახასიათებელი (**სიმბოლისტური** პოეზია / მხატვრობა / ხედვა).

სიმპტომური [// სიმპტომატური] – სიმპტომატიკური

სიმპტომური [// **სიმპტომატური**]: 1. რაც სიმპტომს წარმოადგენს; რაიმეს მომასწავებელი, ნიშანდობლივი (**სიმპტომი** – რაიმე დაავადების ან მოვლენის დამახასიათებელი გარეგნული ნიშანი); 2. რაც მიმართულია დაავადებათა სიმპტომების – და არა მათი გამომწვევი მიზეზების – წინააღმდეგ (**სიმპტომური** / **სიმპტომატური** მკურნალობა); **სიმპტომატიკური**: სიმპტომატიკისთვის დამახასიათებელი (**სიმპტომატიკა** – მოძღვრება დაავადებათა სიმპტომების შესახებ): **სიმპტომატიკური** კვლევა.

სინიორა – სინიორინა – სენიორიტა

სინიორა: იტალიაში – ქალბატონი; **სინიორინა**: იტალიაში – ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი / ქალიშვილი; **სენიორიტა**: ესპანეთში – ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი / ქალიშვილი.

სინონიმია – სინონიმიკა

სინონიმია: ლ ი ნ გ ვ. სხვადასხვა სიტყვის მსგავსება მნიშვნელობის მიხედვით; **სინონიმიკა**: 1. ამა თუ იმ ენის სინონიმთა ერთობლიობა; 2. ლექსიკოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს სინონიმებს.

სინქრონია – სინქრონიზმი

სინქრონია: ლ ი ნ გ ვ. ენის სტატიკური მდგომარეობა (შ დ რ. **დიაქრონია**); **სინქრონიზმი**: ორი ან რამდენიმე მოვლენის, პროცესის ზუსტი დამთხვევა დროში; ერთდროული მიმდინარეობა.

სინქრონიული – სინქრონული

სინქრონიული: ლ ი ნ გ ვ. სინქრონიასთან დაკავშირებული, სინქრონიის შემსწავლელი, ენის სტატიკური მდგომარეობის აღმნიშვნელი (**სინქრონიული** კვლევა); **სინქრონული**: ს პ ე ც. სინქრონიზმის ხასიათისა, ერთსა და იმავე დროს მიმდინარე, წარმოებული (**სინქრონული** რხევა / თარგმნა).

სისტემური – სისტემატური

სისტემური: სისტემისთვის დამახასიათებელი, სისტემის მიხედვით (**სისტემური** კვლევა / ანალიზი...); **სისტემატური**: რეგულარული (**სისტემატური** ვარჯიში / მეცადინეობა...).

სიტყვათშეთანხმება – სიტყვათშეხამება

სიტყვათშეთანხმება: გ რ ა მ ა ტ. სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულების ისეთი სახე, როდესაც ერთი სიტყვა ითანხმებს მეორეს განსაზღვრული ფორმით (მაგ., სახელის შეთანხმება სახელთან ბრუნვაში: **დიდმა კაცმა**, **დიდ კაცს**, **დიდი კაცის**...; სახელის შეთანხმება ზმნასთან

რიცხვში: „**წყალნი წავლენ და წამოვლენ**...“); **სიტყვათშესხამება**: ს ტ ი ლ ი ს ტ. სიტყვათა შესაბამისობა, შეწყობა, შეფარდება შესიტყვებაში (**ძალიან ცივა**; **კარგად მოიქცა**).

სოლიდური – სოლიდარული

სოლიდური: 1. მაგარი, მტკიცე; საიმედო, საფუძვლიანი (**სოლიდური** ნაგებობა / ნაშრომი...); 2. დინჯი, სერიოზული; ხანში შესული, შუახნისა (**სოლიდური** კაცი); 3. მნიშვნელოვანი, დიდი (**სოლიდური** თანხა); **სოლიდარული**: 1. ვინმეს შეხედულების, მოქმედების მიმართ თანაგრძნობით გამსჭვალული; ვინმესთან ერთსულოვანი, შეთანხმებული; 2. ს ა მ ა რ თ. საერთო პასუხისმგებლობის პრინციპზე დამყარებული.

სონატა – სონეტი

სონატა: მ უ ს. ერთი ან ორი საკრავისათვის დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები (ჰაიდნის / მოცარტის / ბეთჰოვენის... **სონატა**); **სონეტი**: ლ ი ტ. თოთხმეტსტრიქონიანი ლექსი რითმების თავისებური განლაგებით (შექსპირის **სონეტები**).

სოფიზმი – სუფიზმი

სოფიზმი: ფორმალურად სწორი, მაგრამ არსებითად მცდარი მოსაზრება (დებულება), რომელიც ემყარება ცნებათა ორაზროვნებას, ამოსავალ დებულებათა განზრახ უმართებულოდ შერჩევას; **სუფიზმი**: მაჰმადიანობის მისტიკურ-ასკეტური მიმართულება, რომელიც მე-8 საუკუნეში წარმოიშვა.

სოციალური – სოციალისტური

სოციალური: 1. საზოგადოებრივი (**სოციალური** მეცნიერება / აღზრდა / ურთიერთობა / უზრუნველყოფა; რომანი); 2. საზოგადოების სხვადასხვა კლასთან დაკავშირებული (**სოციალური** წარმოშობა / ჯგუფები / ფენები); **სოციალისტური**: სოციალიზმისათვის დამახასიათებელი (**სოციალისტური** რევოლუცია / სისტემა / იდეოლოგია / სახელმწიფო).

სპეკულანტური – სპეკულაციური

სპეკულანტური: სპეკულანტისთვის დამახასიათებელი (**სპეკულანტური** თვისებები); **სპეკულაციური**: 1. სპეკულაციით გამოწვეული, სპეკულაციაზე დამყარებული (**სპეკულაციური** ვაჭრობა / ფასები); 2. ფ ი ლ ო ს. პრაქტიკისაგან მოწყვეტილი, განყენებული; აბსტრაქტულ მსჯელობაზე დამყარებული.

სპექტროგრაფი – სპექტროსკოპი

სპექტროგრაფი: სპექტრების ფოტოსურათის გადასაღები ხელსაწყო; **სპექტროსკოპი**: სპექტრზე დაკვირვების საწარმოებელი ხელსაწყო.

სპირიტიზმი – სპირიტუალიზმი

სპირიტიზმი: რწმენა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მიცვალებულთა სულების გამოძახება და მათთან ურთიერთობის დამყარება; **სპირიტუალიზმი**: რელიგიურ-ფილოსოფიური

მოძღვრება, რომელიც სულს განიხილავს, როგორც სინამდვილის პირველსაწყისს.

სრულად — სრულიად

სრულად (ყველაფერი **სრულად** ჩაიბარა / დაწერა...); **სრულიად** (**სრულიად** გაუგებარი; **სრულიად** არ ეშინია).

სრულყოფა — სრულყოფილება

სრულყოფა: 1. რაიმეს უნაკლოდ, უზადოდ ქცევა; დახვეწა, გაუმჯობესება, განვითარება (შემდგომი **სრულყოფა**); 2. დამთავრება, დასრულება, ამოწურვა (საქმის **სრულყოფა**); **სრულყოფილება**: სრულყოფილის თვისება (**სრულყოფილი** – საუკეთესო).

სტაბილური — სტაბილიზებული

სტაბილური: გამძლე, მტკიცე, მყარი, უცვლელი (**სტაბილური** ფასები / მდგომარეობა / ხასიათი); **სტაბილიზებული**: განმტკიცებული, მოწესრიგებული (**სტაბილიზებული** სამხედრო ძალა).

სტაგნაცია — სტაგფლაცია

სტაგნაცია: წარმოების, ვაჭრობის განვითარების შეჩერება, შეფერხება; **სტაგფლაცია**: სტაგნაცია ინფლაციასთან ერთად (**ინფლაცია** – სახელმწიფოში ქაღალდის ფულის რაოდენობის ზრდა, რაც იწვევს ამ ფულის გაუფასურებას).

სტალაგმიტი — სტალაქტიტი

სტალაგმიტი: მ ი ნ ე რ. გამოქვაბულის ძირიდან კონუსისებურ სვეტებად აღმართული ამონაშვერი, ჩვეულებრივ, კალციტისა; შ დ რ.: **სტალაქტიტი**: ლოლოებად ჩამოშვებული წარმონაქმნი (კალციტისა) გამოქვაბულის ჭერზე.

სტატიკური — სტატისტიკური

სტატიკური: სტატიკის კანონებზე დამყარებული; წონასწორობაში მყოფი, უძრავი, უცვლელი (**სტატიკური** მდგომარეობა); **სტატისტიკური**: სტატისტიკასთან (რაოდენობრივ აღრიცხვასთან) დაკავშირებული (**სტატისტიკური** სამმართველო / მონაცემები).

სტატისტი — სტატისტიკოსი

სტატისტი: უსიტყვო როლების შემსრულებელი მსახიობი; მასობრივი სცენების მონაწილე; **სტატისტიკოსი**: სტატისტიკის სპეციალისტი (**სტატისტიკა**: 1. მეცნიერება, რომელიც სწავლობს რაოდენობრივ ცვლილებებს ადამიანთა საზოგადოებაში; 2. მასობრივ მოვლენათა აღრიცხვა ამ მეცნიერების მეთოდების გამოყენებით).

სტატუა — სტატუეტი

სტატუა: ადამიანის (ან ცხოველის) ფიგურის ქანდაკება (ანტიკური **სტატუა**); შ დ რ.: **სტატუეტი**: პატარა სტატუა (ფაიფურის **სტატუეტი**).

სტაციონარი – სტაციონერი

სტაციონარი: 1. საავადმყოფო, რომელსაც მუდმივი ადგილები აქვს ავადმყოფთათვის; 2. ზოგადად – ერთ ადგილას მოთავსებული, არამოძრავი დაწესებულება; **სტაციონერი**: უცხოეთის გემი, რომელიც მუდმივად დგას კოლონიის ან ნახევარკოლონიის ნავსადგურში და პოლიციურ სამსახურს ეწევა.

სტენოზი – სტენოკარდია

სტენოზი: მ ე დ ი ც. მილოვანი (ან ღრუ) ორგანოების დავიწროება; შ დ რ.: **სტენოკარდია**: მწვავე შეტევა (ტკივილისა) გულის არეში; გულის ანგინა.

სტერილიზაცია – პასტერიზაცია (ი ხ.)

სტილური, სტილებრივი – სტილისტური – სტილისტიკური

სტილური, **სტილებრივი** (მახასიათებლები მწერლის ენისა); **სტილისტური** (ალღო); **სტილისტიკური** (ანალიზი / შეცდომა).

სტიუარდი – სტიუარდესა

სტიუარდი: ოფიციანტი სამგზავრო გემზე ან თვითმფრინავში; **სტიუარდესა**: სტიუარდი ქალი.

სტრუქტურული – სტრუქტურალისტური

სტრუქტურული: სტრუქტურასთან დაკავშირებული, სტრუქტურით განსაზღვრული, სტრუქტურის ხასიათისა; **სტრუქტურალისტური**: სტრუქტურალიზმთან დაკავშირებული (**სტრუქტურალიზმი** – თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი მიმდინარეობა).

სუბიექტური – სასუბიექტო (ი ხ.)

სუბიექტური – სუბიექტივისტური

სუბიექტური: 1. სუბიექტისთვის დამახასიათებელი, სუბიექტის თვალსაზრისთან, ინტერესებთან, გემოვნებასთან დაკავშირებული; პირადული (**სუბიექტური** აღქმა ამა თუ იმ მოვლენისა); 2. არაობიექტური, მიკერძოებითი (**სუბიექტური** მიდგომა ამა თუ იმ საკითხისადმი); 3. გ რ ა მ ა ტ. სუბიექტის გამომხატველი (მაგ., **სუბიექტური** პირის ნიშანი); **სუბიექტივისტური**: სუბიექტივისტისათვის (ან სუბიექტივიზმისთვის) დამახასიათებელი (**სუბიექტივისტი** – სუბიექტივიზმის მიმდევარი; **სუბიექტივიზმი** – ფ ი ლ ო ს. 1. სუბიექტური იდეალიზმი; 2. პირადულობა, მიკერძოება, ობიექტურობის არქონა).

სულმოუთქმელად – მოუთმენლად (ი ხ.)

სულფატი – სულფიდი

სულფატი: ქ ი მ. გოგირდმჟავა მარილების (თაბაშირის, შაბიამნის, ინგლისური მარილისა

და სხვ.) საერთო სახელწოდება; შ დ რ.: **სულფიდი**: გოგირდის ნაერთი რომელიმე ლითონთან (ნატრიუმის **სულფიდი**).

სუფიზმი – სოფიზმი (ი ხ.)

სჩადის – ჩადის (ი ხ.)

სწავლა – სწავლება

სწავლა: ცოდნის შეძენა, განათლების მიღება; **სწავლება**: ცოდნის მიწოდება.

სწერია – წერია (ი ხ.)

სწვავს – წვავს (ი ხ.)

სწირავს – წირავს (ი ხ.)

სწორად – სწორედ

სწორად: 1. მართებულად (**სწორად** მოიქცა); 2. წრფივი ხაზით, არაირიბად (გზა **სწორად** მიდის); 3. ტოლად, თანაბრად (**სწორად** შეჭრა თმისა...); **სწორედ**: ზუსტად, სახელდობრ (**სწორედ** ახლა / აქ...).

სწყდება – წყდება (ი ხ.)

სწყენს – სწყინს

სწყენს (ბავშვს საჭმელი); **სწყინს** (სტუდენტს კრიტიკა).

სწყვეტს – წყვეტს (ი ხ.)

სჭამს – ჭამს (ი ხ.)

სჭირს – ჭირს (ი ხ.)

ტ

ტაბაკა – ტაბაკი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: 1. ხის მოზრდილი სინისმაგვარი თეფში; 2. ტაბლა; დაბალი მაგიდა, მ ა გ რ ა მ **ტაბაკას** სხვა მნიშვნელობებიც აქვს: 1. ბრტყლად შემწვარი ვარია (თევზს **ტაბაკა** მოჰყვა); 2. თხლად დაჭრილი (ფქვილში ამოვლებული) შემწვარი ხორცი, თევზი; შ დ რ.: **ტაბაკა ლელვი** / **სოკო**.

ტაბელი – ტაბლო

ტაბელი: 1. რაიმეს სია, ცხრილი; 2. მოსამსახურეთა სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის აღრიცხვის საშუალება; **ტაბლო**: საკონტროლო დაფა, ეკრანი შუქოვანი ან სხვაგვარი სასიგნალო მოწყობილობით (სხვადასხვა ინფორმაციის მისაწოდებლად).

ტალავარი – ტალავერი

ტალავარი (ტალავრის⌜ა⌝): ძვ. ტანსაცმელი; **ტალავერი** (ტალავრის⌜ა⌝): თალარი.

ტანდემი – ტენდერი

ტანდემი [დ ა ა რ ა ტ ენ დ ე მ ი]: 1. ორადგილიანი ველოსიპედი, რომელზედაც უნაგირები და ორი წყვილი პედალი ერთიმეორის უკან არის განლაგებული; 2. გ ა დ ა ტ. გუნდში (საზოგადოებრივ ასპარეზზე) ერთად მოქმედი ორი სპორტსმენი (ფეხბურთელი, კალათბურთელი...); პოლიტიკური მოღვაწე; **ტენდერი**: 1. კომერციული კონკურსი შეკვეთის შესასრულებლად; 2. ერთანძიანი სპორტული საზღვაო გემი; 3. ორთქლმავლის მისაბმელი ნაწილი, რომელშიც სათბობისა და წყლის საჭირო მარაგი თავსდება.

ტაქტი – ტაქტიკა

ტაქტი: 1. მუსიკალური მეტრული ერთეული; 2. რაიმე ერთგვაროვანი მოძრაობის ყოველი ნაწილი; დრო თანაბარ დარტყმებს შორის; 3. გ ა დ ა ტ. თავის დაჭერის უნარი, ზომიერების გრძნობა, თავდაჭერილობა; **ტაქტიკა**: 1. ს ა მ ხ. ბრძოლის მომზადების (წარმოების) თეორია და პრაქტიკა; 2. გ ა დ ა ტ. საზოგადოებრივი, პოლიტიკური ბრძოლის ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა.

ტაქტიანი – ტაქტიკური

ტაქტიანი: თავდაჭერილი, ზომიერი (**ტაქ-**

ტიანი საქციელი); **ტაქტიკური**: ტაქტიკაზე დამყარებული (**ტაქტიკური** სვლა...).

ტაცება – ტაციობა

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – წართმევა, ძარცვა-გლეჯა, ყაჩაღობა (დაიწყეს ძარცვა, **ტაცება**; **ტაციობით** დააწიოკეს სოფელი), მ ა გ რ ა მ **ტაცებას** სხვა მნიშვნელობაც აქვს: დავლება, წავლება ხელისა.

ტექნიკა – ტექნოლოგია

ტექნიკა: მანქანების (კომპიუტერების...), მექანიკური იარაღებისა და მოწყობილობათა ერთობლიობა, რომლებსაც იყენებენ საზოგადოებრივ წარმოებაში; 2. პროფესიული ხერხების ერთობლიობა (ჭადრაკის თამაშის **ტექნიკა**); **ტექნოლოგია**: ნედლეულის, ნაკეთობათა, ნახევარფაბრიკატების დამუშავების ოსტატობა.

ტიპი – ტიპაჟი

ტიპი: 1. რაიმეს ნიმუში, სახე (ახალი **ტიპის** არმია...); 2. ლ ი ტ. პირის განზოგადებული სახე (ვაჭრის... **ტიპი**); 3. ს ა უ ბ. თავისებური ხასიათის ან გარეგნობის ადამიანი (უცნაური **ტიპი**); 4. ბ ი ო ლ. მცენარეთა და ცხოველთა დაჯგუფების ერთეული (ძუძუმწოვართა... **ტიპი**); **ტიპაჟი**: ტიპისთვის დამახასიათებელ თვისებათა მქონე პირი (კარგი **ტიპაჟია**).

ტოლფარდი – ტოლფერდა

ტოლფარდი: 1. შესაფერი, რაიმეს მიმართ თანასწორი (ერთმანეთის **ტოლფარდები**); 2. სპეც. პროპორციული; **ტოლფერდა**: სპეც. ტოლი ფერდების მქონე (**ტოლფერდა** სამკუთხედი / ტრაპეცია).

ტონი – ტონიკა

ტონი: 1. ბგერა, რომელსაც იწვევს ჰაერის პერიოდული რხევა და აქვს გარკვეული სიმაღლე; 2. მუს. საკრავის ან ხმის ჟღერადობის ელფერი; 3. მუს. შუალედი ორ მეზობელ ბგერას შორის; 4. მოლაპარაკე ადამიანის ხმის ჟღერადობა, სიმაღლე ან სიძლიერე; 5. ლაპარაკის, ნათქვამის იერი; თხრობის ან წერის მანერა, სტილი; 6. რაიმეს ფერი, შეფერილობა; შდრ.: **ტონს აძლევს**: მაგალითს აჩვენებს; **ტონიკა**: 1. მუს. გამის პირველი ძირითადი ტონი, რომლის მიხედვითაც ერქმევა სახელი მოცემულ წყობას (მაგ., ნოტი **დო**, **დო-მაჟორი**); 2. წყობის პირველი აკორდი (ჩვეულებრივ, გამის პირველი საფეხურის სამხმოვანება).

ტოტალური – ტოტალიტარული

ტოტალური: საყოველთაო, მთლიანი, სრული, ყოვლისმომცველი (**ტოტალური** გაყალბება); **ტოტალიტარული** (რეჟიმი / მმართველობა).

ტრავმული, ტრავმატული – ტრავმირებული

ტრავმული, **ტრავმატული**: ტრავმით გამოწვეული (**ტრავმა** – მედიც. ორგანიზმის ქსოვილების დაზიანება, რომელიც გამოწვეულია გარეგანი ზემოქმედებით: დაჭრით, დაჟეჟვით, დაწვით...); **ტრავმირებული**: ვინც, რამაც ტრავმა განიცადა.

ტრალერი – ტრაილერი

ტრალერი: 1. ტრალებით (ზღვაში თევზის საჭერი ბადით) აღჭურვილი თევზსაჭერი გემი; 2. სამხედრო გემი ზღვის ფსკერის გამოსაკვლევად ან ნაღმების მოსასპობად; **ტრაილერი**: 1. ავტომისაბმელი, რომელიც განკუთვნილია მძიმეწონიანი ტვირთისათვის; 2. საცხოვრებლად მოწყობილი ავტომისაბმელი (მოგზაურობისას).

ტრანზიტული – ტრანზიტიული

ტრანზიტული: 1. ტრანზიტთან დაკავშირებული (**ტრანზიტული** ბაჟი); 2. ტრანზიტით მიმავალი, გადასაზიდი (**ტრანზიტული** საქონელი / მატარებელი); **ტრანზიტიული**: ლინგვ. გარდამავალი ზმნა.

ტრანსკრიფცია – ტრანსლიტერაცია

ტრანსკრიფცია: 1. ლინგვ. ამა თუ იმ ენის ბგერათა ზუსტად გადმოცემა პირობითი ნიშნებით; 2. მუს. ერთი საკრავის ან ხმისათვის დაწერილი მუსიკალური ნაწარმოების გადაღება სხვა საკრავისა თუ ხმისათვის; **ტრანსლიტერაცია**: ერთი გრაფიკული სისტემის მიხედვით ჩაწერილი ტექსტის გადმოცემა სხვა გრაფიკული სისტემის საშუალებით (ერთი ენის ბგერების გადმოცემა სხვა ენის ასოებით).

ტრანსცენდენტური – ტრანსცენდენტალური

ტრანსცენდენტური: 1. ფ ი ლ ო ს. ცდის გარეშე არსებული, განყენებული; 2. მ ა თ. რასაც ალგებრულად ვერ გამოიანგარიშებენ; **ტრანსცენდენტალური** (ფ ი ლ ო ს. კანტის იდეალისტური მოძღვრება).

ტრაქეა – ტრაქომა

ტრაქეა: ა ნ ა ტ. სასუნთქი მილი; სასულე; **ტრაქომა**: მ ე დ ი ც. თვალის შემაერთებელი გარსის ქრონიკური გადამდები დაავადება.

ტრიბუნა – ტრიბუნი

ტრიბუნა: 1. საგანგებოდ მოწყობილი ამაღლებული ადგილი ორატორისათვის; 2. ნაგებობა (სტადიონზე, მოედანზე...), რომელსაც აქვს საფეხურებრივი ამაღლებული რიგები დასაჯდომად (მაყურებელთათვის); 3. გ ა ზ ე თ. იარაღი, საშუალება, რომელსაც იყენებენ პოლიტიკური, პუბლიცისტური ან საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის (გაზეთი იყო მისი **ტრიბუნა**); **ტრიბუნი**: 1. ძველ რომში სახელმწიფო და საზოგადოებრივი თანამდებობის პირი, რომელსაც თავდაპირველად ევალებოდა პლებეების უფლებათა დაცვა; 2. გ ა ზ ე თ. საზოგადო მოღვაწე, გამოჩენილი ორატორი და პუბლიცისტი, რომელიც თავის გამოსვლებში იცავს რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესებს.

ტუმბა – ტუმბო

ტუმბა: 1. დაბალი ბოძი; 2. პატარა კარადა,

რომელსაც საწოლთან დგამენ; 3. დაბალი მაგიდა საწერი მაგიდის საყრდენად; 4. მრგვალი ნაგებობა აფიშებისა და განცხადებების გასაკრავად; **ტუმბო**: მანქანა, ხელსაწყო, რომლითაც რაიმეს (სითხეს, გაზს) ამოიღებენ, ამოქაჩავენ ან ჩაუშვებენ (სახანძრო **ტუმბო**; ჭაბურღილები აღჭურვილია **ტუმბოებით**).

ტურნე – ტურნირი

ტურნე: 1. მოგზაურობა წრიული მარშრუტით, 2. მსახიობთა საგასტროლო მოგზაურობა სხვადასხვა ქალაქში; **ტურნირი**: შეჯიბრება რაიმე სპორტულ თამაშობაში (ჭადრაკში, შაშში...), რომლის თითოეული მონაწილე ხვდება ყველა დანარჩენ მონაწილეს რიგრიგობით.

უ

უარობა – უარყოფა

უარობა: „არას“ თქმა, უარზე დგომა (მიპატიჟებაზე / თანამშრომლობაზე **უარობა**); **უარყოფა**: რაიმე არსებულის მიუღებლობა, უკუგდება (სინამდვილის / აზრის **უარყოფა**).

უახლესი – უახლოესი

უახლესი: ყველაზე ახალი (**უახლესი** ტექნი-

კა / აღმოჩენა / გამოცემა); **უახლოესი**: ყველაზე ახლოს მყოფი, ახლობელი; ახლოს მდებარე (**უახლოესი** მეგობარი / წარსული / სუპერმარკეტი).

უბანავია – უბანავებია

უბანავია (იბანავებს; იბანავა): **უბანავია** (თვითონ); **უბანავებია** (აბანავებს; აბანავა): **უბანავებია** (ბავშვი).

უბე – უპე

უბე: ტანსაცმლის შიდა ნაწილი (მაგ., მკერდთან); **უპე**: ადგილი თვალის გარშემო.

უბედო – უბედური

უბედო: ვისაც ბედი არა აქვს, ბედი არ სწყალობს, უიღბლო; ვინც გულის სწორი ვერ იპოვა (**უბედო** ქალი); **უბედური**: 1. ცუდი ბედის მქონე; გაუბედურებული: „კარგა ხანს ბუტბუტებდა და გულში ხელს იცემდა ის **უბედური** მამა“ (ილია); „ვაი მას, შავბნელს, **უბედურს** და ვაი იმის მშობელსა“ (ვაჟა); შ დ რ.: **უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული**: ბედუკუღმართი; **უბედური შემთხვევა**: მარცხი, კატასტროფა, რომელსაც თან სდევს ადამიანთა მსხვერპლი; 2. გ ა დ ა ტ., ს ა უ ბ. ცუდი, აუტანელი, საზარელი: **უბედური** ხასიათი აქვს; „წუხელ **უბედური** სიზმარი ვნახე“ (ს. შანშ.).

უბრალობა – უბრალოება

უბრალობა: ბრალის, დანაშაულის უქონლობა; სიმართლე (ადამიანის **უბრალობა**); **უბრალოება**: სისადავე; უბრალოს თვისება (**უბრალოება** ყველას ამშვენებს).

უგონო – უგუნური

უგონო: გულწასული (კაცი **უგონოდ** ეგდო; **უგუნური**: უჭკუო (**უგუნური** გადაწყვეტილება / ლაპარაკი / ქცევა...).

უგორავია – უგორავებია

უგორავია (გორაობს; იგორავა): **უგორავია** (თვითონ); **უგორავებია** (აგორავებს; აგორავა): **უგორავებია** (ბურთი).

უდაბლესი – უმდაბლესი

უდაბლესი: ძალიან დაბალი (**უდაბლესი** კაცი / ხე...); **უმდაბლესი**: განვითარების მიხედვით უმარტივესი; პრიმიტიული (**უმდაბლესი** ტიპები მცენარეებისა / ცხოველებისა); შ დ რ.: **უმდაბლესი სალამი**, მ ა გ რ ა მ **უმდაბლესი სული**.

უდაბნო – უდაბური

უდაბნო: 1. დედამიწის დაუსახლებელი ნაწილი, ჩვეულებრივ, სრულიად უწყლო და უმცენარო, ხრიოკი; 2. ძ ვ. განმარტოებით მდგარი მონასტერი; შ დ რ.: **უდაბური**: 1. დაუსახლებელი, მივარდნილი, მიუვალი (ადგილი); 2. გაუვალი, დაბურული, უღრანი (ტყე).

უებარი – უებრო

უებარი (წამალი / მალამო / საშუალება...); **უებრო** (მეგობარი / ადამიანი / მოსაუბრე...).

უვარჯიშია – უვარჯიშებია

უვარჯიშია (ივარჯიშებს; ივარჯიშა): **უვარ-ჯიშია** (თვითონ); **უვარჯიშებია** (ავარჯიშებს; ავარჯიშა): **უვარჯიშებია** (ბავშვი).

უთამაშია – უთამაშებია

უთამაშია (ითამაშებს; ითამაშა): **უთამაშია** (თვითონ); **უთამაშებია** (ათამაშებს; ათამაშა): **უთამაშებია** (ბავშვი).

უთვალო – უთვლო

უთვალო (კაცი); **უთვლო** (ბეჭედი).

უთხოვია – უთხოვებია

უთხოვია (სთხოვს; სთხოვა): **უთხოვია** (თვი-თონ); **უთხოვებია** (ათხოვებს; ათხოვა): **უთხოვე-ბია** (სხვისთვის).

უკვალო – უკვლო

უკვალო: რასაც კვალი არ დარჩა, რამაც კვა-ლი არ დატოვა (ამ ამბავმა **უკვალოდ** ჩაიარა); **უკ-ვლო**: გზააბნეული, გზადაკარგული: „მე და ვარ **უკვლო**, უბედო, შავბნელ დღეს დაბადებული“ (ვაჟა).

უკრებს – უკრეფს

უკრებს (მას ხალხს / რიცხვებს...); **უკრეფს** (მას ხილს).

უკუნეთი – უკუნითი

უკუნეთი: წყვდიადი; ძალიან ბნელი: „**უკუ-ნეთია**, არ ისმის კრინტი არსითგან არრისა“ (ვა-ჟა); „ქვების მეტს ვერაფერს ვხედავ ამ ბნელს, **უკუნეთს** ღამეში“ (ვაჟა); **უკუნითი**: სამუდამო; შ დ რ.: **უკუნითი უკუნისამდე**: სამუდამოდ, სამა-რადისოდ.

ულაპარაკია – ულაპარაკებია

ულაპარაკია (ლაპარაკობს; ილაპარაკა): **ულა-პარაკია** (თვითონ); **ულაპარაკებია** (ალაპარა-კებს; ალაპარაკა): **ულაპარაკებია** (ბავშვი).

უმადო – უმადური

უმადო: ვისაც მადა არა აქვს; **უმადური**: ვინც ვინმეს მადლს, სიკეთეს, ამაგს არ აფასებს (**უმა-დური** ამხანაგი).

უმადოდ – უმადურად

უმადოდ: მადის გარეშე; უხალისოდ; **უმა-დურად**: სიკეთის, მადლის დაუფასებლად.

უმდაბლესი – უდაბლესი (ი ხ.)

უმეფია – უმეფებია

უმეფია (იმეფებს; იმეფა): **უმეფია** (თვითონ); **უმეფებია** (ამეფებს; ამეფა): **უმეფებია** (ვაჟი).

უმკურნალია – უმკურნალებია

უმკურნალია (იმკურნალებს; იმკურნალა): **უმკურნალია** (თვითონ); **უმკურნალებია** (უმკურნალებს; უმკურნალა): **უმკურნალებია** (ბავშვისთვის).

უმოძრავია – უმოძრავებია

უმოძრავია (იმოძრავებს; იმოძრავა): **უმოძრავია** (თვითონ); **უმოძრავებია** (ამოძრავებს; ამოძრავა): **უმოძრავებია** (ხელები).

უმუშავია – უმუშავებია

უმუშავია (იმუშავებს; იმუშავა): **უმუშავია** (თვითონ); **უმუშავებია** (ამუშავებს; ამუშავა): **უმუშავებია** (სხვა).

უმღერია – უმღერებია

უმღერია (იმღერებს; იმღერა): **უმღერია** (თვითონ); **უმღერებია** (ამღერებს; ამღერა): **უმღერებია** (ბავშვი).

უმხიარულია – უმხიარულებია

უმხიარულია (იმხიარულებს; იმხიარულა): **უმხიარულია** (თვითონ); **უმხიარულებია** (ამხიარულებს; ამხიარულა): **უმხიარულებია** (სხვა).

უნებლიეთ – უნებურად

უნებლიეთ (ნებსით თუ **უნებლიეთ**); **უნებურად** (მისდა **უნებურად**).

ურჩევნია – ურჩევია

ურჩევნია: უკეთესად, უმჯობესად მიაჩნია: „ის **ურჩევნია** მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“ (ხალხ.); **ურჩევია**: რჩევა მიუცია.

ურწყავს – უწყავს

ურწყავს (ბაღს / ბოსტანს); **უწყავს** (ღვინოს / რძეს).

უსაქმო – უსაქმური

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ვინც არ საქმიანობს, ვინც დროს უქმად ატარებს; უქნარა: „**უსაქმო** კაცისათვის მუდამ უქმეაო“ (ანდაზა); **უსაქმური** ქალები მთელ დღეს ჭორაობაში ატარებენ, მაგრამ **უსაქმოს** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: ვინც უსაქმოდ დარჩენილა; დაუსაქმებელი: გიორგიმ სამსახური დაკარგა და **უსაქმოდ** დარჩა, რის გამოც ძალიან განიცდიდა.

უსახო – უსახური

უსახო: 1. რასაც სახე, მოხატულობა არა აქვს, სადა (**უსახო** ფარდაგი); 2. რასაც გამოკვეთილი სახე არა აქვს; უფორმო: „ვხედავ, მიფრინავს იქ, სადღაცა, ნისლი **უსახო**“ (გ. ტაბ.). **უსახური**:

უშნო, ულამაზო, მახინჯი: „ფეიქარხანი **უსახური** კაცი იყო, ბოროტი გამომეტყველებისა“ (ვ. ბარნ.).

უსესხია – უსესხებია

უსესხია (ისესხებს; ისესხა): **უსესხია** (თავისთვის); **უსესხებია** (ასესხებს; ასესხა): **უსესხებია** (სხვისთვის).

უსწავლია – უსწავლებია

უსწავლია (ისწავლის; ისწავლა): **უსწავლია** (თვითონ); **უსწავლებია** (ასწავლის; ასწავლა): **უსწავლებია** (ბავშვისთვის).

უტირია – უტირებია

უტირია (იტირებს; იტირა): **უტირია** (თვითონ); **უტირებია**, **აუტირებია** (ატირებს, ატირა; აატირებს, აატირა): **უტირებია**, **აუტირებია** (ბავშვი).

უფასო – უფასური

უფასო: რაშიც ფასს არ ახდევინებენ (**უფასო** სწავლება / მკურნალობა); **უფასური**: გამოუსადეგარი, უსარგებლო (**უფასური** შრომა / ნივთები); შ დ რ.: **გაუფასურებული**.

უფერო – უფერული

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ფერმკრთალი, ფერმიხდილი, ფერდაკარგული (**უფერო** / **უფერული** სახე...), მ ა გ რ ა მ

უფერულს სხვა მნიშვნელობაც აქვს: გ ა დ ა ტ. ერთფეროვანი, უშინაარსო (**უფერული** ცხოვრება...).

უფლებამოსილი – უფლებაუნარიანი

უფლებამოსილი: ს ა მ ა რ თ. უფლების მქონე, უფლებით აღჭურვილი (დელეგაცია **უფლებამოსილია**, აწარმოოს მოლაპარაკება); შ დ რ.: **უფლებაუნარიანი**: პირი, რომელსაც აქვს უნარი, იქონიოს უფლებები და მოვალეობები.

უფრთხის – უფრთხილდება

უფრთხის: ეშინია მისი; გაურბის, ერიდება: „ოთარაანთ ქვრივმა ეს კარგად იცოდა და ბევრს არას ნაღვლობდა, რომ ასე ეკრძალებიან, ერიდებიან და **უფრთხიან**“ (ილია); **უფრთხილდება**: ფრთხილად ექცევა; უვლის (ვინმეს ან რაიმეს): „არ მგონია [გიორგი] თავის ორ თვალს ისე **გაფრთხილებოდა**, როგორც ამ ბაღს უვლიდა და **უფრთხილდებოდა**“ (ილია).

უქადის – უქადაგებს

უქადის: ჰპირდება, აღუთქვამს: „მეზობელს ხარი **უქადე**, ღმერთი შენ მოგცემსო“ (ანდაზა); შ დ რ.: **გული ცუდს უქადის**: გული ცუდს უწინასწარმეტყველებს; **უქადაგებს**: ქადაგებს მისთვის; ურჩევს: „შვილებსაც ამას **უქადაგებს**: არამს, ცოდვას ერიდეთ“ (ვაჟა).

უქმე – უქმი

უქმე: არასამუშაო დღე: „უსაქმო კაცისათვის

მუდამ **უქმეაო**“ (ანდაზა); „**უქმე** დღეს ილხენ-დნენ, დაირას უკრავდნენ, თამაშობდნენ“ (აკაკი); **უქმი**: უსარგებლო, გამოუსადეგარი, ფუჭი: „რად მინდა **უქმი** სიცოცხლე, მოუხმარები ძალ-ღონე“ (ვაჟა).

უშავს – უშავდება

უშავს (რა **უშავს**? – რა დაუშავდება? რა მო-უვა? რა დაემართება?); შ დ რ.: არა **უშავს** (რა): 1. არაფერია, ნუ გეფიქრება; 2. ცუდი არ არის; **უშავდება**: 1. შავი უხდება (თმა **უშავდება**); 2. უფუჭდება, უბრკოლდება, უზიანდება (ხელი / ფეხი... **უშავდება**).

უჩვევი – უჩვეულო

უჩვევი: შეუჩვეველი, მიუჩვეველი; შეუგუ-ებელი (საქმეს **უჩვევი**); **უჩვეულო**: არაჩვე-ულებრივი, უცნაური, გასაოცარი: „შიგ შუაგულ ქართლში ერთი უცნაური და **უჩვეულო** რამ მოხ-და“ (აკაკი).

უჩინო – უჩინარი

უჩინო: 1. ვისაც თვალის ჩინი არა აქვს, უსი-ნათლო: „ერთხელ ერთსა მდიდარსა კარს მიად-გა მშიერი, ორივ თვალით **უჩინო**, ჯანმიხდილი, ხნიერი“ (ი. დავით.); 2. ვისაც ჩინი (სამხედრო პირთა და სამოქალაქო მოხელეთა სამსახურებ-რივი ხარისხი) არა აქვს: „...ჩვენ **უჩინონი** თქვენ, ჩინიანთა, ბუზად გგონივართ“ (ილია); **უჩინა-**

რი: ვინც (რაც) არ ჩანს, თვალით დაუნახავი, უხილავი (**უჩინარი** მტერი; თოვლის ფანტელები მალევე **უჩინარი** ხდებოდა).

უცეკვია – უცეკვებია

უცეკვია (იცეკვებს; იცეკვა): **უცეკვია** (თვი-თონ); **უცეკვებია** (აცეკვებს; აცეკვა): **უცეკვებია** (ბავშვი).

უცილობელი – აუცილებელი (იხ.)

უცინია – უცინებია

უცინია (იცინის; იცინა): **უცინია** (თვითონ); **უცინებია** (აცინებს; აცინა): **უცინებია** (სხვა).

უცნობი – უცნობო

უცნობი: 1. ვისაც (რასაც) არ იცნობენ; რაც არ უნახავთ, არ სმენიათ: „სახელი შენი? – მოხუცმა **უცნობსა** ჰკითხა კვალადა“ (ვაჟა); „წყალი გაუჩე-რებლივ მიდიოდა სადღაც **უცნობ** ადგილას“ (ი. გოგებ.); 2. მ ა თ ე მ. საძებნი სიდიდე, რომე-ლიც ამოიცნობა ამოცანის, განტოლების ამოხ-სნის შედეგად; **უცნობო**: ძ ვ. ცნობამიხდილი, უგონო: „რა შეგცოდე, რა მიქნია **უცნობოსა**, ფერ-ნამკრთალსა“ (რუსთაველი).

უცურავია – უცურავებია

უცურავია (იცურავებს; იცურავა): **უცურავია** (თვითონ); **უცურავებია** (აცურავებს; აცურავა): **უცურავებია** (სხვა).

უწამლავს – უწამლებს

უწამლავს: უშხამავს; შ დ რ.: **სიცოცხლეს უწამლავს**; **უწამლებს**: უმკურნალებს – „ქაჩალი კარგი აქიმი იყოს, თავის თავს **უწამლებდაო**“ (ანდაზა); გ ა დ ა ტ. უშველის: „ვერაფერს **ვუწამლებთ** შენს ვარამს?“ (ვაჟა).

უწვალია – უწვალებია

უწვალია (იწვალებს; იწვალა): **უწვალია** (თვითონ); **უწვალებია** (აწვალებს; აწვალა): **უწვალებია** (სხვა).

უწვერო – უწვერული

უწვერო: წვერი რომ არა აქვს (**უწვერო** კაცი); შ დ რ.: **უწვერო** ფანქარი / ნემსი; **უწვერული**: წვერი ჯერ რომ არ ამოსვლია, ჭაბუკი.

უწიგნო – უწიგნური

უწიგნო (კარადა / თარო); **უწიგნური** (ადამიანი).

უწიგნობა – უწიგნურობა

უწიგნობა: წიგნის უქონლობა; **უწიგნურობა**: გაუნათლებლობა.

უწინდელი – უწინდებური

უწინდელი: წინანდელი, ძველი – **უწინდელი** დრო: „შვილი არც **უწინდელ** ქმრის ხელში ჰყოლია“ (დ. კლდ.); **უწინდებური**: ძველებური – „მეორეს ეხურა სალდათური **უწინდებური** ქუდი“ (ილია); „ერეკლე მეფე ოთხმოცი წლის მოხუცი იყო და არა **უწინდებური** უძლეველი არწივი“ (ი. გოგებ.); შ დ რ.: **უწინდებურად**: ძველებურად – „ჭოტი ბაღჩაში **უწინდებურად** დანადირობდა“ (ი. გოგებ.).

უწყავს – ურწყავს (იხ.)

უწყალო – უწყლო

უწყალო: შეუბრალებელი, დაუნდობელი ადამიანი; **უწყლო** (მიწა / ადგილი / ჭურჭელი...).

უწყება – უწყისი

უწყება: 1. ო ფ ი ც. სახელმწიფო დაწესებულებათა სისტემა, რომელიც ემსახურება მმართველობის რომელიმე დარგს (სახელმწიფო / სამთავრობო **უწყება**); 2. შეტყობინება, ცნობა; მოკლე მიწერილობა სადმე მიწვევის, გამოცხადების შესახებ (**უწყება** მიუვიდა); **უწყისი**: სახელობითი ოფიციალური სია რაიმეს გაცემა-მიღების შესახებ (ხელფასის **უწყისი**).

უწყვეტი – უწყვეტელი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – რაც არ (ვერ) წყდება; ერთი მთლიანი; განუწყვეტელი (**უწყვეტი**, **უწყვეტელი** ნაკადი / ძაფი...), მ ა გ რ ა მ **უწყვეტელი**: გ რ ა მ ა ტ. ნამყო უსრული (**უწყვეტლის** მწკრივი: წერდა, ხატავდა...).

უჭიდავია – უჭიდავებია

უჭიდავია (იჭიდავებს; იჭიდავა): **უჭიდავია** (თვითონ); **უჭიდავებია** (აჭიდავებს; აჭიდავა): **უჭიდავებია** (სხვა).

უხმო – უხმაურო

უხმო: 1. რაც ხმას არ გამოსცემს (**უხმო** ნაბიჯი); 2. უსიტყვო, უთქმელი: „ნეტავი მათ! მათ სიყვარულს და მათ **უხმო** აღსარებას“ (აკაკი); 3. არჩევნებში – ხმის უფლების არმქონე, ხმაჩამორთმეული; უფლებაწართმეული, უუფლებო; **უხმაურო**: რაც ხმაურს არ იწვევს, რასაც ხმაური არ ახლავს (**უხმაურო** ლიფტი).

უხტუნია, უხტუნავია – უხტუნებია, უხტუნავებია

უხტუნია, **უხტუნავია** (იხტუნებს, იხტუნა; იხტუნავებს, იხტუნავა): **უხტუნია**, **უხტუნავია** (თვითონ); **უხტუნებია**, **უხტუნავებია** (ახტუნებს, ახტუნა; ახტუნავებს, ახტუნავა): **უხტუნებია**, **უხტუნავებია** (ბავშვი).

უჯერი – უჯერო

უჯერი: ქ ი მ. სითხე, რომელშიც ზღვრულ შესაძლებლობამდე არ არის გახსნილი რაიმე ნივთიერება (**უჯერი** ხსნარი); **უჯერო**: 1. რაც დასაშვები არ არის, დაუშვებელი (**უჯერო** ქცევა); 2. მ ო ძ ვ. დაუჯერებელი, ურწმუნო.

ფ

ფაბრიკანტი – ფაბრიკატი

ფაბრიკანტი: ფაბრიკის პატრონი; **ფაბრიკატი**: მზა საფაბრიკო ნაწარმი, ნახევრად ფაბრიკატი (ნაწილობრივ დამუშავებული).

ფავორი – ფავორიტი

ფავორი: ს ა უ ბ. წარჩინებული, გავლენიანი პირის მფარველობა, კეთილგანწყობა; შ დ რ.: **ფავორიტი**: ადამიანი, რომელიც სარგებლობს მაღალი თანამდებობის პირის მფარველობით; გ ა დ ა ტ. საყვარელი, მოსაწონი ადამიანი (ვინმესთვის).

ფაკულტატიური – ფაკულტეტური

ფაკულტატიური: საკუთარ არჩევანზე დამოკიდებული; არასავალდებულო, არაძირითადი (**ფაკულტატიური** საგნები); **ფაკულტეტური**: ფაკულტეტისთვის განკუთვნილი (**ფაკულტეტური** ღონისძიება / გაზეთი...).

ფალსიფიკატი – ფალსიფიკატორი

ფალსიფიკატი: ყალბი პროდუქტი, ნაკეთობა;

ფალსიფიკატორი: ფალსიფიკაციის, სიყალბის ჩამდენი.

ფამფალა – ფამფარა

ფამფალა: რაც ფამფალებს; მერყევი, მოქანავე; **ფამფარა**: ბ ო ტ ა ნ. მცენარე.

ფანი, ფანატი – ფანატიკოსი

ფანი, **ფანატი**: თავგამოდებული გულშემატკივარი; თაყვანისმცემელი; **ფანატიკოსი**: ფანატიზმით შეპყრობილი (**ფანატიზმი**: 1. რელიგიური რწმენით უკიდურესი გატაცება; 2. რაიმე საქმით ან იდეით უკიდურესი გატაცება).

ფანფარა – ფანფარონი

ფანფარა: 1. სასიგნალო საყვირი სპილენძისა; ბუკი; 2. ასეთი საყვირით მიცემული საზეიმო სიგნალი; **ფანფარონი**: მკვეხარა, ტრაბახა, ბაქია.

ფასდაუდებელი – დაუფასებელი (ი ხ.)

ფასეული – ფასიანი

ფასეული (წინადადება...); **ფასიანი** (ჯილდო / გაკვეთილი).

ფატალური – ფატალისტური

ფატალური: საბედისწერო (**ფატალური** აუცილებლობა / შემთხვევა); **ფატალისტური**: ფატალისტისთვის (ფატალიზმისთვის) დამახასიათებელი (**ფატალიზმი** – ბედისწერის არსებობის რწმენა): **ფატალისტური** შეხედულება / დამოკიდებულება.

ფაქსი – ფაქსიმილე

ფაქსი: კავშირგაბმულობის საერთაშორისო სატელეფონო ფაქსიმილური სისტემა; **ფაქსიმილე**: 1. ხელნაწერის, საბუთის და მისთ. ზუსტი პირი; 2. ვინმეს ხელმოწერის კლიშე; ბეჭედი.

ფაქტი – ფაქტორი

ფაქტი: 1. ნამდვილი, ჭეშმარიტი ამბავი (შემთხვევა, მოვლენა); 2. მონაცემი, მასალა რაიმე მოსაზრების დასადასტურებლად, დასკვნის გასაკეთებლად; **ფაქტორი**: რაიმე მოვლენის, პროცესის მიზეზი, მამოძრავებელი ძალა.

ფერადი – ფერადოვანი

ფერადი: სხვადასხვა, ნაირ-ნაირი ფერისა; ჭრელი (**ფერადი** ყვავილები / საღებავები / ფანქრები / ქსოვილი...); **ფერადოვანი**: გ ა დ ა ტ. მხატვრული, სასიამოვნო (**ფერადოვანი** მეტყველება).

ფეხდაფეხ – ფეხ-ფეხ

ფეხდაფეხ: კვალდაკვალ: „პეტრე დაჯდა თუ არა, თითქო **ფეხდაფეხ** მოჰყვაო, შემოვიდა ერთი ნაბადში გახვეული ყმაწვილი კაცი“ (ილია); **ფეხ-ფეხ**: ფეხით, ქვეითად: „**ფეხ-ფეხ** ავყევი ქუჩას“ (აკაკი).

ფიგურული – ფიგურალური

ფიგურული: 1. რაიმე ფიგურის სახისა (**ფიგურული** შოკოლადი); 2. სპორტ. **ფიგურული** სრიალი; **ფიგურალური**: ხატოვანი (**ფიგურალური** თქმა / მეტყველება).

-ფილია – -ფობია

-ფილია: ვინმეს ან რაიმეს სიყვარული; რაიმესადმი მიდრეკილება (რთული სიტყვის ბოლო შემადგენელი ნაწილი); **-ფობია**: ვინმეს ან რაიმეს სიძულვილი; აკვიატებული შიში (რთული სიტყვის ბოლო შემადგენელი ნაწილი).

ფინალი – ფინიში

ფინალი: 1. სპორტულ შეჯიბრებათა დასკვნითი ნაწილი, რომელშიც ერთმანეთს ეცილებიან წინა შეხვედრებში გამარჯვებული გუნდები ან ცალკეული სპორტსმენები (ქართველი მძლეოსნები **ფინალში** გავიდნენ); 2. მუსიკალური, თეატრალური ან ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 3. საერთოდ – რაიმეს დასასრული; **ფინიში**: დისტანციის უკანასკნელი პუნქტი (სპორტსმენმა **ფინიშის ხაზი** გადაკვეთა).

ფინანსური – საფინანსო

ფინანსური (დახმარება...); **საფინანსო** (განყოფილება...).

ფლიგელი – ფლიუგერი

ფლიგელი: სახლზე მიშენებული პატარა საცხოვრებელი ნაწილი; **ფლიუგერი** [და არა ფლუგერი]: მეტეოროლოგიური ხელსაწყო.

ფლოტი – ფლოტილია

ფლოტი: 1. რომელიმე სახელმწიფოს ან ორგანიზაციის კუთვნილი გემების, თვითმფრინავების ერთობლიობა (ინგლისის სამხედრო **ფლოტი**); 2. ერთ ზღვასა თუ მდინარეზე განლაგებული ამა თუ იმ სახელმწიფოს კუთვნილი გემების ერთობლიობა (შავი ზღვის **ფლოტი**); **ფლოტილია**: გემების მცირე რაზმი (**ფლოტილია** სწრაფად მიიწევდა წინ).

-ფობია – -ფილია (ი ხ.)

ფონომეტრი – ფონოსკოპი

ფონომეტრი: ბგერის ძალის გასაზომი ხელსაწყო; **ფონოსკოპი**: ხელსაწყო მეტყველების ფონეტიკურ თავისებურებათა (სახის კუნთების, ტუჩების მოძრაობის) შესასწავლად.

ფორმალური – ფორმალისტური

ფორმალური: 1. გარეგნული, არაარსებითი (**ფორმალური** მხარე); 2. არარეალური, არამოქმედი; ფიზიკურად არარსებული (**ფორმალური** ორგანიზაცია); **ფორმალისტური**: არსებითად ფორმას რომ მიიჩნევს და არა – იდეურ შინაარსს (**ფორმალისტურ-ფუტურისტული** ლექსები).

ფორმანტი – ფორმატი

ფორმანტი: გ რ ა მ ა ტ. მაწარმოებელი აფიქსი; **ფორმატი**: 1. წიგნის, ფურცლის ზომა (მცირე **ფორმატი**); 2. პ ო ლ ი ტ. გ ა დ ა ტ. პირობები (ხელისუფლება მზად არის, ოპოზიციას შეხვდეს ნებისმიერი **ფორმატით**).

ფორმირება – ფორმულირება

ფორმირება: 1. ჩამოყალიბება, შედგენა, დაკომპლექტება; 2. ახლად ჩამოყალიბებული სამ–ხედრო ნაწილი; **ფორმულირება**: კარგად გამოთქმა, გამოხატვა, ჩამოყალიბება (აზრის / წინადადების **ფორმულირება**).

ფორმულა – ფორმულარი

ფორმულა (მათემატიკური / ქიმიური...); **ფორ-მულარი** (წიგნისა): წიგნის პასპორტი.

ფორტე – ფორტისიმო

ფორტე: მუსიკალური ნაწარმოების ძლიერ ხმამაღლა შესრულება (ს ა პ ი რ ი ს პ. **პიანო**); **ფორ-ტისიმო**: მუსიკალური ნაწარმოების ფორტეზე უფრო ხმამაღლა შესრულება.

ფორუმი – კვორუმი (ი ხ.)

ფრაზირება – ფრაზიორობა

ფრაზირება: მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას ან რაიმეს კითხვისას (თუ წარმოთქმისას) ფრაზის შინაარსისა და მხატვრული

მხარის მკაფიოდ წარმოჩენა (მომღერალს შესანიშნავი დიქცია, მეტყველი და ნათელი **ფრაზირება** აქვს); **ფრაზიორობა**: ფრაზიორის თვისება; მაღალფარდოვანი, უშინაარსო ფრაზებით ლაპარაკი: „მე ყოველთვის მეჯავრებოდა **ფრაზიორობა**“ (ვაჟა).

ფრთხილი – მფრთხალი (ი ხ.)

ფრონტული – ფრონტალური

ფრონტული: ფრონტისთვის დამახასიათებელი (**ფრონტული** თავგადასავალი); **ფრონტა-ლური**: 1. ფრონტზე გაშლილი, გავრცელებული (**ფრონტალური** ბრძოლები); 2. საყოველთაო და ძირითადი (**ფრონტალური** კითხვების დასმა).

ფსიქიკა – ფსიქოლოგია

ფსიქიკა: სულიერ განცდათა ერთობლიობა – როგორც შედეგი ცნობიერებაში ობიექტური სინამდვილის ასახვისა (ბავშვის **ფსიქიკა**); **ფსიქო-ლოგია**: ფსიქიკის შემსწავლელი მეცნიერება.

ფსიქიკური – ფსიქოზური – ფსიქოლოგიური

ფსიქიკური (მოვლენები); **ფსიქოზური** (მდგომარეობა); **ფსიქოლოგიური** (საკითხი / კვლევა...).

ფუგა – ფუგატო

ფუგა: მ უ ს. პოლიფონიური მუსიკალური ნაწარმოების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა; **ფუგა-**

ტო: მუსიკალური თემა (დამუშავებული ფუგის სტილით); სონატის ან სიმფონიის ნაწილი.

ფუნდამენტური – ფუნდამენტალისტური

ფუნდამენტური: 1. გამძლე, მყარი; 2. ღრმაშინაარსიანი, მაღალპროფესიონალური; 3. ძირითადი, მთავარი; **ფუნდამენტალისტური**: ფუნდამენტალისტისა თუ ფუნდამენტალიზმისთვის დამახასიათებელი (**ფუნდამენტალიზმი** – რელიგიური ორთოდოქსიის საერთო სახელწოდება).

ფუნქციური, ფუნქციონალური – ფუნქციონერული

ფუნქციური (მ ე დ. **ფუნქციური** მოშლილობა; მ ა თ ე მ. **ფუნქციური** / **ფუნქციონალური** ანალიზი); **ფუნქციონერული** (ხედვა) (**ფუნქციონერი**: სახელმწიფო აპარატსა თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში რაიმე ფუნქციის შემსრულებელი).

ქ

ქართველი – ქართული

ქართველი (ხალხი / ერი...); **ქართული** (დროშა / ლიტერატურა / ღვინო...).

ქაფური – ქაფურა

ქაფური: ძლიერი სპეციფიკური სუნის მქონე უფერული (გამჭვირვალე) ნივთიერება; იღებენ ქაფურის ხისგან (ან სკიპიდრისგან); **ქაფურა**: ბ ო ტ ა ნ. მრავალწლოვანი მცენარე ვარდისებრთა ოჯახისა (მისი ყვავილი წყალში სრესით ქაფდება).

ქეჩა – ქეჩო

ქეჩა: 1. მატყლის ქსოვილის ჩამონაჭრების წნული საფენი; 2. ნაბადი; **ქეჩო**: კისრის ზედა ნაწილი (**ქეჩოში** სწვდა).

ქვევით – ქვემოთ

ქვევით / **ქვემოთ** ჩადის, მ ა გ რ ა მ: როგორც **ქვემოთ** [დ ა ა რ ა ქვევით] აღვნიშნეთ.

ქვიდან – ქვისგან

ქვიდან (საიდან? **ქვიდან** ჩამოხტა); **ქვისგან** (რისგან? **ქვისგან** ააშენა).

ქლოროფილი – ქლოროფორმი

ქლოროფილი: ბ ო ტ ა ნ. საღებავი ნივთიერება (პიგმენტი), რომელიც მცენარის ფოთლებსა და სხვა ნაწილებს აძლევს მწვანე ფერს; **ქლოროფორმი**: ჭიანჭველას მჟავა; ქლორის შემცველი უფერული, ადვილად აქროლებადი, თავისებური მოტკბო სუნის მქონე სითხე (მედიცინაში იყენებენ დასაძინებელ საშუალებად).

ქორე – ქორეა – ქორო

ქორე: ლექსის ორმარცვლიანი მუხლი, რომლის ერთი მარცვალი გრძელია (ან მახვილიანი), ხოლო მეორე – მოკლე (ან უმახვილო); **ქორეა**: მ ე დ ი ც. ნერვული დაავადება – კიდურებისა და სახის კუნთების უნებლიე და უწესრიგო მოძრაობა; **ქორო**: მომღერალთა გუნდი.

ქრომატი – ქრომიტი

ქრომატი: ქრომის მჟავას მარილი; **ქრომიტი**: ქრომისა და რკინის შემცველი მინერალი; ქრომოვანი რკინაქვა.

ქრონიკული – ქრონიკალური

ქრონიკული: ხანგრძლივი; მოურჩენელი (**ქრონიკული** დაავადება); **ქრონიკალური**: ქრონიკის ხასიათისა (**ქრონიკალური** ფილმი).

ქრონისტი – ქრონიკიორი

ქრონისტი: ქრონიკის შემდგენელი, მემატიანე (ბიზანტიელი **ქრონისტი**); **ქრონიკიორი**: გაზეთის თანამშრომელი, რომელიც აგროვებს და ამზადებს მასალას ქრონიკისათვის.

ქრონოგრაფი – ქრონომეტრი

ქრონოგრაფი: 1. დროის უმცირესი მონაკვეთების გასაზომი (დრომწერი); 2. ძველი წერილობითი ძეგლი, რომელიც წარმოადგენს საყოველთაო ისტორიის ზოგად მიმოხილვას ბიბლიური ლეგენდებისა და ბიზანტიური წყაროების

საფუძველზე; **ქრონომეტრი**: გადასატანი ზუსტი საათი (საზღვაო **ქრონომეტრი**).

ქრონოგრაფია – ქრონოლოგია

ქრონოგრაფია: ჟამთააღმწერლობა (ისტორიკოსობა); **ქრონოლოგია**: 1. ისტორიული მოვლენების თანმიმდევრობა დროის მიხედვით; 2. ისტორიული დისციპლინა (დამხმარე), რომელიც ადგენს ისტორიული მოვლენებისა და დოკუმენტების თარიღებს.

ქსენოფილია – ქსენოფობია

ქსენოფილია: ზოგადად უცხოელისა და უცხოურის სიყვარული; **ქსენოფობია**: ზოგადად უცხოელისა და უცხოურის სიძულვილი.

ღ

ღერი – ღერო

ღერი: ცალი (ასანთის / შეშის / თმის / ბალახის... **ღერი**); **ღერო**: მცენარის ძირითადი ორგანო, ტანი, რომელზედაც ტოტები და ფოთლებია გამოსხმული (სიმინდის... **ღერო**).

ღვივდება – ღივდება

ღვივდება (ცეცხლი / ცომი...); **ღივდება** (თესლი).

ღვივება – ღვივილი

ღვივება (ცეცხლისა); **ღვივილი** (ცომისა).

ღირსი – ღირსეული

ღირსი: შესაფერისი; საკადრისი (სიცოცხლის / ბედნიერების **ღირსი**); **ღირსეული**: ღირსების მქონე (**ღირსეული** მეგობარი / მეუღლე...).

ღირღიტი – ღირღიტა

ღირღიტი: ჭრიალი, ღრიჭინი: „შორს გაისმის ურმების ნაღვლიანი **ღირღიტი**“ (კ. ლორთქ.); **ღირღიტა**: გუთნის ნაწილი: „გადი, გამოდი, გუთანო, **ღირღიტავ**, ბანი უთხარო“ (ხალხ.).

ყ

ყაურმა – შაურმა

ყაურმა: წვენში ჩახარშული ჯიგარი; **შაურმა**: ლავაშში გახვეული მწვადი.

ყველა – ყოველი

ყველა: უკლებლივ, მთლიანად (**ყველა** მოვიდა); **ყოველი**: მრავლიდან თითოეული (**ყოველი** ჩვენგანი / თქვენგანი).

ყინულიანი – ყინულოვანი

ყინულიანი (წყალი); **ყინულოვანი** (ოკეანე).

ყმა – ყრმა

ყმა: 1. ი ს ტ. ბატონის ყმა; 2. ი ს ტ. პატრონის ქვეშევრდომი; 3. გ ა დ ა ტ. მორჩილი, მსახური, ხელქვეითი (**ყმად** გაიხადა); 4. ძ ვ. რაინდი, მოყმე, ვაჟკაცი (**კაი ყმა**); 5. შინაყმა; **ყრმა**: ჩვილი ბავშვი, ყმაწვილი (**ყრმის** ტიკტიკი); სკოლის ასაკის ბავშვი; ჭაბუკი.

ყოფილი – ნამყოფი (ი ხ.)

შ

შაურმა – ყაურმა (ი ხ.)

შაშხანა – შუშხუნა

შაშხანა: თოფი; **შუშხუნა**: 1. შამპანური; 2. სადღესასწაულო ცეცხლი.

შეაჯვარებს – შეაჯვარედინებს

შეაჯვარებს: შეაწყვილებს; **შეაჯვარედინებს**: ჯვარედინად გააკეთებს.

შეგროვილი – შეგროვებული

შეგროვილი: ვინც ან რაც შეგროვდა; **შეგროვებული**: ვინც ან რაც შეაგროვეს.

შეგულებული – შეგულიანებული

შეგულებული: გონებაში მონიშნული; შესაძენად, მოსაყვანად ნავარაუდები (**შეგულებული** ქალი / წიგნი / ბინა...); **შეგულიანებული**: ვინც შეაგულიანეს ან შეგულიანდა; წაქეზებული, წახალისებული.

შედგება – შესდგება

შედგება (შედგა, შემდგარა): **შედგება** (მოლაპარაკება); **შესდგება** (შესდგა, შესდგომია): **შესდგება** (მტერს ფეხით).

შედგენილობა – შემადგენლობა

შედგენილობა: ძირითადად გამოიყენება უსულო სახელებთან (ატომის / მოლეკულის; წამლის / პროდუქტის... **შედგენილობა**); **შემადგენლობა**: ძირითადად გამოიყენება ადამიანთა სახელებთან (კომისიის / ჟიურის **შემადგენლობა**), მაგრამ: **მოძრავი შემადგენლობა** (მატარებლის ვაგონები).

შედუღებული – შედუღაბებული

შედუღებული: რაც შეადუღეს ან შედუღდა; შედნობით დაკავშირებული, მიდუღებული (**შედუღებული** ფოლადის ნაწიბურები); **შედუღაბებული**: რაც შეადუღაბეს ან შედუღაბდა, დუღაბით შეკრული; შემტკიცებული (**შედუღაბებული** კედელი).

შეესიტყვება – შეესატყვისება

შეესიტყვება: შეეპასუხება, შეელაპარაკება, ეტყვის საწინააღმდეგოს, შეეკამათება; **შეესატყვისება**: შეესაბამება, შეეფარდება, შეეფერება.

შეიქნა – შეიქმნა

შეიქნა: 1. ატყდა, დაიწყო; გაიმართა: „**შეიქნა** საშინელი წივილ-კივილი“ (ვაჟა); 2. გახდა (ცუდად **შეიქნა**); **შეიქმნა**: გაკეთდა, აიგო, დაარსდა (**შეიქმნა** ახალი სახელმწიფო).

შეიყოლებს – შეიყოლიებს

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – თან შეიყვანს (შეიტანს): **შეიყოლებს**, **შეიყოლიებს** მეგობარს / ჩანთას, მაგრამ **შეიყოლიებს** ზმნას სხვა მნიშვნელობაც აქვს: რაიმე გაიტაცებს, გაართობს, შეიქცევს: „**შეგვიყოლია**... ბაასმა, შუაღამე გადასული იყო, როცა შინ დავბრუნდით“ (აკაკი).

შეიძლება – შესაძლოა, შესაძლებელია

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – სავარაუდოა; მოსალოდნელია (მას **შეიძლება** / **შესაძლოა** / **შესაძლებელია** უყვარდა ნინო); მაგრამ **შეიძლება** ზმნას განსხვავებუ-

ლი მნიშვნელობაც აქვს – ნებადართულია; კანონიერია (**შეიძლება** შემოვიდე? გადაწყვეტილება **შეიძლება** გასაჩივრდეს 30 დღის განმავლობაში).

შეკაზმავს – შეკმაზავს

შეკაზმავს („ვინ **შეკაზმავს** ცხენს?"); **შეკმაზავს** (ვინ **შეკმაზავს** ლობიოს?).

შემადგენლობა – შედგენილობა (იხ.)

შემმართავი, შემმართველი – შემმართებელი

შემმართავი, **შემმართველი**: ვინც შემართავს რაიმეს, აღმმართველი (ხმლის... **შემმართავი** / **შემმართველი**); **შემმართებელი**: გულადი, გამბედავი, ვაჟკაცი.

შემოსავალი – შემოსასვლელი

შემოსავალი (**წლიური** შემოსავალი); **შემოსასვლელი** [და არა შემოსავალი] (გზა / კარი / ჭიშკარი).

შემოურბენს – შემოურბენინებს

შემოურბენს: სირბილით შემოუვლის; **შემოურბენინებს**: სირბილით შემოუტანს რაიმეს.

შემცოდე, შემცოდველი – შემცოდებელი

შემცოდე, **შემცოდველი**: ვინც შესცოდებს, ცოდვილი, დამნაშავე; **შემცოდებელი**: ვინც შეიცოდებს, შემბრალებელი.

შენოდენი – შენოდენა (იხ. ***ამდენი – ამოდენა***)

შეპარვა – შეპარება

შეპარვა: პარვით, მალულად, შეუმჩნევლად შესვლა (ოთახში **შეპარვა**); **შეპარება**: ჩუმად, მალულად შეყვანა (ვინმესი), შეტანა (რაიმესი); შ დ რ.: **ცუდი ამბის შეპარება**.

შერჩენია – შერჩენილა

შერჩენია (ბავშვს საქციელი); **შერჩენილა** (ხეზე ფოთოლი).

შერჩენილი – შენარჩუნებული

შერჩენილი: რაც შეარჩინეს ან შერჩა (**შერჩენილი** ვალი; ხეზე **შერჩენილი** ფოთლები / ვაშლი); **შენარჩუნებული**: რაც შეინარჩუნეს (**შენარჩუნებული** სიცოცხლე / სახელი / სიმდიდრე).

შერცხვენია – შერცხვენილა

შერცხვენია (მეზობელს თავისი საქციელისა); **შერცხვენილა** (კაცი თავისი საქციელის გამო).

შესავალი – შესასვლელი

შესავალი (პოემისა / რომანისა...); **შესასვლელი** [და არა შესავალი] (თეატრისა / მეტროსი...).

შესაკაზმავი – შესაკმაზავი

შესაკაზმავი: სამგზავროდ მოსამზადებელი

(**შესაკაზმავი** ცხენი); **შესაკმაზავი**: საჭმელი, რომელიც სანელებლებით უნდა შეაზავონ.

შესაკრები – შესაკრებელი

შესაკრები: ვინც, რაც უნდა შეკრიბონ: 1. ერთად შესაგროვებელი, თავმოსაყრელი (**შესაკრები** ხალხი...); 2. მ ა თ ე მ. ჯამის ერთ-ერთი წევრი; შესაჯამებელთაგანი (ერთ-ერთი **შესაკრები**); **შესაკრებელი**: ადგილი, სადაც იკრიბებიან; საკრებულო.

შესაშური – საშური (იხ.)

შესაწყალებელი – შესაწყნარებელი

შესაწყალებელი: შესაბრალებელი, შესაცოდებელი (**შესაწყალებელი** მოხუცი / ავადმყოფი / პატიმარი); **შესაწყნარებელი**: რაც უნდა შეიწყნარონ, მისაღები, საპატიო; ანგარიშგასაწევი: „წინდახედული მხილებაა თუ წინდაუხედავი კადნიერება? – ...ერთი ჭკუამ იცის და **შესაწყნარებელია**, მეორე – ურცხვობამ და საწყენია“ (ილია); „მე მქონდა **შესაწყნარებელი** მიზეზი“ (ლ. არდაზ.).

შესახედაობა – შეხედულება

შესახედაობა: გარეგნობა (კარგი **შესახედაობა**); **შეხედულება**: მოსაზრება, აზრი, თვალსაზრისი (განსხვავებული **შეხედულება**).

შესდგება – შედგება (ი ხ.)

შეტანა – შეტანება

შეტანა (შეიტანს): 1. გარედან შიგნით მიტანა, მოთავსება; შეზიდვა (საქონლის **შეტანა** სუპერმარკეტში); 2. გ ა დ ა ტ. დანერგვა, დამკვიდრება, გავრცელება (ახალი ტექნოლოგიების **შეტანა**); 3. გ ა დ ა ტ. გათვალისწინება, აღნიშვნა (საკითხის **შეტანა** დღის წესრიგში); 4. გ ა დ ა ტ. წარდგენა, მიტანა, მიცემა (განცხადების / საბუთების **შეტანა**); შ დ რ.: **ეჭვის შეტანა**; **წვლილის შეტანა**; **წინადადების შეტანა**; **შეტანება** (შეატანს): 1. რაიმეს შეღწევა გარედან შიგნით (სითბომ ოთახში **შეატანა**); 2. რამესთან ერთად შეჭმა, მიტანება: „კარაქისა და ყველის **შეტანება** უყვარდა“ (ვ. ბარნ.).

შეტანილი – შეტანებული

შეტანილი: 1. გარედან შიგნით მიტანილი და მოთავსებული (ოთახში **შეტანილი** მაგიდა); 2. გ ა დ ა ტ. დანერგილი, დამკვიდრებული, გავრცელებული: „განათლება უნდა იქნეს **შეტანილი**...“ (ნ. ლორთქ.); 3. გ ა დ ა ტ. გათვალისწინებული, აღნიშნული (გეგმაში **შეტანილია** ექსკურსიის მოწყობა); 4. გ ა დ ა ტ. წარდგენილი (პარლამენტში **შეტანილი** კანონპროექტი); შ დ რ.: **შეტანილი წვლილი**; **შეტანებული**: 1. რაც შეატანეს (**შეტანებული** ყველი); 2. დატანებული, ჩაყოლებული: „მუცელას შუბიც სადღაც ეგულებოდა ჭერში თუ კედელში **შეტანებული**, გაფაციცებით ეძებდა იმასაც“ (ვაჟა).

შეუფასებელი – დაუფასებელი (ი ხ.)

შეუცოდველი – შეუცოდებელი

შეუცოდველი: ვისაც არ შეუცოდავს; უცოდველი, უდანაშაულო; **შეუცოდებელი**: 1. ვინც არ იცოდებს; ვისაც არ ეცოდება; ულმობელი, შეუბრალებელი; 2. ვინც არ შეიცოდეს.

შეფარული – შეფარებული

შეფარული: ის, რაც შეფარულია, დაფარულია (ხმაში **შეფარული** შიში); **შეფარებული**: ვინც (რაც) შეაფარეს ან შეეფარა; შეკედლებული (**შეფარებული** ობოლი).

შეფასება – დაფასება (ი ხ.)

შეცნობა – შემეცნება

შეცნობა: აღქმა, გაგება, გაცნობა (ბავშვი იწყებს სამყაროს **შეცნობას**); **შემეცნება**: ფ ი ლ ო ს. ობიექტური სამყაროს მეცნიერული აღქმა და გაანალიზება (**შემეცნების** თეორია).

შეყოლა – შეყოლება – შეყოლიება

შეყოლა (სახლში **შეყოლა**); **შეყოლება** (პურზე ყველის **შეყოლება**); **შეყოლიება** (თავის **შეყოლიება**: თავის შექცევა).

შეწევა – შეწევნა

შეწევა: შიგნით მიწევა (უჯრის **შეწევა**);

შეწევნა: დახმარების გაწევა, მიშველება; წყალობა: „ვიღაც გამორბის, **შეწევნას** ითხოვს“ (ი. მაჩაბ. თარგმ.).

შეხედულება – შესახედაობა (ი ხ.)

შეხვედრა – შეხვედრება

შეხვედრა: 1. პირისპირ შეყრა (მათი **შეხვედრა** შემთხვევით მოხდა); 2. შეგებება, მიგებება, დახვედრა, მიღება (**შეხვედრა** მოეწყო); 3. წილად ხვდომა (ნინოს კარგი ბედი **შეხვდა**); 4. ს პ ო რ ტ. შეჯიბრება (სპორტული **შეხვედრები**); **შეხვედრება**: 1. სხვადასხვა პირის ერთმანეთთან შეხვედრის მოწყობა; 2. რგუნება.

შეხურება – შეხურვება

შეხურება 1. სიმხურვალის მომატება; კარგად გახურება; 2. გ ა დ ა ტ. შეთრობა, შეზარხოშება; 3. გ ა დ ა ტ. გაწყრომა, გაჯავრება; შერცხვენა; **შეხურვება**: სიცხის მიცემა, ცხელება.

შთაგონება – ჩაგონება

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – შეგონება, დაჯერება; სხვის ნებისყოფაზე ზემოქმედება, მ ა გ რ ა მ **შთაგონებას** სხვა მნიშვნელობაც აქვს: შემოქმედებითი აღფრთოვანება (**შთაგონების** წყარო).

შტამბი – შტამპი

შტამბი: ხის ნაწილი ფესვის ყელიდან პირველ განშტოებამდე (ხის ტანი); **შტამპი**: 1. დე-

ტალების მოსაჭრელი ლითონის ყალიბი; 2. შაბლონი (გ ა დ ა ტ. გამოთქმის გაცვეთილი ფორმა; ტრაფარეტი); 3. ბეჭედი დაწესებულების სახელწოდებით.

შტორმი – შტურმი

შტორმი: ქარიშხალი (ზღვაზე); **შტურმი**: გადამწყვეტი იერიში მოწინააღმდეგის გამაგრებული ადგილის ასაღებად.

შტურვალი – შტურმანი

შტურვალი: ბორბლისებური საჭე (გემის, თვითმფრინავის, კომბაინის...); **შტურმანი**: ხომალდებისა და თვითმფრინავების მიმოსვლის საქმის სპეციალისტი, რომელიც იღებს სათანადო კურსს და აღნიშნავს მოძრაობას.

შუშხუნა – შაშხანა (ი ხ.)

ჩ

ჩააჭდევს – ჩააჭდობს

ჩააჭდევს: ჭდეს ჩაჭრის, ჭდეს დაადებს; გ ა დ ა ტ. ნიშანს დაადებს; აღბეჭდავს; **ჩააჭდობს**: ნაჭდევით ერთ რაიმეს (ძელს, ფიცარს...) მეორეში მჭიდროდ ჩასვამს, ჩაამაგრებს.

ჩაგონება – შთაგონება (ი ხ.)

ჩადის – სჩადის

ჩადის: ზემოდან ქვემოთ მიდის (კიბეზე **ჩადის**); შ დ რ.: **მზე ჩადის**; **სჩადის**: შვრება, აკეთებს: „რას **სჩადით**! – შემოუძახა...“ (ვაჟა).

ჩაკერილი – ჩაკერებული

ჩაკერილი: რაც ჩაკერეს; გაკერილი (**ჩაკერილი** შარვალი / კაბა...); **ჩაკერებული**: 1. რაც ჩაკერეს; კერვით ჩამაგრებული: „გიომ კარგად გაარჩია მხედრის მხრებზე ჩოხაში **ჩაკერებული** ნიშანი“ (ლ. ქიაჩ.); 2. ს ა უ ბ. ჩართული, ჩამატებული (მოთხრობაში **ჩაკერებული** ლექსი).

ჩანთიანი – ჩანთოსანი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია (**ჩანთიანი** / **ჩანთოსანი** კაცი...), მ ა გ რ ა მ: **ჩანთოსანი** (მ რ. **ჩანთოსნები**): ზ ო ო ლ. ძუძუმწოვარი ცხოველების ერთი სახეობა (კენგურუ...).

ჩაპარვა – ჩაპარება

ჩაპარვა: 1. პარვით, ჩუმად ჩასვლა (სარდაფში / ხევში... **ჩაპარვა**); 2. ჭუჭრუტანიდან გატანება წყლისა, ჰაერისა (ჰერმეტულად დახურულ ქილაში ჰაერის **ჩაპარვა**); **ჩაპარება**: პარვით, ჩუმად ჩაშვება (ფანჯრიდან / სახურავიდან... ვინმეს დაბლა **ჩაპარება**); შ დ რ.: **თვალის ჩაპარება**, **ხელის ჩაპარება**.

ჩარჩენია – ჩარჩენილა

ჩარჩენია (ბავშვს გულში წყენა); **ჩარჩენილა** (ბავშვი სოფელში).

ჩასძრობია – ჩასძრომია

ჩასძრობია (შარვალი); **ჩასძრომია** (სულში).

ჩატანა – ჩატანება

ჩატანა: ზევიდან ქვევით რაიმეს გადანაცვლება, ჩაზიდვა (ბარგის ეზოში **ჩატანა**); **ჩატანება**: 1. ჩაყოლება, ჩადება: „მიცვალებულისათვის საფლავში თან იარაღისა და ჭურჭლეულობის **ჩატანება** წესად ყოფილა მიღებული“ (ი. ჯავახ.); 2. რამეში მოქცევა, ჩაყოლება (ხალათის **ჩატანება** შარვალში); შ დ რ.: **გემოს ჩატანება**.

ჩაუცვამს – ჩაუცმევია

ჩაუცვამს (ჩაიცვამს; ჩაიცვა): **ჩაუცვამს** (თვითონ); **ჩაუცმევია** (ჩაცმევს; ჩააცვა): **ჩაუცმევია** (ბავშვისთვის).

ჩაყოლა – ჩაყოლება

ჩაყოლა: ვინმესთან (რამესთან) ერთად ჩასვლა: მეზობელმა გიორგის სარდაფში **ჩაყოლა** სთხოვა; შ დ რ.: „ჩათრევას **ჩაყოლა** სჯობიაო“ (ანდაზა); **ჩაყოლება**: ჩატანება (კაბის საყელოში მძივების **ჩაყოლება**); შ დ რ.: **ჩაყოლებით**, **ჩაყოლებაზე**: გასწვრივ.

ჩაციებული – ჩაცივებული

ჩაციებული: 1. დაჟინებული (**ჩაციებული** ცქერა); 2. შეჩენილი, გადაკიდებული (**ჩაციებული** კაცი); **ჩაცივებული** (ღვინო / საზამთრო...).

ჩაძვრება – ჩასძვრება

ჩაძვრება (თაგვი სოროში); **ჩასძვრება** (ბავშვს შარვალი).

ჩაძრობა – ჩაძრომა

ჩაძრობა (შარვლისა); **ჩაძრომა** (სოროში); შ დ რ.: **სულში ჩაძრომა**.

ჩაწვდენა – ჩაწვდომა

ჩაწვდენა (ხელისა / ჯოხისა...); **ჩაწვდომა** (სულის სიღრმეში **ჩაწვდომა**; საქმეში ღრმად **ჩაწვდომა**).

ჩაჭდევა – ჩაჭდობა

ჩაჭდევა: ჭდის ჩაჭრა, ჭდის დადება; დაჭდევა; გ ა დ ა ტ. ნიშნის დადება; **ჩაჭდობა**: ნაჭდევით ერთი ძელის (ფიცრის) მეორეში მჭიდროდ ჩასმა.

ჩაჭედვა – ჩაჭედება

ჩაჭედვა: 1. ჭედვით ერთი რამის მეორეში მჭიდროდ ჩასმა (სოლის **ჩაჭედვა** მორში); 2. დახშვა, გაუქმება (ფანჯრის / კარის **ჩაჭედვა**); **ჩაჭე-**

დება: ზევიდან რაიმეს დაკვრით ჩარჭობა, ჩასობა (ლურსმნის **ჩაჭედება**).

ჩახშული – ჩახშობილი

ჩახშული (გული / წრე...); **ჩახშობილი** (აჯანყება...).

ჩემებური – ჩემეული

ჩემებური: 1. მე რომ ვიცი, ისეთი; ჩემთვის დამახასიათებელი: „მინდოდა ერთი **ჩემებური** სიმღერა დამეძახა“ (ვაჟა); **ჩემეული**: ჩემი ნაქონი (**ჩემეული** ნივთები).

ჩემ(ო)დენი – ჩემოდენა (იხ. ***ამდენი – ამოდენა***)

ჩვენოდენი – ჩვენოდენა (იხ. ***ამდენი – ამოდენა***)

ჩიკორი – ჩიკორა

ჩიკორი: 1. „ქვის დიდი გუნდა“ (საბა); 2. ქვის ან ხის სათამაშო სამიზნე; 3. ბზრიალა; **ჩიკორა**: პატარა ტანისა (**ჩიკორა** კაცი).

ჩოგბურთი – ჩოგანბურთი

ჩოგბურთი: ტენისი; **ჩოგანბურთი**: ცხენბურთი.

ც

ცალსახა – ცალმხრივი

ცალსახა: მ ა თ ე მ. ერთი მნიშვნელობის მქონე (**ცალსახა** ფუნქცია); **ცალმხრივი**: 1. რაც მხოლოდ ცალ მხარეს ან ცალი მხრიდან ხდება (**ცალმხრივი** ვენტილაცია / პლევრიტი); 2. რაც მხოლოდ ცალმა მხარემ მოახდინა (ხელშეკრულების **ცალმხრივი** დარღვევა).

ცალსახად – ცალმხრივად

ცალსახად: ერთმნიშვნელოვნად; **ცალმხრივად**: მხოლოდ ერთი მხარის გათვალისწინებით; არამთლიანად, არასრულად (საკითხი **ცალმხრივად** არის წარმოდგენილი).

ცარიელი – ცარიელა

ცარიელი (სუფრა / ოთახი / ჩანთა...); შ დ რ.: **ცარიელი სიტყვა**; **ცარიელზე დარჩენა**; **ცარიელა** (პური / მჭადი...).

ცბუნება – ცდუნება

ცბუნება: შეკრთომა, შეცბუნება; **ცდუნება**: 1. შეცდენა; 2. საცდუნებელი (საცდური).

ცდა – მცდელობა (იხ.)

ცდომილება – ხდომილება

ცდომილება: სპეც. განსხვავება რიცხვსა და მის მიახლოებით მნიშვნელობას შორის, ნამდვილ სიდიდესა და გაზომვით მიღებულს შორის (აბსოლუტური / დასაშვები... **ცდომილება**); **ხდომილება**: ის, რაც ცდის შედეგად შეიძლება მოხდეს (შესაძლო / თავსებადი... **ხდომილება**).

ცეზურა – ცენზურა

ცეზურა: პაუზა ლექსის სტრიქონსა თუ მუსიკალურ მელოდიაში; **ცენზურა**: 1. დასაბეჭდად, დასადგმელად, საჯარო გამოსვლისათვის განკუთვნილი ნაწარმოების, სიტყვის... შემოწმება სახელმწიფო ზედამხედველობითი ორგანოს მიერ; 2. თვით ასეთი დაწესებულება.

ცელულოზა – ცელულოიდი

ცელულოზა: 1. ნივთიერება, რომლისგანაც შედგება მცენარის უჯრედების გარსი; 2. ნივთიერება, რომელიც მიიღება ზოგი მცენარის ქიმიურად დამუშავებული მერქნისა და ღეროებისგან; **ცელულოიდი**: მაგარი, პლასტიკური, ადვილად აალებადი ნივთიერება, რომლისგანაც ამზადებენ კინო- და ფოტოფირებს, საგალანტერეო ნაწარმს, სათამაშოებს.

ცენტრალური – ცენტრალისტური – ცენტრალიზებული

ცენტრალური (მოედანი / გათბობა / ნერვული სისტემა / ამოცანა...); **ცენტრალისტური** (მიდგომა / ხედვა...); **ცენტრალიზებული** (სახელმწიფო / განაწილება...).

ცერემონია – ცერემონიალი

ცერემონია: ოფიციალური ზეიმი, ღონისძიება (პრიზის გადაცემის **ცერემონია**); შდრ. საუბ. „დაუსრულებელი **ცერემონიები** მოთმინებას უკარგავდა უბრალოებას მიჩვეულ ჩრდილოელს“ (ს. კლდ.); **ცერემონიალი**: ოფიციალურ ღონისძიებათა ერთობლიობა (ოსკარის გადაცემის **ცერემონიალი**).

ცვლა – ცვალება

ცვლა და **ცვალება** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – შეცვლა, გარდაქმნა: „ჩვენ რადა გვსახავ მიზეზად შენის გუნების **ცვლისადა**“ (ვაჟა); „მეფემ სჯულის **ცვალებით** შესწირა სული დიდებულ საქმეს“ (ვ. ბარნ.); მაგრამ **ცვლა**: 1. გამოცვლა: „კოდალებსაც ადგილის **ცვლა** მოუნდათ“ (თ. რაზიკ.); 2. გაცვლა, გაცვლა-გამოცვლა (საქონლის **ცვლა**); შდრ.: **პირველი / მეორე ცვლა** (სკოლაში, უნივერსიტეტში...); **ღირსეული ცვლა**; **ნივთიერებათა ცვლა**; **ჟამთა ცვლა**.

ცერემონიული – ცერემონიალური

ცერემონიული (სალამი); **ცერემონიალური** (მარში).

ციგა – ციგურა

ციგა: პატარა მარხილი; **ციგურა** (**ციგურები**): ყინულზე სასრიალო მოწყობილობა, რომელსაც ფეხზე იმაგრებენ.

ციგაობა – ციგურაობა

ციგაობა: ციგით სრიალი; **ციგურაობა**: ციგურებით სრიალი.

ცივილისტი – ცივილიზატორი

ცივილისტი: სამოქალაქო სამართლის სპეციალისტი; **ცივილიზატორი**: ცივილიზაციის შემომტანი (ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ირონიულად).

ცივილური – ცივილიზებული

ცივილური: არასამხედრო, სამოქალაქო (**ცივილური** ტანსაცმელი); **ცივილიზებული**: ცივილიზაციას ზიარებული, კულტურული (**ცივილიზებული** ქვეყანა).

ციფრი – რიცხვი (ი ხ.)

ციფრული – ციფრობრივი

ციფრული (ფოტოაპარატი...); **ციფრობრივი** (მაჩვენებლები...).

ცნება – მცნება (იხ.)

ცნობილი – ნაცნობი (ი ხ.)

ცოდვილობს – სცოდავს (იხ.)

ძ

ძალაობს – ძალადობს

ძალაობს: ძალით, ჯიქურ მიდის წინ: „ვინც **ძალაობდა** – ფქვავდაო“ (ანდაზა); **ძალადობს**: ვინმეზე ფიზიკურად ან სულიერად ზემოქმედებს; ძალმომრეობს (სცემს; ემუქრება).

ძალოვანი – ძალოსანი

ძალოვანი (სტრუქტურა); **ძალოსანი** (სპორტსმენი).

ძარი – ძარა

ძარი: 1. ურემზე ან მარხილზე დასადგმელი დიდი, მოწნული სათავსი სიმინდის, ყურძნის და სხვ. გადასაზიდად; 2. სიმინდის საწყაო; 3. გოდორივით მოწნული მობრტყო სამწყვდევი ფრინველისა და გოჭის გასასუქებლად; 4. სასიმინდე, ნალია (უპირატესად, მოწნული); **ძარა**: 1. ურმის ძირითადი ზედა ნაწილი ღერძისა და

თვლების გამოკლებით; 2. ავტომანქანის სამგზავრო ან სატვირთო ნაწილი.

ძვალთაშუა – ძვალთაშორისი

ძვალთაშუა (იოგები); **ძვალთაშორისი** (სიმსივნე).

ძვლიანი – ძვლოვანი

ძვლიანი: ძვლის (ძვლების) მქონე (**ძვლიანი** ხორცი / ნაჭერი); **ძვლოვანი**: ს პ ე ც. ძვლებისაგან შედგენილი (**ძვლოვანი** ქსოვილი).

ძრობა – ძრომა

ძრობა (ტყავისა); **ძრომა** (ბუჩქებში).

წ

წაამატებს – წაამეტებს

წაამატებს: დაუმატებს; **წაამეტებს**: გადაამეტებს.

წამოიძღვანებს – წამოიძღოლებს

წამოიძღვანებს: თან წამოიღებს, წამოიყოლებს: „წყალი **წამოიძღვანე**, ხელებს გადავიბან“ (რ. ჯაფ.); **წამოიძღოლებს**: წამოიმძღვარებს წინ; გამოიძღოლებს (მეგობარი წინ **წამოიძღოლა**).

წამომდგარი – წარმომდგარი

წამომდგარი: 1. ფეხზე დამდგარი: „სარდიონი მიუახლოვდა **წამომდგარ** ბიაშვილს“ (დ. კლდ.); შ დ რ.: **ფეხზე წამომდგარი**: გ ა დ ა ტ. მოღონიერებული, გაძლიერებული; 2. მაღალ ადგილზე აშენებული, წამოჭიმული (გორაკზე **წამომდგარი** სახლი); 3. მოულოდნელად, შეუმჩნევლად ვინმეს წინაშე დამდგარი: „აიხედა მაღლა და დაინახა თავზე **წამომდგარი** ყელმოღერებული ირემი“ (ვაჟა); **წარმომდგარი**: რაიმეს შედეგად შექმნილი, წარმოშობილი: „კანონი **წარმომდგარია** ერთის სახის ჩვეულებისაგან“ (ილია).

წანამძღვარი – წინამძღვარი

წანამძღვარი: 1. რაიმეს წინასწარი პირობა (წინა პირობა); 2. ფ ი ლ ო ს. დასკვნის შემადგენელი ნაწილი – საფუძველი დასკვნისათვის; **წინამძღვარი**: 1. მონასტრის უფროსი; იღუმენი; ქრისტიანული ეკლესიის უფროსი მღვდელი; 2. ძ ვ. წინამძღოლი, ჭკუის დამრიგებელი: „სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად **წინამძღვრად**?!“ (ნ. ბარათ.).

წარდგენა – წარდგინება – წარდგომა

წარდგენა: 1. მიტანა რაიმე წერილობითი საბუთისა (დოკუმენტების **წარდგენა**); 2. გაცნობა: მეგობრის / ამხანაგის **წარდგენა** (მშობლებთან, მასწავლებლებთან); 3. შუამდგომლობა ვინმეს დაჯილდოების, დაწინაურების თაობაზე (ჩინზე

წარდგენა დაუპირეს); **წარდგინება**: შუამდგომლობის შემცველი ოფიციალური დოკუმენტი; **წარდგომა**: ვინმეს წინაშე გამოცხადება: „მეც მეღირსა ბედნიერება, **წარვდგომოდი** ბიზანტიის კეისარს. ეს **წარდგომა** დიდის ზეიმით იყო მორთული“ (შ. დად.).

წარმომდგარი – წამომდგარი (იხ.)

წარუშლელი – წაუშლელი

წარუშლელი (შთაბეჭდილება); **წაუშლელი** (დაფა).

წარწერა – წაწერა

წარწერა: 1. რაიმეზე მიწერილი ტექსტი; 2. რაიმე მაგარ მასალაზე (ქვაზე, კედელზე...) ამოკვეთილი ძველი ტექსტი (ბოლნისის სიონის / მცხეთის ჯვრის **წარწერები**); **წაწერა**: ზედ დაწერა, მიწერა (განცხადებაზე **წაწერა**).

წასაყვანი – წასაყოლი

წასაყვანი: ვინც უნდა წაიყვანონ: „ეს ბრუციანი არსად არ არის **წასაყვანი**, მუდამ ჩხუბის თავია“ (ა. ცაგარ.); **წასაყოლი**: ვინც (რაც) უნდა წააყოლონ (ან წაჰყვეს) ვინმეს ან რამეს; გასაყოლი: „ადამიანმა ორი სახელი უნდა იქონიოს: ერთი აქ დასარჩენი, მეორე – თან **წასაყოლი**“ (ილია).

წაღა – წუღა

წაღა: მაღალყელიანი ფეხსაცმელი; ჩექმა; **წუღა**: უყელო ან დაბალყელიანი ფეხსაცმელი.

წაწყდომა – წაწყმედა

წაწყდომა: დაჯახება; მოულოდნელი შეხვედრა, შეჩეხება, გადაყრა (ნადირის / ხიფათის... **წაწყდომა**); **წაწყმედა**: დაღუპვა, მოსპობა; შ დ რ.: **სულის წაწყმედა**.

წელის – წლის

წელის (ტკივილი); **წლის** (ბოლოს).

წერია – სწერია

წერია (წიგნში); **სწერია** (ჯვარი **სწერია** ბავშვს).

წერითი – წერილობითი

წერითი: რაც წერით უნდა შესრულდეს (**წერითი** სამუშაო / გამოცდა / ტესტირება...); **წერილობითი**: დოკუმენტი, რომელიც დაწერილი ან დაბეჭდილი სახით არის წარმოდგენილი (**წერილობითი** თანხმობა / საბუთი); შ დ რ.: **წერილობითი ძეგლები** (წარწერები, ხელნაწერები).

წვავს – სწვავს

წვავს (კაცი მწვადს); **სწვავს** (კვამლი ბავშვს თვალებს).

წვევამდელი – ახალწვეული (ი ხ.)

წილი – ნაწილი (იხ.)

წინააღმდეგ – წინაშე

წინააღმდეგ: ვინმეს საპირისპიროდ (მოქმედება): „გიორგის შეეძლო, ჭიაბერისა და კოლონკელიძის **წინააღმდეგ** ჯარები წარეგზავნა“ (კ. გამს.); **წინაშე**: 1. პირისპირ, პირდაპირ: „ერთიღა ახლავს ავთანდილ, უზის **წინაშე** სკამითა“ (რუსთაველი); ვინმეს (რაიმეს) წინ მყოფი: დამნაშავე წარდგა სასამართლოს **წინაშე**; 2. მიმართ: „უჩინარი სიკეთე ჩიტისა იმოდენაა, რომ ყელამდის ვალში ვართ ამ პატარა ჩიორას **წინაშე**“ (ი. გოგებ.); შ დ რ.: **ღვთის წინაშე**.

წინამძღვარი – წანამძღვარი (იხ.)

წინამძღვარი – წინამძღოლი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: ვინც წინ უძღვის ვინმეს, გზას აჩვენებს, მ ა გ რ ა მ მათ განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვთ – **წინამძღვარი**: მონასტრის უფროსი; იღუმენი; ქრისტიანული ეკლესიის უფროსი მღვდელი; **წინამძღოლი**: მეთაური.

წინდაწინ – წინ-წინ

წინდაწინ (იცოდა); **წინ-წინ** (გარბოდა).

წინდა – წინდი

წინდა: ნაქსოვი ფეხსამოსი (ჭრელი / ყელიანი **წინდა**); **წინდი**: 1. მევალისათვის საგარანტიოდ ჩაბარებული ქონება; გირაო, ბე; რაიმეს უზრუნველყოფის პირობა; საწინდარი: „შრომა არის **წინდი** ხალხის კეთილდღეობისა და წარმატებისა“ (ვ. ბარნ.); 2. სასიძოს მიერ საპატარძლოსათვის მირთმეული ნიშანი (ბეჭედი): „**წინდად** უძღვნა მას ბეჭედი“ (ს. გუგუნ.).

წირავს – სწირავს

წირავს (მღვდელი); **სწირავს** (სამშობლოს სიცოცხლეს).

წიწიბო – წიწიბურა

წიწიბო: წიფლის ნაყოფი, სამწახნაგოვანი (იჭმება); მისგან ხდიან ზეთს: „წიფლის **წიწიბო** ღორებს ასუქებს“ (ი. გოგებ.); **წიწიბურა**: 1. ბ ო ტ ა ნ. ერთწლიანი მარცვლოვანი მცენარე მატიტელასებრთა ოჯახისა; აქვს ფარად შეკრებილი თეთრი ყვავილები და სამწახნაგოვანი ნაყოფი; 2. ამ მცენარის მარცვალი (მდიდარია სახამებლით; ხმარობენ ბურღულად).

წიწილი – წიწილა

წიწილი (გველისა); **წიწილა** (ქათმისა).

წკირი – წკირა

წკირი: 1. „წვრილი ჩხირი“ (საბა); ლითონის ან სხვა მასალის პატარა და წვრილი ჩხირი (ფოლადის / მინის **წკირი**); 2. ს პ ე ც. დეტალების ერთმანეთზე გადასაბმელი ცილინდრული ჩხი-

რი (შტიფტი); **წკირა**: მუს. პატარა თხელი ფირფიტა, რომლის საშუალებითაც უკრავენ ზოგ სიმებიან საკრავზე (მედიატორი).

წლის – წელის (იხ.)

წოდებითი – წოდებრივი

წოდებითი: გრამატ. მიმართვის ფორმა; **წოდებრივი**: ამა თუ იმ წოდებასთან დაკავშირებული (**წოდებრივი** უთანასწორობა / განსხვავება).

წულა – წალა (იხ.)

წყდება – სწყდება

წყდება (თოკი / ძაფი...); **სწყდება** (ბავშვს გული...).

წყენა – წყენინება

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ვინმესთვის გულისტკენა (მეგობრის **წყენა** / **წყენინება** არ უნდოდა), მაგრამ **წყენას** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: ზიანის მიყენება, ვნება (**წყენა** საკვებისაგან).

წყვეტს – სწყვეტს

წყვეტს (საკითხს); **სწყვეტს** (გულს მეგობარს).

წყობა – წყობილება

წყობა: 1. შენობის კედლის ამოყვანა (აგურით, ქვით); 2. განლაგება (რაზმისა, ჯარისა); 3. რაზმეული, გუნდი (რაზმში ათი **წყობაა**, **წყობაში** – 50 კაცი); 4. აგებულება, სტრუქტურა (გრამატიკული **წყობა**); **წყობილება**: მმართველობის წესი (გვაროვნული **წყობილება**).

ჭ

ჭამს – სჭამს

ჭამს (პურს...); **სჭამს** (**ჭირი მოსჭამა**).

ჭანგი – ჭანგა

ჭანგი: 1. ბრჭყალი, კლანჭი; 2. სპეც. ფეხზე დასამაგრებელი ნამგლისებური კბილებიანი ლითონის მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ადიან ბოძზე; 3. რკინის კაუჭი (ზოგჯერ რამდენიმე ერთად); **ჭანგა**: ბოტ. საშუალო სიმაღლის თავთავიანი და ფესურიანი მცენარე მარცვლოვანთა ოჯახისა (სარეველა).

ჭედადობა – ჭედურობა (// ჭედილობა)

ჭედადობა: ლითონის თვისება; **ჭედურობა** (// **ჭედილობა**): ჭედვით გამოყვანის ხელობა.

ჭიდაობა – ჭიდილი

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – შებმა, შეჭიდება (ბიჭების **ჭიდაობა** /

ჭიდილი); შ დ რ.: ს პ ო რ ტ. ქართული / თავისუფალი **ჭიდაობა**; **ჭიდაობის** წესი, მ ა გ რ ა მ: **გრძნობათა ჭიდილი**; **გულის ჭიდილი**.

ჭირნანახი – ჭირნახული

ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – ვისაც გაჭირვება უნახავს; ჭირგამოვლილი: „შვილსა თავზე წასდგომია **ჭირნანახი** მისი დედა“ (ი. დავით.); „შუაში დგას **ჭირნახული** და მრავალჭრილობიანი მოხუცი“ (აკაკი), მ ა გ რ ა მ **ჭირნახულს** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: პურის, სიმინდის, ლობიოს... მოსავალი: „**ჭირნახულით** დატვირთული ურმების ჭრიალი აღვიძებდა შემოდგომის მდუმარე ჰაერს“ (ე. ნინოშ.).

ჭირს – სჭირს

ჭირს (მუშაობა); **სჭირს** (გრიპი).

ხ

ხალხური – სახალხო (ი ხ.)

ხანი – ხანა

ხანი: 1. ქართული ანბანის 31-ე ასოს სახელწოდება; 2. დრო, ჟამი (ბოლო **ხანებში**; ერთი **ხანია**; **ერთხანს**; კარგა **ხანია**; რა **ხანია**); 3. ასაკი, ხნოვანება (ადამის **ხნისა**; **ხანში** შესული); 4. თურქი,

მონღოლი ხალხის მეფე, მთავარი; **ხანა**: 1. დროის განსაზღვრული მონაკვეთი (რაიმე დამახასიათებელი ნიშნის, მოვლენის მიხედვით გამოყოფილი); პერიოდი; ეპოქა (ქვის / ბრინჯაოს / აყვავების / გარდამავალი / ისტორიული / დაცემის **ხანა**); 2. ლექსის სტროფი.

ხანიერი – ხნიერი

ხანიერი: ხანგრძლივი; მუდმივი: „ხამს მიჯნური **ხანიერი**...“ (რუსთაველი); **ხნიერი**: ხანში შესული.

ხარისხიანი, ხარისხოვანი – ხარისხობრივი

ხარისხიანი, **ხარისხოვანი**: კარგი ხარისხის მქონე (**ხარისხიანი** / **ხარისხოვანი** პროდუქცია); **ხარისხობრივი**: ხარისხის მიხედვით განსაზღვრული (**ხარისხობრივი** მაჩვენებლები).

ხდომილება – ცდომილება (ი ხ.)

ხეთქა – ხეთქება

ხეთქა: 1. ძლიერი დარტყმა; გარტყმა; 2. პობა (შეშის...); შ დ რ.: **გულის ხეთქა**; **ხეთქება**: დახეთქება, მიხეთქება (ბურთის კედელზე / იატაკზე **ხეთქება**).

ხელდახელ – ხელიხელ

ხელდახელ: 1. უცებ, ჩქარა, ხელად; სახელდახელოდ; 2. ხელით: „ფეხებს რომ მიწევთ, რა ჭიდაობის წესია, ერთი **ხელდახელ** უნდა მოხვიდეთ და ვნახოთ“ (თ. რაზიკ.); **ხელიხელ** (საგოგმანები): გ ა დ ა ტ. გასაფრთხილებელი, ძვირფასი; ძალიან კარგი.

ხელდებული – ხელდადებული

ხელდებული: ვინმეს მფარველობაში მყოფი: „მარგო უკვე ჯაყოს **ხელდებულია**“ (მ. ჯავახ.); **ხელდადებული**: 1. რასაც ხელი დაადეს (**ხელდადებული** ჭიქა); 2. ვისაც ხელი დაადეს; მიიჩემეს: „ქალი უკვე **ხელდადებული** იყო სოვდაგრისაგან“ (ვ. ბარნ.); 3. ვინც ხელი დაადო: „რა ამბავია? – მიაძახა... რევოლვერზე **ხელდადებულმა** უბნის ზედამხედველმა“ (ჭ. ლომთ.).

ხელმოწერა, ხელის მოწერა – ხელწერა

ხელმოწერა, **ხელის მოწერა**: რაიმე ტექსტის ბოლოს სახელისა და გვარის დაწერა (დაიწყეს **ხელმოწერების** შეგროვება; დირექტორის **ხელის მოწერა**; ახლად დაქორწინებულები **ხელის მოწერისთანავე** ქალაქიდან გაემგზავრნენ); **ხელწერა**: წერის, ასოების გამოყვანის თავისებურება; ხელი (ლამაზი **ხელწერა**).

ხელოვანი – ხელოსანი

ხელოვანი: 1. ხელოვნების მუშაკი; ხელოვნების რომელიმე დარგის წარმომადგენელი

(მხატვარი, მუსიკოსი...); 2. თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე (დახელოვნებული); **ხელოსანი**: რაიმე ხელობის მცოდნე.

ხვეული – ხვეულა

ხვეული (კიბე / თმა / ქადა); **ხვეულა**: 1. ხვია; 2. მ ე ც ხ ო ვ. კავი, ჭავლი (მატყლისა).

ხვეწა – ხვეწნა

ხვეწა: 1. ხვეწით თლა (ხონჩის **ხვეწა**); 2. ნართის გასუფთავება სახვეწით; 3. ტექსტის სტილისტიკურად გამართვა; **ხვეწნა**: დაბეჯითებული თხოვნა, მუდარა, ვედრება.

ხიდან – ხისგან

ხიდან (საიდან? – **ხიდან** ჩამოხტა); **ხისგან** (რისგან? – **ხისგან** გამოთალა).

ხმელი – ხმელა

ხმელი: 1. სისველეს მოკლებული, მშრალი, გამხმარი (**ხმელი** შეშა); შ დ რ.: **ხმელი წიფელი**; **ხმელი ხილი**; **ხმელი თევზი**; 2. ს ა უ ბ. გამხდარი, მჭლე ადამიანი; 3. ძ ვ. ხმელეთი; **ხმელა**: გ ა - დ ა ტ. ცარიელი: „ჩვენი ქეიფი – **ხმელა პური** და მწარე არაყი“ (ვაჟა).

ხნიერი – ხანიერი (იხ.)

ხურება – ხურვება

ხურება: გაცხელება; **ხურვება**: სიცხის მო-

მატება რაიმე ავადმყოფობის დროს: „სწორედ წინა ღამით საშინელმა **ხურვებამ** წამოუარა“ (კ. გამს.).

ხუჭუჭი – ხუჭუჭა

ხუჭუჭი (თმა / წვერი...); **ხუჭუჭა** (ბიჭი).

ჯ

ჯგუფური – ჯგუფობრივი

ჯგუფური / **ჯგუფობრივი** (მეცადინეობა...), მაგრამ **ჯგუფური** (ფოტოსურათი / ძარცვა / სამარხები...).

ჯიბლიბო – ჯიჯლიბო

ჯიბლიბო: წამწამთა ძირების ჩირქოვანი ანთება; ამ დროს გამოსული მუწუკი (ბავშვს **ჯიბლიბო** გამოუვიდა); **ჯიჯლიბო**: ბიბილო: „მეტად ამაყია ჩვენი მამალი..., **ჯიჯლიბო** გვერდზე გადაუგდია, როგორც თავმომწონე ბიჭი გადაიგდებს ხოლმე ქუდსა“ (ვაჟა).

ჯირკი – ჯორკო

ჯირკი: კუნძი: „დაჯდა ცაცხვის ძირში მიგდებულ **ჯირკზე**“ (ნ. ლორთქ.); **ჯორკო**: დაბალ სკამად გათლილი ნამორი: „დაჯექი, ბებია, აგერ **ჯორკოზე**“ (რ. გვეტ.).

ჰ

ჰაერი – ჰავა

ჰაერი: 1. ჟანგბადის, აზოტისა და სხვა უფერული გაზების ნარევი, რომელიც ქმნის დედამიწის ატმოსფეროს; 2. გარემო, სივრცე: „ტყვიაწამლის სუნი **ჰაერში** ტრიალებს“ (ილია); **ჰავა**: ამა თუ იმ ადგილისათვის ჩვეულებრივი მეტეოროლოგიური პირობების ერთობლიობა (ზომიერი / მკაცრი / თბილი... **ჰავა**).

ჰელიოსკოპი – ჰელიოსტატი

ჰელიოსკოპი: სპეც. ტელესკოპი მზის ზედაპირზე ვიზუალური დაკვირვებისათვის; **ჰელიოსტატი**: სპეც. ასტრონომიული ხელსაწყო; მისი სარკე (საათის მექანიზმით მბრუნავი) მზის სხივებს მიაქცევს მუდმივად ერთი მიმართულებით.

ჰელიოფილური – ჰელიოფობური

ჰელიოფილური: სპეც. სინათლის მოყვარული (მცენარეები); **ჰელიოფობური**: სპეც. ჩრდილის მოყვარული (მცენარეები).

ჰიდრატი – ჰიდრანტი – ჰიდრიდი

ჰიდრატი: ქიმიური ნაერთი, რომელიც წყლის მოლეკულებს შეიცავს; **ჰიდრანტი**: სპეც. წყალსადენის ქსელიდან წყლის მიმწოდებელი მოწყობილობა (სახანძრო **ჰიდრანტი**); **ჰიდრიდი**: ქიმიური ნაერთი წყალბადისა სხვა ელემენტებთან.

ჰიდროფილია – ჰიდროფობია

ჰიდროფილია: 1.ზოგიერთი მცენარის წყალქვეშ დამტვერვის უნარი; 2. ქსოვილის უნარი ორგანიზმში წყლის (სითხის) შეკავებისა; **ჰიდროფობია**: წყლის შიში.

ჰიპერტონია – ჰიპოტონია

ჰიპერტონია: მედიც. სისხლის წნევის აწევა, მომატება; შდრ.: **ჰიპოტონია**: სისხლის წნევის დაქვეითება.

ჰიპერტროფია – ჰიპოტროფია

ჰიპერტროფია: მედიც. 1. რაიმე ორგანოს მეტისმეტი გადიდება ავადმყოფობის, დიდი დატვირთვის ან სხვა მიზეზის გამო; 2. გადატ. რაიმეს არანორმალური განვითარება; შდრ.: **ჰიპოტროფია**: რაიმე ორგანოს ან მისი ნაწილის მოცულობის შემცირება.

ჰიპოსტაზი – ჰიპოსტასი, იპოსტასი (იხ.)

ჰკვეთს – კვეთს (იხ.)

ჰკრავს – კრავს (იხ.)

ჰუმანური – ჰუმანისტური – ჰუმანიტარული

ჰუმანური: ადამიანური, სხვისადმი გულისხმიერი (**ჰუმანური** დამოკიდებულება); **ჰუმანისტური**: ჰუმანისტის, ჰუმანიზმის თვისების, ხასიათის მქონე (**ჰუმანისტური** ხედვა); **ჰუმანიტარული**: 1. ადამიანთა საზოგადოებისა და კულტურის შემსწავლელი (**ჰუმანიტარული** მეცნიერებანი); 2. ადამიანის უფლებებსა და ინტერესებთან დაკავშირებული (ჰუმანიტარული **დახმარება**).

წ ყ ა რ ო ე ბ ი

1. ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
2. შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002; 2007; 2009.
3. ნ. ბასილაია, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1991.
4. ენციკლოპედია „ქართული ენა“, თბ., 2008.
5. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.
6. ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965; 1988; 2005.
7. ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968; 1998.
8. ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, I, თბ., 2009.
9. ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, თბ., 2002.
10. ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
11. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1964; ერთტომეული, თბ., 1986; ახალი რედაქცია, I, თბ., 2007.
12. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I-XII, თბ., 1972-2004.
13. თ. ღვინაძე, პარონიმია, ქელს, № 2, თბ., 1978.

14. თ. ღვინაძე, პარონიმია თანამედროვე ქართულ სიტყვახმარებაში, ქსკს, IV, 1981.
15. გ. შალამბერიძე, მეტყველების კულტურის საკითხები, თბ., 1964; 1998.
16. გ. შალამბერიძე, ქართული სწორმეტყველების სწავლების საკითხები, თბ., 1980.
17. მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989.
18. Ахманова О. С., Словарь лингвистических терминов, М., 1966.
19. Бельчиков Ю. А., Лексическая стилистика, М., 1977.
20. Бельчиков Ю. А., Панюшева М. С., Трудные случаи употребления однокоренных слов русского языка, М., 1968.
21. Гвоздев А. Н., Очерки по стилистике русского языка, М., 1955.
22. Колесников Н. П., Словарь паронимов русского языка, Тб., 1971.
23. Крысин Л. П., Толковый словарь иноязычных слов, Издательство «ЭКСМО», М., 2007.
24. Лингвистический энциклопедический словарь, М., «Советская Энциклопедия», 1990.
25. Марузо Ж., Словарь лингвистических терминов, М., 1960.
26. Розенталь Д. Э., Теленкова М. А., Словарь-справочник лингвистических терминов, М., 1972.
27. Трудности русского языка, словарь-справочник журналиста, М., 1974.